| | | | | **განსახილველი საკითხები:**<br>1. რას გულისხმობს შრომითი ურთიერთობა და საქართველოს რომელი საკანონმდებლო აქტია მისი წარმოშობის იურიდიული საფუძველი?<br>2. ვინ არიან შრომითი ურთიერთობის სუბიექტები?<br>3. როგორ ხორციელდება შრომითი ურთიერთობის დაწყება?<br>4. როგორ ხორციელდება შრომითი ურთიერთობის შეჩერება?<br>5. რას გულისხმობს და როგორ ხორციელდება შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა?<br>6. რა არის აუთსორსინგი და რა უპირატესობები აქვს მას? | წარიმართოს არა მონოლოგის სახით, არამედ მაქსიმალურად ინტერაქტიულად.<br>ამ მიზნით, სტუდენტების ჩართულობის შესამოწმებლად, თითოეული განხილული საკითხის ბოლოს გამოიყენეთ ამ საკითხის შესაბამისი კითხვები მასწავლებლის გზამკვლევის 4.3.1. დანართიდან. | (ივსება მომდევნო პრაქტიკული მეცადინეობის დასაწყისში და ადასტურებს სტუდენტის მიერ მოსამზადებელი პრეზენტაციის შესრულებას, მეწარმეობის მოდულის სწავლის მე-4 შედეგის შემდეგ კრიტერიუმთან დაკავშირებით:<br>**2. კანონმდებლობის შესაბამისად, აღწერს შრომითი ურთიერთობის დამყარების ფორმებს**<br>**3. კანონმდებლობის შესაბამისად, აფორმებს შრომითი ურთიერთობების დამყარების აქტს.**<br>**7. კანონმდებლობის და სამუშაოს სპეციფიკის გათვალისწინებით, განსაზღვრავს შრომითი ურთიერთობების შეწყვეტის პირობებს** | (სლაიდების ამობეჭდილი ვერსია).<br>შესაძლებელია შესაბამისი ვიდეო/აუდიო ან ინტერნეტ რესურსის გამოყენება. | |
| | | პრაქტიკული | 1 | | პრაქტიკული მეცადინეობა ხელს უნდა უწყობდეს თეორიული მეცადინეობის დროს ახსნილი ინფორმაციის განმტკიცებას. უნდა დარწმუნდეთ, რომ აუდიტორიაში მსხდომმა ყველა სტუდენტმა გაიგო | | | |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | თეორიული მეცადინეობის დროს ახსნილი ინფორმაცია. | | | |
| | | დამოუკიდებელი | 3 | სტუდენტებს მიეცით დავალება მასწავლებლის გზამკვლევის 4.3.3. ქვეთავის შესაბამისად. | | | | |
| | | შეფასება | 1 | სწავლის შედეგი 3 შეაფასეთ მასწავლებლის გზამკვლევის 4.3.4. ქვეთავის შესაბამისად | | განმსზღვრელი შეფასების ინსტრუმენტი №4.3.4 ქვეთავის შესაბამისად | | |
| | 16 | თეორიული | 1 | **თავი 4.4. თანამშრომელთა მუშაობის შეფასება და სტიმულირება**<br><br>**განსახილველი საკითხები:**<br>1. რატომ და როგორ ხორციელდება თანამშრომელთა საქმიანობის შეფასება?<br>2. რისთვის არის საჭირო თანამშრომელთა სწავლება და კვალიფიკაციის ამაღლება?<br>3. თანამშრომელთა სტიმულირების რა მექანიზმები არსებობს? | სასურველია თეორიული მეცადინეობა წარიმართოს არა მონოლოგის სახით, არამედ მაქსიმალურად ინტერაქტიულად.<br>ამ მიზნით, სტუდენტების ჩართულობის შესამოწმებლად, თითოეული განხილული საკითხის ბოლოს გამოიყენეთ ამ საკითხის შესაბამისი კითხვები მასწავლებლის გზამკვლევის 4.4.1. დანართიდან. | განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტი №4.4. (ივსება მომდევნო პრაქტიკული მეცადინეობის დასაწყისში და ადასტურებს სტუდენტის მიერ მოსამზადებელი პრეზენტაციის შესრულებას, მეწარმეობის მოდულის სწავლის მე-4 შედეგის შემდეგ კრიტერიუმთან დაკავშირებით:<br>**5. სწორად აყალიბებს შესრულებული სამუშაოს შეფასების კრიტერიუმებს** | კომპიუტერი, პროექტორი, ჰენდაუთი (სლაიდების ამობეჭდილი ვერსია). შესაძლებელია შესაბამისი ვიდეო/აუდიო ან ინტერნეტ რესურსის გამოყენება. | |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | პრაქტიკული | 1 | პრაქტიკული მეცადინეობა ჩაატარეთ მასწავლებლის გზამკვლევის 4.4.2. ქვეთავის შესაბამისად. | პრაქტიკული მეცადინეობა ხელს უნდა უწყობდეს თეორიული მეცადინეობის დროს ახსნილი ინფორმაციის განმტკიცებას. უნდა დარწმუნდეთ, რომ აუდიტორიაში მსხდომმა ყველა სტუდენტმა გაიგო თეორიული მეცადინეობის დროს ახსნილი ინფორმაცია. | **6. სწორად განმარტავს თანამშრომლთა სტიმულირების გზებს** | | |
| | | დამოუკიდებელი | 4 | სტუდენტებს მიეცით დავალება მასწავლებლის გზამკვლევის 4.4.3. ქვეთავის შესაბამისად. | | | | |
| **სწავლის შედეგი 5** | 17 | თეორიული | 2 | **თავი 5.1. რეკლამა**<br><br>**განსახილველი საკითხები:**<br>1. რა წარმოადგენს რეკლამის არსს და რა ფუნქციები გააჩნია?<br>2. სარეკლამო ინფორამციის რა საშუალებები არსებობს? | სასურველია თეორიული მეცადინეობა წარიმართოს არა მონოლოგის სახით, არამედ მაქსიმალურად ინტერაქტიულად.<br>ამ მიზნით, სტუდენტების ჩართულობის შესამოწმებლად, თითოეული | განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტი №5.1. (ივსება მომდევნო პრაქტიკული მეცადინეობის დასაწყისში და ადასტურებს სტუდენტის მიერ მოსამზადებელი პრეზენტაციის შესრულებას, მეწარმეობის მოდულის სწავლის | კომპიუტერი, პროექტორი, ჰენდაუთი (სლაიდების ამობეჭდილი ვერსია). შესაძლებელია შესაბამისი ვიდეო/აუდიო ან ინტერნეტ რესურსის გამოყენება. | |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | განხილული საკითხის ბოლოს გამოიყენეთ ამ საკითხის შესაბამისი კითხვები მასწავლებლის გზამკვლევის 5.1.1. დანართიდან. | მე-5 შედეგის შემდეგ კრიტერიუმთან დაკავშირებით:<br>1. **სწორად განმარტავს სტიმულირების სახეებს და მათ გამოყენებას**<br>2. **ბიზნესის სპეციფიკის გათვალისწინებით, სწორად ირჩევს ბაზარს, სადაც აპირებს პოზიციონირებას**<br>5. **ბიზნესისა და მომხმარებლის სპეციფიკის გათვალისწინებით, სწორად ირჩევს მომხმარებლის სტიმულირების მექანიზმებს** | | |
| | | პრაქტიკული | 1 | პრაქტიკული მეცადინეობა ჩაატარეთ მასწავლებლის გზამკვლევის 5.1.2. ქვეთავის შესაბამისად. | პრაქტიკული მეცადინეობა ხელს უნდა უწყობდეს თეორიული მეცადინეობის დროს ახსნილი ინფორმაციის განმტკიცებას. უნდა დარწმუნდეთ, რომ აუდიტორიაში მსხდომმა ყველა სტუდენტმა გაიგო თეორიული მეცადინეობის დროს ახსნილი ინფორმაცია. | | | |
| | | დამოუკიდებელი | 2 | სტუდენტებს მიეცით დავალება მასწავლებლის გზამკვლევის 5.1.3. ქვეთავის შესაბამისად. | | | | |
| | 18 | თეორიული | 2 | **თავი 5.2. გაყიდვები**<br><br>**განსახილველი საკითხები:** | სასურველია თეორიული მეცადინეობა | განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტი №5.2. | კომპიუტერი, პროექტორი, ჰენდაუთი | |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | 1. რა წარმოადგენს გაყიდვების არსს და გაყიდვების რა სახეები არსებობს?<br>2. გაყიდვების რა თავისებურებები არსებობს მომსახურების ბიზნესში?<br>3. კლიენტის სტიმულირების რა მექანიზმები არსებობს? | წარიმართოს არა მონოლოგის სახით, არამედ მაქსიმალურად ინტერაქტიულად.<br>ამ მიზნით, სტუდენტების ჩართულობის შესამოწმებლად, თითოეული განხილული საკითხის ბოლოს გამოიყენეთ ამ საკითხის შესაბამისი კითხვები მასწავლებლის გზამკვლევის 5.2.1. დანართიდან. | (ივსება მომდევნო პრაქტიკული მეცადინეობის დასაწყისში და ადასტურებს სტუდენტის მიერ მოსამზადებელი პრეზენტაციის შესრულებას, მეწარმეობის მოდულის სწავლის მე-5 შედეგის შემდეგ კრიტერიუმთან დაკავშირებით:<br>**3. ბიზნესის სპეციფიკის გათვალისწინებით, სწორად არჩევს გაყიდვების სახეს**<br>**6. სწორად განსაზღვრავს საქონლის ფასებს** | (სლაიდების ამობეჭდილი ვერსია). შესაძლებელია შესაბამისი ვიდეო/აუდიო ან ინტერნეტ რესურსის გამოყენება. | |
| | | პრაქტიკული | 2 | პრაქტიკული მეცადინეობა ჩაატარეთ მასწავლებლის გზამკვლევის 5.2.2. ქვეთავის შესაბამისად. | პრაქტიკული მეცადინეობა ხელს უნდა უწყობდეს თეორიული მეცადინეობის დროს ახსნილი ინფორმაციის განმტკიცებას. უნდა დარწმუნდეთ, რომ აუდიტორიაში მსხდომმა ყველა სტუდენტმა გაიგო | | | |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | თეორიული მეცადინეობის დროს ახსნილი ინფორმაცია. | | | |
| | | დამოუკიდებელი | 3 | სტუდენტებს მიეცით დავალება მასწავლებლის გზამკვლევის 5.2.3. ქვეთავის შესაბამისად. | | | | |
| | | შეფასება | 1 | სწავლის შედეგი 4 შეაფასეთ მასწავლებლის გზამკვლევის 5.2.4. ქვეთავის შესაბამისად | | განმსზღვრელი შეფასების ინსტრუმენტი №5.2.4 ქვეთავის შესაბამისად | | |
| | 19 | თეორიული | 2 | **თავი 5.3. საქონლის მიწოდება, შეფუთვა და მარკირება, კლიენტთან ურთიერთობის აგება**<br><br>**განსახილველი საკითხები:**<br>1. რა წარმოადგენს საქონლისა და მომსახურების მიწოდების არსს და ფორმები არსებობსვ ამისათვის?<br>2. ტრანსპორტის რა სახეები არსებობს?<br>3. როგორ ხდება ტვირთზიდვისას ტრანსპორტირების სახეების შერჩევა?<br>4. როგორ ხორციელდება საქონლის განაწილება?<br>5. როგორ ხორციელდება საქონლის ეტიკეტირება?<br>6. როგორ ხორციელდება საქონლის მარკირება?<br>7. როგორ ხორციელდება საქონლის შტრიხკოდირება? | სასურველია თეორიული მეცადინეობა წარიმართოს არა მონოლოგის სახით, არამედ მაქსიმალურად ინტერაქტიულად.<br>ამ მიზნით, სტუდენტების ჩართულობის შესამოწმებლად, თითოეული განხილული საკითხის ბოლოს გამოიყენეთ ამ საკითხის შესაბამისი კითხვები მასწავლებლის გზამკვლევის 5.3.1. დანართიდან. | განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტი №5.3. (ივსება მომდევნო პრაქტიკული მეცადინეობის დასაწყისში და ადასტურებს სტუდენტის მიერ მოსამზადებელი პრეზენტაციის შესრულებას, მეწარმეობის მოდულის სწავლის მე-5 შედეგის შემდეგ კრიტერიუმთან დაკავშირებით:<br>**4. ბიზნესის სპეციფიკის გათვალისწინებით, სწორად არჩევს მიწოდების ფორმას** | კომპიუტერი, პროექტორი, ჰენდაუთი (სლაიდების ამობეჭდილი ვერსია). შესაძლებელია შესაბამისი ვიდეო/აუდიო ან ინტერნეტ რესურსის გამოყენება. | |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | 8. რა მოთხოვნები არსებობს ცოცხალ გენმოდიფიცირებულ ორგანიზმებთან დაკავშირებით? | | | | |
| | | პრაქტიკული | 1 | პრაქტიკული მეცადინეობა ჩაატარეთ მასწავლებლის გზამკვლევის 5.3.2. ქვეთავის შესაბამისად. | პრაქტიკული მეცადინეობა ხელს უნდა უწყობდეს თეორიული მეცადინეობის დროს ახსნილი ინფორმაციის განმტკიცებას. უნდა დარწმუნდეთ, რომ აუდიტორიაში მსხდომმა ყველა სტუდენტმა გაიგო თეორიული მეცადინეობის დროს ახსნილი ინფორმაცია. | | | |
| | | დამოუკიდებელი | 2 | სტუდენტებს მიეცით დავალება მასწავლებლის გზამკვლევის 5.3.3. ქვეთავის შესაბამისად. | | | | |
| **სწავლის შედეგი 6** | 20 | თეორიული | 1 | **თავი 6.1. ფასწარმოქმნა**<br><br>**განსახილველი საკითხები:**<br>1. რაში მდგომარეობს ფასის არსი და როგოროა მისი ფუნქციები?<br>2. როგორია ფასის სტრუქტურა? | სასურველია თეორიული მეცადინეობა წარიმართოს არა მონოლოგის სახით, არამედ მაქსიმალურად ინტერაქტიულა დ. | განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტი №6.1. (ივსება ამავე მეცადინეობაზე და ადასტურებს სტუდენტის მიერ მოსამზადებელი პრეზენტაციის შესრულებას, | კომპიუტერი, პროექტორი, ჰენდაუთი (სლაიდების ამობეჭდილი ვერსია). შესაძლებელი ა შესაბამისი ვიდეო/აუდიო ან | |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | 3. რაში მდგომარეობს ფასწარმოქმნის არსი და მისი რა ტიპები არსებობს?<br>4. რა ფაქტორები მოქმედებს ფასების დაწესებაზე?<br>5. საბაზრო ფასების ფორმირების რა მექანიზმები არსებობს? | ამ მიზნით, სტუდენტების ჩართულობის შესამოწმებლად, თითოეული განხილული საკითხის ბოლოს გამოიყენეთ ამ საკითხის შესაბამისი კითხვები მასწავლებლის გზამკვლევის 6.1.1. დანართიდან. | მეწარმეობის მოდულის სწავლის მე-6 შედეგის შემდეგ კრიტერიუმთან დაკავშირებით:<br>1. **სწორად განსაზღვრავს საქონლის/მომსახურების ფასებს** | ინტერნეტ რესურსის გამოყენება. | |
| | | პრაქტიკული | 1 | პრაქტიკული მეცადინეობა ჩაატარეთ მასწავლებლის გზამკვლევის 6.1.2. ქვეთავის შესაბამისად. | პრაქტიკული მეცადინეობა ხელს უნდა უწყობდეს თეორიული მეცადინეობის დროს ახსნილი ინფორმაციის განმტკიცებას. უნდა დარწმუნდეთ, რომ აუდიტორიაში მსხდომმა ყველა სტუდენტმა გაიგო თეორიული მეცადინეობის დროს ახსნილი ინფორმაცია. | | | |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | შეფასება | 1 | სწავლის შედეგი 5 შეაფასეთ მასწავლებლის გზამკვლევის 6.1.3. ქვეთავის შესაბამისად | | განმსზღვრელი შეფასების ინსტრუმენტი №6.1.3 ქვეთავის შესაბამისად | | |
| | 21 | თეორიული | 2 | **თავი 6.2. ბიზნესის შემოსავლები**<br><br>**განსახილველი საკითხები:**<br>1. რაში მდგომარეობს შემოსავლების არსი და მისი რა სახეები არსებობს?<br>2. რას გულისხმობს საოპერაციო და არასაოპერაციო შემოსავლები?<br>3. როგორ ხორციელდება საქონლის გაყიდვა განვადებით?<br>4. რას გულისხმობს მომსახურეობიდან მიღებული შემოსავალი?<br>5. რას გულისხმობს ტერმინები: საპროცენტო შემოსავალი, დივიდენდი, როიალტი, საიჯარო ქირა? | სასურველია თეორიული მეცადინეობა წარიმართოს არა მონოლოგის სახით, არამედ მაქსიმალურად ინტერაქტიულად.<br>ამ მიზნით, სტუდენტების ჩართულობის შესამოწმებლად, თითოეული განხილული საკითხის ბოლოს გამოიყენეთ ამ საკითხის შესაბამისი კითხვები მასწავლებლის გზამკვლევის 6.2.1. დანართიდან. | განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტი №6.2. (ივსება მომდევნო თეორიულ მეცადინეობაზე და ადასტურებს სტუდენტის მიერ მოსამზადებელი პრეზენტაციის შესრულებას, მეწარმეობის მოდულის სწავლის მე-6 შედეგის შემდეგ კრიტერიუმთან დაკავშირებით:<br>**2. ბიზნესის სპეციფიკის გათვალისწინებით, სწორად ჩამოთვლის მოსალოდნელ შემოსავლებს** | კომპიუტერი, პროექტორი, ჰენდაუთი (სლაიდების ამობეჭდილი ვერსია). შესაძლებელია შესაბამისი ვიდეო/აუდიო ან ინტერნეტ რესურსის გამოყენება. | |
| | | პრაქტიკული | 1 | პრაქტიკული მეცადინეობა ჩაატარეთ მასწავლებლის გზამკვლევის 6.2.2. ქვეთავის შესაბამისად. | პრაქტიკული მეცადინეობა ხელს უნდა უწყობდეს თეორიული მეცადინეობის დროს ახსნილი ინფორმაციის | | | |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | განმტკიცებას. უნდა დარწმუნდეთ, რომ აუდიტორიაში მსხდომმა ყველა სტუდენტმა გაიგო თეორიული მეცადინეობის დროს ახსნილი ინფორმაცია. | | | |
| | | დამოუკიდებელი | 2 | სტუდენტებს მიეცით დავალება მასწავლებლის გზამკვლევის 6.2.3. ქვეთავის შესაბამისად. | | | | |
| | 22 | თეორიული | 1 | **თავი 6.3. ნაღდი და უნაღდო ანგარიშსწორება, საკონტროლო სალარო აპარატი**<br><br>**განსახილველი საკითხები:**<br>1. რისთვის არის განკუთვნილი საკონტროლო - სალარო აპარატი?<br>2. რა შემთხვევაში გამოიყენება საკონტროლო - სალარო აპარატი?<br>3. რა შემთხვევაში არ გამოიყენება საკონტროლო - სალარო აპარატი?<br>4. როგორ ხორციელდება საკონტროლო - სალარო აპარტის რეგისტრაცია? | სასურველია თეორიული მეცადინეობა წარიმართოს არა მონოლოგის სახით, არამედ მაქსიმალურად ინტერაქტიულად.<br>ამ მიზნით, სტუდენტების ჩართულობის შესამოწმებლად, თითოეული განხილული საკითხის ბოლოს გამოიყენეთ ამ საკითხის შესაბამისი კითხვები მასწავლებლის | განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტი №6.3. (ივსება ამავე მეცადინეობაზე და ადასტურებს სტუდენტის მიერ მოსამზადებელი პრეზენტაციის შესრულებას, მეწარმეობის მოდულის სწავლის მე-6 შედეგის შემდეგ კრიტერიუმთან დაკავშირებით:<br>**3. ბიზნესის სპეციფიკის გათვალისწინებით, სწორად განმარტავს საკონტროლო** | კომპიუტერი, პროექტორი, ჰენდაუთი (სლაიდების ამობეჭდილი ვერსია). შესაძლებელია შესაბამისი ვიდეო/აუდიო ან ინტერნეტ რესურსის გამოყენება. | |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | გზამკვლევის 6.3.1. დანართიდან. | სალარო აპარატის გამოყენების საჭიროებას | | |
| | | პრაქტიკული | 2 | პრაქტიკული მეცადინეობა ჩაატარეთ მასწავლებლის გზამკვლევის 6.3.2. ქვეთავის შესაბამისად. | პრაქტიკული მეცადინეობა ხელს უნდა უწყობდეს თეორიული მეცადინეობის დროს ახსნილი ინფორმაციის განმტკიცებას. უნდა დარწმუნდეთ, რომ აუდიტორიაში მსხდომმა ყველა სტუდენტმა გაიგო თეორიული მეცადინეობის დროს ახსნილი ინფორმაცია. | | | |
| | | დამოუკიდებელი | 2 | სტუდენტებს მიეცით დავალება მასწავლებლის გზამკვლევის 6.3.3. ქვეთავის შესაბამისად. | | | | |
| | 23 | თეორიული | 1 | **თავი 6.4. ბიზნესის ხარჯები**<br><br>**განსახილველი საკითხები:**<br>1. რა არის ბიზნესის ხარჯი და რა სახის ხარჯები არსებობს?<br>2. რას გულისხმობს კომერციული (მიწოდების/მარკეტინგის), საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები? | სასურველია თეორიული მეცადინეობა წარიმართოს არა მონოლოგის სახით, არამედ მაქსიმალურად ინტერაქტიულად. ამ მიზნით, სტუდენტების | განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტი №6.4. (ივსება ამავე მეცადინეობაზე და ადასტურებს სტუდენტის მიერ მოსამზადებელი პრეზენტაციის შესრულებას, მეწარმეობის | კომპიუტერი, პროექტორი, ჰენდაუთი (სლაიდების ამობეჭდილი ვერსია). შესაძლებელია შესაბამისი ვიდეო/აუდიო ან ინტერნეტ | |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | ჩართულობის შესამოწმებლად, თითოეული განხილული საკითხის ბოლოს გამოიყენეთ ამ საკითხის შესაბამისი კითხვები მასწავლებლის გზამკვლევის 6.4.1. დანართიდან. | მოდულის სწავლის მე-6 შედეგის შემდეგ კრიტერიუმთან დაკავშირებით:<br>**4. ბიზნესის სპეციფიკის გათვალისწინებით, სწორად ჩამოთვლის მოსალოდნელ ხარჯებს**<br>**5. სწორად აღრიცხავს შემოსავლებსა და ხარჯებს**<br>**6. ბიზნესის სპეციფიკის გათვალისწინებით, სწორად უკეთებს იდენტიფიცირებას ბიუჯეტში შესატან გადასახადებს**<br>**7. სწორად ანგარიშობს მოსალოდნელ მოგებას** | რესურსის გამოყენება. | |
| | | პრაქტიკული | 1 | პრაქტიკული მეცადინეობა ჩაატარეთ მასწავლებლის გზამკვლევის 6.4.2. ქვეთავის შესაბამისად. | პრაქტიკული მეცადინეობა ხელს უნდა უწყობდეს თეორიული მეცადინეობის დროს ახსნილი ინფორმაციის განმტკიცებას. უნდა დარწმუნდეთ, რომ აუდიტორიაში მსხდომმა ყველა სტუდენტმა გაიგო თეორიული მეცადინეობის დროს ახსნილი ინფორმაცია. | | | |
| | | დამოუკიდებელი | 2 | სტუდენტებს მიეცით დავალება მასწავლებლის გზამკვლევის 6.4.3. ქვეთავის შესაბამისად. | | | | |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 24 | თეორიული | 1 | **თავი 6.5. ბიზნესის შემოსავლებისა და ხარჯების აღრიცხვა**<br><br>**განსახილველი საკითხები:**<br>1. რა იგულისხმება პირველად დოკუმენტებში?<br>2. შემოსავლებისა და ხარჯების აღრიცხვის რა პრინციპები არსებობს?<br>3. რა არის მოგება?<br>4. რა არის დივიდენდი? | სასურველია თეორიული მეცადინეობა წარიმართოს არა მონოლოგის სახით, არამედ მაქსიმალურად ინტერაქტიულად.<br>ამ მიზნით, სტუდენტების ჩართულობის შესამოწმებლად, თითოეული განხილული საკითხის ბოლოს გამოიყენეთ ამ საკითხის შესაბამისი კითხვები მასწავლებლის გზამკვლევის 6.5.1. დანართიდან. | განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტი №6.5. (ივსება ამავე მეცადინეობაზე და ადასტურებს სტუდენტის მიერ მოსამზადებელი პრეზენტაციის შესრულებას, მეწარმეობის მოდულის სწავლის მე-6 შედეგის შემდეგ კრიტერიუმთან დაკავშირებით:<br>**5. სწორად აღრიცხავს შემოსავლებსა და ხარჯებს**<br>**6. ბიზნესის სპეციფიკის გათვალისწინებით, სწორად უკეთებს იდენტიფიცირებას ბიუჯეტში შესატან გადასახადებს**<br>**7. სწორად ანგარიშობს მოსალოდნელ მოგებას** | კომპიუტერი, პროექტორი, ჰენდაუთი (სლაიდების ამობეჭდილი ვერსია). შესაძლებელია შესაბამისი ვიდეო/აუდიო ან ინტერნეტ რესურსის გამოყენება. | |
| | | პრაქტიკული | 1 | პრაქტიკული მეცადინეობა ჩაატარეთ მასწავლებლის გზამკვლევის 6.5.2. ქვეთავის შესაბამისად. | პრაქტიკული მეცადინეობა ხელს უნდა უწყობდეს თეორიული მეცადინეობის დროს ახსნილი ინფორმაციის განმტკიცებას. უნდა დარწმუნდეთ, რომ აუდიტორიაში | | | |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | მსხდომმა ყველა სტუდენტმა გაიგო თეორიული მეცადინეობის დროს ახსნილი ინფორმაცია. | | | |
| | | დამოუკიდებელი | 4 | სტუდენტებს მიეცით დავალება მასწავლებლის გზამკვლევის 6.5.3. ქვეთავის შესაბამისად. | | | | |
| | 25 | თეორიული | 1 | **თავი 7. მოდულის შეჯამება**<br><br>**განსახილველი საკითხები:**<br><u>(სწავლის ექვსივე შედეგის ზოგადი მიმოხილვა)</u><br><br>☞ სწავლის შედეგი 1: ბიზნესის დაგეგმვა;<br>☞ სწავლის შედეგი 2: ბიზნესის რეგისტრაცია;<br>☞ სწავლის შედეგი 3: ბიზნესის ორგანიზება;<br>☞ სწავლის შედეგი 4: ადამიანური რესურსების ორგანიზება;<br>☞ სწავლის შედეგი 5: პროდუქციისა და მომსახურების რეალიზაცია;<br>☞ სწავლის შედეგი 6: გამარტივებული ფინანსური აღრიცხვა - ანგარიშგების წარმოება.<br><br>**პირველი 20-25 წუთი**<br>დაუთმეთ გონებრივ იერიშს, ამ | სასურველია თეორიული მეცადინეობა წარიმართოს არა მონოლოგის სახით, არამედ მაქსიმალურად ინტერაქტიულად.<br>ამ მიზნით, სტუდენტების ჩართულობის შესამოწმებლად, თითოეული განხილული საკითხის ბოლოს გამოიყენეთ ამ საკითხის შესაბამისი კითხვები მასწავლებლის გზამკვლევის - 1.1.1-6.5.1. დანართებიდან.<br><br>ამასთან, | | | |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | ქვეთავის რეკომენდაციების გათვალისწინებით.<br><br>დანარჩენი დროის მანძილზე სთხოვეთ სტუდენტებს მათ მიერ სწავლის პროცესში სხვადასხვა დროს დასახელებული ბიზნეს-იდეებიდამნ, რომელი იდეა ესახებათ ყველაზე რეალურად. ასევე, დრო დაუთმეთ სტუდენტთა შეკითხვებსა და დისკუსიას, მიეცით მათ კონკრეტული რჩევები და რეკომენდაციები. | სასურველია კითხვები დასვათ არა ისე, რომ შესაძლებელი იყოს „დიახ“ ან „არა“ პასუხი, არამედ ისე, რომ წაახალისოს სტუდენტების აზროვნება/ წარმოსახვა, რათა სწავლის პროცესში გაგონილი/ ნასწავლი ინფორმაციისა თუ გამომუშავებულ ი უნარის გამოყენებით გააკეთონ ლოგიკური და შედეგზე ორიენტირებულ ი დასკვნები. | | | |
| | | შეფასება | 1 | სწავლის შედეგი 6 შეაფასეთ მასწავლებლის გზამკვლევის 7.2. ქვეთავის შესაბამისად | | განმსზღვრელი შეფასების ინსტრუმენტი №7.2 ქვეთავის შესაბამისად | | |

# ᲡᲬᲐᲕᲚᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲘ 1: ᲑᲘᲖᲜᲔᲡᲘᲡ ᲓᲐᲒᲔᲒᲛᲕᲐ (23 ᲡᲗ)

## თავი 1.1. ბიზნესი, მეწარმეობა, ბაზარი (I კვირა)

*(მოკლე შინაარსი მეწარმეობის სახელმძღვანელოს[2] 1.1.1-1.2.6 ქვეთავების მიხედვით: ბიზნესის არსი და თავისებურებები; მეწარმეობის არსი და პრინციპები - რა უნარებს უნდა ფლობდეს მეწარმე, ცნობილი ბიზნესმენების ისტორიები; სამეწარმეო (ეკონომიკური) საქმიანობის სფეროები და სახეები; ბიზნესის ადგილი და როლი ეკონომიკაში; ბიზნეს-იდეა და მისი შერჩევის მეთოდები; ბაზრის არსი და თავისებურებები; საბაზრო მექანიზმები; ბაზრის ფუნქციები; ბაზრის სისტემა და სტრუქტურა)*

საათების სავარაუდო განაწილება:
1.1.1. თეორიული - 2 სთ;
1.1.2. პრაქტიკული - 1 სთ;
1.1.3. დამოუკიდებელი - 2 სთ.

1.1.1. თეორიული მეცადინეობა (2 სთ)



**აქტივობების ზოგადი აღწერა:** მეცადინეობის დასაწყისი დაუთმეთ შესავალ ნაწილს, ხოლო შემდეგ ახსენით თეორიული მასალა.

**აქტივობების დეტალური აღწერა:** სასურველია შესავალ ნაწილს დაუთმოთ მეცადინეობის **პირველი 5-10 წუთი**. შესავალ ნაწილში იგულისხმება: საკუთარი თავისა და სწავლების მეთოდების წარდგენა-გაცნობა; განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტის აღწერა; ისეთი ისტორიებისა და მაგალითების (სასურველია ადგილობრივი) მოყოლა, რაც სტუდენტებში გააღვივებს ინტერესს ბიზნესისა და მეწარმეობისადმი.

---

[2] ***მეწარმეობის სახელმძღვანელო*** *- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებული სტუდენტის სახელმძღვანელო - „მეწარმეობა“, გზამკვლევში მოხსენებულია ამ ტერმინით.*

შესავალი ნაწილის შემდეგ, პროფესიული სტუდენტისთვის (რომელსაც არც თეორიული და არც პრაქტიკული გამოცდილება არ აქვს ბიზნესში) მაქსიმალურად გასაგები ენით, განმარტეთ შემდეგი საკითხები:

1. რა არის ბიზნესის არსი [3]
   - ✓ პირდაპირი გაგებით, რას ნიშნავს სიტყვები - „ბიზნესი“ და „ბიზნესმენი“;
   - ✓ როგორი საქმიანობა ითვლება ბიზნესად და როგორი არა;
   - ✓ რას გულისხმობს წარმოება და რა შემთხვევაში შეიძლება ჩაითვალოს ის ბიზნესად;
   - ✓ უნდა ფიქრობდეს თუ არა ბიზნესმენი პარტნიორების მოგებაზე ისე, როგორც საკუთარ მოგებაზე;
   - ✓ შეზღუდულია თუ არა ბიზნესი ქვეყნების სახელმწიფო საზღვრებით ან ადამიანთა ეროვნების მიხედვით;
   - ✓ უნდა იწვევდეს თუ არა ბიზნესი დაინტერესებული პირების (საწარმოების ან ორგანიზაციების) ურთიერთსარგებლობას.

2. რა არის მეწარმეობის (სამეწარმეო საქმიანობის) არსი [4]
   - ✓ რომელი კანონი არეგულირებს საქართველოში სამეწარმეო საქმიანობის სუბიექტთა სამართლებრივ ფორმებს;
   - ✓ კანონის თანახმად, როგორი საქმიანობა მიიჩნევა მეწარმეობად (სამეწარმეო საქმიანობად);
   - ✓ კანონის თანახმად, რას გულისხმობს მართლზომიერება; არაერთჯერადობა; ორგანიზებულობა; დამოუკიდებლობა და სწრაფვა მოგების მიღების მიზნისაკენ.

3. რა უნარ-ჩვევებს უნდა ფლობდეს მეწარმე [5]

   რას გულისხმობს მეწარმის თითოეული უნარ-ჩვევა:
   - ✓ „ინიციატივიანი“;
   - ✓ „გაბედული, ზომიერად რისკიანი“;
   - ✓ „შეუპოვარი, მებრძოლი“;
   - ✓ „ოპტიმისტი, ორგანიზებულად წინმსწრაფი“;
   - ✓ „გულწრფელი, პატიოსანი“;
   - ✓ „ერთგული, საიმედო“;
   - ✓ „დაუზარელი, შრომისმოყვარე“;
   - ✓ „თავაზიანი, მეგობრული“;
   - ✓ „ქველმოქმედი, გულმოწყალე“;
   - ✓ „საიდუმლოების შემნახველი“;
   - ✓ „მგრძნობიარე, ალღოიანი“.

---

[3] *უნდა მომზადდეს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებული სტუდენტის სახელმძღვანელოს - „მეწარმეობა“ (შემდგომში - მეწარმეობის სახელმძღვანელო) „1.1.1 ბიზნესის არსი და თავისებურებები“ - ქვეთავის მიხედვით.*

[4] *მეწარმეობის სახელმძღვანელოს „1.1.2. მეწარმეობის არსი და პრინციპები“ ქვეთავის მიხედვით.*

[5] *მეწარმეობის სახელმძღვანელოს 1.1.2 ქვეთავის „ეს საინტერესოა“ ნაწილის მიხედვით.*

4. სამეწარმეო (ეკონომიკური) საქმიანობის რა სფეროები და სახეები არსებობს [6]

- ✓ სამეწარმეო საქმიანობის რა 5 ძირითადი ჯგუფი არსებობს (თვალსაჩინოებისთვის გამოიყენეთ შესაბამისი პირამიდა);
- ✓ მეწარმეობის რა და რა სახეებს განასხვავებენ სამეწარმეო საქმიანობის შინაარსის მიხედვით (წარმოება, კომერცია, საფინანსო-საკრედიტო, სადაზღვევო და საშუამავლო);
- ✓ ეკონომიკური საქმიანობის რა სახეებია განსაზღვრულია საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორით (1. სოფლის მეურნეობა, ნადირობა და სატყეო მეურნეობა, 2. თევზჭერა, მეთევზეობა, 3. სამთომოპოვებითი მრეწველობა, 4. დამამუშავებელი მრეწველობა, 5. ელექტროენერგიის, აირისა და წყლის წარმოება და განაწილება, 6. მშენებლობა, 7. ვაჭრობა, 8. სასტუმროებისა და რესტორნების მომსახურება, 9. ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა, 10. საფინანსო საქმიანობა, 11. ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლი, მომსახურების გაწევა, 12. სახელმწიფო მმართველობა, 13. განათლება, 14. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება, 15. კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა, 16. შინამოსამსახურის საქმიანობა და შინამეურნეობების საქმიანობა, დაკავშირებული საქონლისა და მომსახურების წარმოებასთან საკუთარი მოხმარებისათვის შინამეურნეობის გაძღოლასთან დაკავშირებული მომსახურება, 17. ექსტერიტორიული ორგანიზაციების საქმიანობა).

5. როგორია ბიზნესის ადგილი და როლი ეკონომიკაში [7]

- ✓ რა მსგავსება და რა განსხვავებაა ეკონომიკასა და ბიზნესს შორის;
- ✓ რატომ უჭირავს ბიზნესს მნიშვნელოვანი როლი ეკონომიკაში.

6. როგორ შევარჩიოთ ბიზნეს-იდეა [8]

- ✓ რისთვის არის საჭირო ახალი იდეები და რა კლავს იდეას;
- ✓ როგორი უნდა იყოს კარგი იდეა, რომელიც შესაძლოა საფძვლად დაედოს წარმატებულ ბიზნესს (წყვეტდეს რაღაც პრობლემას, ან აკმაყოფილებდეს კლიენტის მოთხოვნილებებს, ან ზრდიდეს საქონლის/მომსახურების ფასს, ან დაკავშირებული იყოს საკანონმდებლო ცვლილებებთან, ან აუმჯობესებდეს მეწარმის უნარ-ჩვევებსა და რესურსებს).

7. რა არის ბაზრის არსი და როგორია მისი სტრუქტურა [9]

- ✓ რაში მდგომარეობს ბაზრის არსი და თავისებურებები;
- ✓ რა საბაზრო მექანიზმები არსებობს;
- ✓ რა არის ბაზრის ფუნქციები;
- ✓ როგორია ბაზრის სისტემა და სტრუქტურა.

---

[6] *მეწარმეობის სახელმძღვანელოს „1.1.3. სამეწარმეო (ეკონომიკური) საქმიანობის სფეროები და სახეები“ ქვეთავის მიხედვით.*

[7] *მეწარმეობის სახელმძღვანელოს „1.1.4 ბიზნესის ადგილი და როლი ეკონომიკაში“ - ქვეთავის მიხედვით.*

[8] *მეწარმეობის სახელმძღვანელოს „1.1.5 ბიზნეს - იდეა და მისი შერჩევის მეთოდები“ - ქვეთავის მიხედვით. ასევე, სტუდენტთა და აბიტურიენტთა ხელშეწყობის საერთაშორისო ასოციაციის (SEPIA) ვებ-გვერდი: http://sepiango.org/SEPidea.*

[9] *მეწარმეობის სახელმძღვანელოს „თავი 1.2. ბაზარი და ბაზრის სტრუქტურის“ მიხედვით.*

ა) რეკომენდაციები



სასურველია:

1.თეორიული მასალა გადმოიცეს პრეზენტაციის მეშვეობით;

2.პრეზენტაციის საწყის სლაიდზე ჩანდეს ამ ქვეთავის ნომერი და სათაური შესაბამის ილუსტრაციასთან ერთად;

3.თითოეულ საკითხს დაეთმოს 1-5 სლაიდი;

4.თითოეულ სლაიდზე ჩანდეს როგორც ტექსტი, ისე ტექსტის შესაბამისი ილუსტრაცია, რომელიც მაქსიმალურად უწყობს ხელს მასალის ათვისებასა და დამახსოვრებას;

5.ბოლოს წინა სლაიდ(ებ)ზე უნდა ჩაიწეროს დამოუკიდებელი მუშაობის ინსტრუქცია და ელექტრონული ფოსტის მისამართი, სადაც სტუდენტებმა უნდა გამოაგზავნონ დამოუკიდებელი მუშაობის დროს შესრულებული მასალა (მაგალითად, მასწავლებლის ელექტრონული ფოსტა);

6.ბოლო სლაიდს დაარქვათ „საკითხავი მასალა“, სადაც ჩაწერეთ ძირითადი საკითხავი მასალის დასახელება (მაგალითად, ტექსტი - „ლექციაზე განხილული სლაიდები“) და დამატებითი საკითხავი ლიტერატურის დასახელება ამ ქვეთავის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

ბ) ლიტერატურა



პრეზენტაციის მომზადებისას სასურველია გამოიყენოთ მეწარმეობის სახელმძღვანელოს შემდეგი თავები: 1.1. ბიზნესი და მეწარმეობა; 1.2. ბაზარი და ბაზრის სტრუქტურა. ასევე, სტუდენტთა და აბიტურიენტთა ხელშეწყობის საერთაშორისო ასოციაციის (SEPIA) ვებ-გვერდი: http://sepiango.org/SEPidea - ბიზნეს-იდეის მოფიქრებასთან დაკავშირებით.

გ) რესურსები



კომპიუტერი, პროექტორი, ჰენდაუთი (სლაიდების ამობეჭდილი ვერსია). შესაძლებელია ვიდეო/აუდიო ან ინტერნეტ რესურსის გამოყენება, სადაც კარგად ჩანს ბიზნესის არსი ან/და თავისებურებები.

## 1.1.2. პრაქტიკული მეცადინეობა (1 სთ)



პრაქტიკული მეცადინეობა ხელს უნდა უწყობდეს თეორიული მეცადინეობის დროს ახსნილი ინფორმაციის განმტკიცებას. მასწავლებელი უნდა დარწმუნდეს, რომ აუდიტორიაში მსხდომმა ყველა სტუდენტმა გაიგო თეორიული მეცადინეობის დროს ახსნილი ინფორმაცია. ამ მიზნით, სასურველია პრაქტიკული მეცადინეობისთვის გამოყოფილი დრო განაწილდეს შემდეგ აქტივობებზე:

ა) **პირველი 15-20 წუთი** დაუთმეთ გონებრივ იერიშს, რათა გაარკვიოთ ხომ არ არის ისეთი საკითხი, რომელიც ვერ გაიგეს სტუდენტებმა თეორიული მასალიდან. სთხოვეთ სტუდენტებს მოიყვანონ მათთვის ცნობილი მაგალითები თეორიულ მასალასთან დაკავშირებით. გონებრივი იერიშისას შესაძლებელია გამოიყენოთ კითხვები 1.1.1. დანართიდან;

ბ) დარჩენილი დრო დაუთმეთ 1.1.2. დანართით მოცემულ სავარჯიშოებს.

## 1.1.3. დამოუკიდებელი მეცადინეობა (2 სთ)



### დავალება №1.1.3.ა - წარმატებულ ბიზნესმენთა მოკლე ბიოგრაფიები:

*(**განმარტება მასწავლებლისთვის:** აღნიშნული დავალება სტუდენტს აძლევს ინფორმაციას თუ როგორ მიაღწიეს წარმატებას ცნობილმა ბიზნესმენებმა, უვითარებს მას ინტერნეტ-რესურსებისა და ნაბეჭდი სახის რესურსების მოძიების უნარებს, Word-ის დოკუმენტის მარტივი რედაქტირებისა და ელექტრონული კომუნიკაციის უნარებს)*

**დავალების პირობა:** საკითხავ მასალასა და ინტერნეტ-რესურსებზე დაყრდნობით, ქვემოთ მოცემული „დავალების შესრულების ინსტრუქციის“ მიხედვით, ჩამოწერეთ დასახელებული

წარმატებული მეწარმეების მოკლე ბიოგრაფიები (მინიმუმ ნახევარი გვერდი, მაქსიმუმ ერთი გვერდი).

1. ვინ არის სტივ ჯობსი? ლინკი: http://sepiango.org/stiv-jobsis-biografia/
2. ვინ არის ბილ გეიტსი? ლინკი: http://sepiango.org/bil-geitsis-biografia/
3. ვინ არის ლარი პეიჯი? ლინკი: http://sepiango.org/lari-peijis-biografia/
4. ვინ არის ლარი ელისონი? http://sepiango.org/lari-elisonis-biografia/
5. ვინ არის ჯოან როულინგი? http://sepiango.org/joan-roulingis-biografia/
6. ვინ არის ბად ჰედფილდი? მეწარმეობის სახელმძღვანელო, გვ.17
7. ვინ არის ედ ლოოუ? მეწარმეობის სახელმძღვანელო, გვ.17
8. ვინ არის იოჰან ჰანსფლაიშ გუტენბერგი? მეწარმეობის სახელმძღვანელო, გვ.18
9. ვინ არის ფრედ სმითი? მეწარმეობის სახელმძღვანელო, გვ.18
10. ვინ არის არტ ფრაი? მეწარმეობის სახელმძღვანელო, გვ.18

**დავალების შესრულების ინსტრუქცია სტუდენტებისთვის:** დავალებაში მოცემულ კითხვებზე პასუხები შეინახეთ Word-ის ცალკე დოკუმენტად შემდეგი წესების დაცვით:

1. გახსენით Word-ის ახალი დოკუმენტი და ლათინური შრიფტით დაარქვით „01-01.Business, Entrepreneurship, Market_Name Surname of Student" („Name Surname of Student"-ს ნაცვლად მიუთითეთ თქვენი სახელი და გვარი);

2. აირჩიეთ შრიფტი - Sylfaen და შრიფტის ზომა - 11.

3.Word-ის დოკუმენტის დასაწყისში, შუა ადგილზე ჩაწერეთ თეორიული ლექციის სათაური;

4.გადმოწერეთ და რიგითობის მიხედვით დანომრეთ თითოეული შეკითხვა;

5.თითოეული შეკითხვის ქვემოთ, აბზაცით ჩაწერეთ პასუხი ამ შეკითხვაზე;

6.თითოეული პასუხის ბოლოს, ფრჩხილებში მიუწერეთ რესურსი, სადაც ამოიკითხეთ ეს პასუხი (ინტერნეტ-რესურსის შემთხვევაში მიუთითეთ ლინკი);

7.შესრულებული დავალება თქვენი საკუთარი ელ-ფოსტით გამოაგზავნეთ მომდევნო ლექციამდე, ელ-ფოსტაზე: *აქ მასწავლებელმა უნდა ჩაწეროს ელექტრონული ფოსტის მისამართი, სადაც უნდა გამოიგზავნოს დავალება.*

## დავალება №1.1.3.ბ - ჩემი მეწარმეობრივი უნარები:

*(**განმარტება მასწავლებლისთვის:** აღნიშნული დავალებით სტუდენტი ამოწმებს რამდენად აქვს მეწარმეობრივი უნარი და კონკრეტულად რომელი უნარის სრულყოფას საჭიროებს)*

მეწარმეობის სახელმძღვანელოს 1.1.2 ქვეთავში მოცემული 1.1.1 ნახატის მიხედვით, შეამოწმეთ თქვენი თავი, რამდენად ხართ დაჯილდოებული მეწარმეობრივი უნარით.

შემოწმების შემდეგ, გახსენით Word-ის ახალი დოკუმენტი, დაარქვით „01-02. My Skills_Name Surname of Student“ („Name Surname of Student“-ს ნაცვლად მიუთითეთ თქვენი სახელი და გვარი) და ამ დოკუმენტში ჩამოწერეთ თქვენი ძლიერი და სუსტი მხარეები.

შესრულებული დავალება თქვენი საკუთარი ელ-ფოსტით გამოაგზავნეთ მომდევნო ლექციამდე, ელ-ფოსტაზე: *აქ მასწავლებელმა უნდა ჩაწეროს ელექტრონული ფოსტის მისამართი, სადაც უნდა გამოიგზავნოს დავალება*.

### დავალება №1.1.3.გ - სავარჯიშოები

სტუდენტებს დაავალეთ 1.1.2 დანართიდან იმ სავარჯიშოების შესრულება, რომელთა შესრულებაც ვერ მოესწრო პრაქტიკული მეცადინეობის დროს.

## განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტი №1.1

(სასურველია შეივსოს მომდევნო თეორიული ლექციის დასაწყისში)

ამ დამოუკიდებელი მეცადინეობის შედეგები მოწმდება ორი კრიტერიუმის მიხედვით:

**1. სტუდენტმა გადმოაგზავნა თუ არა დავალება საკუთარი ელ-ფოსტით** (სასურველია შემოწმდეს მომდევნო თეორიულ ლექციამდე);

**2. სტუდენტი პასუხობს თუ არა დავალებასთან დაკავშირებულ შეკითხვებს** (სასურველია შემოწმდეს მომდევნო თეორიული ლექციის დასაწყისში - თითო სტუდენტს დაუსვით 2-3 მარტივი შეკითხვა, რათა დარწმუნდეთ, რომ დავალება თავისი შესრულებულია).

| № | სტუდენტის გვარი, სახელი | დავალების ნომერი და დასახელება | შესრულების კრიტერიუმები | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | დავალება გადმოაგზავნა საკუთარი ელ-ფოსტით | | უპასუხა დავალებასთან დაკავშირებულ შეკითხვებს | |
| | | | დიახ | არა | დიახ | არა |
| 1 | | №1.1.3.ა - წარმატებულ ბიზნესმენთა მოკლე ბიოგრაფიები | | | | |
| | | №1.1.3.ბ - ჩემი მეწარმეობრივი უნარები | | | | |
| | | №1.1.3.გ - სავარჯიშოები 1.1.2 დანართიდან | | | | |
| **დავალება შესრულებულად ითვლება ორივე კრიტერიუმის დადებითად შეფასების შემთხვევაში** | | | | | | |

***(განმარტება მასწავლებლისთვის:*** *შესაძლებელია მოცემულ ცხრილს დაუმატოთ იმდენი სტრიქონი, რამდენი სტუდენტიც არის შესაფასებელი და ისე ამობეჭდოთ, ან თითო სტუდენტისთვის ამობეჭდოთ თითო ასეთი ცხრილი).*

## დანართი 1.1.1. კითხვების ბაზა
## (ბიზნესი, მეწარმეობა, ბაზარი)

1. რაში მდგომარეობს ბიზნესის არსი?
2. როდის ხდება წარმოება ბიზნესი?
3. როგორი საქმიანობა მიიჩნევა ბიზნესად?
4. ვინ არის ბიზნესმენი?
5. რა სოციალური პასუხისმგებლობა აკისრია ბიზნესმენს?
6. როგორი საქმიანობა არის მეწარმეობა?
7. ვინ არის მეწარმე?
8. ჩამოთვალეთ და განმარტეთ სამეწარმეო საქმიანობის განმსაზღვრელი ძირითადი ნიშნები.
9. ჩამოთვალეთ და დაახასიათეთ სამეწარმეო (ეკონომიკური) საქმიანობის სფეროები.
10. რომელი სფერო წარმოადგენს საზოგადოებრივი კეთილდღეობის საწყისს?
11. განმარტეთ რას ნიშნავს ეკონომიკური საქმიანობა?
12. ვაჭრობის რამდენ მიმართულებას იცნობთ? დაახასიათეთ.
13. ჩამოთვლეთ და დაახასიათეთ სამეწარმეო საქმიანობის სახეები მისი შინაარსის მიხედვით.
14. დაახასიათეთ ბიზნესის მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკისათვის.
15. რა მნიშვნელობა აქვს ბიზნეს - იდეის სწორად შერჩევას?
16. ჩამოთვალთ წარმატებული ბიზნეს - იდეის სწორად შერჩევაზე მოქმედი ფაქტორები და უპირატესობები;
17. განმარტეთ ბაზრის არსი და მნიშვნელობა;
18. ჩამოთვალეთ და დაახასიათეთ საბაზრო მექანიზმები;
19. რა არის ნედლეული? ჩამოთვალეთ მაგალითები;
20. რა არის ტექნოლოგია? ჩამოთვალეთ მაგალითები;
21. ჩამოთვალეთ და დაახასიათეთ ბაზრის ფუნქციები;
22. ბაზრების სისტემის მიხედვით ჩამოთვალეთ და დაახასიათეთ ბაზრების სახეები;
23. რა განსხვავებები და უპირატესობებია თავისუფალსა და რეგულირებად ბაზრებს შორის?
24. ჩამოთვალეთ და დაახასიათეთ საბაზრო სტრუქტურის სახეები.

დანართი 1.1.2. სავარჯიშოების ბაზა
(ბიზნესი, მეწარმეობა, ბაზარი)

1. დაასახელეთ ვაჭრობის სხვადასხვა ობიექტი და განსაზღვრეთ, ვაჭრობის რომელ მიმართულებას განეკუთვნება თითოეული მათგანი.
2. სამეწარმეო საქმიანობის შინაარსის მიხედვით დააჯგუფეთ ჩამოთვლილი კომპანიები: „გუდვილი“, „ირაო,“ „ბარამბო,“ „კამპა, საბროკერო კომპანია „ავტოტრანსი,“ მიკროსაფინანსო კომპანია „კრედო“, „პრივატბანკი,“ სადაზღვევო სააგენტო „დაეზღვიე,“
3. გაანალიზეთ და შეარჩიეთ თქვენთვის სასურველი სამეწარმეო (ეკონომიკური) საქმიანობის სახე.
4. თქვენს მიერ შერჩეული საქმიანობის სახის მიხედვით დაასახელეთ ბიზნეს იდეები და გაანალიზეთ:
   - ✓ რენტაბელური ბიზნესის ფუნქციონირებისათვის აუცილებელ პირობებს რამდენად აკმაყოფილებს თქვენს მიერ შერჩეული ბიზნეს-იდეა?
   - ✓ რა უპირატესობები გაქვთ თქვენს მიერ შერჩეული ბიზნეს იდეის განხორციელებისათვის?
   - ✓ შეაფასეთ თქვენი ძლიერი და სუსტი მხარეები კონკრეტული ბიზნეს იდეისათვის.
5. ჩამოთვალეთ ბაზრის სახეები ბაზრის სტრუქტურის მოდელების მიხედვით და გაანალიზეთ მათი უპირატესობები და ნაკლოვანებები;
6. ბაზრის რომელ სტრუქტურულ მოდელს განეკუთვნება თქვენს მიერ არჩეული საქმიანობა და რა ნიშნებით ხასიათდება ის.

## თავი 1.2. სამეწარმეო გარემო და ბიზნეს-საქმიანობასთან დაკავშირებული რისკები (II კვირა)

*(მოკლე შინაარსი მეწარმეობის სახელმძღვანელოს[10] 1.3.1-1.4.5 ქვეთავების მიხედვით: ბიზნესის მიკრო და მაკრო გარემო; გარემოს ზეგავლენა ბიზნესზე; რისკის არსი და სახეები; დანაკარგებისა და რისკის შეფასების მეთოდები; რისკის მართვა)*

საათების სავარაუდო განაწილება:

1.2.1. თეორიული - 1 სთ;

1.2.2. პრაქტიკული - 2 სთ;

1.2.3. დამოუკიდებელი - 3 სთ.

### 1.2.1. თეორიული მეცადინეობა (1 სთ)



**აქტივობების ზოგადი აღწერა:** წინა დამოუკიდებელი მეცადინეობისთვის მიცემული დავალება შეამოწმეთ ამ დავალებისათვის დადგენილი შეფასების ინსტრუმენტის მიხედვით, ხოლო შემდეგ ახსენით ახალი თეორიული მასალა.

**აქტივობების დეტალური აღწერა:** პირველი 10-15 წუთი - დაუთმეთ დავალების შემოწმებას ამ დავალებისათვის დადგენილი შეფასების ინსტრუმენტის მიხედვით. ამ მიზნით სტუდენტებს ჯერ გააცანით ინფორმაცია, თუ ვინ გამოაგზავნა დავალება საკუთარი ელ-ფოსტით, ხოლო შემდეგ თითო სტუდენტს დაუსვით დავალებასთან დაკავშირებული 2-3 შეკითხვა, რათა დარწმუნდეთ, რომ დავალება ნამდვილად ამ სტუდენტის შესრულებულია და არ არის გადმოწერილი სხვისგან. თითოეულ სტუდენტს მიუთითეთ, თუ რა შეცდომა დაუშვა და მიეცით კონკრეტული რეკომენდაციები მათ გამოსასწორებლად. №1.1.3.ბ დავალებასთან დაკავშირებით ყურადღება გაამახვილეთ სტუდენტის სუსტ მხარეებზე და თითოეული სტუდენტისგან მოისმინეთ ზეპირი პასუხი, თუ რას მოიმოქმედებდა სუსტი მხარეების სრულყოფის მიზნით.

---

[10] ***მეწარმეობის სახელმძღვანელო*** *- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებული სტუდენტის სახელმძღვანელო - „მეწარმეობა“, გზამკვლევში მოხსენებულია ამ ტერმინით.*

მომდევნო 3-5 წუთი დაუთმეთ ლექციის შესავალ ნაწილს: ასახსნელი თეორიული მასალის შესახებ ისტორიებს ან/და მაგალითებს, რათა სტუდენტები დაფიქრდნენ რა მნიშვნელობა აქვს გარემოს ბიზნესისთვის და რა რისკები შეიძლება არსებობდეს ბიზნესთან დაკავშირებით.

შესავალი ნაწილის შემდეგ, პროფესიული სტუდენტისთვის (რომელსაც არც თეორიული და არც პრაქტიკული გამოცდილება არ აქვს ბიზნესში) მაქსიმალურად გასაგები ენით, განმარტეთ შემდეგი საკითხები:

1. რას გულისხმობს ბიზნესის მიკრო და მაკრო გარემო? [11]

2. როგორია გარემოს ზეგავლენა ბიზნესზე? [12]

3. რა არის რისკის არსი და რისკის რა სახეები არსებობს? [13]

4. დანაკარგებისა და რისკის შეფასების რა მეთოდები არსებობს? [14]

5. როგორ ხორციელდება რისკის მართვა? [15]

**ა) რეკომენდაციები**



სასურველია:

1. თეორიული მასალა გადმოიცეს პრეზენტაციის მეშვეობით;
2. პრეზენტაციის საწყის სლაიდზე ჩანდეს ამ ქვეთავის ნომერი და სათაური შესაბამის ილუსტრაციასთან ერთად;
3. თითოეულ საკითხს დაეთმოს 1-5 სლაიდი;
4. თითოეულ სლაიდზე ჩანდეს როგორც ტექსტი, ისე ტექსტის შესაბამისი ილუსტრაცია, რომელიც მაქსიმალურად უწყობს ხელს მასალის ათვისებასა და დამახსოვრებას;
5. ბოლოს წინა სლაიდებზე უნდა ჩაიწეროს დამოუკიდებელი მუშაობის ინსტრუქცია და ელექტრონული ფოსტის მისამართი, სადაც სტუდენტებმა უნდა გამოაგზავნონ

---

[11] *მეწარმეობის სახელმძღვანელოს „1.3.1. ბიზნესის მიკრო და მაკრო გარემო“ ქვეთავის მიხედვით.*

[12] *მეწარმეობის სახელმძღვანელოს „1.3.2. გარემოს ზეგავლენა ბიზნესზე“ ქვეთავის მიხედვით.*

[13] *მეწარმეობის სახელმძღვანელოს „1.4.1. რისკის არსი და სახეები“ ქვეთავის მიხედვით.*

[14] *მეწარმეობის სახელმძღვანელოს „1.4.2. დანაკარგებისა და რისკის შეფასების მეთოდები“ ქვეთავის მიხედვით.*

[15] *მეწარმეობის სახელმძღვანელოს „1.4.3. რისკის მართვა“ - ქვეთავის მიხედვით.*

დამოუკიდებელი მუშაობის დროს შესრულებული მასალა (მაგალითად, მასწავლებლის ელექტრონული ფოსტა);

6. ბოლო სლაიდს დაარქვათ „საკითხავი მასალა“, სადაც ჩაწერეთ ძირითადი საკითხავი მასალის დასახელება (მაგალითად, ტექსტი - „ლექციაზე განხილული სლაიდები“) და დამატებითი საკითხავი ლიტერატურის დასახელება ამ ქვეთავის „ზ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

**ზ) ლიტერატურა**



პრეზენტაცია უნდა მომზადეს მეწარმეობის სახელმძღვანელოს „1.3. სამეწარმეო გარემო“ და „1.4. ბიზნეს-საქმიანობასთან დაკავშირებული რისკები“ - თავების მიხედვით.

**გ) რესურსები**



კომპიუტერი, პროექტორი, ჰენდაუთი (სლაიდების ამობეჭდილი ვერსია). შესაძლებელია თეორიული მასალის შესაბამისი ვიდეო/აუდიო/ინტერნეტ რესურსის გამოყენება.

## 1.2.2. პრაქტიკული მეცადინეობა (2 სთ)



პრაქტიკული მეცადინეობა ხელს უნდა უწყობდეს თეორიული მეცადინეობის დროს ახსნილი ინფორმაციის განმტკიცებას. მასწავლებელი უნდა დარწმუნდეს, რომ აუდიტორიაში მსხდომმა ყველა სტუდენტმა გაიგო თეორიული მეცადინეობის დროს ახსნილი ინფორმაცია.

ა) **პირველი 5-10 წუთი** დაუთმეთ გონებრივ იერიშს, რათა გაარკვიოთ ხომ არ არის ისეთი საკითხი, რომელიც ვერ გაიგეს სტუდენტებმა თეორიული მასალიდან. სთხოვეთ სტუდენტებს მოიყვანონ მათთვის ცნობილი მაგალითები თეორიულ მასალასთან დაკავშირებით. გონებრივი იერიშისას შეგიძლიათ გამოიყენოთ კითხვები 1.2.1. დანართიდან;

ბ) სტუდენტებს მიეცით პრაქტიკული სავარჯიშო - **„ბიზნეს იდეის გენერირება"**. კერძოდ სტუდენტები დაყავით 3 კაციან ჯგუფებად და თითოეულ ჯგუფს დაავალეთ მოიფიქროს 1-3 ბიზნეს-იდეა[16]. ჯგუფებს მიეცით **35-40 წუთი**, რათა შეაფასონ რისკები თავის მიერ მოფიქრებული ბიზნეს-იდეებისთვის, ხოლო დარჩენილი დროის მანძილზე თითოეულმა ჯგუფმა უნდა წარმოადგინოს პრეზენტაცია თუ რა იდეები მოიფიქრეს და რა რისკები არსებობს თითოეულ იდეასთან დაკავშირებით.

## 1.2.3. დამოუკიდებელი მეცადინეობა (3 სთ)



### დავალება №1.2.3 - ბიზნეს-იდეის გენერირება [17]:

*(**განმარტება მასწავლებლისთვის:** აღნიშნული დავალება სტუდენტს უვითარებს ინიცივიატივიანობისა და რისკიანობის უნარებს ბიზნეს-იდეის მოფიქრებასთან*

---

[16] წინა დამოუკიდებელი მეცადინეობისას ყველა სტუდენტს უნდა მოეფიქრებინა ბიზნეს-იდეა. შესაბამისად, 3 კაციან ჯგუფში თუ ერთმა მაინც შეასრულა დავალება სრულყოფილად, მინიმუმ ერთი ბიზნეს-იდეა უკვე მოფიქრებული ექნებათ.

[17] ბიზნეს იდების მოფიქრებისას დასაშვებია სტუდენტთა და აბიტურიენტთა ხელშეწყობის საერთაშორისო ასოციაციის (SEPIA) მასალის გამოყენება: http://sepiango.org/SEPidea

*დაკავშირებით, ასევე Word-ის დოკუმენტის მარტივი რედაქტირებისა და ელექტრონული კომუნიკაციის უნარებს).*

**დავალების პირობა:** წერილობითი ფორმით, ქვემოთ მოცემული ინსტრუქციის შესაბამისად, ჩამოაყალიბეთ ბიზნეს-იდეა (არანაკლებ ერთი გვერდი) და 1.2.2 დანართში მოცემული რისკების გათვალისწინებით, აღწერეთ ამ იდეის ძლიერი და სუსტი მხარეები.

**დავალების შესრულების ინსტრუქცია სტუდენტებისთვის:** დავალება შეინახეთ Word-ის ცალკე დოკუმენტად შემდეგი წესების დაცვით:

1. გახსენით Word-ის ახალი დოკუმენტი და ლათინური შრიფტით დაარქვით „02-01. Environment and Risks_Name Surname of Student" („Name Surname of Student"-ს ნაცვლად მიუთითეთ თქვენი სახელი და გვარი);
2. აირჩიეთ შრიფტი - Sylfaen და შრიფტის ზომა - 11.
3. Word-ის დოკუმენტის დასაწყისში, შუა ადგილზე ჩაწერეთ თეორიული ლექციის სათაური;
4. გადმოწერეთ და რიგითობის მიხედვით დანომრეთ თითოეული სავარჯიშო 1.2.2 დანართიდან;
5. თითოეული სავარჯიშოს ქვემოთ, აბზაცით ჩაწერეთ პასუხი ამ სავარჯიშოზე;
7. შესრულებული დავალება თქვენი საკუთარი ელ-ფოსტით გამოაგზავნეთ მომდევნო ლექციამდე, ელ-ფოსტაზე: *აქ მასწავლებელმა უნდა ჩაწეროს ელექტრონული ფოსტის მისამართი, სადაც უნდა გამოიგზავნოს დავალება*.

## განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტი №1.2

(სასურველია შეივსოს მომდევნო თეორიული ლექციის დასაწყისში)

ამ დამოუკიდებელი მეცადინეობის შედეგები მოწმდება ორი კრიტერიუმის მიხედვით:

**1. სტუდენტმა გადმოაგზავნა თუ არა დავალება საკუთარი ელ-ფოსტით** (სასურველია შემოწმდეს მომდევნო თეორიულ ლექციამდე);

**2. სტუდენტი პასუხობს თუ არა დავალებასთან დაკავშირებულ შეკითხვებს** (სასურველია შემოწმდეს მომდევნო თეორიული ლექციის დასაწყისში - თითო სტუდენტს დაუსვით 2-3 მარტივი შეკითხვა, რათა დარწმუნდეთ, რომ დავალება თავისი შესრულებულია).

<table>
<tr><th rowspan="3">№</th><th rowspan="3">სტუდენტის გვარი, სახელი</th><th rowspan="3">დავალების ნომერი და დასახელება</th><th colspan="4">შესრულების კრიტერიუმები</th></tr>
<tr><th colspan="2">დავალება გადმოაგზავნა საკუთარი ელ-ფოსტით</th><th colspan="2">უპასუხა დავალებასთან დაკავშირებულ შეკითხვებს</th></tr>
<tr><th>დიახ</th><th>არა</th><th>დიახ</th><th>არა</th></tr>
<tr><td>1</td><td></td><td>№1.2.3 - ბიზნეს-იდეის გენერირება</td><td></td><td></td><td></td><td></td></tr>
<tr><td colspan="7">დავალება შესრულებულად ითვლება ორივე კრიტერიუმის დადებითად შეფასების შემთხვევაში</td></tr>
</table>

***(განმარტება მასწავლებლისთვის:*** *შესაძლებელია მოცემულ ცხრილს დაუმატოთ იმდენი სტრიქონი, რამდენი სტუდენტიც არის შესაფასებელი და ისე ამობეჭდოთ, ან თითო სტუდენტისთვის ამობეჭდოთ თითო ასეთი ცხრილი).*

## დანართი 1.2.1. კითხვების ბაზა
## (სამეწარმეო გარემო, რისკები)

1. რაში მდგომარეობს ბიზნეს გარემოს არსი?
2. ბიზნეს გარემოს რა სახეები არსებობს?
3. დაახასიათეთ ბიზნეს გარემოს სახეები;
4. რა გავლენა აქვს საერთაშორისო გარემოს ბიზნესზე?
5. რა გავლენა აქვს სახელმწიფოს ბიზნესზე?
6. რა გავლენა აქვთ კონკურენტებს ბიზნესზე?
7. რა გავლენა აქვთ მომხმარებლებს ბიზნესზე?
8. რა გავლენა აქვთ მომწოდებლებს ბიზნესზე?
9. როგორია გეოგრაფიული გარემოს გავლენა ბიზნესზე?
10. როგორია ტექნოლოგიური გარემოს გავლენა ბიზნესზე?

## დანართი 1.2.2. სავარჯიშოების ბაზა
## (სამეწარმეო გარემო, რისკები)

1. განსაზღვრეთ თქვენს ბიზნესზე მოქმედი მიკროფაქტორები;
2. განსაზღვრეთ თქვენს ბიზნესზე მოქმედი მაკროფაქტორები;
3. განსაზღვრეთ რა გავლენას ახდენს საერთაშორისო გარემო თქვენს ბიზნესზე;
4. განსაზღვრეთ რა გავლენას ახდენს სახელმწიფო თქვენს ბიზნესზე;
5. განსაზღვრეთ რა გავლენას ახდენენ კონკურენტები თქვენს ბიზნესზე;
6. განსაზღვრეთ რა გავლენას ახდენენ მომხმარებლები თქვენს ბიზნესზე;
7. განსაზღვრეთ რა გავლენას ახდენენ მომწოდებლები თქვენს ბიზნესზე;
8. განსაზღვრეთ რა გავლენას ახდენს გეოგრაფიული გარემო თქვენს ბიზნესზე;
9. განსაზღვრეთ რა გავლენას ახდენს ტექნოლოგიური გარემო თქვენს ბიზნესზე.

## თავი 1.3. ლიცენზიები, ნებართვები, სერტიფიკატები და ბიზნესის მდებარეობა (III კვირა)

*(მოკლე შინაარსი მეწარმეობის სახელმძღვანელოს[18] 1.5.1-1.6.4 ქვეთავების მიხედვით: ლიცენზირებისა და ნებართვების მიზნები და პრინციპები; ლიცენზიის არსი და სახეები; საქმიანობის ლიცენზიის გაცემის წესი; ნებართვის არსი და სახეები; სერტიფიკატების დანიშნულება და მისი ზოგიერთი სახე; ბიზნესის მდებარეობის განსაზღვრის მნიშვნელობა; ბიზნესის მდებარეობის განსაზღვრაზე მოქმედი ფაქტორები)*

საათების სავარაუდო განაწილება:
1.3.1. თეორიული - 1 სთ;
1.3.2. პრაქტიკული - 2 სთ;
1.3.3. დამოუკიდებელი - 2 სთ.

1.3.1. თეორიული მეცადინეობა (1 სთ)



**აქტივობების ზოგადი აღწერა:** პედაგოგი ატარებს ლექციას - სტუდენტებს აცნობს წინა დამოუკიდებელი მეცადინეობისთვის მიცემული დავალების შედეგებს, ხოლო შემდეგ ხსნის ახალ თეორიულ მასალას.

**აქტივობების დეტალური აღწერა:** პირველი 10-15 წუთი დაუთმეთ წინა დამოუკიდებელი მეცადინეობის დროს შესრულებელი დავალებების განხილვას - თითოეულ სტუდენტს მიეცით განმარტება რამდენად სწორად აქვს შესრულებული დავალება და დრო დაუთმეთ ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ნაშრომის განხილვას.

მომდევნო 3-5 წუთი დაუთმეთ ლექციის შესავალ ნაწილს - ასახსნელი თეორიული მასალის შესახებ ისტორიებს ან/და მაგალითებს, რათა სტუდენტები დაფიქრდნენ ლიცენზიების,

---

[18] ***მეწარმეობის სახელმძღვანელო*** *- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებული სტუდენტის სახელმძღვანელო - „მეწარმეობა“, გზამკვლევში მოხსენებულია ამ ტერმინით.*

ნებართვებისა და სერტიფიკატების საჭიროებააზე, ასევე იმაზე, თუ რა მნშვნელობა აქვს მდებარეობას ბიზნესის წარმატებისთვის.

შესავალი ნაწილის შემდეგ, პროფესიული სტუდენტისთვის (რომელსაც არც თეორიული და არც პრაქტიკული გამოცდილება არ აქვს ბიზნესში) მაქსიმალურად გასაგები ენით, განმარტეთ შემდეგი საკითხები:

1. რა შეიძლება იყოს ლიცენზიის/ნებართვის გაცემის მიზანი და პრინციპები? [19]

2. რა არის ლიცენზიის გაცემის არსი და რა სახის არსებობს ლიცენზია? [20]

3. რაში მდგომარეობს საქმიანობის ლიცენზიის გაცემის წესი? [21]

4. რა არის ნებართვის გაცემის არსი და რა სახის არსებობს ნებართვა? [22]

5. რა არის სერტიფიკატის დანიშნულება და როგორია მისი ზოგიერთი სახე? [23]

6. რა მნიშვნელობა აქვს ბიზნესის მდებარეობის განსაზღვრას? [24]

7. რა ფაქტორები ახდენენ  გავლენას ბიზნესის მდებარეობის განსაზღვრაზე? [25]

**ა) რეკომენდაციები**



სასურველია:

1. თეორიული მასალა გადმოიცეს პრეზენტაციის მეშვეობით;

---

[19] *მეწარმეობის სახელმძღვანელოს „1.5.1. ლიცენზირებისა და ნებართვების მიზნები და პრინციპები“ ქვეთავის მიხედვით.*

[20] *მეწარმეობის სახელმძღვანელოს „1.52. ლიცენზიის არსი და სახეები“ ქვეთავის მიხედვით.*

[21] *მეწარმეობის სახელმძღვანელოს „1.5.3. საქმიანობის ლიცენზიის გაცემის წესი“ ქვეთავის მიხედვით.*

[22] *მეწარმეობის სახელმძღვანელოს „1.5.4. ნებართვის არსი და სახეები“ ქვეთავის მიხედვით.*

[23] *მეწარმეობის სახელმძღვანელოს „1.5.5. სერტიფიკატების დანიშნულება და მისი ზოგიერთი სახე“ - ქვეთავის მიხედვით.*

[24] *მეწარმეობის სახელმძღვანელოს „1.6.1. ბიზნესის მდებარეობის განსაზღვრის მნიშვნელობა“ - ქვეთავის მიხედვით.*

[25] *მეწარმეობის სახელმძღვანელოს „1.6.2. ბიზნესის მდებარეობის განსაზღვრაზე მოქმედი ფაქტორები“ - ქვეთავის მიხედვით.*

2. პრეზენტაციის საწყის სლაიდზე ჩანდეს ამ ქვეთავის ნომერი და სათაური შესაბამის ილუსტრაციასთან ერთად;

3. თითოეულ საკითხს დაეთმოს 1-5 სლაიდი;

4. თითოეულ სლაიდზე ჩანდეს როგორც ტექსტი, ისე ტექსტის შესაბამისი ილუსტრაცია, რომელიც მაქსიმალურად უწყობს ხელს მასალის ათვისებასა და დამახსოვრებას;

5. ბოლოს წინა სლაიდებზე უნდა ჩაიწეროს დამოუკიდებელი მუშაობის ინსტრუქცია და ელექტრონული ფოსტის მისამართი, სადაც სტუდენტებმა უნდა გამოაგზავნონ დამოუკიდებელი მუშაობის დროს შესრულებული მასალა (მაგალითად, მასწავლებლის ელექტრონული ფოსტა);

6. ბოლო სლაიდს დაარქვათ „საკითხავი მასალა“, სადაც ჩაწერეთ ძირითადი საკითხავი მასალის დასახელება (მაგალითად, ტექსტი - „ლექციაზე განხილული სლაიდები“) და დამატებითი საკითხავი ლიტერატურის დასახელება ამ ქვეთავის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

### ბ) ლიტერატურა



პრეზენტაცია უნდა მომზადეს მეწარმეობის სახელმძღვანელოს „1.5. ლიცენზიები, ნებართვები და სერტიფიკატები“ და „1.6. ბიზნესის მდებარეობის გავლენა მის წარმატებაზე“ - თავების მიხედვით.

### გ) რესურსები



კომპიუტერი, პროექტორი, ჰენდაუთი (სლაიდების ამობეჭდილი ვერსია). შესაძლებელია თეორიული მასალის შესაბამისი ვიდეო/აუდიო/ინტერნეტ რესურსის გამოყენება.

## 1.3.2. პრაქტიკული მეცადინეობა (2 სთ)



პრაქტიკული მეცადინეობა ხელს უნდა უწყობდეს თეორიული მეცადინეობის დროს ახსნილი ინფორმაციის განმტკიცებას. მასწავლებელი უნდა დარწმუნდეს, რომ აუდიტორიაში მსხდომმა ყველა სტუდენტმა გაიგო თეორიული მეცადინეობის დროს ახსნილი ინფორმაცია.

ა) **პირველი 5-10 წუთი** დაუთმეთ გონებრივ იერიშს, რათა გაარკვიოთ ხომ არ არის ისეთი საკითხი, რომელიც ვერ გაიგეს სტუდენტებმა თეორიული მასალიდან. სთხოვეთ სტუდენტებს მოიყვანონ მათთვის ცნობილი მაგალითები თეორიულ მასალასთან დაკავშირებით. გონებრივი იერიშისას შეგიძლიათ გამოიყენოთ კითხვები 1.3.1. დანართიდან;

ბ) სტუდენტებს მიეცით პრაქტიკული სავარჯიშო - „**ბიზნეს იდეის განხორციელებასთან დაკავშირებული დოკუმენტები და ბიზნესის მდებარეობა**“. კერძოდ, სტუდენტები დაყავით 3 კაციან ჯგუფებად და თითოეულ ჯგუფს დაავალეთ მოიფიქროს არანაკლებ 2 ბიზნეს-იდეა[26] და დაასახელოს რა ნებართვა, ლიცენზია ან სერტიფიკატი სჭირდება მათ მიერ მოფიქრებული თითოეული იდეის განხორციელებას (ან საერთოდ სჭირდება თუ არა ამ დოკუმენტებიდან რომელიმე). ჯგუფებს მიეცით **35-40 წუთი**, რათა შეაფასონ, თუ სად უნდა მდებარეობდეს ბიზნესი, რომელიც მათ მიერ მოფიქრებულ თითოეულ იდეას წარმატებულად განახორციელებს.

დარჩენილი დროის მანძილზე, თითოეულმა ჯგუფმა უნდა წარმოადგინოს პრეზენტაცია სჭირდება თუ არა ლიცენზია, ნებართვა, სერტიფიკატი თავიანთი ბიზნეს-იდე(ებ)ის რეალიზებას და სად და რატომ არის მიზანშეწონილი ამ ბიზნესის მდებარეობა.

[26] შესაძლებელია წინა პრაქტიკულ მეცადინეობაზე მოფიქრებული ბიზნეს-იდეების გამოყენება.

1.3.3. დამოუკიდებელი მეცადინეობა (2 სთ)



**დავალება №1.3.3 - ბიზნეს იდეის განხორციელებასთან დაკავშირებული დოკუმენტები და ბიზნესის მდებარეობა:**

*(**განმარტება მასწავლებლისთვის:** აღნიშნული დავალება სტუდენტს უვითარებს ბიზნეს-იდეის პრქტიკაში რეალიზების უნარს, კერძოდ, რა ლიცენზია, ნებართვა ან სერთიფიკატი ჭირდება მის მიერ მოფიქრებული ბიზნეს-იდეის განხორციელებას და სად უნდა მდებარეობდეს ეს ბიზნესი, ასევე Word-ის დოკუმენტის მარტივი რედაქტირებისა და ელექტრონული კომუნიკაციის უნარებს)*

**დავალების პირობა:** უპასუხეთ 1.3.2 დანართით მოცემულ კითხვებს და პასუხები ჩამოაყალიბეთ ქვემოთ მოცემული ინსტრუქციის შესაბამისად, წერილობითი ფორმით (არანაკლებ ერთი გვერდი).

**დავალების შესრულების ინსტრუქცია სტუდენტებისთვის:** დავალება შეინახეთ Word-ის ცალკე დოკუმენტად შემდეგი წესების დაცვით:

1. გახსენით Word-ის ახალი დოკუმენტი და ლათინური შრიფტით დაარქვით „03. L.P.C. and Business Location_Name Surname of Student“ („Name Surname of Student“-ს ნაცვლად მიუთითეთ თქვენი სახელი და გვარი);
2. აირჩიეთ შრიფტი - Sylfaen და შრიფტის ზომა - 11.
3. Word-ის დოკუმენტის დასაწყისში, შუა ადგილზე ჩაწერეთ თეორიული ლექციის სათაური;
4. გადმოწერეთ და რიგითობის მიხედვით დანომრეთ თითოეული სავარჯიშო 1.3.2 დანართიდან;
5. თითოეული სავარჯიშოს ქვემოთ, აბზაცით ჩაწერეთ პასუხი ამ სავარჯიშოზე;
7. შესრულებული დავალება თქვენი საკუთარი ელ-ფოსტით გამოაგზავნეთ მომდევნო ლექციამდე, ელ-ფოსტაზე: *აქ მასწავლებელმა უნდა ჩაწეროს ელექტრონული ფოსტის მისამართი, სადაც უნდა გამოიგზავნოს დავალება*.

განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტი №1.3

(სასურველია შეივსოს მომდევნო თეორიული ლექციის დასაწყისში)

ამ დამოუკიდებელი მეცადინეობის შედეგები მოწმდება ორი კრიტერიუმის მიხედვით:

**1. სტუდენტმა გადმოაგზავნა თუ არა დავალება საკუთარი ელ-ფოსტით** (სასურველია შემოწმდეს მომდევნო თეორიულ ლექციამდე);

**2. სტუდენტი პასუხობს თუ არა დავალებასთან დაკავშირებულ შეკითხვებს** (სასურველია შემოწმდეს მომდევნო თეორიული ლექციის დასაწყისში - თითო სტუდენტს დაუსვით 2-3 მარტივი შეკითხვა, რათა დარწმუნდეთ, რომ დავალება თავისი შესრულებულია).

| № | სტუდენტის გვარი, სახელი | დავალების ნომერი და დასახელება | შესრულების კრიტერიუმები | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | დავალება გადმოაგზავნა საკუთარი ელ-ფოსტით | | უპასუხა დავალებასთან დაკავშირებულ შეკითხვებს | |
| | | | დიახ | არა | დიახ | არა |
| 1 | | №1.3.3 - ბიზნეს იდეის განხორციელებასთან დაკავშირებული დოკუმენტები და ბიზნესის მდებარეობა | | | | |
| დავალება შესრულებულად ითვლება ორივე კრიტერიუმის დადებითად შეფასების შემთხვევაში | | | | | | |

***(განმარტება მასწავლებლისთვის:** შესაძლებელია მოცემულ ცხრილს დაუმატოთ იმდენი სტრიქონი, რამდენი სტუდენტიც არის შესაფასებელი და ისე ამობეჭდოთ, ან თითო სტუდენტისთვის ამობეჭდოთ თითო ასეთი ცხრილი).*

## დანართი 1.3.1. კითხვების ბაზა
## (სამეწარმეო გარემო, რისკები)

1. რა ქმედება ექვემდებარება ლიცენზირებასა და სერტიფიცირებას?
2. ჩამოთვალეთ სერტიფიფირების მიზნები და პრინციპები;
3. განმარტეთ ლიცენზიის არსი;
4. ჩამოთვალეთ ლიცენზიის სახეები;
5. ვინ გასცემს საქმიანობის ლიცენზიას?
6. განმარტეთ ნებართვის არსი;
7. ვინ გასცემს საქმიანობის ნებართვას?
8. ჩამოთვლეთ სერტიფიკატების სახეები;
9. ჩამოთვალეთ საგარეო ვაჭრობისას საჭირო სერტიფიკატების სახეები;
10. რა საქმიანობისთვის არის აუცილებელი ვეტერინალური სერტიფიკატი და ვის მიერ გაიცემა?
11. რა საქმიანობისთვის არის აუცილებელი ფიტოსანიტარული სერტიფიკატი და ვის მიერ გაიცემა?
12. რა არის საქონლი წარმოშობის სერტიფიკატის დანიშნულება?
13. განმარტეთ, რატომ არის ბიზნესის ადგილმდებარეობის სწორად შერჩევა მნიშვნელოვანი?
14. ჩამოთვალეთ ბიზნესის ადგილმდებარეობაზე მოქმედი ფაქტორები;
15. დაახასიათეთ ბიზნესის ადგილმდებარეობაზე მოქმედი ფაქტორები;
16. რატომ არის ბიზნესის ადგილმდებარეობაზე მოქმედი ძირითადი ფაქტორები მნივნელოვანი?

## დანართი 1.3.2. სავარჯიშოების ბაზა
## (სამეწარმეო გარემო, რისკები)

1. განსაზღვრეთ, თქვენს მიერ შერჩეული ბიზნეს-საქმიანობა ექვემდებარება თუ არა სერტიფიცირებას ან ლიცენზირებას?

2. განსაზღვრეთ თქვენს მიერ შერჩეული ბიზნეს-საქმიანობისათვის გჭირდებათ თუ არა ნებართვის აღება?

3. თუ გჭირდებათ ზემოთ ჩამოთვლილთაგან რომელიმე, განსაზღვრეთ ვის უნდა მიმართოთ ამისთვის და რა პროცედურების გავლა მოგიხდებათ?

4. განსაზღვრეთ თქვენს მიერ შერჩეული ბიზნეს-საქმიანობის სავარაუდო ადგილმდებარეობა, გაანალიზეთ თქვენი ბიზნესის ადგილმდებარეობაზე მოქმედი დადებითი და უარყოფითი ფაქტორები - რა უპირატესობებსა და რა ნაკლოვანებებს ხედავთ?

## თავი 1.4. ბაზრის კვლევის მნიშვნელობა და კვლევის მეთოდები (IV კვირა)

*(მოკლე შინაარსი მეწარმეობის სახელმძღვანელოს[27] 1.7.1-1.7.7 ქვეთავების მიხედვით: ბაზრის კვლევის მნიშვნელობა და კვლევის ობიექტები; ინფორმაციის მოპოვების მეთოდები; ინფორმაციის ანალიზის ზოგიერთი ინსტრუმენტი; შესაძლებლობების შეფასება)*

საათების სავარაუდო განაწილება:
1.4.1. თეორიული - 1 სთ;
1.4.2. პრაქტიკული - 2 სთ;
1.4.3. დამოუკიდებელი - 3 სთ.

### 1.4.1. თეორიული მეცადინეობა (1 სთ)



**აქტივობების ზოგადი აღწერა:** პედაგოგი ატარებს ლექციას - სტუდენტებს აცნობს წინა დამოუკიდებელი მეცადინეობისთვის მიცემული დავალების შედეგებს, ხოლო შემდეგ ხსნის ახალ თეორიულ მასალას - აღწერს ბაზრის კვლევის ელემენტებს, მის მნიშვნელობას, ინფორმაციის მოპოვებისა და შეგროვების გზებს. პედაგოგი წარმართავს დისკუსიას პოტენციურ კლიენტებსა და მოთხოვნის სავარაუდო მასშტაბებზე. პროფესიული განხილვის მეთოდის ფარგლებში სასურველია მოწვეულ იქნას ბაზრის კვლევის სპეციალისტი (IP - სპეციალისტი) და სტუდენტებს მიეცეთ მასთან დისკუსიის საშუალება.

**აქტივობების დეტალური აღწერა:** **პირველი 10-15 წუთი** დაუთმეთ წინა დამოუკიდებელი მეცადინეობის დროს შესრულებელი დავალებების განხილვას - თითოეულ სტუდენტს მიეცით განმარტება რამდენად სწორად აქვს შესრულებული დავალება და დრო დაუთმეთ ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ნაშრომის განხილვას.

**მომდევნო 3-5 წუთი** დაუთმეთ ლექციის შესავალ ნაწილს - ასახსნელი თეორიული მასალის შესახებ ისტორიებს ან/და მაგალითებს, რათა სტუდენტები დაფიქრდნენ ბაზრის კვლევის მნიშვნელობაზე და გაიაზრონ ბაზრის კვლევის მეთოდების საჭიროება.

---

[27] *__მეწარმეობის სახელმძღვანელო__ - გზამკვლევში ამ ტერმინით მოხსენიებულია განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებული სტუდენტის სახელმძღვანელო - „მეწარმეობა“.*

შესავალი ნაწილის შემდეგ, პროფესიული სტუდენტისთვის (რომელსაც არც თეორიული და არც პრაქტიკული გამოცდილება არ აქვს ბიზნესში) მაქსიმალურად გასაგები ენით, განმარტეთ შემდეგი საკითხები:

1. რა მნიშვნელობა აქვს ბაზრის კვლევას და კონკრეტულად რა შეიძლება იყოს კვლევის ობიექტი? [28]

2. ინფორმაციის მოპოვების რა მეთოდები არსებობს? [29]

3. როგორ მუშაობს ინფორმაციის ანალიზის ზოგიერთი ინსტრუმენტი? [30]

4. როგორ ხორციელდება შესაძლებლობების შეფასება? [31]

**ა) რეკომენდაციები**



სასურველია:

1. თეორიული მასალა გადმოიცეს პრეზენტაციის მეშვეობით;
2. პრეზენტაციის საწყის სლაიდზე ჩანდეს ამ ქვეთავის ნომერი და სათაური შესაბამის ილუსტრაციასთან ერთად;
3. თითოეულ საკითხს დაეთმოს 1-5 სლაიდი;
4. თითოეულ სლაიდზე ჩანდეს როგორც ტექსტი, ისე ტექსტის შესაბამისი ილუსტრაცია, რომელიც მაქსიმალურად უწყობს ხელს მასალის ათვისებასა და დამახსოვრებას;
5. ბოლოს წინა სლაიდებზე უნდა ჩაიწეროს დამოუკიდებელი მუშაობის ინსტრუქცია და ელექტრონული ფოსტის მისამართი, სადაც სტუდენტებმა უნდა გამოაგზავნონ დამოუკიდებელი მუშაობის დროს შესრულებული მასალა (მაგალითად, მასწავლებლის ელექტრონული ფოსტა);
6. ბოლო სლაიდს დაარქვათ „საკითხავი მასალა“, სადაც ჩაწერეთ ძირითადი საკითხავი მასალის დასახელება (მაგალითად, ტექსტი - „ლექციაზე განხილული სლაიდები“) და დამატებითი საკითხავი ლიტერატურის დასახელება ამ ქვეთავის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

---

[28] *მეწარმეობის სახელმძღვანელოს „1.7.1. ბაზრის კვლევის მნიშვნელობა და კვლევის ობიექტები“ ქვეთავის მიხედვით.*

[29] *მეწარმეობის სახელმძღვანელოს „1.7.2. ინფორმაციის მოპოვების მეთოდები“ ქვეთავის მიხედვით.*

[30] *მეწარმეობის სახელმძღვანელოს „1.7.3. ინფორმაციის ანალიზის ზოგიერთი ინსტრუმენტი“ ქვეთავის მიხედვით.*

[31] *მეწარმეობის სახელმძღვანელოს „1.7.4. შესაძლებლობების შეფასება“ ქვეთავის მიხედვით.*

ბ) ლიტერატურა



პრეზენტაცია უნდა მომზადეს მეწარმეობის სახელმძღვანელოს „1.7. ბაზრის კვლევის მნიშვნელობა და კვლევის მეთოდები“ - თავის მიხედვით.

გ) რესურსები



კომპიუტერი, პროექტორი, ჰენდაუთი (სლაიდების ამობეჭდილი ვერსია). შესაძლებელია თეორიული მასალის შესაბამისი ვიდეო/აუდიო/ინტერნეტ რესურსის გამოყენება.

## 1.4.2. პრაქტიკული მეცადინეობა (2 სთ)



პრაქტიკული მეცადინეობა ხელს უნდა უწყობდეს თეორიული მეცადინეობის დროს ახსნილი ინფორმაციის განმტკიცებას. მასწავლებელი უნდა დარწმუნდეს, რომ აუდიტორიაში მსხდომმა ყველა სტუდენტმა გაიგო თეორიული მეცადინეობის დროს ახსნილი ინფორმაცია.

ა) **პირველი 5-10 წუთი** დაუთმეთ გონებრივ იერიშს, რათა გაარკვიოთ ხომ არ არის ისეთი საკითხი, რომელიც ვერ გაიგეს სტუდენტებმა თეორიული მასალიდან. სთხოვეთ სტუდენტებს მოიყვანონ მათთვის ცნობილი მაგალითები თეორიულ მასალასთან დაკავშირებით. გონებრივი იერიშისას შეგიძლიათ გამოიყენოთ კითხვები 1.4.1. დანართიდან;

ბ) სტუდენტებს მიეცით პრაქტიკული სავარჯიშო - **„ბაზრის კვლევა“**. კერძოდ, სტუდენტები დაყავით 3 კაციან ჯგუფებად და თითოეულ ჯგუფს მიეცით სხვადასხვა ქეისი[32] ბაზრის მარტივ კვლევასთან დაკავშირებით. ჯგუფებს მიეცით **35-40 წუთი**, რათა ამ ქეისების მიხედვით განიხილონ ბაზრის კვლევის ელემენტები - პოტენციური კლიენტები, პოტენციური კონკურენტები და მოთხოვნის სავარაუდო მასშტაბები წარმოებულ საქონელზე/გაწეულ მომსახურეობაზე.

დარჩენილი დროის მანძილზე, თითოეულმა ჯგუფმა უნდა წარმოადგინოს პრეზენტაცია მიცემული ქეისის მიხედვით - ვინ არიან მათი პოტენციური კლიენტები და კონკურენტები, ასევე როგორია მოთხოვნის სავარაუდო მასშტაბი წარმოებულ საქონელზე/გაწეულ მომსახურეობაზე.

---

[32] *შესაძლებელია წინა პრაქტიკულ მეცადინეობაზე მოფიქრებული ბიზნეს-იდეების გამოყენება ქეისებად.*

## 1.4.3. დამოუკიდებელი მეცადინეობა (3 სთ)



**დავალება №1.3.4 - ბაზრის კვლევა:**

*(**განმარტება მასწავლებლისთვის:** აღნიშნული დავალება სტუდენტს უვითარებს ბაზრის კვლევის უნარს, ასევე Word-ის დოკუმენტის მარტივი რედაქტირებისა და ელექტრონული კომუნიკაციის უნარებს)*

**დავალების პირობა:** 1.4.2 დანართით მოცემული სავარჯიშოები შეასრულეთ ქვემოთ მოცემული ინსტრუქციის შესაბამისად, წერილობითი ფორმით (არანაკლებ ერთი გვერდი).

**დავალების შესრულების ინსტრუქცია სტუდენტებისთვის:** დავალება შეინახეთ Word-ის ცალკე დოკუმენტად შემდეგი წესების დაცვით:

1. გახსენით Word-ის ახალი დოკუმენტი და ლათინური შრიფტით დაარქვით „04.Market Research_Name Surname of Student" („Name Surname of Student"-ს ნაცვლად მიუთითეთ თქვენი სახელი და გვარი);
2. აირჩიეთ შრიფტი - Sylfaen და შრიფტის ზომა - 11.
3. Word-ის დოკუმენტის დასაწყისში, შუა ადგილზე ჩაწერეთ თეორიული ლექციის სათაური;
4. გადმოწერეთ და რიგითობის მიხედვით დანომრეთ თითოეული სავარჯიშო დავალების პირობაში დასახელებული დანართიდან;
5. თითოეული სავარჯიშოს ქვემოთ, აბზაცით ჩაწერეთ პასუხი ამ სავარჯიშოზე;
7. შესრულებული დავალება თქვენი საკუთარი ელ-ფოსტით გამოაგზავნეთ მომდევნო ლექციამდე, ელ-ფოსტაზე: *აქ მასწავლებელმა უნდა ჩაწეროს ელექტრონული ფოსტის მისამართი, სადაც უნდა გამოიგზავნოს დავალება.*

### განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტი №1.4
(სასურველია შეივსოს მომდევნო თეორიული ლექციის დასაწყისში)

ამ დამოუკიდებელი მეცადინეობის შედეგები მოწმდება ორი კრიტერიუმის მიხედვით:

1. **სტუდენტმა გადმოაგზავნა თუ არა დავალება საკუთარი ელ-ფოსტით** (სასურველია შემოწმდეს მომდევნო თეორიულ ლექციამდე);

**2. სტუდენტი პასუხობს თუ არა დავალებასთან დაკავშირებულ შეკითხვებს** (სასურველია შემოწმდეს მომდევნო თეორიული ლექციის დასაწყისში - თითო სტუდენტს დაუსვით 2-3 მარტივი შეკითხვა, რათა დარწმუნდეთ, რომ დავალება თავისი შესრულებულია).

<table>
<tr><th rowspan="3">№</th><th rowspan="3">სტუდენტის გვარი, სახელი</th><th rowspan="3">დავალების ნომერი და დასახელება</th><th colspan="4">შესრულების კრიტერიუმები</th></tr>
<tr><th colspan="2">დავალება გადმოაგზავნა საკუთარი ელ-ფოსტით</th><th colspan="2">უპასუხა დავალებასთან დაკავშირებულ შეკითხვებს</th></tr>
<tr><th>დიახ</th><th>არა</th><th>დიახ</th><th>არა</th></tr>
<tr><td>1</td><td></td><td>№1.3.4 - ბაზრის კვლევა</td><td></td><td></td><td></td><td></td></tr>
<tr><td colspan="7">დავალება შესრულებულად ითვლება ორივე კრიტერიუმის დადებითად შეფასების შემთხვევაში</td></tr>
</table>

*(**განმარტება მასწავლებლისთვის:** შესაძლებელია მოცემულ ცხრილს დაუმატოთ იმდენი სტრიქონი, რამდენი სტუდენტიც არის შესაფასებელი და ისე ამობეჭდოთ, ან თითო სტუდენტისთვის ამობეჭდოთ თითო ასეთი ცხრილი).*

## დანართი 1.4.1. კითხვების ბაზა
## (ბაზრის კვლევა, კვლევის მეთოდები)

1. სანამ ბიზნესს დაიწყებთ, ბაზარზე არსებული რა პირობები უნდა გაითვალისწინოთ?
2. ჩამოთვალეთ და დაახასიათეთ ადამიანის საჭიროებები ჯგუფების მიხედვით;
3. რა არის მოთხოვნილება?
4. რა არის მოთხოვნა?
5. რა განსხვავებაა მოთხოვნასა და მოთხოვნილებას შორის?
6. ჩამოთვალეთ მომხმარებლის გადაწყვეტილებაზე მოქმედი ფაქტორები;
7. რას ნიშნავს ბაზრის სეგმენტირება?
8. რა კატეგორიებად იყოფა მომხმარებლები?
9. რას ნიშნავს მიზნობრივი ბაზარი და რა უპირატესობა აქვს მის განსაზღვრას?
10. რას ნიშნავს მარკეტინგული კომპლექსი და რა ელემენტებისგან შედგება?
11. ჩამოთვალეთ პროდუქტის სახეები მომხმარებლის გემოვნების ან საჭიროების მიხედვით;
12. რას ნიშნავს კონკურენცია?
13. ჩამოთვალეთ კონკურენციის ფუნქციები;
14. დაახასიათეთ ბაზარზე არსებული მოვლენების შესახებ ინფორმაციის მოპოვების მნიშვნელობა;
15. ჩამოთვალეთ ინფორმაციის კვლევაზე მოქმედი ფაქტორები;
16. ჩამოთვალეთ მონაცემების მოპოვების გზები;
17. ინფორმაციის ანალიზის რომელ ინსტრუმენტს იცნობთ?
18. რას ნიშნავს SMART კონცეფცია?
19. რას ნიშნავს PEST ანალიზი?
20. რას უწოდებენ SWOT ანალიზს?

## დანართი 1.4.2. სავარჯიშოების ბაზა
## (ბაზრის კვლევა, კვლევის მეთოდები)

1. თქვენს მიერ შერჩეული ბიზნეს-საქმიანობის მიხედვით განსაზღვრეთ ამ საქმიანობით შექმნილი საქონლის/გაწეული მომსახურების მომსახურების პოტენციური მომხმარებელი;

2. თქვენს მიერ შერჩეული ბიზნეს-საქმიანობის მიხედვით განსაზღვრეთ ამ საქმიანობით შექმნილი საქონლის/გაწეული მომსახურების ბაზრის სეგმენტი;

3. განსაზღვრეთ თქვენს მიერ შერჩეული ბიზნესის პოტენციური კონკურენტები;

4. განახორციელეთ თქვენს მიერ შერჩეული ბიზნესის მიზნების SMART ანალიზი;

5. განახორციელეთ თქვენს მიერ შერჩეული ბიზნესის PEST ანალიზი;

6. განახორციელეთ თქვენს მიერ შერჩეული ბიზნესის SWOT ანალიზი.

# **სწავლის შედეგი 2: ბიზნესის რეგისტრაცია** (18 სთ)

## **თავი 2.1. სამეწარმეო საქმიანობის განმახორციელებლი სუბიექტები** (V კვირა)

*(მოკლე შინაარსი მეწარმეობის სახელმძღვანელოს*[33] *2.1.1-2.1.10 ქვეთავების მიხედვით: სამეწარმეო საქმიანობის განმახორციელებლი სუბიექტების არსი და სახეები; ინდივიდუალური მეწარმე; შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება; სამეწარმეო ამხანაგობა; სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება; კომანდიტური საზოგადოება; სააქციო საზოგადოება; კოოპერატივი)*

საათების სავარაუდო განაწილება:
2.1.1. თეორიული - 2 სთ;
2.1.2. პრაქტიკული - 2 სთ;
2.1.3. დამოუკიდებელი - 2 სთ.

### 2.1.1. თეორიული მეცადინეობა (2 სთ)



**აქტივობების ზოგადი აღწერა:** წინა დამოუკიდებელი მეცადინეობისთვის მიცემული დავალება შეამოწმეთ ამ დავალებისათვის დადგენილი შეფასების ინსტრუმენტის მიხედვით, ხოლო შემდეგ ახსენით ახალი თეორიული მასალა.

**აქტივობების დეტალური აღწერა:** პირველი 10-15 წუთი - დაუთმეთ დავალების შემოწმებას ამ დავალებისათვის დადგენილი შეფასების ინსტრუმენტის მიხედვით. ამ მიზნით, სტუდენტებს ჯერ გააცანით ინფორმაცია, თუ ვინ გამოაგზავნა დავალება საკუთარი ელ-ფოსტით, ხოლო შემდეგ თითო სტუდენტს დაუსვით დავალებასთან დაკავშირებული 2-3 შეკითხვა, რათა დარწმუნდეთ, რომ დავალება ნამდვილად ამ სტუდენტის შესრულებულია და არ არის გადმოწერილი სხვისგან. თითოეულ სტუდენტს მიუთითეთ, თუ რა შეცდომა დაუშვა და მიეცით კონკრეტული რეკომენდაციები მათ გამოსასწორებლად.

---

[33] ***მეწარმეობის სახელმძღვანელო*** *- გზამკვლევში ამ ტერმინით მოხსენიებულია განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებული სტუდენტის სახელმძღვანელო - „მეწარმეობა“.*

მომდევნო 3-5 წუთი დაუთმეთ ლექციის შესავალ ნაწილს: ასახსნელი თეორიული მასალის შესახებ ისტორიებს ან/და მაგალითებს, რათა სტუდენტები დაფიქრდნენ, თუ ვინ არიან სამეწარმეო საქმიანობის განმახორციელებელი სუბიექტები და რომელი ფორმაა მიზანშეწონილი მათ მიერ წინა მეცადინეობებზე მოფიქრებული ბიზნეს-იდეისთვის (განიხილეთ ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო იდეა წინა მეცადინეობიდან).

შესავალი ნაწილის შემდეგ, პროფესიული სტუდენტისთვის (რომელსაც არც თეორიული და არც პრაქტიკული გამოცდილება არ აქვს ბიზნესში) მაქსიმალურად გასაგები ენით, განმარტეთ შემდეგი საკითხები:

1. ვინ არიან სამეწარმეო საქმიანობის განმახორციელებელი სუბიექტები და მეწარმეობის რა სამართლებრივი ფორმებია განსაზღვრული საქართველოს კანონმდებლობით? [34]

2. რა უპირატესობები და ნაკლოვანებები გააჩნია ინდივიდუალურ მეწრმეს? [35]

3. რა უპირატესობები და ნაკლოვანებები გააჩნია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას? [36]

4. რა თავისებურებებით ხასიათდება სამეწარმეო ამხანაგობა? [37]

5. რა თავისებურებებით ხასიათდება სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება? [38]

6. რა თავისებურებებით ხასიათდება კომანდიტური საზოგადოება? [39]

7. რა უპირატესობები და ნაკლოვანებები გააჩნია სააქციო საზოგადოებას? [40]

8. რა თავისებურებებით ხასიათდება კოოპერატივი? [41]

---

[34] *მეწარმეობის სახელმძღვანელოს „2.1.1. სამეწარმეო საქმიანობის განმახორციელებელი სუბიექტების არსი და სახეები“ ქვეთავის მიხედვით.*

[35] *მეწარმეობის სახელმძღვანელოს „2.1.2. ინდივიდუალური მეწარმე“ ქვეთავის მიხედვით.*

[36] *მეწარმეობის სახელმძღვანელოს „2.1.3. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება“ ქვეთავის მიხედვით.*

[37] *მეწარმეობის სახელმძღვანელოს „2.1.4. სამეწარმეო ამხანაგობა“ ქვეთავის მიხედვით.*

[38] *მეწარმეობის სახელმძღვანელოს „2.1.5. სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება“ - ქვეთავის მიხედვით.*

[39] *მეწარმეობის სახელმძღვანელოს „2.1.6. სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება“ - ქვეთავის მიხედვით.*

[40] *მეწარმეობის სახელმძღვანელოს „2.1.7. სააქციო საზოგადოება“ - ქვეთავის მიხედვით.*

[41] *მეწარმეობის სახელმძღვანელოს „2.1.8. კოოპერატივი “ - ქვეთავის მიხედვით.*

ა) რეკომენდაციები



სასურველია:

1. თეორიული მასალა გადმოიცეს პრეზენტაციის მეშვეობით;

2. პრეზენტაციის საწყის სლაიდზე ჩანდეს ამ ქვეთავის ნომერი და სათაური შესაბამის ილუსტრაციასთან ერთად;

3. თითოეულ საკითხს დაეთმოს 1-5 სლაიდი;

4. თითოეულ სლაიდზე ჩანდეს როგორც ტექსტი, ისე ტექსტის შესაბამისი ილუსტრაცია, რომელიც მაქსიმალურად უწყობს ხელს მასალის ათვისებასა და დამახსოვრებას;

5. ბოლოს წინა სლაიდებზე უნდა ჩაიწეროს დამოუკიდებელი მუშაობის ინსტრუქცია და ელექტრონული ფოსტის მისამართი, სადაც სტუდენტებმა უნდა გამოაგზავნონ დამოუკიდებელი მუშაობის დროს შესრულებული მასალა (მაგალითად, მასწავლებლის ელექტრონული ფოსტა);

6. ბოლო სლაიდს დაარქვათ „საკითხავი მასალა", სადაც ჩაწერეთ ძირითადი საკითხავი მასალის დასახელება (მაგალითად, ტექსტი - „ლექციაზე განხილული სლაიდები") და დამატებითი საკითხავი ლიტერატურის დასახელება ამ ქვეთავის „ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად.

ბ) ლიტერატურა



სასურველია პრეზენტაცია მომზადდეს მეწარმეობის სახელმძღვანელოს „2.1. სამეწარმეო საქმიანობის განმახორციელებლი სუბიექტები" - თავის მიხედვით.

გ) რესურსები



კომპიუტერი, პროექტორი, ჰენდაუთი (სლაიდების ამობეჭდილი ვერსია). შესაძლებელია თეორიული მასალის შესაბამისი ვიდეო/აუდიო/ინტერნეტ რესურსის გამოყენება.

## 2.1.2. პრაქტიკული მეცადინეობა (2 სთ)



პრაქტიკული მეცადინეობა ხელს უნდა უწყობდეს თეორიული მეცადინეობის დროს ახსნილი ინფორმაციის განმტკიცებას. მასწავლებელი უნდა დარწმუნდეს, რომ აუდიტორიაში მსხდომმა ყველა სტუდენტმა გაიგო თეორიული მეცადინეობის დროს ახსნილი ინფორმაცია.

ა) პირველი 5-10 წუთი დაუთმეთ გონებრივ იერიშს, რათა გაარკვიოთ ხომ არ არის ისეთი საკითხი, რომელიც ვერ გაიგეს სტუდენტებმა თეორიული მასალიდან. სთხოვეთ სტუდენტებს მოიყვანონ მათთვის ცნობილი მაგალითები თეორიულ მასალასთან დაკავშირებით. გონებრივი იერიშისას შეგიძლიათ გამოიყენოთ კითხვები 2.1.1. დანართიდან;

ბ) სტუდენტებს მიეცით პრაქტიკული სავარჯიშო - **„ბიზნესის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის შერჩევა“**. კერძოდ, საკითხის უკეთ გასაგებად, სასურველია გამოყენებულ იქნეს „გააზრებული წაკითხვის“ მეთოდი: სტუდენტები დაყავით 3 ჯგუფად, თითოეულ ჯგუფს დაავალეთ ყურადღებით წაიკითხოს თეორიული მასალა ბიზნესის ორი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის შესახებ, რისთვისაც მიეცით 10-15 წუთი (ვინაიდან 7 ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა არსებობს, დასაშვებია ორმა ჯგუფმა ერთი და იგივე ფორმა წაიკითხოს).

გ) დარჩენილი დროის მანძილზე, ჯერ თითოეულმა ჯგუფმა აღწეროს თავის მიერ წაკითხული ბიზნესის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ორივე ფორმა, ხოლო ბოლოს, სთხოვეთ ჯგუფებს დაასახელონ თითოეული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის უპირატესობები და ნაკლოვანებები.

## 2.1.3. დამოუკიდებელი მეცადინეობა (2 სთ)



**დავალება №2.1.3 - ბიზნესის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის შერჩევა:**

*(**განმარტება მასწავლებლისთვის:** აღნიშნული დავალება სტუდენტს უვითარებს ბიზნესისთვის საჭირო ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის შერჩევის უნარს, ასევე Word-ის დოკუმენტის მარტივი რედაქტირებისა და ელექტრონული კომუნიკაციის უნარებს)*

**დავალების პირობა:** 2.1.2 დანართით მოცემული სავარჯიშოები შეასრულეთ ქვემოთ მოცემული ინსტრუქციის შესაბამისად, წერილობითი ფორმით (არანაკლებ ერთი გვერდი).

**დავალების შესრულების ინსტრუქცია სტუდენტებისთვის:** დავალება შეინახეთ Word-ის ცალკე დოკუმენტად შემდეგი წესების დაცვით:

1. გახსენით Word-ის ახალი დოკუმენტი და ლათინური შრიფტით დაარქვით „05.Organizational and legal forms of business_Name Surname of Student" („Name Surname of Student"-ს ნაცვლად მიუთითეთ თქვენი სახელი და გვარი);
2. აირჩიეთ შრიფტი - Sylfaen და შრიფტის ზომა - 11.
3. Word-ის დოკუმენტის დასაწყისში, შუა ადგილზე ჩაწერეთ თეორიული ლექციის სათაური;
4. გადმოწერეთ და რიგითობის მიხედვით დანომრეთ თითოეული სავარჯიშო დავალების პირობაში დასახელებული დანართიდან;
5. თითოეული სავარჯიშოს ქვემოთ, აბზაცით ჩაწერეთ პასუხი ამ სავარჯიშოზე;
7. შესრულებული დავალება თქვენი საკუთარი ელ-ფოსტით გამოაგზავნეთ მომდევნო ლექციამდე, ელ-ფოსტაზე: *აქ მასწავლებელმა უნდა ჩაწეროს ელექტრონული ფოსტის მისამართი, სადაც უნდა გამოიგზავნოს დავალება*.

## განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტი №2.1

(სასურველია შეივსოს მომდევნო თეორიული ლექციის დასაწყისში)

ამ დამოუკიდებელი მეცადინეობის შედეგები მოწმდება ორი კრიტერიუმის მიხედვით:

**1. სტუდენტმა გადმოაგზავნა თუ არა დავალება საკუთარი ელ-ფოსტით** (სასურველია შემოწმდეს მომდევნო თეორიულ ლექციამდე);

**2. სტუდენტი პასუხობს თუ არა დავალებასთან დაკავშირებულ შეკითხვებს** (სასურველია შემოწმდეს მომდევნო თეორიული ლექციის დასაწყისში - თითო სტუდენტს დაუსვით 2-3 მარტივი შეკითხვა, რათა დარწმუნდეთ, რომ დავალება თავისი შესრულებულია).

| № | სტუდენტის გვარი, სახელი | დავალების ნომერი და დასახელება | შესრულების კრიტერიუმები | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | დავალება გადმოაგზავნა საკუთარი ელ-ფოსტით | | უპასუხა დავალებასთან დაკავშირებულ შეკითხვებს | |
| | | | დიახ | არა | დიახ | არა |
| 1 | | №2.1.3 - ბიზნესის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის შერჩევა | | | | |
| დავალება შესრულებულად ითვლება ორივე კრიტერიუმის დადებითად შეფასების შემთხვევაში | | | | | | |

***(განმარტება მასწავლებლისთვის:*** *შესაძლებელია მოცემულ ცხრილს დაუმატოთ იმდენი სტრიქონი, რამდენი სტუდენტიც არის შესაფასებელი და ისე ამობეჭდოთ, ან თითო სტუდენტისთვის ამობეჭდოთ თითო ასეთი ცხრილი).*

## დანართი 2.1.1. კითხვების ბაზა (სამეწარმეო საქმიანობის განმახორციელებლი სუბიექტები)

1. ჩამოთვალეთ და განმარტეთ სამეწარმეო საქმიანობის სუბიექტები;
2. ჩამოთვალეთ საქართველოს კანონმდებლობით განაზღვრული მეწარმეობის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმები;
3. რა უპირატესობები და ნაკლოვანებები გააჩნია ინდივიდუალურ მეწრმედ რეგისტრაციას?
4. რა უპირატესობები და ნაკლოვანებები გააჩნია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებად რეგისტრაციას?
5. რა თავისებურებებით ხასიათდება სამეწარმეო ამხანაგობა?
6. რა თავისებურებებით ხასიათდება სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება?
7. რა თავისებურებებით ხასიათდება კომანდიტური საზოგადოება?
8. რა უპირატესობები და ნაკლოვანებები გააჩნია სააქციო საზოგადოებად რეგისტრაციას?
9. რა არის აქცია?
10. რა თავისებურებებით ხასიათდება კოოპერატივი?

## დანართი 2.1.2. სავარჯიშოების ბაზა (სამეწარმეო საქმიანობის განმახორციელებლი სუბიექტები)

1. თქვენს მიერ შერჩეული სამეწარმეო საქმიანობის სახის მიხედვით შეარჩიეთ სამეწარმეო საქმიანობის ორგანიზაციულ - სამართლებრივი ფორმა;
2. დაასაბუთეთ შერჩეული ორგანიზაციულ - სამართლებრივი ფორმის მიზანშეწონილობა თქვენი საქმიანობისათვის;
3. გაანალიზეთ და დაასახელეთ უპირატესობები და ნკლოვანებები, რაც ახსიათებს თქვენს მიერ შერჩეულ ორგანიზაციულ - სამართლებრივ ფორმას, საქმიანობის სპეციფიკის მიხედვით.

## **თავი 2.2. ბიზნესის რეგისტრაციის პროცედურები** (VI კვირა)

*(მოკლე შინაარსი მეწარმეობის სახელმძღვანელოს[42] 2.2.1-2.2.7 ქვეთავების მიხედვით: ბიზნესის რეგისტრაციის წესი; ბიზნესის სარეგისტრაციო დოკუმენტები; პარტნიორები და მათი წილობრივი მონაწილეობა ბიზნესში; ბიზნესის სახელწოდება; ბიზნესის სარეგისტრაციო მონაცემები)*

საათების სავარაუდო განაწილება:
2.2.1. თეორიული - 1 სთ;
2.2.2. პრაქტიკული - 2 სთ;

### 2.2.1. თეორიული მეცადინეობა (1 სთ)



**აქტივობების ზოგადი აღწერა:** პედაგოგი ატარებს ლექციას - სტუდენტებს აცნობს წინა დამოუკიდებელი მეცადინეობისთვის მიცემული დავალების შედეგებს, ხოლო შემდეგ ხსნის ახალ თეორიულ მასალას.

**აქტივობების დეტალური აღწერა:** პირველი 10-15 წუთი დაუთმეთ წინა დამოუკიდებელი მეცადინეობის დროს შესრულებელი დავალებების განხილვას - თითოეულ სტუდენტს მიეცით განმარტება რამდენად სწორად აქვს შესრულებული დავალება და დრო დაუთმეთ ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ნაშრომის განხილვას.

მომდევნო 3-5 წუთი დაუთმეთ ლექციის შესავალ ნაწილს - ასახსნელი თეორიული მასალის შესახებ ისტორიებს ან/და მაგალითებს, რათა სტუდენტები დაფიქრდნენ ბიზნესის რეგისტრაციის მნიშვნელობაზე და გაიაზრონ ბიზნესის რეგისტრაციის საჭიროება.

შესავალი ნაწილის შემდეგ, პროფესიული სტუდენტისთვის (რომელსაც არც თეორიული და არც პრაქტიკული გამოცდილება არ აქვს ბიზნესში) მაქსიმალურად გასაგები ენით, განმარტეთ შემდეგი საკითხები:

[42] ***მეწარმეობის სახელმძღვანელო*** *- გზამკვლევში ამ ტერმინით მოხსენიებულია განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებული სტუდენტის სახელმძღვანელო - „მეწარმეობა“.*

1. რას გულისხმობს ბიზნესის რეგისტრაცია? [43]

2. რა დოკუმენტებია საჭირო თითოეული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის ბიზნესის რეგისტრაციისთვის? [44]

3. როგორ ხორციელდება პარტნიორობა და წილობრივი მონაწილეობა ბიზნესში? [45]

4. როგორ შევარჩიოთ მომგებიანი სახელწოდება ბიზნესისთვის? [46]

5. რა მონაცემებს შეიცავს ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან? [47]

**ა) რეკომენდაციები**



სასურველია:

1. თეორიული მასალა გადმოიცეს პრეზენტაციის მეშვეობით;
2. პრეზენტაციის საწყის სლაიდზე ჩანდეს ამ ქვეთავის ნომერი და სათაური შესაბამის ილუსტრაციასთან ერთად;
3. თითოეულ საკითხს დაეთმოს 1-5 სლაიდი;
4. თითოეულ სლაიდზე ჩანდეს როგორც ტექსტი, ისე ტექსტის შესაბამისი ილუსტრაცია, რომელიც მაქსიმალურად უწყობს ხელს მასალის ათვისებასა და დამახსოვრებას;
5. ბოლოს წინა სლაიდებზე უნდა ჩაიწეროს დამოუკიდებელი მუშაობის ინსტრუქცია და ელექტრონული ფოსტის მისამართი, სადაც სტუდენტებმა უნდა გამოაგზავნონ დამოუკიდებელი მუშაობის დროს შესრულებული მასალა (მაგალითად, მასწავლებლის ელექტრონული ფოსტა);
6. ბოლო სლაიდს დაარქვათ „საკითხავი მასალა“, სადაც ჩაწერეთ ძირითადი საკითხავი მასალის დასახელება (მაგალითად, ტექსტი - „ლექციაზე განხილული სლაიდები“) და დამატებითი საკითხავი ლიტერატურის დასახელება ამ ქვეთავის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

---

[43] *მეწარმეობის სახელმძღვანელოს „2.2.1. ბიზნესის რეგისტრაციის წესი“ ქვეთავის მიხედვით.*

[44] *მეწარმეობის სახელმძღვანელოს „2.2.2. ბიზნესის სარეგისტრაციო დოკუმენტები“ ქვეთავის მიხედვით.*

[45] *მეწარმეობის სახელმძღვანელოს „2.2.3. პარტნიორები და მათი წილობრივი მონაწილეობა ბიზნესში“ ქვეთავის მიხედვით.*

[46] *მეწარმეობის სახელმძღვანელოს „2.2.4. ბიზნესის სახელწოდება“ ქვეთავის მიხედვით.*

[47] *მეწარმეობის სახელმძღვანელოს „2.2.5. ბიზნესის სარეგისტრაციო მონაცემები“ ქვეთავის მიხედვით.*

ბ) ლიტერატურა



პრეზენტაცია უნდა მომზადეს მეწარმეობის სახელმძღვანელოს „2.2. ბიზნესის რეგისტრაციის პროცედურები“ - თავის მიხედვით.

გ) რესურსები



კომპიუტერი, პროექტორი, ჰენდაუთი (სლაიდების ამობეჭდილი ვერსია). შესაძლებელია თეორიული მასალის შესაბამისი ვიდეო/აუდიო/ინტერნეტ რესურსის გამოყენება.

## 2.2.2. პრაქტიკული მეცადინეობა (2 სთ)



პრაქტიკული მეცადინეობა ხელს უნდა უწყობდეს თეორიული მეცადინეობის დროს ახსნილი ინფორმაციის განმტკიცებას. მასწავლებელი უნდა დარწმუნდეს, რომ აუდიტორიაში მსხდომმა ყველა სტუდენტმა გაიგო თეორიული მეცადინეობის დროს ახსნილი ინფორმაცია.

ა) **პირველი 5-10 წუთი** დაუთმეთ გონებრივ იერიშს, რათა გაარკვიოთ ხომ არ არის ისეთი საკითხი, რომელიც ვერ გაიგეს სტუდენტებმა თეორიული მასალიდან. სთხოვეთ სტუდენტებს მოიყვანონ მათთვის ცნობილი მაგალითები თეორიულ მასალასთან დაკავშირებით. გონებრივი იერიშისას შეგიძლიათ გამოიყენოთ კითხვები 2.2.1. დანართიდან;

ბ) სტუდენტებს მიეცით პრაქტიკული სავარჯიშო (წერითი ნაშრომი) - **„ბიზნესის რეგისტრაცია“**:

- ☞ **პრაქტიკული მეცადინეობის პირველ საათზე, დარჩენილ დროში,** თითოეულმა სტუდენტმა უნდა შეავსოს 2.2.3 დანართით მოცემული „ბიზნესის რეგისტრაციის განაცხადი“;
- ☞ **პრაქტიკული მეცადინეობის მე-2 საათზე** სტუდენტები დაყავით ორ თანაბარ ჯგუფად. ერთი ჯგუფის წევრებს დაურიგეთ და გაასწორებინეთ მეორე ჯგუფის სტუდენტების მიერ შევსებული ბიზნესის რეგისტრაციის განაცხადები (ერთი ჯგუფის ერთი სტუდენტი ასწორებს მეორე ჯგუფის ერთი სტუდენტის განაცხადს. თუ ჯგუფები არ იყოფა თანაბრად, დასაშვებია ორმა სტუდენტმა გაასწოროს ერთი განაცხადი).

## განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტი №2.2

(სასურველია შეივსოს მომდევნო თეორიულ ლექციამდე)

ამ პრაქტიკული მეცადინეობის შედეგები მოწმდება ორი კრიტერიუმის მიხედვით:

**1. სტუდენტმა შეავსო დანართი 2.2.3 - „ბიზნესის რეგისტრაციის განაცხადი"** (სასურველია შემოწმდეს მომდევნო თეორიულ ლექციამდე);

**2. სტუდენტმა გაასწორა სხვა სტუდენტის „ბიზნესის რეგისტრაციის განაცხადი"** (სასურველია შემოწმდეს მომდევნო თეორიულ ლექციამდე).

| № | სტუდენტის გვარი, სახელი | დავალების ნომერი და დასახელება | შესრულების კრიტერიუმები | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | სტუდენტმა შეავსო „ბიზნესის რეგისტრაციის განაცხადი" | | სტუდენტმა გაასწორა სხვა სტუდენტის „ბიზნესის რეგისტრაციის განაცხადი" | |
| | | | დიახ | არა | დიახ | არა |
| 1 | | №2.2.2 - ბიზნესის რეგისტრაცია | | | | |
| **დავალება შესრულებულად ითვლება ორივე კრიტერიუმის დადებითად შეფასების შემთხვევაში** | | | | | | |

*(**განმარტება მასწავლებლისთვის:** შესაძლებელია მოცემულ ცხრილს დაუმატოთ იმდენი სტრიქონი, რამდენი სტუდენტიც არის შესაფასებელი და ისე ამობეჭდოთ, ან თითო სტუდენტისთვის ამობეჭდოთ თითო ასეთი ცხრილი).*

## დანართი 2.2.1. კითხვების ბაზა
## (ბიზნესის რეგისტრაცია)

1. რას გულისხმობს ბიზნესის რეგისტრაცია?
2. რეგისტრაციის რამდენ სახეს იცნობთ?
3. რა შემთხვევაშია აუცილებელი ბიზნესოპერატორად რეგისტრაცია?
4. რა სავალდებულო ინფორმაციას უნდა შეიცავდეს სარეგისტრაციო განცხადება?
5. ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიხედვით ჩამოთვალეთ სარეგისტრაციო დოკუმენტები;
6. ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიხედვით ჩამოთვალეთ ქონებრივი პასუხისმგებლობის სახეები;
7. ვინ არის პარტნიორი და რა კრიტერიუმეებით უნდა შეარიოთ იგი?
8. პარტნიორობის რამდენ სახეს იცნობთ?
9. რა მნიშვნელობა აქვს ბიზნესისათვის სახელს და როგორ უნდა შევარჩიოთ იგი?
10. ჩამოთვალეთ ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიხედვით ბიზნესის სახელწოდების ნიმუშები;
11. სად ხდება ბიზნესის რეგისტრაცია?
12. რა დოკუმენტით დასტურდება ბიზნესის რეგიტრაცია?

## დანართი 2.2.2. სავარჯიშოების ბაზა
## (ბიზნესის რეგისტრაცია)

1. შეადგინეთ წესდების პროექტი თქვენს მიერ შერჩეული ბიზნესისთვის;

2. თუ თქვენს მიერ შერჩეულ ბიზნესში რამოდენიმე პარტნიორია, მოიწვიეთ პარტნიორთა კრება, დაამტკიცეთ წესდება და აირჩიეთ ამ ბიზნესის დირექტორი;

3. დაწერეთ ბრძანების პროექტი სამუშაო ფორმების დამტკიცების შესახებ;

4. დაასახელეთ თქვენს მიერ შერჩეული ბიზნესის რეგისტრაციისათვის საჭირო დოკუმენტები.

## დანართი 2.2.3. ბიზნესის რეგისტრაციის განაცხადი

*(თუ გამოყოფილ ადგილზე ვერ ატევთ ინფორმაციას, დასაშვებია განაცხადის უკანა გვერდის გამოყენება, ხოლო გამოყოფილ ადგილზე მიუთითეთ „იხ. უკანა გვერდი“)*

| **სახელი, გვარი** (განაცხადის შემვსები სტუდენტი) | **სახელი, გვარი** (განაცხადის გამსწორებელი სტუდენტი) | **გამსწორებლის რეკომენდაციები** (ივსება გამსწორებელი სტუდენტის მიერ) | **მასწავლებლის აღნიშვნები** (ივსება მასწავლებლის მიერ) | |
|---|---|---|---|---|
| | | | თუ ეთანხმებით გამსწორებლის რეკომენდაციას, ჩაწერეთ სიმბოლო „✓“ | თუ არ ეთანხმებით გამსწორებლის რეკომენდაციას ჩაწერეთ მიზეზი |
| | | 1. | | |
| | | 2. | | |
| | | 3. | | |
| | | 4. | | |
| | | 5. | | |
| | | 6. | | |
| | | 7. | | |
| | | 8. | | |
| | | 9. | | |
| | | 10. | | |

1. საწარმოს სახელწოდება:

______________________________________________
______________________________________________
______________________________________________

2. საწარმოს სამართლებრივი ფორმა და იურიდიული მისამართი:

______________________________________________
______________________________________________
______________________________________________

3. საწარმოს პარტნიორის (პარტნიორების) სახელი და გვარი, საცხოვრებელი ადგილის მისამართი და პირადი ნომერი (თუ პარტნიორი იურიდიული პირია – მისი საფირმო სახელწოდება, სამართლებრივი ფორმა, იურიდიული მისამართი, რეგისტრა-ციის თარიღი, საიდენტიფიკაციო ნომერი და მონაცემები მისი წარმომადგენლების შესახებ):

______________________________________________
______________________________________________
______________________________________________

4. საწარმოს მმართველობის ორგანო, გადაწყვეტილების მიღების წესი (შპს ან კომანდიტური საზოგადოების შემთხვევაში – მონაცემები შპს-ის პარტნიორთა/კომანდიტთა წილობრივი მონაწილეობის შესახებ):

5. კომანდიტური საზოგადოების შემთხვევაში – რომელი პარტნიორია შეზღუდული (კომანდიტი) და რომელი – სრული (კომპლემენტარი):

6. შპს-ის ან კომანდიტური საზოგადოების შემთხვევაში – შპს-ის პარტნიორთა და კს-ის კომანდიტთა წილებზე საკუთრების უფლების შეზღუდვასთან დაკავშირებული ვალდებულებები:

7. საწარმოს ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის (პირების) სახელი და გვარი, საცხოვრებელი ადგილის მისამართი და პირადი ნომერი:

8. გენერალური სავაჭრო მინდობილობის მფლობელი პირის - პროკურისტის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სახელი და გვარი, საცხოვრებელი ადგილის მისამართი და პირადი ნომერი:

9. თუ საწარმოს ჰყავს წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი რამდენიმე პირი – დააკონკრეტეთ ისინი ერთად წარმოადგენენ საწარმოს თუ ცალკ-ცალკე:

______________________________________________________________________
______________________________________________________________________
______________________________________________________________________
______________________________________________________________________
______________________________________________________________________

10. დანართი (დანართის საჭიროების შემთხვევაში მიუთითეთ რამდენ ფურცელს შეიცავს და რა დოკუმენტია):

______________________________________________________________________
______________________________________________________________________
______________________________________________________________________
______________________________________________________________________
______________________________________________________________________

## თავი 2.3. ბიზნესთან დაკავშირებული გადასახადები (VII კვირა)

*(მოკლე შინაარსი მეწარმეობის სახელმძღვანელოს[48] 2.3.1-2.3.9 ქვეთავების მიხედვით: გადასახადის არსი და სახეები; საშემოსავლო გადასახადი; მოგების გადასახადი; დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ); აქციზი; იმპორტის (საბაჟო) გადასახადი; ქონების გადასახადი)*

საათების სავარაუდო განაწილება:
2.3.1. თეორიული - 3 სთ;
2.3.2. დამოუკიდებელი - 2 სთ.

2.3.1. თეორიული მეცადინეობა (3 სთ)



**აქტივობების ზოგადი აღწერა:** პედაგოგი ატარებს ლექციას - სტუდენტებს აცნობს წინა პრაქტიკულ მეცადინეობაზე შესრულებული სავარჯიშოს (ბიზნესის რეგისტრაცია) შედეგებს, ხოლო შემდეგ ხსნის ახალ თეორიულ მასალას. სასურველია მოწვეულ იქნას და გადასახადებთან დაკავშირებული მეცადინეობა განახორციელოს საგადასახადო ორგანოს მიერ სპეციალურად ამ მიზნისთვის მომზადებულმა ინსტრუქტორმა. სასურველია სტუდენტებს მიეცეთ საგადასახადო საქმის ინსტრუქტორთან დისკუსიის საშუალება.

**აქტივობების დეტალური აღწერა:** პირველი 10-15 წუთი დაუთმეთ წინა პრაქტიკულ მეცადინეობაზე შესრულებული სავარჯიშოს (ბიზნესის რეგისტრაცია) განხილვას - თითოეულ სტუდენტს მიეცით განმარტება რამდენად სწორად აქვს შევსებული „ბიზნესის რეგისტრაციის განაცხადი“ და დრო დაუთმეთ ერთ-ერთი ყველაზე გამართულად შევსებული განაცხადის განხილვას.

[48] ***მეწარმეობის სახელმძღვანელო*** *- გზამკვლევში ამ ტერმინით მოხსენიებულია განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებული სტუდენტის სახელმძღვანელო - „მეწარმეობა“.*

**მომდევნო 5-10 წუთი** დაუთმეთ ლექციის შესავალ ნაწილს - გამოიყენეთ ინტერაქტიული მეთოდი. კერძოდ, დასვით ისეთი კითხვები, რაც სტუდენტებს დააფიქრებს გადასახადების საჭიროება-აუცილებლობაზე. ინტერაქტივისთვის შეგიძლიათ გამოიყენოთ შემდეგი კითხვები:

- ვის სურს ჰქონდეს „ქუჩების განათების ბიზნესი“? (დადებითი პასუხის შემთხვევაში კითხვა შეუბრუნეთ - ფულს ვინ გადაგიხდით ამაში?)
- ვის სურს ჰქონდეს „ნაგვის გატანის ბიზნესი“? (დადებითი პასუხის შემთხვევაში კითხვა შეუბრუნეთ - ფულს ვინ გადაგიხდით ამაში?)
- ვის სურს „მოხუცებისთვის ყოველთვიური პენსიების დარიგების ბიზნესი“? (დადებითი პასუხის შემთხვევაში კითხვა შეუბრუნეთ - საიდან გექნებათ პენსიების გასაცემი თანხა ან ფულს ვინ გადაგიხდით ამ საქმიანობაში?)
- თქვენს სოფელში „გზების მოასფალტების ბიზნესს“ ხომ არ აიღებთ საკუთარ თავზე? (დადებითი პასუხის შემთხვევაში კითხვა შეუბრუნეთ - ფულს ვინ გადაგიხდით ამაში?)
- თქვენი უბნის სტადიონს რომ ხელოვნური საფარი დაუზიანდა თუ იცით ვინ შეაკეთა? გინდათ იყოთ ის ბიზნესმენი? (დადებითი პასუხის შემთხვევაში კითხვა შეუბრუნეთ - ფულს ვინ გადაგიხდით ამაში?)

შესავალი ნაწილის შემდეგ, პროფესიული სტუდენტისთვის (რომელსაც არც თეორიული და არც პრაქტიკული გამოცდილება არ აქვს ბიზნესში) მაქსიმალურად გასაგები ენით, განმარტეთ შემდეგი საკითხები:

1. რა არის გადასახადის არსი და მისი რა სახეები არსებობს? [49]

2. რას გულისხმობს საშემოსავლო გადასახადი? [50]

3. რას გულისხმობს მოგების გადასახადი? [51]

4. რას გულისხმობს დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ)? [52]

5. რას გულისხმობს აქციზი? [53]

6. რას გულისხმობს იმპორტის (საბაჟო) გადასახადი? [54]

---

[49] *მეწარმეობის სახელმძღვანელოს „2.3.1. გადასახადის არსი და სახეები“ ქვეთავის მიხედვით.*

[50] *მეწარმეობის სახელმძღვანელოს „2.3.2. საშემოსავლო გადასახადი“ ქვეთავის მიხედვით.*

[51] *მეწარმეობის სახელმძღვანელოს „2.3.3. მოგების გადასახადი“ ქვეთავის მიხედვით.*

[52] *მეწარმეობის სახელმძღვანელოს „2.3.4. დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ)“ ქვეთავის მიხედვით.*

[53] *მეწარმეობის სახელმძღვანელოს „2.3.5. აქციზი“ ქვეთავის მიხედვით.*

[54] *მეწარმეობის სახელმძღვანელოს „2.3.6. იმპორტის (საბაჟო) გადასახადი“ ქვეთავის მიხედვით.*

7. რას გულისხმობს ქონების გადასახადი? [55]

**ა) რეკომენდაციები**



სასურველია:

1. თეორიული მასალა გადმოიცეს პრეზენტაციის მეშვეობით;
2. პრეზენტაციის საწყის სლაიდზე ჩანდეს ამ ქვეთავის ნომერი და სათაური შესაბამის ილუსტრაციასთან ერთად;
3. თითოეულ საკითხს დაეთმოს 1-5 სლაიდი;
4. თითოეულ სლაიდზე ჩანდეს როგორც ტექსტი, ისე ტექსტის შესაბამისი ილუსტრაცია, რომელიც მაქსიმალურად უწყობს ხელს მასალის ათვისებასა და დამახსოვრებას;
5. ბოლოს წინა სლაიდებზე უნდა ჩაიწეროს დამოუკიდებელი მუშაობის ინსტრუქცია და ელექტრონული ფოსტის მისამართი, სადაც სტუდენტებმა უნდა გამოაგზავნონ დამოუკიდებელი მუშაობის დროს შესრულებული მასალა (მაგალითად, მასწავლებლის ელექტრონული ფოსტა);
6. ბოლო სლაიდს დაარქვათ „საკითხავი მასალა", სადაც ჩაწერეთ ძირითადი საკითხავი მასალის დასახელება (მაგალითად, ტექსტი - „ლექციაზე განხილული სლაიდები") და დამატებითი საკითხავი ლიტერატურის დასახელება ამ ქვეთავის „ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად.

**ბ) ლიტერატურა**



პრეზენტაცია უნდა მომზადეს მეწარმეობის სახელმძღვანელოს „2.3. ბიზნესის გადასახადები" - თავის მიხედვით.

**გ) რესურსები**



კომპიუტერი, პროექტორი, ჰენდაუთი (სლაიდების ამობეჭდილი ვერსია). შესაძლებელია თეორიული მასალის შესაბამისი ვიდეო/აუდიო/ინტერნეტ რესურსის გამოყენება.

[55] *მეწარმეობის სახელმძღვანელოს „2.3.7. ქონების გადასახადი" ქვეთავის მიხედვით.*

2.3.2. დამოუკიდებელი მეცადინეობა (2 სთ)



**ᲓᲐᲕᲐᲚᲔᲑᲐ №2.3.2 - ᲒᲐᲓᲐᲡᲐᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲐᲓᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲠᲔᲑᲐ:**

*(**განმარტება მასწავლებლისთვის:** აღნიშნული დავალება სტუდენტს უვითარებს საგადასახადო კოდექსში გადასახადებთან დაკავშირებული ინფორმაციის სწრაფად მოძიების უნარს, ასევე Word-ის დოკუმენტის მარტივი რედაქტირებისა და ელექტრონული კომუნიკაციის უნარებს)*

**დავალების პირობა:** 2.3.2 დანართით მოცემული სავარჯიშოები შეასრულეთ ქვემოთ მოცემული ინსტრუქციის შესაბამისად, წერილობითი ფორმით.

**დავალების შესრულების ინსტრუქცია სტუდენტებისთვის:** დავალება შეინახეთ Word-ის ცალკე დოკუმენტად შემდეგი წესების დაცვით:

1. გახსენით Word-ის ახალი დოკუმენტი და ლათინური შრიფტით დაარქვით „06. Administer of Taxes_Name Surname of Student" („Name Surname of Student"-ს ნაცვლად მიუთითეთ თქვენი სახელი და გვარი);
2. აირჩიეთ შრიფტი - Sylfaen და შრიფტის ზომა - 11.
3. Word-ის დოკუმენტის დასაწყისში, შუა ადგილზე ჩაწერეთ თეორიული ლექციის სათაური;
4. გადმოწერეთ და რიგითობის მიხედვით დანომრეთ თითოეული სავარჯიშო დავალების პირობაში დასახელებული დანართიდან;
5. თითოეული სავარჯიშოს ქვემოთ, აბზაცით ჩაწერეთ პასუხი ამ სავარჯიშოზე;
7. შესრულებული დავალება თქვენი საკუთარი ელ-ფოსტით გამოაგზავნეთ მომდევნო ლექციამდე, ელ-ფოსტაზე: *აქ მასწავლებელმა უნდა ჩაწეროს ელექტრონული ფოსტის მისამართი, სადაც უნდა გამოიგზავნოს დავალება*.

განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტი №2.3

(სასურველია შეივსოს მომდევნო თეორიული ლექციის დასაწყისში)

ამ დამოუკიდებელი მეცადინეობის შედეგები მოწმდება ორი კრიტერიუმის მიხედვით:

**1. სტუდენტმა გადმოაგზავნა დავალება საკუთარი ელ-ფოსტით** (სასურველია შემოწმდეს მომდევნო თეორიულ ლექციამდე);

**2. სტუდენტი პასუხობს დავალებასთან დაკავშირებულ შეკითხვებს** (სასურველია შემოწმდეს მომდევნო თეორიული ლექციის დასაწყისში - თითო სტუდენტს დაუსვით 2-3 მარტივი შეკითხვა, რათა დარწმუნდეთ, რომ დავალება თავისი შესრულებულია).

<table>
<tr><th rowspan="3">№</th><th rowspan="3">სტუდენტის გვარი, სახელი</th><th rowspan="3">დავალების ნომერი და დასახელება</th><th colspan="4">შესრულების კრიტერიუმები</th></tr>
<tr><th colspan="2">დავალება გადმოაგზავნა საკუთარი ელ-ფოსტით</th><th colspan="2">უპასუხა დავალებასთან დაკავშირებულ შეკითხვებს</th></tr>
<tr><th>დიახ</th><th>არა</th><th>დიახ</th><th>არა</th></tr>
<tr><td>1</td><td></td><td>№2.3.2 - გადასახადების ადმინისტრირება</td><td></td><td></td><td></td><td></td></tr>
<tr><td colspan="7">დავალება შესრულებულად ითვლება ორივე კრიტერიუმის დადებითად შეფასების შემთხვევაში</td></tr>
</table>

*(**განმარტება მასწავლებლისთვის:** შესაძლებელია მოცემულ ცხრილს დაუმატოთ იმდენი სტრიქონი, რამდენი სტუდენტიც არის შესაფასებელი და ისე ამობეჭდოთ, ან თითო სტუდენტისთვის ამობეჭდოთ თითო ასეთი ცხრილი).*

## დანართი 2.3.1. კითხვების ბაზა
## (გადასახადები)

1. რა ნიშნებით ხასიათდება საქართველოში გადასახდები?
2. რომელი საკანონმდებლო აქტი არეგულირებს საქართველოში საგადასახადო საქმეს?
3. ჩამოთვალეთ გადასახადის სახეები.
4. ვინ არის საშემოსავლო გადასახადის გადამხდელი?
5. რა არის საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრის ობიექტი?
6. რას ნიშნავს ერთობლივი შემოსავალი და რისგან შედგება?
7. რამდენია საშემოსავლო გადასახადი განაკვეთი?
8. ვინ არის მოგების გადასახადის გადამხდელი?
9. რა არის მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტი?
10. რამდენია მოგების გადასახადი განაკვეთი?
11. დაასახელეთ მოგების გადასახადით დაბეგვრისგან გათავისუფლების შემთხვევები.
12. ვინ არის დამატებული ღირებულების გადასახადის გადამხდელი?
13. რა არის დამატებული ღირებულების გადასახადით დაბეგვრის ობიექტი?
14. რამდენია დამატებული ღირებულების გადასახადის განაკვეთი?
15. დაასახელეთ დამატებული ღირებულების გადასახადით დაბეგვრისგან გათავისუფლების შემთხვევები.
16. ვინ არის აქციზის გადამხდელი?
17. რა არის აქციზით დაბეგვრის ობიექტი?
18. რამდენია აქციზის განაკვეთი?
19. დაასახელეთ აქციზით დაბეგვრისგან გათავისუფლების შემთხვევები.
20. ვინ არის იმპორტის გადასახადის გადამხდელი?
21. რა არის იმპორტის გადასახადით დაბეგვრის ობიექტი?
22. რამდენია იმპორტის გადასახადის განაკვეთი?
23. დაასახელეთ იმპორტის გადასახადისაგან გათავისუფლების შემთხვევები.
24. ვინ არის ქონების გადასახადის გადამხდელი?
25. რა არის ქონების გადასახადით დაბეგვრის ობიექტი?
26. რამდენია ქონების გადასახადის განაკვეთი?
27. დაასახელეთ ქონების გადასახადისაგან გათავისუფლების შემთხვევები.

## დანართი 2.3.2. სავარჯიშოების ბაზა
## (გადასახადები)

1. საქართველოს საგადასახადო კოდექსში იპოვეთ მუხლი/ნაწილი/ქვეპუნქტი სადაც განსაზღვრულია თითოეული გადასახადის გადამხდელი, გადასახადით დაბეგვრის ობიექტი, გადასახადის განაკვეთი და გადასახადისაგან გათავისუფლების შემთხვევები. ნაპოვნი

მუხლის/ნაწილის/ქვეპუნქტის ნომრები შეიტანეთ ქვემოთ მოცემულ ცხრილში „გადასახადების ადმინისტრირების სამახსოვრო“:

## გადასახადების ადმინისტრირების სამახსოვრო

| № | გადასახდელი | მუხლი/ნაწილი/ქვეპუნქტი | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | გადამხდელი | დაბეგვრის ობიექტი | განაკვეთები | შეღავათები |
| 1 | საშემოსავლო გადასახადი | | | | |
| 2 | მოგების გადასახადი | | | | |
| 3 | დღგ | | | | |
| 4 | აქციზი | | | | |
| 5 | იმპორტის გადასახადი | | | | |
| 6 | ქონების გადასახადი | | | | |

2. თქვენს მიერ შერჩეული ბიზნეს-საქმიანობის მიხედვით განსაზღვრეთ რომელი გადასახად(ებ)ის გადამხდელი იქნებით;

3. თქვენს მიერ შერჩეული ბიზნეს-საქმიანობის მიხედვით განსაზღვრეთ გადასახად(ებ)ის რა განაკვეთით დაიბეგრება თქვენს მიერ განხორციელებული ბიზნეს ოპერაცია.

# თავი 2.4. დაბეგვრის შეღავათიანი რეჟიმები (VIII კვირა)

*(მოკლე შინაარსი მეწარმეობის სახელმძღვანელოს[56] 2.4.1-2.4.3 ქვეთავების მიხედვით: მიკრო ბიზნესის არსი და პირობები; მცირე ბიზნესის არსი და პირობები; ფიქსირებული გადასახადის გადამხდელი)*

საათების სავარაუდო განაწილება:
2.4.1. თეორიული - 1 სთ;
2.4.2. პრაქტიკული - 2 სთ;

## 2.4.1. თეორიული მეცადინეობა (1 სთ)



**აქტივობების ზოგადი აღწერა:** პედაგოგი ატარებს ლექციას - სტუდენტებს აცნობს წინა დამოუკიდებელი მეცადინეობისთვის მიცემული დავალების შედეგებს, ხოლო შემდეგ ხსნის ახალ თეორიულ მასალას.

**აქტივობების დეტალური აღწერა:** **პირველი 10-15 წუთი** დაუთმეთ წინა დამოუკიდებელი მეცადინეობის დროს შესრულებელი დავალებების განხილვას - თითოეულ სტუდენტს მიეცით განმარტება რამდენად სწორად აქვს შესრულებული დავალება და დრო დაუთმეთ ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ნაშრომის განხილვას.

**მომდევნო 3-5 წუთი** დაუთმეთ ლექციის შესავალ ნაწილს - ასახსნელი თეორიული მასალის შესახებ ისტორიებს ან/და მაგალითებს, რათა სტუდენტები დაფიქრდნენ დაბეგვრის შეღავათიანი რეჟიმის მნიშვნელობაზე და გაიაზრონ მისი საჭიროება.

შესავალი ნაწილის შემდეგ, პროფესიული სტუდენტისთვის (რომელსაც არც თეორიული და არც პრაქტიკული გამოცდილება არ აქვს ბიზნესში) მაქსიმალურად გასაგები ენით, განმარტეთ შემდეგი საკითხები:

1. რაში მდგომარეობს მიკრო ბიზნესის არსი და პირობები? [57]

---

[56] ***მეწარმეობის სახელმძღვანელო*** *- გზამკვლევში ამ ტერმინით მოხსენიებულია განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებული სტუდენტის სახელმძღვანელო - „მეწარმეობა“.*

[57] *მეწარმეობის სახელმძღვანელოს „2.4.1. მიკრო ბიზნესის არსი და პირობები“ ქვეთავის მიხედვით.*

2. რაში მდგომარეობს მცირე ბიზნესის არსი და პირობები? [58]

3. ვინ არის ფიქსირებული გადასახადის გადამხდელი? [59]

**ა) რეკომენდაციები**



სასურველია:

1. თეორიული მასალა გადმოიცეს პრეზენტაციის მეშვეობით;
2. პრეზენტაციის საწყის სლაიდზე ჩანდეს ამ ქვეთავის ნომერი და სათაური შესაბამის ილუსტრაციასთან ერთად;
3. თითოეულ საკითხს დაეთმოს 1-5 სლაიდი;
4. თითოეულ სლაიდზე ჩანდეს როგორც ტექსტი, ისე ტექსტის შესაბამისი ილუსტრაცია, რომელიც მაქსიმალურად უწყობს ხელს მასალის ათვისებასა და დამახსოვრებას;
5. ბოლოს წინა სლაიდებზე უნდა ჩაიწეროს დამოუკიდებელი მუშაობის ინსტრუქცია და ელექტრონული ფოსტის მისამართი, სადაც სტუდენტებმა უნდა გამოაგზავნონ დამოუკიდებელი მუშაობის დროს შესრულებული მასალა (მაგალითად, მასწავლებლის ელექტრონული ფოსტა);
6. ბოლო სლაიდს დაარქვათ „საკითხავი მასალა“, სადაც ჩაწერეთ ძირითადი საკითხავი მასალის დასახელება (მაგალითად, ტექსტი - „ლექციაზე განხილული სლაიდები“) და დამატებითი საკითხავი ლიტერატურის დასახელება ამ ქვეთავის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

**ბ) ლიტერატურა**



პრეზენტაცია უნდა მომზადეს მეწარმეობის სახელმძღვანელოს შემდეგი ქვეთავების მიხედვით: 2.4.1. მიკრო ბიზნესის არსი და პირობები; 2.4.2. მცირე ბიზნესის არსი და პირობები; 2.4.3. ფიქსირებული გადასახადის გადამხდელი.

**გ) რესურსები**



---

[58] ...მეობის სახელმძღვანელოს „2.4.2. მცირე ბიზნესის არსი და პირობები“ ქვეთავის მიხედვით.

[59] ...წა...მეობის სახელმძღვანელოს „2.4.3. ფიქსირებული გადასახადის გადამხდელი“ ქვეთავის მიხედვით.

კომპიუტერი, პროექტორი, ჰენდაუთი (სლაიდების ამობეჭდილი ვერსია). შესაძლებელია თეორიული მასალის შესაბამისი ვიდეო/აუდიო/ინტერნეტ რესურსის გამოყენება.

## 2.4.2. პრაქტიკული მეცადინეობა (2 სთ)



პრაქტიკული მეცადინეობა ხელს უნდა უწყობდეს თეორიული მეცადინეობის დროს ახსნილი ინფორმაციის განმტკიცებას. მასწავლებელი უნდა დარწმუნდეს, რომ აუდიტორიაში მსხდომმა ყველა სტუდენტმა გაიგო თეორიული მეცადინეობის დროს ახსნილი ინფორმაცია.

ა) **პირველი 5-10 წუთი** დაუთმეთ გონებრივ იერიშს, რათა გაარკვიოთ ხომ არ არის ისეთი საკითხი, რომელიც ვერ გაიგეს სტუდენტებმა თეორიული მასალიდან. სთხოვეთ სტუდენტებს მოიყვანონ მათთვის ცნობილი მაგალითები თეორიულ მასალასთან დაკავშირებით. გონებრივი იერიშისას შეგიძლიათ გამოიყენოთ კითხვები 2.4.1. დანართიდან;

ბ) დავალება №2.4.2 - **დაბეგვრის შეღავათიანი რეჟიმები**: დარჩენილი დროის განმავლობაში სტუდენტებმა წერილობით უნდა შეასრულონ სავარჯიშოები 2.4.2. დანართიდან.

### განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტი №2.4
(სასურველია შეივსოს მომდევნო თეორიულ ლექციამდე)

ამ პრაქტიკული მეცადინეობის შედეგები მოწმდება ორი კრიტერიუმის მიხედვით:

**1. სტუდენტმა უპასუხა მინიმუმ 3 შერჩევით შეკითხვას 2.4.1 დანართიდან** (სასურველია შემოწმდეს ამავე პრაქტიკულ მეცადინეობაზე);

**2. სტუდენტმა შეასრულა მინიმუმ 2 სავარჯიშო 2.4.2 დანართიდან** (სასურველია შემოწმდეს მომდევნო თეორიულ ლექციამდე).

| № | სტუდენტის გვარი, სახელი | დავალების ნომერი და დასახელება | შესრულების კრიტერიუმები | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | სტუდენტმა უპასუხა მინიმუმ 3 შეკითხვას 2.4.1 დანართიდან | | სტუდენტმა შეასრულა მინიმუმ 2 სავარჯიშო 2.4.2 დანართიდან | |
| | | | დიახ | არა | დიახ | არა |
| 1 | | №2.4.2 - დაბეგვრის შეღავათიანი რეჟიმები | | | | |
| **დავალება შესრულებულად ითვლება ორივე კრიტერიუმის დადებითად შეფასების შემთხვევაში** | | | | | | |

***(განმარტება მასწავლებლისთვის:** შესაძლებელია მოცემულ ცხრილს დაუმატოთ იმდენი სტრიქონი, რამდენი სტუდენტიც არის შესაფასებელი და ისე ამობეჭდოთ, ან თითო სტუდენტისთვის ამობეჭდოთ თითო ასეთი ცხრილი).*

## დანართი 2.4.1. კითხვების ბაზა
## (დაბეგვრის შეღავათიანი რეჟიმები)

1. ვის შეიძლება მიენიჭოს მიკრო ბიზნესის სტატუსი?
2. რომელი საკანონმდებლო აქტით რეგულირდება მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე საქმიანობის სახეები?
3. რა შემთხვევაში უქმდება მიკრო ბიზნესის სტატუსი?
4. ვის შეიძლება მიენიჭოს მცირე ბიზნესის სტატუსი?
5. რომელი საკანონმდებლო აქტით რეგულირდება მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე საქმიანობის სახეები?
6. რა შემთხვევაში უქმდება მცირე ბიზნესის სტატუსი?
7. ვინ შეიძლება იყოს ფიქსირებული გადასახადის გადამხდელი?
8. რამდენია ფიქსირებული გადასახადის განაკვეთი საქართველოში?
9. რა შემთხვევაში უქმდება ფიქსირებული გადასახადის სტატუსი?

## დანართი 2.4.2. სავარჯიშოების ბაზა
## (დაბეგვრის შეღავათიანი რეჟიმები)

1. თქვენს მიერ შერჩეული ბიზნეს-საქმიანობის მიხედვით განსაზღვრეთ ისარგებლებთ თუ არა დაბეგვრის შეღავათიანი რეჟიმებით;
2. თუ თქვენს მიერ შერჩეული ბიზნეს-საქმიანობა სარგებლობს დაბეგვრის შეღავათიანი რეჟიმით, განსაზღვრეთ რომელ სახეს განეკუთვნება ეს საქმიანობა;
3. განსაზღვრეთ გადასახადის განაკვეთი/ოდენობა დაბეგვრის შეღავათიანი რეჟიმით სარგებლობის შემთხვევაში.

## თავი 2.5. გადასახადის გადამხდელად რეგისტრაცია (IX კვირა)

*(მოკლე შინაარსი მეწარმეობის სახელმძღვანელოს[60] 2.4.4-2.4.6 ქვეთავების მიხედვით: გადასახადის გადამხდელად აღრიცხვა)*

საათების სავარაუდო განაწილება:
2.5.1. პრაქტიკული - 1 სთ;
2.5.2. პირველი და მეორე სწავლის შედეგების შეფასება - 2 სთ;

### 2.5.1. პრაქტიკული მეცადინეობა (1 სთ)



პრაქტიკული მეცადინეობა ხელს უნდა უწყობდეს თეორიული მეცადინეობის დროს ახსნილი ინფორმაციის განმტკიცებას. მასწავლებელი უნდა დარწმუნდეს, რომ აუდიტორიაში მსხდომმა ყველა სტუდენტმა გაიგო თეორიული მასალა.

სტუდენტებს დაურიგეთ მეწარმეობის სახელმძღვანელოს 2.4.4 ქვეთავის (გადასახადის გადამხდელად აღრიცხვა) მიხედვით წინასწარ ამობეჭდილი მასალა, ბიზნესის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმებიდან, რომელს არეგისტრირებს შემოსავლების სამსახური და რომელს არეგისტრირებს საჯარო რეესტრის ეროვნული სამსახური.

ა) **პირველი 5-10 წუთი** დაუთმეთ გონებრივ იერიშს, რათა გაარკვიოთ რამდენად გაიგეს სტუდენტებმა დარიგებული მასალა. გონებრივი იერიშისას შეგიძლიათ გამოიყენოთ კითხვები 2.5.1. დანართიდან;

ბ) დავალება №2.5.1 - **გადასახადის გადამხდელად რეგისტრაცია**: დარჩენილი დროის განმავლობაში ზეპირად უნდა შეასრულონ 2.5.2. დანართში აღწერილი სავარჯიშო - როლური თამაში.

### განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტი №2.5

(სასურველია შეივსოს მომდევნო თეორიულ ლექციამდე)

---

[60] ***მეწარმეობის სახელმძღვანელო*** *- გზამკვლევში ამ ტერმინით მოხსენიებულია განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებული სტუდენტის სახელმძღვანელო - „მეწარმეობა“.*

ამ პრაქტიკული მეცადინეობის შედეგები მოწმდება ორი კრიტერიუმის მიხედვით:

**1. სტუდენტმა უპასუხა მინიმუმ 3 შერჩევით შეკითხვას 2.5.1 დანართიდან** (სასურველია შემოწმდეს ამავე პრაქტიკულ მეცადინეობაზე);

**2. სტუდენტმა 2.5.2 დანართით მოცემულ სავარჯიშოში წარმატებით შეასრულა ერთ-ერთი როლი** (სასურველია შემოწმდეს იმავე თეორიულ ლექციამდე).

<table>
<tr><th rowspan="3">№</th><th rowspan="3">სტუდენტის გვარი, სახელი</th><th rowspan="3">დავალების ნომერი და დასახელება</th><th colspan="4">შესრულების კრიტერიუმები</th></tr>
<tr><th colspan="2">სტუდენტმა უპასუხა მინიმუმ 3 შეკითხვას 2.5.1 დანართიდან</th><th colspan="2">სტუდენტმა 2.5.2 დანართით მოცემულ სავარჯიშოში წარმატებით შეასრულა ერთ-ერთი როლი</th></tr>
<tr><th>დიახ</th><th>არა</th><th>დიახ</th><th>არა</th></tr>
<tr><td>1</td><td></td><td>№2.4.2 - დაბეგვრის შეღავათიანი რეჟიმები</td><td></td><td></td><td></td><td></td></tr>
<tr><td colspan="7">დავალება შესრულებულად ითვლება ორივე კრიტერიუმის დადებითად შეფასების შემთხვევაში</td></tr>
</table>

*(**განმარტება მასწავლებლისთვის:** შესაძლებელია მოცემულ ცხრილს დაუმატოთ იმდენი სტრიქონი, რამდენი სტუდენტიც არის შესაფასებელი და ისე ამობეჭდოთ, ან თითო სტუდენტისთვის ამობეჭდოთ თითო ასეთი ცხრილი).*

# 2.5.2. სწავლის შედეგი 1 - განმსაზღვრელი შეფასება (1 სთ)

| | |
|---|---|
| მოდული: | **მეწარმეობა** |
| სწავლის შედეგი/შესრულების კრიტერიუმი | **სწავლის შედეგი 1-ის პირველი კრიტერიუმი:**<br>1. სწორად განმარტავს სამეწარმეო (ეკონომიკური) საქმიანობის არსსა და სფეროებს. |
| შეფასების მიმართულება: | გამოკითხვა |
| შეფასების ინსტრუმენტი | ტესტი |
| **აღწერა** | სუტდენტს უტარდება ტესტირება. ტესტი შედგება 5 კითხვისაგან, რისთვისაც ეძლევა 30 წუთი. ტესრირება ტარდება აუდიტორიაში.<br>სტუდენტმა უნდა დაწეროს ან შემოხაზოს სწორი პასუხი. |
| **შინაარსი** | 1. განმარტეთ სამეწარმეო საქმიანობის არსი<br>--------------------------------------------------------------------------------<br>-----------------------------------------------------------<br>2. მეწარმეობა არის ბიზნესი.<br>დიახ/არა<br>3. სამეწარმეო საქმიანობის სფეროებია (შემოხაზეთ არასწორი პასუხი):<br>• მომპოვებლობითი მრეწველობა<br>• სოფლის მეურნეობა<br>• საბანკო / საფინანსო მომსახურება<br>• გადამამუშავებელი მრეწველობა<br>4. ჩამოთვლილთაგან შემოხაზეთ მომსახურების სფერო:<br>• სადაზღვეო კომპანია - ირაო<br>• ზარამბო<br>• კულა<br>• საქართველოს ბანკი<br>• მიკროსაფინანსო ორგანიზაცია-კრედო<br>5. ნედლეული არის მასალა, რომელიც საჭიროა რაიმე პროდუქციის დასამზადებლად.<br>დიახ/არა<br>6. სწორია თუ არა განმარტება: კონკურენცია არის შეთანხმებული მეწარმეობა ეკონომიკაში.<br>დიახ/არა |
| **მტკიცებულება** | შევსებული ტესტი |
| **შეფასების სქემა** | სტუდენტი დადებითად შეფასებულად ჩაითვლება იმ შეთხვევაში, თუ ის გასცემს სწორ პასუხს შემდეგ კითხვებს: 1, 2, 5 |

სწავლის შედეგი 1

| მოდული: | **მეწარმეობა** |
|---|---|
| სწავლის შედეგი/შესრულების კრიტერიუმი | **სწავლის შედეგი 1 -ის 2-7 კრიტერიუმები:**<br>2. სწორად აფასებს საკუთარ ძლიერ და სუსტ მხარეებს<br>3. დასაბუთებულად აყალიბებს ბიზნესის იდეას<br>4. ადეკვატურად აღწერს ბიზნეს-იდეის განხორციელებასთან დაკავშირებულ რისკებს<br>5. ბიზნესის სპეციფიკის გათვალისწინებით, სწორად უკეთებს იდენტიფიცირებას საჭირო ლიცენზიებს/ნებართვებს/სერტიფიკატებს.<br>6. სწორად ასაბუთებს გადაწყვეტილებას საწარმოს ადგილმდებარეობასთან დაკავშირებით<br>7. სწორად ახორციელებს ბაზრის კვლევას |
| შეფასების მიმართულება: | პროდუქტის/შედეგის შეფასება |
| შეფასების ინსტრუმენტი | პროექტი |
| აღწერა | მოდულის განხორციელების განმავლობაში სტუდენტი დამოუკიდებელ საათებზე ქმნის სხვადასხვა სახის წერილობით დოკუმენტს რაც გროვდება სტუდენტის პორტფოლიოში და გამოიყენება მოცემული სწავლის შედგის შეფასების კრიტერიუმების მიხედვით სტუდენტის კომპეტენციების დასადასტურებლად. სტუდენტს საშუალება ეძლევა შეფასებამდე შეცვალოს/გააუმჯობესოს მის მიერ შემუშავებული დოკუმენტაცია.<br>შეფასების მიზანია შემოწმდეს სტუდენტის მიერ წარმოდგენილი ნაშრომის საკმარისობა და ავთენტურობა კრიტერიუმების მიხედვით კომპეტენციათა დასადასტურებლად.<br>შეფასება ხორციელდება სასწავლო აუდიტორიაში, შესაფასებელი პირის თანდასწრებით.<br>შეფასებისათვის გამოყოფილი დროა 30 წუთი.<br>საჭიროების შემთხვევაში შემფასებელი იყენებს ზეპირ შეკითხვებს. ზეპირი კითხვების მიზანია დაადგინოს წარმოდგენილი ნასრომის ავთენტურობა, ხოლო არასაკმარისობის შემთხვევაში უზრუნველყოს დამატებითი მტკიცებულებების მოპოვება. ამ შემთხვევაში შეიქმნება დამატებითი მტკიცებულება მასწავლებლის ჩანაწერების სახით.<br>შეფასების პროცესში სტუდენტს უფლება აქვს გამოიყენოს საკუთარი სამუშაო ჩანაწერები და ჩაბარებული მტკიცებულება ან მისი ასლი, კონსპექტები, სახელმძღვანელო, კალკულატორი. |
| შინაარსი | **შეფასების კრიტერიუმების მიხედვით მოწმდება სტუდენტის მიერ შექმნილი შემდეგი დოკუმენტები:**<br>მე-2 კრიტერიუმისათვის- სტუდენტის ძლიერი და სუსტი მხარეების ჩამონათვალი(3-6 თვისება)<br>მე-3 კრიტერიუმისთვის-ბიზნეს-იდეის არანაკლებ ნახევარ გვერდიანი დასაბუთება<br>მე-4 კრიტერიუმისათვის- ბიზნეს - იდეის განხორციელებასთან დაკავშრებული რისკების არანაკლებ ერთ გვერდიანი დასაბუთება |

| | |
|---|---|
| | მე-5 კრიტერიუმისათვის-ბიზნეს-იდეის განხორციელებასთან დაკავშირებული საჭირო ნებართვის, ლიცენზიის ან სერტიფიკატის ჩამონათვალი<br>მე-6 კრიტერიუმისათვის-საწარმოს მდებარეობის არანაკლებ ნახევარ გვერდიანი დასაბუთება<br>მე-7 კრიტერიუმისათვის-სტუდენტის მიერ შევსებული მარტივი კვლევის ანკეტა, არანაკლებ 20 გამოკითხული პირი. |
| **მტკიცებულება** | სტუდენტის პორტფოლიო და საჭიროების შემთხვევაში  მასწავლებლის ჩანაწერები. |
| **შეფასების სქემა** | სტუდენტი დადებითად შეფასდება, თუ ყველა კრიტერიუმის მიხედვით წარმოდგენილი იქნება საკმარისი, ავთენტური მტკიცებულება და არსებობის შემთხვევაში, ზეპირ შეკითხვებზე გაცემული იქნება დამაკმაყოფილებელი პასუხი. მხოლოდ ზეპირი შეკითხვების საფუძველზე სტუდენტის დადებითად შეფასება დაუშვებელია. |

# 2.5.3. სწავლის შედეგი 2 - განმსაზღვრელი შეფასება (1 სთ)

| | |
|---|---|
| მოდული: | **მეწარმეობა** |
| სწავლის შედეგი/შესრულების კრიტერიუმი | **სწავლის შედეგი 2-ის 1, 3, 5-7 კრიტერიუმები**<br>1. სწორად აღწერს მეწარმე-სუბიექტების უპირატესობებსა და ნაკლოვანებებს;<br>3. სწორად აღწერს ბიზნესის რეგისტრაციის პროცედურას მისი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის გათვალისწინებით;<br>5. საგადასახადო კოდექსის შესაბამისად, განმარტავს გადასახადების სახეებს, მათ განაკვეთებს და გადასახადისაგან განთავისუფლების პირობებს;<br>6. საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად, განმარტავს დაბეგვრის შეღავათიან რეჟიმებს;<br>7. კანონმდებლობის შესაბამისად, აღწერს გადასახადის გადამხდელად რეგისტრაციის პროცედურას. |
| შეფასების მიმართულება: | გამოკითხვა |
| შეფასების ინსტრუმენტი | ტესტი |
| აღწერა | ტესტი ტარდება აუდიტორიაში, ტესტირების ჩატარების ხანგრძლივობა 40 წუთი |
| შინაარსი | **ტესტი მოიცავს 4 დახურულ და 4 ღია კითხვას:**<br>1. ჩამოთვლილთაგან ბიზნესის რომელი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმები არსებობს საქართველოში:<br>ა. ინდივიდუალური მეწარმე ;<br>ბ. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება;<br>გ. სააქციო საზოგადოება;<br>დ. ყველა პასუხი სწორეა;<br>2. ჩამოთვლილთაგან რომელი გადასახადის სახეები მოქმედებს საქართველოში:<br>ა. მოგებისადა ქონების გადასახადი;<br>ბ. საშემოსავლო გადასახადი და აქციზი;<br>გ. დღგ, საშემოსავლო გადასახადი ქონების გადასახადი, მოგების გადასახადი, აქციზი და საიმპირტო გადასახადი;<br>3. საშემოსავლო გადასახადის განაკვეთია:<br>ა. 20%;<br>ბ. 18%;<br>გ. 15%<br>4. ფიქსირებული გადასახადის განაკვეთი საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული საქმიანობის სახეების მიხედვით შეიძლება იყოს:<br>ა) დაბეგვრის ობიექტზე – 1 ლარიდან 2000 ლარის ფარგლებში;<br>ბ) დასაბეგრი საქმიანობიდან მიღებული შემოსავლის 3 პროცენტი.<br>გ) ორივე პასუხი სწორია; |

| | |
|---|---|
| | 5. დაასახელეთ აქციზით დაბეგვრისგან გათავისუფლების მინიმუმ 3 შემთხვევა:<br><br>6. დაასახელეთ ქონების გადასახადისგან გათავისუფლების მინიმუმ 3 შემთხვევა:<br><br>7. დაასახელეთ ვინ არის დამატებული ღირებულების გადასახადის მინიმუმ 3 შემთხვევა:<br><br>8. აღწერეთ ინდივიდუალური მეწარმის რეგისტრაციის პროცედურა: |
| მტკიცებულება | შევსებული პასუხების ფურცელი |
| შეფასების სქემა | სტუდენტი დადებითად შეფასდება, თუ მოცემული 8 კითხვიდან სწორი პასუხი გაეცემა არანაკლებ 5-ს. |

სწავლის შედეგი 2

| მოდული: | მეწარმეობა |
|---|---|
| სწავლის შედეგი/შესრულების კრიტერიუმი | სწავლის შედეგი 2-ის 2, 4 კრიტერიუმები:<br><br>2. ბიზნესის სპეციფიკის გათვალისწინებით, სწორად ასაბუთებს შერჩეული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიზანშეწონილობას;<br>4. ბიზნესის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის შესაბამისად, ამზადებს სარეგისტრაციო დოკუმენტაციას. |
| შეფასების მიმართულება: | პროდუქტის შედეგის შეფასება |
| შეფასების ინსტრუმენტი | პროექტი |
| აღწერა | მოდულის განხორციელების განმავლობაში სტუდენტი დამოუკიდებელ და პრაქტიკულ საათებზე ქმნის ორი სახის წერილობით დოკუმენტს, რაც გროვდება სტუდენტის პორტფოლიოში და გამოიყენება მოცემული სწავლის შედგის შეფასების კრიტერიუმების მიხედვით სტუდენტის კომპეტენციების დასადასტურებლად. სტუდენტს საშუალება ეძლევა შეფასებამდე შეცვალოს/გააუმჯობესოს მის მიერ შემუშავებული დოკუმენტაცია.<br>შეფასების მიზანია შემოწმდეს სტუდენტის მიერ წარმოდგენილი ნაშრომის საკმარისობა და ავთენტურობა კრიტერიუმების მიხედვით კომპეტენციათა დასადასტურებლად.<br>შეფასება ხორციელდება სასწავლო აუდიტორიაში, შესაფასებელი პირის თანდასწრებით. |

| | |
|---|---|
| | შეფასებისათვის გამოყოფილი დროა   1 სთ.<br>საჭიროების შემთხვევაში შემფასებელი იყენებს ზეპირ შეკითხვებს. ზეპირი შეკითხვების მიზანია დაადგინოს წარმოდგენილი ნასრომის ავთენტურობა, ხოლო არასაკმარისობის შემთხვევაში უზრუნველყოს დამატებითი მტკიცებულებების მოპოვება. ამ შემთხვევაში შეიქმნება დამატებითი მტკიცებულება მასწავლებლის ჩანაწერების სახით.<br>შეფასების პროცესში სტუდენტს უფლება აქვს გამოიყენიოს საკუთარი სამუშაო ჩანაწერები და ჩაბარებული მტკიცებულება ან მისი ასლი. |
| შინაარსი | შეფასების კრიტერიუმების მიხედვით მოწმდება სტუდენტის მიერ შექმნილი შემდეგი დოკუმენტები:<br><br>პირველი კრიტერიუმისთვის-  ბიზნეს-პროექტის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის არჩევა და არჩევანის დასაბუთება, თუ რატომ აირჩია მან ესა , თუ ის ფორმა. მეწარმე სუბიექტის უპირატესობებისა და ნაკლოვანებების განსაზღვრა .<br>ნამუშევრი უნდა იყოს არანაკლებ ნახევარგვერდიანი.სტუდენტმა დამოუკიდებლად შეარჩიოს  მისთვის სასურველი ბიზნეს-პროექტის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა, მოიტანოს მინიმუმ ნახევარგვერდიანი დასაბუთება წერილობითი ფორმით. განსაზღვროს მეწარმე-სუბიექტის უპირატესობები და ნაკლოვანებები. დავალების პრეზენტაცია უნდა მოხდეს შემდეგ საკონტაქტო საათზე.<br><br>მე-2 კრიტერიუმისათვის- მასწავლებელი სტუდენტს აძლევს პრაქტიკულ სავარჯიშოს.<br><br>სტუდენტმა უნდა შექმნას მისთვის სასურველი ბიზნესის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა, დაარქვას სახელი, გაიაროს რეგისტრაციის პროცედურები და შეავსოს სარეგისტრაციო დოკუმენტები, პარტნიორთა კრების ოქმის შაბლონი  და წარმოადგინოს წერილობითი სახით. |
| მტკიცებულება | სტუდენტის პორტფოლიო და საჭიროების შემთხვევაში-  მასწავლებლის ჩანაწერები. |
| შეფასების სქემა | სტუდენტი დადებითად შეფასდება, თუ ყველა კრიტერიუმის მიხედვით წარმოდგენილი იქნება საკმარისი, ავთენტური მტკიცებულება და არსებობის შემთხვევაში, ზეპირ შეკითხვებზე გაცემული იქნება დამაკმაყოფილებელი პასუხი. მხოლოდ ზეპირი შეკითხვების საფუძველზე სტუდენტის დადებითად შეფასება დაუშვებელია. |

## დანართი 2.5.1. კითხვების ბაზა (გადასახადის გადამხდელად რეგისტრაცია)

1. რას გულისხმობს გადასახადის გადამხდელად აღრიცხვა?
2. ვის უნდა მიმართოს პირმა გადასახადის გადამხდელად აღრიცხვისათვის?
3. ვინ ექვემდებარება გადასახადის გადამხდელად აღრიცხვას?
4. რა პროცედურებია საჭირო გადასახადის გადამხდელად აღრიცხვაზე დადგომისათვის?
5. რა დოკუმენტი გაიცემა გადასახადის გადამხდელად აღრიცხვაზე დადგომისას?

## დანართი 2.5.2. სავარჯიშოების ბაზა (გადასახადის გადამხდელად რეგისტრაცია)

სწავლების მეთოდი როლური თამაში - გადასახადის გადამხდელად რეგისტრაცია:

სტუდენტები დაყავით 2 თანაბარ ჯგუფად - ჯერ ერთი ჯგუფი განასახიერებს შემოსავლების სამსახურის თანამშრომლის როლს (შემოსავლების სამსახურის რეგისტრატორი) და მეორე ჯგუფი იქნება გადასახადის გადამხდელი (ერთი „რეგისტრატორი" გაესაუბრება ერთ „გადამხდელს"), ხოლო შემდეგ ჯგუფები გაცვლიან როლებს.

„გადამხდელმა" უნდა უთხრას „შემოსავლების სამსახურის რეგისტრატორს", თუ რომელ ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის ბიზნესის დარეგისტრირება სურს.

ა) თუ „შემოსავლების სამსახურის რეგისტრატორი" ჩათვლის [61], რომ „გადამხდელის" მიერ დასახელებული ბიზნესის რეგისტრაცია განეკუთვნება შემოსავლების სამსახურის კომპეტენციას, გამოკითხოს გადამხდელი:

1. ფიზიკური პირია თუ დასარეგისტრირებელი იურიდიული პირის დამფუძნებელი?
2. თუ ფიზიკური პირის წარმომადგენელია, აქვს თუ არა ამ ფიზიკური პირის ნოტარიულად დამოწმებული ხელმოწერა და მინდობილობა?
3. თუ დასარეგისტრირებელი იურიდიული პირის წარმომადგენელია, აქვს თუ არა დამფუძნებლი(ები)ს ნოტარიულად დამოწმებული ხელმოწერები და მინდობილობა?

ბ) თუ „შემოსავლების სამსახურის რეგისტრატორი" ჩათვლის, რომ „გადამხდელის" მიერ დასახელებული ბიზნესის რეგისტრაცია არ განეკუთვნება შემოსავლების სამსახურის კომპეტენციას, გააგზავნოს „გადამხდელი" საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში.

[61] *მეწარმეობის სახელმძღვანელოს „2.4.4 გადასახადის გადამხდელად აღრიცხვა" ქვეთავის მიხედვით.*

# სწავლის შედეგი 3: ბიზნესის ორგანიზება (17 სთ)

## თავი 3.1. საწარმოო რესურსები, წარმოების ფაქტორები და მათი კლასიფიკაცია (X კვირა)

*(მოკლე შინაარსი მეწარმეობის სახელმძღვანელოს[62] 3.1.1-3.1.3, 3.1.5-3.1.6 და 3.2.1 ქვეთავების მიხედვით: საწარმოო რესურსების არსი და სახეები; ბუნებრივი რესურსები; ადამიანური რესურსები; წარმოების ფაქტორების არსი და კლასიფიკაცია)*

საათების სავარაუდო განაწილება:
3.1.1. თეორიული - 2 სთ;
3.1.2. პრაქტიკული - 1 სთ;
3.1.3. დამოუკიდებელი - 2 სთ.

3.1.1. თეორიული მეცადინეობა (2 სთ)



**აქტივობების ზოგადი აღწერა:** მიმოიხილეთ პირველი და მეორე სწავლის შედეგების განმსაზღვრელი შეფასებისას დაშვებული შეცდომები, ხოლო შემდეგ ახსენით ახალი თეორიული მასალა.

**აქტივობების დეტალური აღწერა:** პირველი 10-15 წუთი - დაუთმეთ პირველი და მეორე სწავლის შედეგების განმსაზღვრელი შეფასების განხილვას ამ შეფასებისათვის დადგენილი ინსტრუმენტის მიხედვით. თითოეულ სტუდენტს მიუთითეთ, თუ რა შეცდომა დაუშვა და მიეცით კონკრეტული რეკომენდაციები მათ გამოსასწორებლად.

მომდევნო 3-5 წუთი დაუთმეთ ლექციის შესავალ ნაწილს: ასახსნელი თეორიული მასალის შესახებ ისტორიებს ან/და მაგალითებს, რათა სტუდენტები დაფიქრდნენ, თუ რა სახის საწარმოო რესურსები არსებობს და რა მნიშვნელობა აქვს თითოეულ მათგანს წარმოებისთვის.

---

[62] ***მეწარმეობის სახელმძღვანელო*** *- გზამკვლევში ამ ტერმინით მოხსენიებულია განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებული სტუდენტის სახელმძღვანელო - „მეწარმეობა“.*

შესავალი ნაწილის შემდეგ, პროფესიული სტუდენტისთვის (რომელსაც არც თეორიული და არც პრაქტიკული გამოცდილება არ აქვს ბიზნესში) მაქსიმალურად გასაგები ენით, განმარტეთ შემდეგი საკითხები:

1. რა სახის საწარმოო რესურსები არსებობს და რა როლი უჭირავს თითოეულ მათგანს წარმოებაში? [63]

2. რა ბუნებრივი რესურსები არსებობს და რა კავშირი აქვს წარმოებასთან? [64]

3. რა არის ადამიანური რესურსი, რა არის კაპიტალური რესურსი და რა კავშირი აქვს თითოეულ მათგანს წარმოებასთან? [65]

4. წარმოების რა ფაქტორებს განარჩევენ? [66]

**ა) რეკომენდაციები**



სასურველია:

1. თეორიული მასალა გადმოიცეს პრეზენტაციის მეშვეობით;
2. პრეზენტაციის საწყის სლაიდზე ჩანდეს ამ ქვეთავის ნომერი და სათაური შესაბამის ილუსტრაციასთან ერთად;
3. თითოეულ საკითხს დაეთმოს 1-5 სლაიდი;
4. თითოეულ სლაიდზე ჩანდეს როგორც ტექსტი, ისე ტექსტის შესაბამისი ილუსტრაცია, რომელიც მაქსიმალურად უწყობს ხელს მასალის ათვისებასა და დამახსოვრებას;
5. ბოლოს წინა სლაიდებზე უნდა ჩაიწეროს დამოუკიდებელი მუშაობის ინსტრუქცია და ელექტრონული ფოსტის მისამართი, სადაც სტუდენტებმა უნდა გამოაგზავნონ დამოუკიდებელი მუშაობის დროს შესრულებული მასალა (მაგალითად, მასწავლებლის ელექტრონული ფოსტა);
6. ბოლო სლაიდს დაარქვათ „საკითხავი მასალა“, სადაც ჩაწერეთ ძირითადი საკითხავი მასალის დასახელება (მაგალითად, ტექსტი - „ლექციაზე განხილული სლაიდები“) და დამატებითი საკითხავი ლიტერატურის დასახელება ამ ქვეთავის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

---

[63] *მეწარმეობის სახელმძღვანელოს „3.1.1. საწარმოო რესურსების არსი და სახეები“ ქვეთავის მიხედვით.*

[64] *მეწარმეობის სახელმძღვანელოს „3.1.2. ბუნებრივი რესურსები“ ქვეთავის მიხედვით.*

[65] *მეწარმეობის სახელმძღვანელოს „3.1.3. ადამიანური რესურსები“ ქვეთავის მიხედვით.*

[66] *მეწარმეობის სახელმძღვანელოს „3.2.1. წარმოების ფაქტორების არსი და კლასიფიკაცია“ ქვეთავის მიხედვით.*

ბ) ლიტერატურა



სასურველია პრეზენტაცია მომზადდეს მეწარმეობის სახელმძღვანელოს შემდეგი ქვეთავების მიხედვით: 3.1.1. საწარმოო რესურსების არსი და სახეები; 3.1.2. ბუნებრივი რესურსები; 3.1.3. ადამიანური რესურსები; 3.2.1. წარმოების ფაქტორების არსი და კლასიფიკაცია.

გ) რესურსები



კომპიუტერი, პროექტორი, ჰენდაუთი (სლაიდების ამობეჭდილი ვერსია). შესაძლებელია თეორიული მასალის შესაბამისი ვიდეო/აუდიო/ინტერნეტ რესურსის გამოყენება.

## 3.1.2. პრაქტიკული მეცადინეობა (1 სთ)



პრაქტიკული მეცადინეობა ხელს უნდა უწყობდეს თეორიული მეცადინეობის დროს ახსნილი ინფორმაციის განმტკიცებას. მასწავლებელი უნდა დარწმუნდეს, რომ აუდიტორიაში მსხდომმა ყველა სტუდენტმა გაიგო თეორიული მეცადინეობის დროს ახსნილი ინფორმაცია.

ა) **პირველი 5-10 წუთი** დაუთმეთ გონებრივ იერიშს, რათა გაარკვიოთ ხომ არ არის ისეთი საკითხი, რომელიც ვერ გაიგეს სტუდენტებმა თეორიული მასალიდან. სთხოვეთ სტუდენტებს მოიყვანონ მათთვის ცნობილი მაგალითები თეორიულ მასალასთან დაკავშირებით. გონებრივი იერიშისას შეგიძლიათ გამოიყენოთ კითხვები 3.1.1. დანართიდან;

ბ) სტუდენტებს მიეცით პრაქტიკული სავარჯიშო - **„საწარმოო რესურსების შერჩევა“**. სტუდენტები დაყავით სამ ჯგუფად. თითოეულ ჯგუფში უნდა დანაწილდეს ფუნქციები. კერძოდ, თითოეულ ჯგუფს უნდა ჰყავდეს:

- მენეჯერი - პირი, რომელიც იძლევა დავალებებს და სვამს კითხვებს ჯგუფის წევრებისგან საჭირო ინფორმაციის რაც შეიძლება მოკლე დროში მისაღებად;
- მდივანი - ოფისის მენეჯერი, ანუ პირი, რომელიც აკეთებს საჭირო ჩანაწერებს ჯგუფის ეფექტური მუშაობისთვის.

მენეჯერის და მდივანის არჩევა ხდება შემდეგი წესით: თითოეული წევრი ამბობს თავის სახელს ჯერ მენეჯერის, ხოლო შემდეგ მდივანის „ვაკანსიაზე“, ხოლო დანარჩენები ხელის აწევით აძლევენ ხმას სასურველ კანდიდანტს.

მენეჯერი სთხოვს ჯგუფის წევრებს დაასახელონ თითო ყველაზე კარგი ბიზნეს-იდეა რაც კი ოდესმე მოუფიქრებიათ;

ჯგუფის მდივანი იწერს დასახელებულ იდეებს და როდესაც ყველა წევრის მიერ დაასახელებულ იდეას ჩაიწერს, იწყება კენჭისყრა: მდივანი ზეპირად ან წერილობით ასახელებს თითო ჩაწერილ იდეას და ჯგუფის წევრები ხელის აწევით აძლევენ ხმას სასურველ იდეას. რომელი ბიზნეს-იდეაც მეტ ხმას დააგროვებს (ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადაწყვეტილებას იღებს მენეჯერი), იმ იდეას ცალკე ფურცელზე, ფურცლის ზედა ნაწილში გადმოიწერს მდივანი.

მენეჯერი სთხოვს ჯგუფის წევრებს დაასახელონ ამ იდეის განხორციელებისთვის საჭირო მინიმალური საწარმოო რესურსები.

მდივანი არჩეული ბიზნეს-იდეის ქვემოთ ჩამოწერს ყველა რესურსს, რასაც ჯგუფის წევრები დაასახელებენ.

პრაქტიკული მეცადინეობის ბოლო 15 წუთი ეთმობა პრეზენტაციებს - თითო ჯგუფს ეძლევა 5 წუთი წარმოადგინოს ჯგუფის მიერ შერჩეული ბიზნეს-იდეა მისი განხორციელებისათვის საჭირო მინიმალურ საწარმოო ფაქტორებთან ერთად.

## 3.1.3. დამოუკიდებელი მეცადინეობა (2 სთ)



### დავალება №3.1.3 - საწარმოო რესურსების შერჩევა:

*(**განმარტება მასწავლებლისთვის:** აღნიშნული დავალება სტუდენტს უვითარებს თავის მიერ შერჩეული ბიზნეს-იდეის განხორცილებისთვის აუცილებელი საწარმოო რესურსების შერჩევის უნარს, ასევე Word-ის დოკუმენტის მარტივი რედაქტირებისა და ელექტრონული კომუნიკაციის უნარებს)*

**დავალების პირობა:** 3.1.2 დანართით მოცემული სავარჯიშოები შეასრულეთ ქვემოთ მოცემული ინსტრუქციის შესაბამისად, წერილობითი ფორმით (არანაკლებ ერთი გვერდი).

**დავალების შესრულების ინსტრუქცია სტუდენტებისთვის:** დავალება შეინახეთ Word-ის ცალკე დოკუმენტად შემდეგი წესების დაცვით:

1. გახსენით Word-ის ახალი დოკუმენტი და ლათინური შრიფტით დაარქვით „07.Selection of Manufacturing Resources _Name Surname of Student“ („Name Surname of Student“-ს ნაცვლად მიუთითეთ თქვენი სახელი და გვარი);
2. აირჩიეთ შრიფტი - Sylfaen და შრიფტის ზომა - 11.
3. Word-ის დოკუმენტის დასაწყისში, შუა ადგილზე ჩაწერეთ თეორიული ლექციის სათაური;
4. გადმოწერეთ და რიგითობის მიხედვით დანომრეთ თითოეული სავარჯიშო დავალების პირობაში დასახელებული დანართიდან;
5. თითოეული სავარჯიშოს ქვემოთ, აბზაცით ჩაწერეთ პასუხი ამ სავარჯიშოზე;
7. შესრულებული დავალება თქვენი საკუთარი ელ-ფოსტით გამოაგზავნეთ მომდევნო ლექციამდე, ელ-ფოსტაზე: *აქ მასწავლებელმა უნდა ჩაწეროს ელექტრონული ფოსტის მისამართი, სადაც უნდა გამოიგზავნოს დავალება*.

## განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტი №3.1

(სასურველია შეივსოს მომდევნო თეორიული ლექციის დასაწყისში)

ამ დამოუკიდებელი მეცადინეობის შედეგები მოწმდება ორი კრიტერიუმის მიხედვით:

**1. სტუდენტმა გადმოაგზავნა თუ არა დავალება საკუთარი ელ-ფოსტით** (სასურველია შემოწმდეს მომდევნო თეორიულ ლექციამდე);

**2. სტუდენტი პასუხობს თუ არა დავალებასთან დაკავშირებულ შეკითხვებს** (სასურველია შემოწმდეს მომდევნო თეორიული ლექციის დასაწყისში - თითო სტუდენტს დაუსვით 2-3 მარტივი შეკითხვა, რათა დარწმუნდეთ, რომ დავალება თავისი შესრულებულია).

| № | სტუდენტის გვარი, სახელი | დავალების ნომერი და დასახელება | შესრულების კრიტერიუმები | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | დავალება გადმოაგზავნა საკუთარი ელ-ფოსტით | | უპასუხა დავალებასთან დაკავშირებულ შეკითხვებს | |
| | | | დიახ | არა | დიახ | არა |
| 1 | | №3.1.3 - საწარმოო რესურსების შერჩევა | | | | |
| დავალება შესრულებულად ითვლება ორივე კრიტერიუმის დადებითად შეფასების შემთხვევაში | | | | | | |

*(**განმარტება მასწავლებლისთვის:** შესაძლებელია მოცემულ ცხრილს დაუმატოთ იმდენი სტრიქონი, რამდენი სტუდენტიც არის შესაფასებელი და ისე ამობეჭდოთ, ან თითო სტუდენტისთვის ამობეჭდოთ თითო ასეთი ცხრილი).*

## დანართი 3.1.1. კითხვების ბაზა
## (საწარმოო რესურსები)

1. რა სახის საწარმოო რესურსები არსებობს?
2. რომელი რესურსები ითვლება ბუნებრივ რესურსებად? მოკლედ დაახასიათედ თითოეული მათგანი.
3. რას იგულისხმება ადამიანურ რესურსში?
4. რა არის კაპიტალური რესურსი?
5. წარმოების რა ფაქტორებს განარჩევენ?
6. რას გულისხმობს შრომა, როგორც წარმოების ფაქტორი?
7. რას გულისხმობს მიწა, როგორც წარმოების ფაქტორი?
8. რას გულისხმობს კაპიტალი, როგორც წარმოების ფაქტორი?
9. რა თავისებურებებით ხასიათდება წარმოების თითოეული ფაქტორი?

## დანართი 3.1.2. სავარჯიშოების ბაზა
## (საწარმოო რესურსები)

1. დაასახელეთ თქვენი აზრით ყველაზე მომგებიანი ერთი ბიზნეს-იდეა და ჩამოწერეთ ამ იდეის განხორციელებისთვის საჭირო მინიმალური საწარმოო რესურსები.
2. გადახედეთ ჩამოწერილ საწარმოო რესურსებს და უპასუხეთ კითხვას - თქვენს მიერ აღწერილი ბიზნესისთვის წარმოების რომელი ფაქტორია ყველაზე აუცილებელი - შრომა, მიწა თუ კაპიტალი? დაასაბუთეთ რატომ.

## თავი 3.2. ტექნოლოგიური პოცესი, მასალა, ნედლეული და მათი ბაზრები (XI კვირა)

*(მოკლე შინაარსი მეწარმეობის სახელმძღვანელოს [67] 3.1.4, 3.2.2-3.2.4 ქვეთავების მიხედვით: ტექნოლოგიური პროცესი; სამეურნეო საშუალებები)*

საათების სავარაუდო განაწილება:
3.2.1. თეორიული - 1 სთ;
3.2.2. პრაქტიკული - 2 სთ;
3.2.3. დამოუკიდებელი - 2 სთ.

### 3.2.1. თეორიული მეცადინეობა (1 სთ)



**აქტივობების ზოგადი აღწერა:** წინა დამოუკიდებელი მეცადინეობისთვის მიცემული დავალება შეამოწმეთ ამ დავალებისათვის დადგენილი შეფასების ინსტრუმენტის მიხედვით, ხოლო შემდეგ ახსენით ახალი თეორიული მასალა.

**აქტივობების დეტალური აღწერა:** **პირველი 10-15 წუთი** - დაუთმეთ დავალების შემოწმებას ამ დავალებისათვის დადგენილი შეფასების ინსტრუმენტის მიხედვით. ამ მიზნით, სტუდენტებს ჯერ გააცანით ინფორმაცია, თუ ვინ გამოაგზავნა დავალება საკუთარი ელ-ფოსტით, ხოლო შემდეგ თითო სტუდენტს დაუსვით დავალებასთან დაკავშირებული 2-3 შეკითხვა, რათა დარწმუნდეთ, რომ დავალება ნამდვილად ამ სტუდენტის შესრულებულია და არ არის გადმოწერილი სხვისგან. თითოეულ სტუდენტს მიუთითეთ, თუ რა შეცდომა დაუშვა და მიეცით კონკრეტული რეკომენდაციები მათ გამოსასწორებლად. განიხილეთ ერთ-ერთი ყველაზე კარგად შესრულებული დავალება.

**მომდევნო 5-10 წუთი** დაუთმეთ ლექციის შესავალ ნაწილს: ასახსნელი თეორიული მასალის შესახებ ისტორიებს ან/და მაგალითებს, რათა სტუდენტები დაფიქრდნენ, თუ როგორ იქმნება ესა თუ ის წარმოების პროდუქტი/მომსახურება, რომ ყველა პროდუქციის თუ

[67] ***მეწარმეობის სახელმძღვანელო*** *- გზამკვლევში ამ ტერმინით მოხსენიებულია განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებული სტუდენტის სახელმძღვანელო - „მეწარმეობა“.*

მომსახურების წარმოება ხორციელდება გარკვეული მასალების/ნედლეულის გამოყენებითა და გარკვეული წესების დაცვით, რასაც ტექნოლოგიური პროცესი ქვია.

შესავალი ნაწილის შემდეგ, პროფესიული სტუდენტისთვის (რომელსაც არც თეორიული და არც პრაქტიკული გამოცდილება არ აქვს ბიზნესში) მაქსიმალურად გასაგები ენით, განმარტეთ შემდეგი საკითხები:

1. რას გულისხმობს ტექნოლოგიური პროცესი და რა მნიშვლელობა აქვს მას წარმოიბისთვის? [68]

2. რა მოისაზრება სამეურნეო საშუალებებში და რისთვის არის საჭირო ისინი? [69]

**ა) რეკომენდაციები**



სასურველია:

1. თეორიული მასალა გადმოიცეს პრეზენტაციის მეშვეობით;
2. პრეზენტაციის საწყის სლაიდზე ჩანდეს ამ ქვეთავის ნომერი და სათაური შესაბამის ილუსტრაციასთან ერთად;
3. თითოეულ საკითხს დაეთმოს 1-5 სლაიდი;
4. თითოეულ სლაიდზე ჩანდეს როგორც ტექსტი, ისე ტექსტის შესაბამისი ილუსტრაცია, რომელიც მაქსიმალურად უწყობს ხელს მასალის ათვისებასა და დამახსოვრებას;
5. ბოლოს წინა სლაიდებზე უნდა ჩაიწეროს დამოუკიდებელი მუშაობის ინსტრუქცია და ელექტრონული ფოსტის მისამართი, სადაც სტუდენტებმა უნდა გამოაგზავნონ დამოუკიდებელი მუშაობის დროს შესრულებული მასალა (მაგალითად, მასწავლებლის ელექტრონული ფოსტა);
6. ბოლო სლაიდს დაარქვათ „საკითხავი მასალა“, სადაც ჩაწერეთ ძირითადი საკითხავი მასალის დასახელება (მაგალითად, ტექსტი - „ლექციაზე განხილული სლაიდები“) და დამატებითი საკითხავი ლიტერატურის დასახელება ამ ქვეთავის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

**ბ) ლიტერატურა**



---

[68] *მეწარმეობის სახელმძღვანელოს „3.1.4. ტექნოლოგიური პროცესი“ ქვეთავის მიხედვით.*
[69] *მეწარმეობის სახელმძღვანელოს „3.2.2. სამეურნეო საშუალებები“ ქვეთავის მიხედვით.*

სასურველია პრეზენტაცია მომზადდეს მეწარმეობის სახელმძღვანელოს შემდეგი ქვეთავების მიხედვით: 3.1.4. ტექნოლოგიური პროცესი; 3.2.2. სამეურნეო საშუალებები.

**გ) რესურსები**



კომპიუტერი, პროექტორი, ჰენდაუთი (სლაიდების ამობეჭდილი ვერსია). შესაძლებელია თეორიული მასალის შესაბამისი ვიდეო/აუდიო/ინტერნეტ რესურსის გამოყენება.

## 3.2.2. პრაქტიკული მეცადინეობა (2 სთ)



პრაქტიკული მეცადინეობა ხელს უნდა უწყობდეს თეორიული მეცადინეობის დროს ახსნილი ინფორმაციის განმტკიცებას. მასწავლებელი უნდა დარწმუნდეს, რომ აუდიტორიაში მსხდომმა ყველა სტუდენტმა გაიგო თეორიული მეცადინეობის დროს ახსნილი ინფორმაცია.

ა) **პირველი 5-10 წუთი** დაუთმეთ გონებრივ იერიშს, რათა გაარკვიოთ ხომ არ არის ისეთი საკითხი, რომელიც ვერ გაიგეს სტუდენტებმა თეორიული მასალიდან. სთხოვეთ სტუდენტებს მოიყვანონ მათთვის ცნობილი მაგალითები თეორიულ მასალასთან დაკავშირებით. გონებრივი იერიშისას შეგიძლიათ გამოიყენოთ კითხვები 3.2.1. დანართიდან;

ბ) სტუდენტებს მიეცით პრაქტიკული სავარჯიშო - **„ტექნოლოგიური პროცესის აწყობა“**. სტუდენტები დაყავით სამ ჯგუფად. თითოეულ ჯგუფში უნდა დანაწილდეს ფუნქციები. კერძოდ, თითოეულ ჯგუფს უნდა ჰყავდეს:

- მენეჯერი - პირი, რომელიც იძლევა დავალებებს და სვამს კითხვებს ჯგუფის წევრებისგან საჭირო ინფორმაციის რაც შეიძლება მოკლე დროში მისაღებად;
- მდივანი - ოფისის მენეჯერი, ანუ პირი, რომელიც აკეთებს საჭირო ჩანაწერებს ჯგუფის ეფექტური მუშაობისთვის.

მენეჯერის და მდივანის არჩევა ხდება შემდეგი წესით: თითოეული წევრი ამბობს თავის სახელს ჯერ მენეჯერის, ხოლო შემდეგ მდივანის „ვაკანსიაზე“, ხოლო დანარჩენები ხელის აწევით აძლევენ ხმას სასურველ კანდიდანტს.

მენეჯერი სთხოვს ჯგუფის წევრებს დაასახელონ თითო ყველაზე კარგი ბიზნეს-იდეა რაც კი ოდესმე მოუფიქრებიათ;

ჯგუფის მდივანი იწერს დასახელებულ იდეებს და როდესაც ყველა წევრის მიერ დაასახელებულ იდეას ჩაიწერს, იწყება კენჭისყრა: მდივანი ზეპირად ან წერილობით ასახელებს თითო ჩაწერილ იდეას და ჯგუფის წევრები ხელის აწევით აძლევენ ხმას სასურველ იდეას. რომელი ბიზნეს-იდეაც მეტ ხმას დააგროვებს (ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადაწყვეტილებას იღებს მენეჯერი), იმ იდეას ცალკე ფურცელზე, ფურცლის ზედა ნაწილში გადმოიწერს მდივანი.

მენეჯერი სთხოვს ჯგუფის წევრებს დაასახელონ ამ იდეის განხორციელებისთვის საჭირო მინიმალური მასალა და ნედლეული.

მდივანი არჩეული ბიზნეს-იდეის ქვემოთ ჩამოწერს ყველა მასალასა და ნედლეულს, რასაც ჯგუფის წევრები დაასახელებენ.

პრაქტიკული მეცადინეობის ბოლო 15 წუთი ეთმობა პრეზენტაციებს - თითო ჯგუფს ეძლევა 5 წუთი წარმოადგინოს ჯგუფის მიერ შერჩეული ბიზნეს-იდეა მისი განხორციელებისათვის საჭირო მინიმალურ მასალებთან და ნედლეულთა ერთად.

### 3.2.3. დამოუკიდებელი მეცადინეობა (2 სთ)



## დავალება №3.2.3 - ტექნოლოგიური პროცესის აწყობა:

*(**განმარტება მასწავლებლისთვის:** აღნიშნული დავალება სტუდენტს უვითარებს თავის მიერ შერჩეული ბიზნეს-იდეის დასაწყებად აუცილებელი მასალებისა და ნედლეულის მოძიების უნარს, ასევე Word-ის დოკუმენტის მარტივი რედაქტირებისა და ელექტრონული კომუნიკაციის უნარებს)*

**დავალების პირობა:** 3.2.2 დანართით მოცემული სავარჯიშოები შეასრულეთ ქვემოთ მოცემული ინსტრუქციის შესაბამისად, წერილობითი ფორმით (არანაკლებ ერთი გვერდი).

**დავალების შესრულების ინსტრუქცია სტუდენტებისთვის:** დავალება შეინახეთ Word-ის ცალკე დოკუმენტად შემდეგი წესების დაცვით:

1. გახსენით Word-ის ახალი დოკუმენტი და ლათინური შრიფტით დაარქვით „08.Assembling of Technological Process_Name Surname of Student" („Name Surname of Student"-ს ნაცვლად მიუთითეთ თქვენი სახელი და გვარი);
2. აირჩიეთ შრიფტი - Sylfaen და შრიფტის ზომა - 11.
3. Word-ის დოკუმენტის დასაწყისში, შუა ადგილზე ჩაწერეთ თეორიული ლექციის სათაური;
4. გადმოწერეთ და რიგითობის მიხედვით დანომრეთ თითოეული სავარჯიშო დავალების პირობაში დასახელებული დანართიდან;
5. თითოეული სავარჯიშოს ქვემოთ, აბზაცით ჩაწერეთ პასუხი ამ სავარჯიშოზე;
7. შესრულებული დავალება თქვენი საკუთარი ელ-ფოსტით გამოაგზავნეთ მომდევნო ლექციამდე, ელ-ფოსტაზე: *აქ მასწავლებელმა უნდა ჩაწეროს ელექტრონული ფოსტის მისამართი, სადაც უნდა გამოიგზავნოს დავალება*.

## განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტი №3.2

(სასურველია შეივსოს მომდევნო თეორიული ლექციის დასაწყისში)

ამ დამოუკიდებელი მეცადინეობის შედეგები მოწმდება ორი კრიტერიუმის მიხედვით:

**1. სტუდენტმა გადმოაგზავნა თუ არა დავალება საკუთარი ელ-ფოსტით** (სასურველია შემოწმდეს მომდევნო თეორიულ ლექციამდე);

**2. სტუდენტი პასუხობს თუ არა დავალებასთან დაკავშირებულ შეკითხვებს** (სასურველია შემოწმდეს მომდევნო თეორიული ლექციის დასაწყისში - თითო სტუდენტს დაუსვით 2-3 მარტივი შეკითხვა, რათა დარწმუნდეთ, რომ დავალება თავისი შესრულებულია).

| № | სტუდენტის გვარი, სახელი | დავალების ნომერი და დასახელება | შესრულების კრიტერიუმები | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | დავალება გადმოაგზავნა საკუთარი ელ-ფოსტით | | უპასუხა დავალებასთან დაკავშირებულ შეკითხვებს | |
| | | | დიახ | არა | დიახ | არა |
| 1 | | №3.2.3 - ტექნოლოგიური პროცესის აწყობა | | | | |
| დავალება შესრულებულად ითვლება ორივე კრიტერიუმის დადებითად შეფასების შემთხვევაში | | | | | | |

***(განმარტება მასწავლებლისთვის:** შესაძლებელია მოცემულ ცხრილს დაუმატოთ იმდენი სტრიქონი, რამდენი სტუდენტიც არის შესაფასებელი და ისე ამობეჭდოთ, ან თითო სტუდენტისთვის ამობეჭდოთ თითო ასეთი ცხრილი).*

## დანართი 3.2.1. კითხვების ბაზა
## (ტექნ. პროცესი, სამეურნეო საშ.)

1. რას ნიშნავს ტექნოლოგიური პროცესი და მის რამდენ სახეს იცნობთ?
2. რა უპირატესობები ახასიათებს ტექნოლოგიურ პროცესს და რა სახის დანახარჯების დაზოგვას უწყობს ხელს?
3. რა რისკებთან არის დაკავშირებული ტექნოლოგიების დანერგვა?
4. რას ნიშნავს სამეურნეო საშუალებები?
5. რა განსხვავებაა შრომის საშუალებებსა და შრომის საგნებს შორის?
6. რა არის ნედლეული? დაასახელეთ მაგალითები.
7. რა არის მასალა და რამდენ სახისაა იგი? დაასახელეთ მაგალითები.
8. რა არის ნახევარფაბრიკატები? დაასახელეთ მაგალითები.
9. რა არის დაუმთავრებელი წარმოება? დაასახელეთ მაგალითები.
10. რა არის მზა პროდუქცია? დაასახელეთ მაგალითები.

## დანართი 3.2.2. სავარჯიშოების ბაზა
## (ტექნ. პროცესი, სამეურნეო საშ.)

1. თქვენს მიერ შერჩეული ბიზნეს-საქმიანობისთვის რომელ ტექნოლოგიას გამოიყენებდით?
2. რა უპირატესობით ხასიათდება თქვენს მიერ შერჩეული, ზემოაღნიშნული ტექნოლოგია?
3. რა რისკებთან არის დაკავშირებული თქვენს მიერ შერჩეული, ზემოაღნიშნული ტექნოლოგიის დანერგვა?
4. ჩამოთვალეთ თქვენს მიერ შერჩეული ბიზნეს-საქმიანობის დასაწყებად საჭირო მასალები და ნედლეული.
5. განსაზღვრეთ საჭირო მასალებითა და ნედლეულით თქვენს მიერ შერჩეული ბიზნეს-საქმიანობის უზრუნველყოფის გზები.
6. გამოთვალეთ თქვენს მიერ შერჩეული ბიზნეს-საქმიანობის დაწყებისთვის საჭირო მასალებისა და ნედლეულის ღირებულება.

## **თავი 3.3. დაფინანსების წყაროები, კაპიტალი და მისი სტრუქტურა** (XII კვირა)

*(მოკლე შინაარსი მეწარმეობის სახელმძღვანელოს [70] 3.3.1-3.3.4 ქვეთავების მიხედვით: ბიზნესის დაფინანსების არსი და სახეები; ბიზნესის კაპიტალის სტრუქტურა)*

საათების სავარაუდო განაწილება:
3.3.1. თეორიული - 1 სთ;
3.3.2. პრაქტიკული - 2 სთ;
3.3.3. დამოუკიდებელი - 3 სთ.

### 3.3.1. თეორიული მეცადინეობა (1 სთ)



**აქტივობების ზოგადი აღწერა:** წინა დამოუკიდებელი მეცადინეობისთვის მიცემული დავალება შეამოწმეთ ამ დავალებისათვის დადგენილი შეფასების ინსტრუმენტის მიხედვით, ხოლო შემდეგ ახსენით ახალი თეორიული მასალა.

**აქტივობების დეტალური აღწერა:** პირველი 10-15 წუთი - დაუთმეთ დავალების შემოწმებას ამ დავალებისათვის დადგენილი შეფასების ინსტრუმენტის მიხედვით. ამ მიზნით, სტუდენტებს ჯერ გააცანით ინფორმაცია, თუ ვინ გამოაგზავნა დავალება საკუთარი ელ-ფოსტით, ხოლო შემდეგ თითო სტუდენტს დაუსვით დავალებასთან დაკავშირებული 2-3 შეკითხვა, რათა დარწმუნდეთ, რომ დავალება ნამდვილად ამ სტუდენტის შესრულებულია და არ არის გადმოწერილი სხვისგან. თითოეულ სტუდენტს მიუთითეთ, თუ რა შეცდომა დაუშვა და მიეცით კონკრეტული რეკომენდაციები მათ გამოსასწორებლად. განიხილეთ ერთ-ერთი ყველაზე კარგად შესრულებული დავალება.

მომდევნო 5-10 წუთი დაუთმეთ ლექციის შესავალ ნაწილს: ასახსნელი თეორიული მასალის შესახებ ისტორიებს ან/და მაგალითებს, რათა სტუდენტები დაფიქრდნენ, თუ რა

[70] ***მეწარმეობის სახელმძღვანელო*** *- გზამკვლევში ამ ტერმინით მოხსენიებულია განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებული სტუდენტის სახელმძღვანელო - „მეწარმეობა“.*

როლი უჭირავს წარმატებული ბიზნესის აწყობაში ფინანსურ უზრუნველყოფას და დაფინანსების რა წყაროები არსებობს.

შესავალი ნაწილის შემდეგ, პროფესიული სტუდენტისთვის (რომელსაც არც თეორიული და არც პრაქტიკული გამოცდილება არ აქვს ბიზნესში) მაქსიმალურად გასაგები ენით, განმარტეთ შემდეგი საკითხები:

1. რა არის ბიზნესის დაფინანსების არსი და დაფინანსების რა სახეები არსებობს? [71]

2. როგორია ბიზნესისთვის საჭირო კაპიტალის სტრუქტურა? [72]

**ა) რეკომენდაციები**



სასურველია:

1. თეორიული მასალა გადმოიცეს პრეზენტაციის მეშვეობით;
2. პრეზენტაციის საწყის სლაიდზე ჩანდეს ამ ქვეთავის ნომერი და სათაური შესაბამის ილუსტრაციასთან ერთად;
3. თითოეულ საკითხს დაეთმოს 1-5 სლაიდი;
4. თითოეულ სლაიდზე ჩანდეს როგორც ტექსტი, ისე ტექსტის შესაბამისი ილუსტრაცია, რომელიც მაქსიმალურად უწყობს ხელს მასალის ათვისებასა და დამახსოვრებას;
5. ბოლოს წინა სლაიდებზე უნდა ჩაიწეროს დამოუკიდებელი მუშაობის ინსტრუქცია და ელექტრონული ფოსტის მისამართი, სადაც სტუდენტებმა უნდა გამოაგზავნონ დამოუკიდებელი მუშაობის დროს შესრულებული მასალა (მაგალითად, მასწავლებლის ელექტრონული ფოსტა);
6. ბოლო სლაიდს დაარქვათ „საკითხავი მასალა“, სადაც ჩაწერეთ ძირითადი საკითხავი მასალის დასახელება (მაგალითად, ტექსტი - „ლექციაზე განხილული სლაიდები“) და დამატებითი საკითხავი ლიტერატურის დასახელება ამ ქვეთავის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

**ბ) ლიტერატურა**



---

[71] *მეწარმეობის სახელმძღვანელოს „3.3.1.ბიზნესის დაფინანსების არსი და სახეები“ ქვეთავის მიხედვით.*

[72] *მეწარმეობის სახელმძღვანელოს „3.3.2. ბიზნესის კაპიტალის სტრუქტურა“ ქვეთავის მიხედვით.*

სასურველია პრეზენტაცია მომზადდეს მეწარმეობის სახელმძღვანელოს შემდეგი ქვეთავების მიხედვით: 3.3.1. ბიზნესის დაფინანსების არსი და სახეები; 3.3.2. ბიზნესის კაპიტალის სტრუქტურა.

**გ) რესურსები**



კომპიუტერი, პროექტორი, ჰენდაუთი (სლაიდების ამობეჭდილი ვერსია). შესაძლებელია თეორიული მასალის შესაბამისი ვიდეო/აუდიო/ინტერნეტ რესურსის გამოყენება.

## 3.3.2. პრაქტიკული მეცადინეობა (2 სთ)



პრაქტიკული მეცადინეობა ხელს უნდა უწყობდეს თეორიული მეცადინეობის დროს ახსნილი ინფორმაციის განმტკიცებას. მასწავლებელი უნდა დარწმუნდეს, რომ აუდიტორიაში მსხდომმა ყველა სტუდენტმა გაიგო თეორიული მეცადინეობის დროს ახსნილი ინფორმაცია.

ა) **პირველი 5-10 წუთი** დაუთმეთ გონებრივ იერიშს, რათა გაარკვიოთ ხომ არ არის ისეთი საკითხი, რომელიც ვერ გაიგეს სტუდენტებმა თეორიული მასალიდან. სთხოვეთ სტუდენტებს მოიყვანონ მათთვის ცნობილი მაგალითები თეორიულ მასალასთან დაკავშირებით. გონებრივი იერიშისას შეგიძლიათ გამოიყენოთ კითხვები 3.3.1. დანართიდან;

ბ) შემდეგი **5-10 წუთი** დაუთმეთ მეწარმეობის განვითარების სააგენტოსა (http://enterprisegeorgia.gov.ge/) და დაფინანსების სხვადასხვა წყაროების ვებ-გვერდების დათვალიერებას.

გ) დარჩენილი დროის განმავლობაში თითოეულმა სტუდენტმა უნდა შეასრულოს 3.3.2 დანართის პირველი და მე-2 პუნქტებით მოცემული სავარჯიშოები.

### 3.3.3. დამოუკიდებელი მეცადინეობა (3 სთ)



**ᲓᲐᲕᲐᲚᲔᲑᲐ №3.3.3 - ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲫᲘᲔᲑᲐ:**

*(**განმარტება მასწავლებლისთვის:** აღნიშნული დავალება სტუდენტს უვითარებს თავის მიერ შერჩეული ბიზნესის დასაწყებად აუცილებელი ფინანსების მოძიების უნარს, ასევე PowerPoint-ის დოკუმენტის მარტივი რედაქტირების, პრეზენტაციის მომზადება-წარმოდგენისა და ელექტრონული კომუნიკაციის უნარებს)*

**დავალების პირობა:** 3.3.2 დანართის მე-3 პუნქტით მოცემული სავარჯიშო შეასრულეთ ქვემოთ მოცემული ინსტრუქციის შესაბამისად, წერილობითი ფორმით (არანაკლებ 7 სლაიდი).

**დავალების შესრულების ინსტრუქცია სტუდენტებისთვის:** დავალება შეასრულეთ PowerPoint-ის ცალკე დოკუმენტად შემდეგი წესების დაცვით:

1. გახსენით PowerPoint-ის ახალი დოკუმენტი და ლათინური შრიფტით დაარქვით „09. Fundraising_Name Surname of Student" („Name Surname of Student"-ს ნაცვლად მიუთითეთ თქვენი სახელი და გვარი);
2. აირჩიეთ შრიფტი - Sylfaen და შრიფტის ზომა - 24-32 შუალედში.
3. პირველ სლაიდზე დააწერეთ დავალების სათაური და თქვენი სახელი და გვარი;
4. მე-2 სლაიდზე ჩაწერეთ თქვენს მიერ შერჩეული ბიზნესის მოკლე აღწერა;
5. მე-3 სლაიდზე ჩაწერეთ მინიმუმ რამდენი ლარია საჭირო თქვენს მიერ შერჩეული ბიზნესის დასაწყებად;
6. მე-4 სლაიდზე ჩაწერეთ კონკრეტულად რისთვის არის საჭირო წინა სლაიდზე დასახელებული თანხა;
7. მე-5 სლაიდზე ჩაწერეთ დაფინანსების რა წყაროები არსებობს;
8. მე-6 სლაიდზე დაასაბუთეთ წინა სლაიდზე დასახელებული დაფინანსების წყაროებიდან რომელია ყველაზე რეალური თქვენი ბიზნესისთვის;
9. მე-7 სლაიდი გამოიყენეთ თქვენი სურვილისამებრ;
10. სასურველია თითოეულ სლაიდზე ტექსტან ერთად ჩანდეს შესაბამისი ფოტო მასალა;
11. შესრულებული დავალება თქვენი საკუთარი ელ-ფოსტით გამოაგზავნეთ მომდევნო ლექციამდე, ელ-ფოსტაზე: *აქ მასწავლებელმა უნდა ჩაწეროს ელექტრონული ფოსტის მისამართი, სადაც უნდა გამოიგზავნოს დავალება*.

## განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტი №3.3

(სასურველია შეივსოს მომდევნო პრაქტიკული მეცადინეობის დასაწყისში)

ამ დამოუკიდებელი მეცადინეობის შედეგები მოწმდება ორი კრიტერიუმის მიხედვით:

**1. სტუდენტმა გადმოაგზავნა დავალება საკუთარი ელ-ფოსტით** (სასურველია შემოწმდეს მომდევნო პრაქტიკული მეცადინეობის);

**2. სტუდენტმა წარადგინა პრეზენტაცია** (სასურველია შემოწმდეს მომდევნო პრაქტიკული მეცადინეობის დასაწყისში).

<table>
<tr><th rowspan="3">№</th><th rowspan="3">სტუდენტის გვარი, სახელი</th><th rowspan="3">დავალების ნომერი და დასახელება</th><th colspan="4">შესრულების კრიტერიუმები</th></tr>
<tr><th colspan="2">დავალება გადმოაგზავნა საკუთარი ელ-ფოსტით</th><th colspan="2">წარადგინა პრეზენტაცია</th></tr>
<tr><th>დიახ</th><th>არა</th><th>დიახ</th><th>არა</th></tr>
<tr><td>1</td><td></td><td>№3.3.3 - ფინანსების მოძიება</td><td></td><td></td><td></td><td></td></tr>
<tr><td colspan="7">დავალება შესრულებულად ითვლება ორივე კრიტერიუმის დადებითად შეფასების შემთხვევაში</td></tr>
</table>

***(განმარტება მასწავლებლისთვის:** შესაძლებელია მოცემულ ცხრილს დაუმატოთ იმდენი სტრიქონი, რამდენი სტუდენტიც არის შესაფასებელი და ისე ამობეჭდოთ, ან თითო სტუდენტისთვის ამობეჭდოთ თითო ასეთი ცხრილი).*

## დანართი 3.3.1. კითხვების ბაზა
## (დაფინანსება)

1. ბიზნესის დაფინანსების რა სახეები არსებობს?
2. რა არის კრედიტი და რა სახის კრედიტები არსებობს?
3. რა დოკუმენტებია საჭირო კრედიტის ასაღებად?
4. რა არის საწარმოს კაპიტალი?
5. კაპიტალის სტრუქტურის რა ელემენტები იცით?
6. როგორ და რა გზებით ხორციელდება კაპიტალის ფორმირება/შევსება?
7. ბიზნესის ორგანიზაციულ - სამართლებრივი ფორმის მიხედვით დაახასიათეთ კაპიტალის სტრუქტურა და მისი ფორმირების გზები.

## დანართი 3.3.2. სავარჯიშოების ბაზა
## (დაფინანსება)

1. განსაზღვრეთ თქვენს მიერ შერჩეული ბიზნეს-საქმიანობის საწესდებო კაპიტალის სტრუქტურა და მისი ფორმირების გზები.
2. განსაზღვრეთ თქვენს მიერ შერჩეული ბიზნეს-საქმიანობის დასაწყებად აუცილებელი საწესდებო კაპიტალის სავარაუდო მოცულობა.
3. მოამზადეთ პრეზენტაცია დაფინანსების წყაროების მოძიებასთან დაკავშირებით.

# სწავლის შედეგი 4: ადამიანური რესურსების ორგანიზება (25 სთ)

## თავი 4.1. ადამიანური რესურსების შერჩევა (XIII კვირა)

*(მოკლე შინაარსი მეწარმეობის სახელმძღვანელოს [73] 4.1.1-4.1.4 ქვეთავების მიხედვით: სამუშაო ძალა, მისი არსი და თავისებურებები; პერსონალის კვალიფიკაცია; შრომით რესურსებში მოთხოვნის დაგეგმვა და პროგნოზირება; პროფესიული ფუნქციების ანალიზი)*

საათების სავარაუდო განაწილება:
4.1.1. თეორიული - 1 სთ;
4.1.2. პრაქტიკული - 2 სთ;
4.1.3. დამოუკიდებელი - 4 სთ.

4.1.1. თეორიული მეცადინეობა (1 სთ)



**აქტივობების ზოგადი აღწერა:** წინა დამოუკიდებელი მეცადინეობისთვის მიცემული დავალება შეამოწმეთ ამ დავალებისათვის დადგენილი შეფასების ინსტრუმენტის მიხედვით, ხოლო შემდეგ ახსენით ახალი თეორიული მასალა.

**აქტივობების დეტალური აღწერა:** პირველი 10-15 წუთი - დაუთმეთ დავალების შემოწმებას ამ დავალებისათვის დადგენილი შეფასების ინსტრუმენტის მიხედვით. ამ მიზნით, სტუდენტებს ჯერ გააცანით ინფორმაცია, თუ ვინ გამოაგზავნა დავალება საკუთარი ელ-ფოსტით, ხოლო შემდეგ თითო სტუდენტს დაუსვით დავალებასთან დაკავშირებული 2-3 შეკითხვა, რათა დარწმუნდეთ, რომ დავალება ნამდვილად ამ სტუდენტის შესრულებულია და არ არის გადმოწერილი სხვისგან. თითოეულ სტუდენტს მიუთითეთ, თუ რა შეცდომა დაუშვა

[73] *მეწარმეობის სახელმძღვანელო - გზამკვლევში ამ ტერმინით მოხსენიებულია განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებული სტუდენტის სახელმძღვანელო - „მეწარმეობა“.*

და მიეცით კონკრეტული რეკომენდაციები მათ გამოსასწორებლად. განიხილეთ ერთ-ერთი ყველაზე კარგად შესრულებული დავალება.

**მომდევნო 5-10 წუთი** დაუთმეთ ლექციის შესავალ ნაწილს: ასახსნელი თეორიული მასალის შესახებ ისტორიებს ან/და მაგალითებს, გონებრივ იერიშს (გონებრივი იერიშისას გამოიყენეთ 4.1.1 დანართით მოცმული კითხვები), რათა სტუდენტები დაფიქრდნენ, თუ რა როლი უჭირავს წარმატებული ბიზნესის აწყობაში შრომითი რესურსების სწორად შერჩევას, რა მნიშვნელობა ენიჭება სამუშაო ძალის კვალიფიკაციის დონესა და რაოდენობას.

შესავალი ნაწილის შემდეგ, პროფესიული სტუდენტისთვის (რომელსაც არც თეორიული და არც პრაქტიკული გამოცდილება არ აქვს ბიზნესში) მაქსიმალურად გასაგები ენით, განმარტეთ შემდეგი საკითხები:

1. რაში მდგომარეობს სამუშაო ძალის არსი და თავისებურებები? [74]

2. რას გულისხმობს პერსონალის კვალიფიკაცია? [75]

3. როგორ ხორციელდება შრომით რესურსების მოთხოვნის დაგეგმვა და პროგნოზირება? [76]

4. რას გულისხმობს პროფესიული ფუნქციების ანალიზი? [77]

**ა) რეკომენდაციები**



სასურველია:

1. თეორიული მასალა გადმოიცეს პრეზენტაციის მეშვეობით;

2. პრეზენტაციის საწყის სლაიდზე ჩანდეს ამ ქვეთავის ნომერი და სათაური შესაბამის ილუსტრაციასთან ერთად;

3. თითოეულ საკითხს დაეთმოს 1-5 სლაიდი;

4. თითოეულ სლაიდზე ჩანდეს როგორც ტექსტი, ისე ტექსტის შესაბამისი ილუსტრაცია, რომელიც მაქსიმალურად უწყობს ხელს მასალის ათვისებასა და დამახსოვრებას;

---

[74] *მეწარმეობის სახელმძღვანელოს „4.1.1. სამუშაო ძალა, მისი არსი და თავისებურებები“ ქვეთავის მიხედვით.*

[75] *მეწარმეობის სახელმძღვანელოს „4.1.2. პერსონალის კვალიფიკაცია“ ქვეთავის მიხედვით.*

[76] *მეწარმეობის სახელმძღვანელოს „4.1.3. შრომით რესურსებში მოთხოვნის დაგეგმვა და პროგნოზირება“ ქვეთავის მიხედვით.*

[77] *მეწარმეობის სახელმძღვანელოს „4.1.4. პროფესიული ფუნქციების ანალიზი“ ქვეთავის მიხედვით.*

5. ბოლოს წინა სლაიდებზე უნდა ჩაიწეროს დამოუკიდებელი მუშაობის ინსტრუქცია და ელექტრონული ფოსტის მისამართი, სადაც სტუდენტებმა უნდა გამოაგზავნონ დამოუკიდებელი მუშაობის დროს შესრულებული მასალა (მაგალითად, მასწავლებლის ელექტრონული ფოსტა);

6. ბოლო სლაიდს დაარქვათ „საკითხავი მასალა“, სადაც ჩაწერეთ ძირითადი საკითხავი მასალის დასახელება (მაგალითად, ტექსტი - „ლექციაზე განხილული სლაიდები“) და დამატებითი საკითხავი ლიტერატურის დასახელება ამ ქვეთავის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

### ბ) ლიტერატურა



სასურველია პრეზენტაცია მომზადდეს მეწარმეობის სახელმძღვანელოს შემდეგი ქვეთავების მიხედვით: 4.1.1. სამუშაო ძალა, მისი არსი და თავისებურებები; 4.1.2. პერსონალის კვალიფიკაცია; 4.1.3. შრომით რესურსებში მოთხოვნის დაგეგმვა და პროგნოზირება; 4.1.4. პროფესიული ფუნქციების ანალიზი.

### გ) რესურსები



კომპიუტერი, პროექტორი, ჰენდაუთი (სლაიდების ამობეჭდილი ვერსია). შესაძლებელია თეორიული მასალის შესაბამისი ვიდეო/აუდიო/ინტერნეტ რესურსის გამოყენება.

## 4.1.2. პრაქტიკული მეცადინეობა (2 სთ)



პრაქტიკული მეცადინეობა ხელს უნდა უწყობდეს თეორიული მეცადინეობის დროს ახსნილი ინფორმაციის განმტკიცებას. მასწავლებელი უნდა დარწმუნდეს, რომ აუდიტორიაში მსხდომმა ყველა სტუდენტმა გაიგო თეორიული მეცადინეობის დროს ახსნილი ინფორმაცია.

ა) **პირველი 5-10 წუთი** დაუთმეთ გონებრივ იერიშს, რათა გაარკვიოთ ხომ არ არის ისეთი საკითხი, რომელიც ვერ გაიგეს სტუდენტებმა თეორიული მასალიდან. სთხოვეთ სტუდენტებს მოიყვანონ მათთვის ცნობილი მაგალითები თეორიულ მასალასთან დაკავშირებით. გონებრივი იერიშისას შეგიძლიათ გამოიყენოთ კითხვები 4.1.1. დანართიდან;

ბ) პრაქტიკული მეცადინეობის პირველ საათზე, დარჩენილ დროში, ხორციელდება წინა კვირაში მიცემული დამოუკიდებელი სამუშაოს წარდგენა (სტუდენტების მიერ მომზადებული პრეზენტაციები ფინანსების მოძიებასთან დაკავშირებით, თითო სტუდენტს ეძლევა 3-5 წუთი) და აღნიშნულ საკითხებზე იმართება დისკუსია. მასწავლებელი აძლევს საშუალებას სტუდენტებს შეაფასონ და საჭიროების შემთხვევაში შეასწორონ თავიანთი ნაშრომი.

გ) სტუდენტები მასწავლებლის ხელმძღვანელობის ქვეშ ეცნობიან კვალიფიკაციათა ჩამონათვალს (კვალიფიკაციათა ეროვნულ ჩარჩოს) და განიხილავენ საკუთარი კვალიფიკაციის პროფესიულ სტანდარტს.

დ) სტუდენტებს მიეცით პრაქტიკული სავარჯიშო - **„საკვალიფიკაციო მოთხოვნების განსაზღვრა“**. სტუდენტები დაყავით სამ ჯგუფად. თითოეულ ჯგუფში უნდა დანაწილდეს ფუნქციები. კერძოდ, თითოეულ ჯგუფს უნდა ჰყავდეს:

- ☞ მენეჯერი - პირი, რომელიც იძლევა დავალებებს და სვამს კითხვებს ჯგუფის წევრებისგან საჭირო ინფორმაციის რაც შეიძლება მოკლე დროში მისაღებად;
- ☞ მდივანი - ოფისის მენეჯერი, ანუ პირი, რომელიც აკეთებს საჭირო ჩანაწერებს ჯგუფის ეფექტური მუშაობისთვის.

მენეჯერის და მდივანის არჩევა ხდება შემდეგი წესით: თითოეული წევრი ამბობს თავის სახელს ჯერ მენეჯერის, ხოლო შემდეგ მდივანის „ვაკანსიაზე“, ხოლო დანარჩენები ხელის აწევით აძლევენ ხმას სასურველ კანდიდანტს.

მენეჯერი სთხოვს ჯგუფის წევრებს დაასახელონ თითო ყველაზე კარგი ბიზნეს-იდეა რაც კი ოდესმე მოუფიქრებიათ;

ჯგუფის მდივანი იწერს დასახელებულ იდეებს და როდესაც ყველა წევრის მიერ დაასახელებულ იდეას ჩაიწერს, იწყება კენჭისყრა: მდივანი ზეპირად ან წერილობით ასახელებს თითო ჩაწერილ იდეას და ჯგუფის წევრები ხელის აწევით აძლევენ ხმას სასურველ

იდეას. რომელი ბიზნეს-იდეაც მეტ ხმას დააგროვებს (ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადაწყვეტილებას იღებს მენეჯერი), იმ იდეას ცალკე ფურცელზე, ფურცლის ზედა ნაწილში გადმოიწერს მდივანი.

მენეჯერი სთხოვს ჯგუფის წევრებს ჯერ დაასახელონ ამ იდეის განხორციელებისთვის საჭირო მინიმალური საშტატო განრიგი თანამდებობების მიხედვით, შემდეგ თითოეული ამ თანამდებობის შესაბამისი საკვალიფიკაციო მოთხოვნები და დასასაქმებელ ადამიანთა რაოდენობა.

მდივანი არჩეული ბიზნეს-იდეის ქვემოთ ჩამოწერს ყველა დასახელებულ თანამდებობას, თითოეული თანამდებობის ქვემოთ ჩამოწერს ამ თანამდებობისთვის აუცილებელ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს და დასასაქმებელ ადამიანთა რაოდენობას, რომლებიც ჯგუფის წევრებმა დაასახელეს.

4.1.3. დამოუკიდებელი მეცადინეობა (4 სთ)



**ᲓᲐᲕᲐᲚᲔᲑᲐ №4.1.3 - ᲡᲐᲨᲢᲐᲢᲝ ᲒᲐᲜᲠᲘᲒᲘᲡ ᲨᲔᲓᲒᲔᲜᲐ:**

*(**განმარტება მასწავლებლისთვის:** აღნიშნული დავალება სტუდენტს უვითარებს თავის მიერ შერჩეული ბიზნესის დასაწყებად აუცილებელი საკვალიფიკაციო მოთხოვნების განსაზღვრისა და საშტატო განრიგის შედგენის უნარებს, ასევე PowerPoint-ის დოკუმენტის მარტივი რედაქტირების, პრეზენტაციის მომზადება-წარმოდგენისა და ელექტრონული კომუნიკაციის უნარებს)*

**დავალების პირობა:** 4.1.2 დანართის მე-4 პუნქტით მოცემული სავარჯიშო შეასრულეთ ქვემოთ მოცემული ინსტრუქციის შესაბამისად, პრეზენტაციის ფორმით (არანაკლებ 7 სლაიდი).

**დავალების შესრულების ინსტრუქცია სტუდენტებისთვის.** დავალება შეასრულეთ PowerPoint-ის ცალკე დოკუმენტად შემდეგი წესების დაცვით:

**ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐ!** ᲔᲡ ᲓᲐᲕᲐᲚᲔᲑᲐ ᲒᲐᲛᲝᲒᲐᲓᲒᲔᲑᲐᲗ ᲛᲝᲛᲓᲔᲕᲜᲝ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲔᲚᲘ ᲛᲔᲪᲐᲓᲘᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲚᲐᲓ.

1. გახსენით PowerPoint-ის ახალი დოკუმენტი და ლათინური შრიფტით დაარქვით „10. Staff Schedule_Name Surname of Student“ („Name Surname of Student“-ს ნაცვლად მიუთითეთ თქვენი სახელი და გვარი);
2. აირჩიეთ შრიფტი - Sylfaen და შრიფტის ზომა - 24-32 შუალედში.
3. პირველ სლაიდზე დააწერეთ დავალების სათაური და თქვენი სახელი და გვარი;
4. მე-2 სლაიდზე ჩაწერეთ თქვენს მიერ შერჩეული ბიზნესის მოკლე აღწერა;
5. მე-3 სლაიდზე ჩაწერეთ რა თანამდებობებია საჭირო თქვენს მიერ შერჩეული ბიზნესის დასაწყებ-ასაწყობად;
6. მე-4 და მომდევნო სლაიდებზე ჩაწერეთ თითოეული თანამდებობის სათაური, შესაბამისი ფუნქცია-მოვალეობები (სამუშაო აღწერილობა) და შესაბამისი საკვალიფიკციო მოთხოვნები და რამდენი ვაკანსია გაქვთ ამ თანამდებობაზე (ანუ რამდენი ადამიანი გჭირდებათ ამ თანამდებობაზე);
7. მომდევნო სლაიდზე ჩაწერეთ საერთო ჯამში რამდენ ადამიანს დაასაქმებს თქვენი ბიზნესი;

9. ბოლო სლაიდი გამოიყენეთ თქვენი სურვილისამებრ;

10. სასურველია თითოეულ სლაიდზე ტექსტთან ერთად ჩანდეს შესაბამისი ფოტო მასალა;

11. შესრულებული დავალება თქვენი საკუთარი ელ-ფოსტით გამოაგზავნეთ მომდევნო ლექციამდე, ელ-ფოსტაზე: *აქ მასწავლებელმა უნდა ჩაწეროს ელექტრონული ფოსტის მისამართი, სადაც უნდა გამოიგზავნოს დავალება*.

## განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტი №4.1

(სასურველია შეივსოს მომდევნო პრაქტიკული მეცადინეობის დასაწყისში)

ამ დამოუკიდებელი მეცადინეობის შედეგები მოწმდება ორი კრიტერიუმის მიხედვით:

**1. სტუდენტმა გადმოაგზავნა დავალება საკუთარი ელ-ფოსტით** (სასურველია შემოწმდეს მომდევნო თეორიულ ლექციამდე);

**2. სტუდენტმა წარადგინა პრეზენტაცია** (სასურველია შემოწმდეს მომდევნო პრაქტიკული მეცადინეობის დასაწყისში).

| № | სტუდენტის გვარი, სახელი | დავალების ნომერი და დასახელება | შესრულების კრიტერიუმები | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | დავალება გადმოაგზავნა საკუთარი ელ-ფოსტით | | წარადგინა პრეზენტაცია | |
| | | | დიახ | არა | დიახ | არა |
| 1 | | №4.1.3 - საშტატო განრიგის შედგენა: | | | | |
| დავალება შესრულებულად ითვლება ორივე კრიტერიუმის დადებითად შეფასების შემთხვევაში | | | | | | |

***(განმარტება მასწავლებლისთვის:** შესაძლებელია მოცემულ ცხრილს დაუმატოთ იმდენი სტრიქონი, რამდენი სტუდენტიც არის შესაფასებელი და ისე ამობეჭდოთ, ან თითო სტუდენტისთვის ამობეჭდოთ თითო ასეთი ცხრილი).*

## დანართი 4.1.1. კითხვების ბაზა
## (ადამიანური რესურსები)

1. რა არის სამუშაო ძალა?
2. შრომითი რესურსების მართვის რა პრინციპები არსებობს?
3. ფირმის კადრებით დაკომპლექტების რა ეტაპები არსებობს?
4. რას გულისხმობს პროფესიული ფუნქციების ანალიზი?

## დანართი 4.1.2. სავარჯიშოების ბაზა
## (ადამიანური რესურსები)

1. დაგეგმეთ თქვენი ბიზნესისათვსი საჭირო კადრები;
2. შეადგინეთ სამუშაოს აღწერილობები თითოეული თანამდებობისათვის;
3. დააჯგუფეთ კადრები ფუნქცია მოვალეობების მიხედვით და შეადგინეთ ორგანიზაციული სტრუქტურა;
4. მოამზადეთ პრეზენტაცია საშტატო განრიგის შედგენასთან დაკავშირებით.

## თავი 4.2. პერსონალის შერჩევის პროცედურები და სამუშაო პირობები (XIV კვირა)

*(მოკლე შინაარსი მეწარმეობის სახელმძღვანელოს [78] 4.1.5-4.1.7 ქვეთავების მიხედვით: პერსონალის შერჩევის მეთოდები)*

საათების სავარაუდო განაწილება:
4.2.1. თეორიული - 1 სთ;
4.2.2. პრაქტიკული - 2 სთ;
4.2.3. დამოუკიდებელი - 3 სთ.

### 4.2.1. თეორიული მეცადინეობა (1 სთ)



**აქტივობების ზოგადი აღწერა:** წინა დამოუკიდებელი მეცადინეობისთვის მიცემული დავალება შეამოწმეთ ამ დავალებისათვის დადგენილი შეფასების ინსტრუმენტის მიხედვით, ხოლო შემდეგ ახსენით ახალი თეორიული მასალა.

**აქტივობების დეტალური აღწერა:** პირველი 10-15 წუთი - დაუთმეთ დავალების შემოწმებას ამ დავალებისათვის დადგენილი შეფასების ინსტრუმენტის მიხედვით. ამ მიზნით, სტუდენტებს ჯერ გააცანით ინფორმაცია, თუ ვინ გამოაგზავნა დავალება საკუთარი ელ-ფოსტით, ხოლო შემდეგ თითო სტუდენტს დაუსვით დავალებასთან დაკავშირებული 2-3 შეკითხვა, რათა დარწმუნდეთ, რომ დავალება ნამდვილად ამ სტუდენტის შესრულებულია და არ არის გადმოწერილი სხვისგან. თითოეულ სტუდენტს მიუთითეთ, თუ რა შეცდომა დაუშვა და მიეცით კონკრეტული რეკომენდაციები მათ გამოსასწორებლად. განიხილეთ ერთ-ერთი ყველაზე კარგად შესრულებული დავალება.

მომდევნო 5-10 წუთი დაუთმეთ ლექციის შესავალ ნაწილს: ასახსნელი თეორიული მასალის შესახებ ისტორიებს ან/და მაგალითებს, გონებრივ იერიშს (გონებრივი იერიშისას გამოიყენეთ 4.2.1 დანართით მოცმული კითხვები), რათა სტუდენტები დაფიქრდნენ, თუ რას

[78] ***მეწარმეობის სახელმძღვანელო*** *- გზამკვლევში ამ ტერმინით მოხსენიებულია განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებული სტუდენტის სახელმძღვანელო - „მეწარმეობა“.*

გულისხმობს და რა მნიშვნელობა ენიჭება პერსონალის შერჩევის მეთოდების ცოდნას წარმატებული ბიზნესის დაწყება-აწყობისთვის.

შესავალი ნაწილის შემდეგ, პროფესიული სტუდენტისთვის (რომელსაც არც თეორიული და არც პრაქტიკული გამოცდილება არ აქვს ბიზნესში) მაქსიმალურად გასაგები ენით, განმარტეთ შემდეგი საკითხები:

1. პერსონალის შერჩევის რა მეთოდები არსებობს? [79]

2. როგორ ხორციელდება წინასწარშერჩეული პრეტენდენტებიდან მოცემული ვაკანსიისთვის სასურველი კანდიდატის დადგენა? [80]

3. როგორ ჩავატაროთ და რა კითხვები დავსვათ სასურველ კანდიდატებთან გასაუბრებისას?[81]

4. როგორ ჩავატაროთ ტესტირება და რა რეკომენდაციები არსებობს მისი ჩატარება/არჩატარების შესახებ? [82]

**ა) რეკომენდაციები**



სასურველია:

1. თეორიული მასალა გადმოიცეს პრეზენტაციის მეშვეობით;
2. პრეზენტაციის საწყის სლაიდზე ჩანდეს ამ ქვეთავის ნომერი და სათაური შესაბამის ილუსტრაციასთან ერთად;
3. თითოეულ საკითხს დაეთმოს 1-5 სლაიდი;
4. თითოეულ სლაიდზე ჩანდეს როგორც ტექსტი, ისე ტექსტის შესაბამისი ილუსტრაცია, რომელიც მაქსიმალურად უწყობს ხელს მასალის ათვისებასა და დამახსოვრებას;

---

[79] *მეწარმეობის სახელმძღვანელოს „4.1.5. პერსონალის შერჩევის მეთოდები“ ქვეთავის მიხედვით.*

[80] *მეწარმეობის სახელმძღვანელოს „4.1.5. პერსონალის შერჩევის მეთოდები“ ქვეთავის მიხედვით.*

[81] *მეწარმეობის სახელმძღვანელოს „4.1.5. პერსონალის შერჩევის მეთოდები“ ქვეთავის მიხედვით.*

[82] *მეწარმეობის სახელმძღვანელოს „4.1.5. პერსონალის შერჩევის მეთოდები“ ქვეთავის მიხედვით.*

5. ბოლოს წინა სლაიდებზე ჩაიწეროს დამოუკიდებელი მუშაობის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ინსტრუქცია და ელექტრონული ფოსტის მისამართი, სადაც სტუდენტებმა უნდა გამოაგზავნონ დამოუკიდებელი მუშაობის დროს შესრულებული მასალა (მაგალითად, მასწავლებლის ელექტრონული ფოსტა);

6. ბოლო სლაიდს დაარქვათ „საკითხავი მასალა“, სადაც ჩაწერეთ ძირითადი საკითხავი მასალის დასახელება (მაგალითად, ტექსტი - „ლექციაზე განხილული სლაიდები“) და დამატებითი საკითხავი ლიტერატურის დასახელება ამ ქვეთავის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

**ბ) ლიტერატურა**



სასურველია პრეზენტაცია მომზადდეს მეწარმეობის სახელმძღვანელოს შემდეგი ქვეთავის მიხედვით: 4.1.5. პერსონალის შერჩევის მეთოდები.

**გ) რესურსები**



კომპიუტერი, პროექტორი, ჰენდაუთი (სლაიდების ამობეჭდილი ვერსია). შესაძლებელია თეორიული მასალის შესაბამისი ვიდეო/აუდიო/ინტერნეტ რესურსის გამოყენება.

## 4.2.2. პრაქტიკული მეცადინეობა (2 სთ)



პრაქტიკული მეცადინეობა ხელს უნდა უწყობდეს თეორიული მეცადინეობის დროს ახსნილი ინფორმაციის განმტკიცებას. მასწავლებელი უნდა დარწმუნდეს, რომ აუდიტორიაში მსხდომმა ყველა სტუდენტმა გაიგო თეორიული მეცადინეობის დროს ახსნილი ინფორმაცია.

ა) **პირველი 5-10 წუთი** დაუთმეთ გონებრივ იერიშს, რათა გაარკვიოთ ხომ არ არის ისეთი საკითხი, რომელიც ვერ გაიგეს სტუდენტებმა თეორიული მასალიდან. სთხოვეთ სტუდენტებს

მოიყვანონ მათთვის ცნობილი მაგალითები თეორიულ მასალასთან დაკავშირებით. გონებრივი იერიშისას შეგიძლიათ გამოიყენოთ კითხვები 4.2.1. დანართიდან;

ბ) პრაქტიკული მეცადინეობის პირველ საათზე, დარჩენილ დროში, ხორციელდება წინა კვირაში მიცემული დამოუკიდებელი სამუშაოს წარდგენა (სტუდენტების მიერ მომზადებული პრეზენტაციები საშტატო განრიგის შედგენასთან დაკავშირებით, თითო სტუდენტს ეძლევა 3-5 წუთი) და აღნიშნულ საკითხებზე იმართება დისკუსია. მასწავლებელი აძლევს საშუალებას სტუდენტებს შეაფასონ და საჭიროების შემთხვევაში შეასწორონ თავიანთი ნაშრომი.

გ) პრაქტიკულო მეცადინეობის მეორე საათზე სტუდენტებს მიეცით პრაქტიკული სავარჯიშო - **„პერსონალის შერჩევის კრიტერიუმების განსაზღვრა“**. სტუდენტები დაყავით ორ ჯგუფად. თითოეულ ჯგუფში უნდა დანაწილდეს ფუნქციები. კერძოდ, თითოეულ ჯგუფს უნდა ჰყავდეს:

- მენეჯერი - პირი, რომელიც იძლევა დავალებებს და სვამს კითხვებს ჯგუფის წევრებისგან საჭირო ინფორმაციის რაც შეიძლება მოკლე დროში მისაღებად;
- მდივანი - ოფისის მენეჯერი, ანუ პირი, რომელიც აკეთებს საჭირო ჩანაწერებს ჯგუფის ეფექტური მუშაობისთვის.

მენეჯერის და მდივანის არჩევა ხდება შემდეგი წესით: თითოეული წევრი ამბობს თავის სახელს ჯერ მენეჯერის, ხოლო შემდეგ მდივანის „ვაკანსიაზე“, ხოლო დანარჩენები ხელის აწევით აძლევენ ხმას სასურველ კანდიდანტს.

მენეჯერი სთხოვს ჯგუფის წევრებს დაასახელონ თითო ყველაზე კარგი ბიზნეს-იდეა რაც კი ოდესმე მოუფიქრებიათ;

ჯგუფის მდივანი იწერს დასახელებულ იდეებს და როდესაც ყველა წევრის მიერ დაასახელებულ იდეას ჩაიწერს, იწყება კენჭისყრა: მდივანი ზეპირად ან წერილობით ასახელებს თითო ჩაწერილ იდეას და ჯგუფის წევრები ხელის აწევით აძლევენ ხმას სასურველ იდეას. რომელი ბიზნეს-იდეაც მეტ ხმას დააგროვებს (ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადაწყვეტილებას იღებს მენეჯერი), იმ იდეას ცალკე ფურცელზე, ფურცლის ზედა ნაწილში გადმოიწერს მდივანი.

მენეჯერი სთხოვს ჯგუფის წევრებს ჯერ დაასახელონ ამ იდეის განხორციელებისთვის საჭირო მინიმალური საშტატო განრიგი თანამდებობების მიხედვით, შემდეგ თითოეული ამ თანამდებობის შესაბამისი უფლება მოვალეობები, საკვალიფიკაციო მოთხოვნები, დასასაქმებელ ადამიანთა რაოდენობა და პერსონალის შერჩევის მეთოდები/კრიტერიუმები.

მდივანი არჩეული ბიზნეს-იდეის ქვემოთ ჩამოწერს ყველა დასახელებულ თანამდებობას, თითოეული თანამდებობის ქვემოთ ჩამოწერს ამ თანამდებობისთვის აუცილებელ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, დასასაქმებელ ადამიანთა რაოდენობას და პერსონალის შერჩევის მეთოდებს/კრიტერიუმებს, რომლებიც ჯგუფის წევრებმა დაასახელეს.

## 4.2.3. დამოუკიდებელი მეცადინეობა (3 სთ)



**დავალება №4.2.3 - პერსონალის შერჩევა:**

*(**განმარტება მასწავლებლისთვის:** აღნიშნული დავალება სტუდენტს უვითარებს პერსონალის ობიექტური შერჩევის, ასევე PowerPoint-ის დოკუმენტის მარტივი რედაქტირების, პრეზენტაციის მომზადება-წარმოდგენისა და ელექტრონული კომუნიკაციის უნარებს)*

**დავალების პირობა:** 4.2.2 დანართის მე-2 პუნქტით მოცემული სავარჯიშო შეასრულეთ ქვემოთ მოცემული ინსტრუქციის შესაბამისად, პრეზენტაციის ფორმით (არანაკლებ 7 სლაიდი).

**დავალების შესრულების ინსტრუქცია სტუდენტებისთვის.** დავალება შეასრულეთ PowerPoint-ის ცალკე დოკუმენტად შემდეგი წესების დაცვით:

**შენიშვნა!** ამ დავალების შესასრულებლად სასურველია გამოიყენოთ წინა დამოუკიდებელი მეცადინეობის დროს შესრულებული დავალება. ანუ, ვინც წინა დავალება შეასრულა, მათთვის მწვანედ აღნიშნული პუნქტების თავიდან შესრულება აღარ არის საჭირო, უბრალოდ გადმოიწერეთ ისინი წინა დავალებიდან (რა თქმა უნდა შესაძლებელია მათი სრულყოფა) ☺

1. გახსენით PowerPoint-ის ახალი დოკუმენტი და ლათინური შრიფტით დაარქვით „11.Personnel Selection_Name Surname of Student" („Name Surname of Student"-ს ნაცვლად მიუთითეთ თქვენი სახელი და გვარი);
2. აირჩიეთ შრიფტი - Sylfaen და შრიფტის ზომა - 24-32 შუალედში;
3. პირველ სლაიდზე ჩაწერეთ დავალების სათაური და თქვენი სახელი და გვარი;
4. მე-2 სლაიდზე ჩაწერეთ თქვენს მიერ შერჩეული ბიზნესის მოკლე აღწერა;
5. მე-3 სლაიდზე ჩაწერეთ რა თანამდებობებია საჭირო თქვენს მიერ შერჩეული ბიზნესის დასაწყებ-ასაწყობად;
6. მე-4 და მომდევნო სლაიდებზე ჩაწერეთ თითოეული თანამდებობის სათაური, მისი შესაბამისი ფუნქცია-მოვალეობები (სამუშაო აღწერილობა), საკვალიფიკციო მოთხოვნები და

**რამდენი ვაკანსია გაქვთ ამ თანამდებობაზე (ანუ რამდენი ადამიანი გჭირდებათ ამ თანამდებობაზე);**

**7. მომდევნო სლაიდზე ჩაწერეთ საერთო ჯამში რამდენ ადამიანს დაასაქმებს თქვენი ბიზნესი;**

8. მომდევნო სლაიდ(ებ)ზე ჩაწერეთ საჭირო პერსონალის შერჩევის მეთოდები/კრიტერიუმები;

9. ბოლო სლაიდი გამოიყენეთ თქვენი სურვილისამებრ;

10. სასურველია თითოეულ სლაიდზე ტექსტთან ერთად ჩანდეს შესაბამისი ფოტო მასალა;

11. შესრულებული დავალება თქვენი საკუთარი ელ-ფოსტით გამოაგზავნეთ მომდევნო ლექციამდე, ელ-ფოსტაზე: *აქ მასწავლებელმა უნდა ჩაწეროს ელექტრონული ფოსტის მისამართი, სადაც უნდა გამოიგზავნოს დავალება*.

## განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტი №4.2

(სასურველია შეივსოს მომდევნო პრაქტიკული მეცადინეობის დასაწყისში)

ამ დამოუკიდებელი მეცადინეობის შედეგები მოწმდება ორი კრიტერიუმის მიხედვით:

**1. სტუდენტმა გადმოაგზავნა დავალება საკუთარი ელ-ფოსტით** (სასურველია შემოწმდეს მომდევნო თეორიულ ლექციამდე);

**2. სტუდენტმა წარადგინა პრეზენტაცია** (სასურველია შემოწმდეს მომდევნო პრაქტიკული მეცადინეობის დასაწყისში).

| № | სტუდენტის გვარი, სახელი | დავალების ნომერი და დასახელება | შესრულების კრიტერიუმები | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | დავალება გადმოაგზავნა საკუთარი ელ-ფოსტით | | წარადგინა პრეზენტაცია ან უპასუხა კითხვებს | |
| | | | დიახ | არა | დიახ | არა |
| 1 | | №4.2.3 - პერსონალის შერჩევა: | | | | |
| დავალება შესრულებულად ითვლება ორივე კრიტერიუმის დადებითად შეფასების შემთხვევაში | | | | | | |

***(განმარტება მასწავლებლისთვის:** შესაძლებელია მოცემულ ცხრილს დაუმატოთ იმდენი სტრიქონი, რამდენი სტუდენტიც არის შესაფასებელი და ისე ამობეჭდოთ, ან თითო სტუდენტისთვის ამობეჭდოთ თითო ასეთი ცხრილი).*

## დანართი 4.2.1. კითხვების ბაზა
## (პერსონალის შერჩევა)

1. პერსონალის შერჩევის რა მეთოდები არსებობს?
2. როგორ ხორციელდება წინასწარშერჩეული პრეტენდენტებიდან მოცემული ვაკანსიისთვის სასურველი კანდიდატის დადგენა?
3. როგორ ჩავატაროთ და რა კითხვები დავსვათ სასურველ კანდიდატებთან გასაუბრებისას?
4. როგორ ჩავატაროთ ტესტირება და რა რეკომენდაციები არსებობს მისი ჩატარება/არჩატარების შესახებ?
5. რა უპირატესობები და ნაკლოვანებები გააჩნია პერსონალის შერჩევის თითოეულ მეთოდს?

## დანართი 4.2.2. სავარჯიშოების ბაზა
## (პერსონალის შერჩევა)

1. განსაზღვრეთ კადრების შერჩევის მეთოდები და შედგინეთ საჭირო მასალები (გასაუბრების კითხვები, ტესტები, სხვა);
2. მოამზადეთ პრეზენტაცია „პერსონალის შერჩევის მეთოდები/კიტერიუმები“.

## თავი 4.3. შრომითი ურთიერთობის დამყარების ფომები (XV კვირა)

*(მოკლე შინაარსი მეწარმეობის სახელმძღვანელოს*[83] *4.2.1-4.2.7 ქვეთავების მიხედვით: შრომითი ურთიერთობის წარმოშობის საფუძვლები; შრომითი ურთიერთობის სუბიექტები; შრომითი ურთიერთობის დაწყება; შრომითი ურთიერთობის შეჩერება; შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა)*

საათების სავარაუდო განაწილება:
4.3.1. თეორიული - 1 სთ;
4.3.2. პრაქტიკული - 1 სთ;
4.3.3. დამოუკიდებელი - 3 სთ;
4.3.4. მე-3 სწავლის შედეგის შეფასება - 1 სთ.

### 4.3.1. თეორიული მეცადინეობა (1 სთ)



**აქტივობების ზოგადი აღწერა:** წინა დამოუკიდებელი მეცადინეობისთვის მიცემული დავალება შეამოწმეთ ამ დავალებისათვის დადგენილი განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტის მიხედვით, ხოლო შემდეგ ახსენით ახალი თეორიული მასალა.

**აქტივობების დეტალური აღწერა:** პირველი 10-15 წუთი - დაუთმეთ დავალების შემოწმებას ამ დავალებისათვის დადგენილი შეფასების ინსტრუმენტის მიხედვით. ამ მიზნით, სტუდენტებს ჯერ გააცანით ინფორმაცია, თუ ვინ გამოაგზავნა დავალება საკუთარი ელ-ფოსტით, ხოლო შემდეგ თითო სტუდენტს დაუსვით დავალებასთან დაკავშირებული 2-3 შეკითხვა, რათა დარწმუნდეთ, რომ დავალება ნამდვილად ამ სტუდენტის შესრულებულია და არ არის გადმოწერილი სხვისგან. თითოეულ სტუდენტს მიუთითეთ, თუ რა შეცდომა დაუშვა დავალების შესრულებისას და მიეცით კონკრეტული რეკომენდაციები მათ

[83] ***მეწარმეობის სახელმძღვანელო*** *- გზამკვლევში ამ ტერმინით მოხსენიებულია განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებული სტუდენტის სახელმძღვანელო - „მეწარმეობა“.*

გამოსასწორებლად. განიხილეთ ერთ-ერთი ყველაზე კარგად შესრულებული დავალება (ან ამ თეორიულ მეცადინეობაზე, ან ამავე თავის პრაქტიკული მეცადინეობის ბოლოს).

**მომდევნო 5-10 წუთი** დაუთმეთ ლექციის შესავალ ნაწილს: ასახსნელი თეორიული მასალის შესახებ ისტორიებს ან/და მაგალითებს, გონებრივ იერიშს (გონებრივი იერიშისას გამოიყენეთ 4.3.1 დანართით მოცმული კითხვები), რათა სტუდენტები დაფიქრდნენ, წარმატებული ბიზნესის ასაწყობად, თუ რა მნიშვნელობა ენიჭება შრომითი ურთიერთობის კანონმდებლობის შესაბამისად დაწყებას, შეწყვეტას ან შეჩერებას.

შესავალი ნაწილის შემდეგ, პროფესიული სტუდენტისთვის (რომელსაც არც თეორიული და არც პრაქტიკული გამოცდილება არ აქვს ბიზნესში) მაქსიმალურად გასაგები ენით, განმარტეთ შემდეგი საკითხები:

1. რას გულისხმობს შრომითი ურთიერთობა და საქართველოს რომელი საკანონმდებლო აქტია მისი წარმოშობის იურიდიული საფუძველი? [84]

2. ვინ არიან შრომითი ურთიერთობის სუბიექტები? [85]

3. როგორ ხორციელდება შრომითი ურთიერთობის დაწყება? [86]

4. როგორ ხორციელდება შრომითი ურთიერთობის შეჩერება? [87]

5. რას გულისხმობს და როგორ ხორციელდება შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა? [88]

6. რა არის აუთსორსინგი და რა უპირატესობები აქვს მას? [89]

---

[84] *მეწარმეობის სახელმძღვანელოს შემდეგი ქვეთავის მიხედვით: „4.2.1. შრომითი ურთიერთობის წარმოშობის საფუძვლები“.*

[85] *მეწარმეობის სახელმძღვანელოს შემდეგი ქვეთავის მიხედვით: „4.2.2. შრომითი ურთიერთობის სუბიექტები“.*

[86] *მეწარმეობის სახელმძღვანელოს შემდეგი ქვეთავის მიხედვით: „4.2.3. შრომითი ურთიერთობის დაწყება“.*

[87] *მეწარმეობის სახელმძღვანელოს შემდეგი ქვეთავის მიხედვით: „4.2.4. შრომითი ურთიერთობის შეჩერება“.*

[88] *მეწარმეობის სახელმძღვანელოს შემდეგი ქვეთავის მიხედვით: „4.2.5. შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა“.*

[89] *სტუდენტთა და აბიტურიენტთა ხელშეწყობის საერთაშორისო ასოციაციის (SEPIA) ვებ გვერდი: http://sepiango.org/autsorsingi/.*

ა) რეკომენდაციები



სასურველია:

1. თეორიული მასალა გადმოიცეს პრეზენტაციის მეშვეობით;

2. პრეზენტაციის საწყის სლაიდზე ჩანდეს ამ ქვეთავის ნომერი და სათაური შესაბამის ილუსტრაციასთან ერთად;

3. თითოეულ საკითხს დაეთმოს 1-5 სლაიდი;

4. თითოეულ სლაიდზე ჩანდეს როგორც ტექსტი, ისე ტექსტის შესაბამისი ილუსტრაცია, რომელიც მაქსიმალურად უწყობს ხელს მასალის ათვისებასა და დამახსოვრებას;

5. ბოლოს წინა სლაიდებზე ჩაიწეროს დამოუკიდებელი მუშაობის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ინსტრუქცია და ელექტრონული ფოსტის მისამართი, სადაც სტუდენტებმა უნდა გამოაგზავნონ დამოუკიდებელი მუშაობის დროს შესრულებული მასალა (მაგალითად, მასწავლებლის ელექტრონული ფოსტა);

6. ბოლო სლაიდს დაარქვათ „საკითხავი მასალა“, სადაც ჩაწერეთ ძირითადი საკითხავი მასალის დასახელება (მაგალითად, ტექსტი - „ლექციაზე განხილული სლაიდები“) და დამატებითი საკითხავი ლიტერატურის დასახელება ამ ქვეთავის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

ბ) ლიტერატურა



სასურველია პრეზენტაცია მომზადდეს მეწარმეობის სახელმძღვანელოს შემდეგი ქვეთავების მიხედვით: 4.2.1. შრომითი ურთიერთობის წარმოშობის საფუძვლები; 4.2.2. შრომითი ურთიერთობის სუბიექტები; 4.2.3. შრომითი ურთიერთობის დაწყება; 4.2.4. შრომითი ურთიერთობის შეჩერება; 4.2.5. შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა. ასევე სტუდენტთა და აბიტურიენტთა ხელშეწყობის საერთაშორისო ასოციაციის (SEPIA) ვებ გვერდის მიხედვით: http://sepiango.org/autsorsingi/.

გ) რესურსები



კომპიუტერი, პროექტორი, ჰენდაუთი (სლაიდების ამობეჭდილი ვერსია). შესაძლებელია თეორიული მასალის შესაბამისი ვიდეო/აუდიო/ინტერნეტ რესურსის გამოყენება.

## 4.3.2. პრაქტიკული მეცადინეობა (1 სთ)



პრაქტიკული მეცადინეობა ხელს უნდა უწყობდეს თეორიული მეცადინეობის დროს ახსნილი ინფორმაციის განმტკიცებას. მასწავლებელი უნდა დარწმუნდეს, რომ აუდიტორიაში მსხდომმა ყველა სტუდენტმა გაიგო თეორიული მეცადინეობის დროს ახსნილი ინფორმაცია.

ა) **პირველი 5-10 წუთი** დაუთმეთ გონებრივ იერიშს (შეგიძლიათ გამოიყენოთ კითხვები 4.3.1. დანართიდან), რათა გაარკვიოთ ხომ არ არის ისეთი საკითხი, რომელიც ვერ გაიგეს სტუდენტებმა თეორიული მასალიდან. სთხოვეთ სტუდენტებს მოიყვანონ მათთვის ცნობილი მაგალითები თეორიულ მასალასთან დაკავშირებით;

ბ) **მომდევნო 10-12 წუთი დაუთმეთ** წინა კვირაში მიცემული, ყველაზე კარგად შესრულებული დამოუკიდებელი ნამუშევრის წარდგენას 2-3 სტუდენტის მიერ (პრეზენტაციები პერსონალის შერჩევასთან დაკავშირებით, რისთვისაც თითო სტუდენტს მიეცით 2-3 წუთი) და აღნიშნულ საკითხებზე დისკუსიას. მიეცით სტუდენტებს საშუალება შეაფასონ და საჭიროების შემთხვევაში შეასწორონ თავიანთი ნაშრომი.

გ) **დარჩენილი დროის განმავლობაში** სტუდენტებს მიეცით პრაქტიკული სავარჯიშო (როლური თამაში) - **„შრომითი ხელშეკრულების შედგენა“**. სტუდენტები იყოფიან ორ-ორად, სადაც ერთი არის „დასასაქმებელი“, ხოლო მეორე „დამსაქმებელი“. სტუდენტების ყველა წყვილს შესავსებად დაურიგეთ დანართი 4.3.3-ით მოცემული შრომითი ხელშეკრულების თითო ნიმუში. სასურველია ლექციის დასასრულს ყველა წყვილს ჰქონდეს თავის მიერ შევსებული ხელშეკრულების წარმოდგენის საშუალება.

4.3.3. დამოუკიდებელი მეცადინეობა (3 სთ)



**დავალება №4.3.3 - შრომით ურთიერთობებთან დაკავშირებული სავარჯიშოები:**

*(**განმარტება მასწავლებლისთვის:** აღნიშნული დავალება სტუდენტს უვითარებს შრომითი ხელშეკრულებისა და დანიშვნის ბრძანების შედგენის უნარებს, აუთსორსინგის საჭიროების განსაზღვრის უნარს, ასევე Word-ის დოკუმენტის მარტივი რედაქტირებისა და ელექტრონული კომუნიკაციის უნარებს)*

**დავალების პირობა:** 4.3.6 დანართში აღნიშნული სავარჯიშოები შეასრულეთ ქვემოთ მოცემული ინსტრუქციის შესაბამისად, წერილობითი ფორმით (არანაკლებ 3 გვერდი).

**დავალების შესრულების ინსტრუქცია სტუდენტებისთვის:** დავალება შეინახეთ Word-ის ცალკე დოკუმენტად შემდეგი წესების დაცვით:

1. გახსენით Word-ის ახალი დოკუმენტი და ლათინური შრიფტით დაარქვით „12.Labor Relations Exercises_Name Surname of Student“ („Name Surname of Student“-ს ნაცვლად მიუთითეთ თქვენი სახელი და გვარი);
2. აირჩიეთ შრიფტი - Sylfaen და შრიფტის ზომა - 11.
3. Word-ის დოკუმენტის დასაწყისში, შუა ადგილზე ჩაწერეთ თეორიული ლექციის სათაური;
4. გადმოწერეთ და რიგითობის მიხედვით დანომრეთ თითოეული სავარჯიშო დავალების პირობაში დასახელებული დანართიდან;
5. თითოეული სავარჯიშოს ქვემოთ, აბზაცით ჩაწერეთ პასუხი ამ სავარჯიშოზე;
7. შესრულებული დავალება თქვენი საკუთარი ელ-ფოსტით გამოაგზავნეთ მომდევნო ლექციამდე, ელ-ფოსტაზე: *აქ მასწავლებელმა უნდა ჩაწეროს ელექტრონული ფოსტის მისამართი, სადაც უნდა გამოიგზავნოს დავალება*.

განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტი №4.3

(სასურველია შეივსოს მომდევნო თეორიული ლექციის დასაწყისში)

ამ დამოუკიდებელი მეცადინეობის შედეგები მოწმდება ორი კრიტერიუმის მიხედვით:

1. **სტუდენტმა გადმოაგზავნა თუ არა დავალება საკუთარი ელ-ფოსტით** (სასურველია შემოწმდეს მომდევნო თეორიულ ლექციამდე);

**2. სტუდენტი პასუხობს თუ არა დავალებასთან დაკავშირებულ შეკითხვებს** (სასურველია შემოწმდეს მომდევნო თეორიული ლექციის დასაწყისში - თითო სტუდენტს დაუსვით 2-3 მარტივი შეკითხვა, რათა დარწმუნდეთ, რომ დავალება მისი შესრულებულია).

<table>
<tr><th rowspan="3">№</th><th rowspan="3">სტუდენტის გვარი, სახელი</th><th rowspan="3">დავალების ნომერი და დასახელება</th><th colspan="4">შესრულების კრიტერიუმები</th></tr>
<tr><th colspan="2">დავალება გადმოაგზავნა საკუთარი ელ-ფოსტით</th><th colspan="2">უპასუხა დავალებასთან დაკავშირებულ შეკითხვებს</th></tr>
<tr><th>დიახ</th><th>არა</th><th>დიახ</th><th>არა</th></tr>
<tr><td>1</td><td></td><td>№4.3.3 - შრომით ურთიერთობებთან დაკავშირებული სავარჯიშოები</td><td></td><td></td><td></td><td></td></tr>
<tr><td colspan="7">დავალება შესრულებულად ითვლება ორივე კრიტერიუმის დადებითად შეფასების შემთხვევაში</td></tr>
</table>

***(განმარტება მასწავლებლისთვის:** შესაძლებელია მოცემულ ცხრილს დაუმატოთ იმდენი სტრიქონი, რამდენი სტუდენტიც არის შესაფასებელი და ისე ამობეჭდოთ, ან თითო სტუდენტისთვის ამობეჭდოთ თითო ასეთი ცხრილი).*

# 4.3.4. სწავლის შედეგი 3 - განმსაზღვრელი შეფასება (1სთ)

სწავლის შედეგი 3

| | |
|---|---|
| მოდული: | **მეწარმეობა** |
| სწავლის შედეგი/შესრულების კრიტერიუმი | სწავლის მე-3 შედეგის კრიტერიუმები:<br>1. ბიზნესის სპეციფიკის გათვალისწინებით, სწორად აღწერს წარმოების/მომსახურეობის ტექნოლოგიურ პროცესს;<br>2. ტექნოლოგიის გათვალისწინებით, სწორად უკეთებს იდენტიფიცირებას საჭირო ძირითად საშუალებებს, აღჭურვილობასა და ინვენტარს;<br>3. სწორად განსაზღვრავს საჭირო მასალებსა და ნედლეულს;<br>4. სწორად აღწერს საწარმოს მასალებითა და ნედლეულით უზრუნველყოფის გზებს;<br>5. ბიზნესის სპეციფიკის გათვალისწინებით, რეალისტურად აღწერს ბიზნესის დაწყებასთან დაკავშირებულ ხარჯებს;<br>6. სწორად აღწერს ბიზნესის დაფინანსების წყაროებს. |
| შეფასების მიმართულება: | ზეპირი ან/და წერილობითი მტკიცებულება (კრიტერიუმი 1)<br>პროდუქტი/შედეგი, მტკიცებულება (კრიტერიუმი 2-6) |
| შეფასების ინსტრუმენტი | ტესტი/ზეპირი შეკითხვები<br>პროექტი |
| აღწერა | მოდულის განხორციელების განმავლობაში სტუდენტი დამოუკიდებელ საათებზე ქმნის სხვადასხვა სახის წერილობით დოკუმენტებს, რომლებიც უნდა ფასდება მოცემულ ტესტებთან ერთად.<br><br>**ტესტი/ზეპირი შეკითხვები, წერითი:**<br>ბიზნესის ორგანიზება (კითხვები მრავალი არჩევითი პასუხით).<br><br>1.საწარმოო რესურსების ტიპებია:<br>ა)ბუნებრივი; ბ)ადამიანური; გ)კაპიტალური; დ)სამეწარმოო უნარი; ე)მცენარეული; ვ)ცხოველური.<br><br>2.ტექნოლოგიური პროცესის რამდენ სახეს იცნობთ?<br>ა)2; ბ)3; გ)5; დ)10.<br><br>3.თქვენი ბიზნესისათვისათვის რომელ ტექნოლოგიებს გამოიყენებდით?<br>..........................................................................................................................<br><br>4.ტექნოლოგიური პროცესების უპირატესობებია?<br>..........................................................................................................................<br><br>5.წარმოების ფაქტორებია: |

| | |
|---|---|
| | ა)კაპიტალური რესურსები.  ბ)ბუნებრივი რესურსი.გ) ადამიანური რესურსი.დ)სამეწარმეო უნარი ე)სარეზერვო კაპიტალი.<br>6.ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელია ძირითადი საშუალება:<br>ა)მანქანები; ბ)შენობა -ნაგებობები;  გ)დაზგები;   დ)ინვენტარი;   ე)მასალა; და ნედლეული.<br><br>7.ჩამოთვლილთაგან რომელია საბრუნავი საშუალებები:<br>ა) ნედლეული; ბ)მასალები;   გ)ნახევარფაბრიკატები; დ)ფული; ე)საოფისე შენობა.<br><br>8.წარმოადგინეთ შ.პ.ს-ის კაპიტალის სტრუქტურა<br>……………………………………………………………………………………………<br><br>9.ტექნოლოგიებთან დაკავშირებული რიკები<br>……………………………………………………………………………………<br><br>10.რომელია  ბიზნესის დაფინანსები  ს წყაროები:<br>ა)საკუთარი დანაზოგი,  ბ)კრედიტი,  გ)სპეციალური პროგრამები,   დ)სხვა საწარმოოს მოგება   ,ე)იჯარა.<br><br>**პროექტი:**<br><br>სტუდენტს საშუალება ეძლევა შეფასებამდე შეცვალოს/გააუმჯობესოს თავის მიერ შემუშავებული დოკუმენტაცია.<br><br>შეფასების მიზანია შემოწმდეს სტუდენტის მიერ წარმოდგენილი ნაშრომის საკმარისობა და ავთენტურობა კრიტერიუმების მიხედვით კომპეტენციათა დასადასტურებლად.<br><br>შეფასება ხორციელდება სასწავლო აუდიტორიაში, შესაფასებელი პირის თანდასწრებით. შეფასებისათვის გამოყოფილი დროა  1 სთ.<br><br>საჭიროების შემთხვევაში შემფასებელი იყენებს ზეპირ შეკითხვებს. ზეპირი კითხვების მიზანია დაადგინოს წარმოდგენილი ნაშრომის ავთენტურობა, ხოლო არასაკმარისობის შემთხვევაში უზრუნველყოს დამატებითი მტკიცებულებების მოპოვება. ამ შემთხვევაში შეიქმნება დამატებითი მტკიცებულება მასწავლებლის ჩანაწერების სახით.<br><br>შეფასების პროცესში სტუდენტს უფლება აქვს გამოიყენიოს საკუთარი სამუშაო ჩანაწერები და ჩაბარებული მტკიცებულება ან მისი ასლი, კონსპექტები, სახელმძღვანელო, კალკულატორი. |
| **შინაარსი** | მტკიცებულებები გროვდება ეტაპობრივად. კერძოდ, შეფასების კრიტერიუმების მიხედვით მოწმდება სტუდენტის მიერ შექმნილი შემდეგი დოკუმენტები: |

| | |
|---|---|
| | 1 კრიტერიუმისათვის - წერითი დავალებები<br><br>2 -6 კრიტერიუმისათვის - თავის მიერ არჩეული ბიზნეს-იდეის არანაკლებ ნახევარგვერდიანი დასაბუთება ძირითადი საშიალებების, აღჭურვილობების, ინვენტარის, მასალა-ნედლეულით უზრუნველყოფის გზების, რელევანტური ხარჯებისა და დაფინანსების შესაძლო წყაროების დასახელებით. |
| **მტკიცებულება** | სტუდენტის პორტფოლიო და საჭიროების შემთხვევაში- მასწავლებლის ჩანაწერები. |
| **შეფასების სქემა** | სტუდენტი დადებითად შეფასდება, თუ ყველა კრიტერიუმის მიხედვით წარმოდგენილი იქნება საკმარისი, ავთენტური მტკიცებულება და არსებობის შემთხვევაში, ზეპირ შეკითხვებზე გაცემული იქნება დამაკმაყოფილებელი პასუხი. მხოლოდ ზეპირი შეკითხვების საფუძველზე სტუდენტის დადებითად შეფასება დაუშვებელია. |

## დანართი 4.3.1. კითხვების ბაზა
## (შრომითი ურთიერთობები)

1. რას ნიშნავს შრომითი ურთიერთობა და რომელი საკანონმდებლო აქტით რეგულირდება საქართველოში?
2. ვინ არიან შრომითი ურთიერთობის სუბიექტები?
3. შრომითი ურთიერთობის დაწყების დამადასტურებელი რა დოკუმენტები არსებობს?
4. რა ვადით იდება შრომითი ხელშეკრულება საქართველოს კანოანმდებლობის მიხედვით?
5. რას ნიშნავს შრომითი ურთიერთობის შეჩერება?
6. რას ნიშნავს შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა?
7. ხელშეკრულების შეჩერებისა და შეწყვეტის რა პირობები არსებობს?
8. რა არის აუთსორსინგი და რა უპირატესობები აქვს მას?

## დანართი 4.3.2. სავარჯიშოების ბაზა
## (შრომითი ურთიერთობები)

1. თქვენს მიერ შერჩეული ბიზნესისთვის შეიმუშავეთ ხელშეკრულების ფორმა. კერძოდ, განსაზღვრეთ შრომითი ურთიერთობების შეჩერებისა და შეწყვეტის პირობები (არანაკლებ 1 გვერდი);
2. Word-ის იგივე დოკუმენტის ცალკე გვერდზე შადგინეთ პერსონალის დანიშვნის ბრძანების პროექტი (არანაკლებ ნახევარი გვერდი);
3. Word-ის იგივე დოკუმენტის ცალკე გვერდზე, თქვენს მიერ შერჩეული ბიზნესისთვის, განსაზღვრეთ საქმიანობის ფორმები, რომელთა აუთსორსინგზე გატანაც მიზანშეწონილად მიგაჩნიათ (არანაკლებ 2 საქმიანობა).

დანართი 4.3.3. შრომითი ხელშეკრულება

*ნიმუში*

ქ. ------------------                                                    ________________ 20    წ.

ერთის მხრივ, ____________________ (სახელწოდება, იურიდიული მისამართი) მისი დირექტორის (წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის) _______________ სახით (შემდგომში – *დამსაქმებელი*) და მეორეს მხრივ, ____________________ (შემდგომში *დასაქმებული*), მცხოვრები ____________________________, პირადობის მოწმობა № _______________, პირადი № _______________, გაცემული _______________________ მიერ ____________________ წელს.

ნების თავისუფალი გამოვლენის საფუძველზე ვდებთ წინამდებარე შრომით ხელშეკრულებას შემდეგი პირობებით:

## მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

დამსაქმებელი იღებს დასაქმებულს -------------------------------- თანამდებობაზე, ხოლო დასაქმებული კისრულობს ვალდებულებას, შეასრულოს ამ ხელშეკრულებით მისთვის დაკისრებული სამუშაო იმ მოცულობითა და წესით, რომელიც განსაზღვრულია ამ ხელშეკრულებით, დამატებითი ხელშეკრულებებით ***(ასეთის არსებობის შემთხვევაში)***, ორგანიზაციაში მოქმედი შრომის შინაგანაწესითა და თანამდებობრივი ინსტრუქციით ***(ასეთის არსებობის შემთხვევაში).***

## მუხლი 2. დასაქმებულის მიერ შესასრულებელი სამუშაოები (ფუნქციები)

2.1. დასაქმებულს ევალება პირადად შეასრულოს შემდეგი სამუშაო:
______________________________________________________________________________
______________________________________________________________________________
______________________________________________________________________________
______________________________________________________________________________
______________________________________________________________________________

2.2. დასაქმებულის მიერ შესასრულებელი სამუშაოების (ფუნქციების) ჩამონათვალი განისაზღვრება დამატებითი ხელშეკრულებებით ***(ასეთის არსებობის შემთხვევაში),*** რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს, აგრეთვე თანამდებობრივი ინსტრუქციით ***(ასეთის არსებობის შემთხვევაში).***

## მუხლი 3. მხარეთა უფლებები და მოვალეობები

3.1. თანამდებობაზე ყოფნის დროს ***დასაქმებულს უფლება აქვს:***

ა) დამსაქმებლისაგან მოითხოვოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების და მოქმედი კანონმდებლობის დაცვა;

ბ) დამსაქმებლისაგან მოითხოვოს შრომის უსაფრთხო პირობების შექმნა და დაცვა;

გ) ისარგებლოს შვებულებით, დასვენებით, შესვენებით და უქმე დღეებით ამ ხელშეკრულების, შრომის შინაგანაწესის და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

დ) უარი განაცხადოს იმ სამუშაოს, დავალების ან მითითების შესრულებაზე, რომელიც ეწინააღმდეგება კანონს, ან აშკარა და არსებით საფრთხეს უქმნის მისი ან მესამე პირის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და საკუთრებას.

3.2. თანამდებობაზე ყოფნის დროს ***დასაქმებული ვალდებულია:***

ა) შეასრულოს მასზე დაკისრებული ფუნქციები კეთილსინდისიერად, დროულად და მაღალ პროფესიულ დონეზე;

ბ) განუხრელად დაიცვას ორგანიზაციის წესდება და ორგანიზაციაში მოქმედი სხვა აქტები *(ასეთის არსებობის შემთხვევაში);*

გ) განუხრელად დაიცვას ორგანიზაციის შრომის შინაგანაწესი *(ასეთის არსებობის შემთხვევაში)*, რომელიც წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს;

დ) განუხრელად დაიცვას თანამდებობრივი ინსტრუქცია *(ასეთის არსებობის შემთხვევაში)*;

ე) არ გაავრცელოს ორგანიზაციის კონფიდენციალური ინფორმაცია, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა სამუშაოს შესრულებისას.

3.3. ***დამსაქმებელს უფლება აქვს:***

ა) მოითხოვოს დასაქმებულისგან დაკისრებული ვალდებულების ჯეროვნად და კეთილსინდისიერად შესრულება;

ბ) დაადგინოს ორგანიზაციის შრომის შინაგანაწესი საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით;

გ) დასაქმებულისაგან მოითხოვოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული და შრომის შინაგანაწესით დადგენილი პირობების დაცვა;

დ) კანონმდებლობით და შრომის შინაგანაწესით დადგენილი წესით, მოითხოვოს დასაქმებულისგან ზეგანაკვეთური სამუშაოს შესრულება შესაბამისი ანაზღაურებით.

ე) გამოიყენოს შრომის შინაგანაწესითა და მოქმედი კანონმდებლობით ნებადართული სხვა უფლებები.

3.4. ***დამსაქმებელი ვალდებულია:***

ა) დაიცვას ამ ხელშეკრულებით, შრომის შინაგანაწესითა და მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული პირობები;

ბ) გააცნოს დასაქმებულს შრომის შინაგანაწესი;

გ) თავისი შესაძლებლობების ფარგლებში, დასაქმებულს შეუქმნას ნორმალური მუშაობისათვის საჭირო სამუშაო პირობები;

დ) დასაქმებულს შეუქმნას შრომის უსაფრთხო პირობები;
ე) დროულად და სრულად უზრუნველყოს დასაქმებულისთვის შრომის ანაზღაურების მიცემა.

## მუხლი 4. შრომის ანაზღაურება (ხელფასი)

4.1. შესრულებული სამუშაოსათვის დასაქმებულს ეძლევა შრომის ანაზღაურება (ხელფასი), რომლის ოდენობა შეადგენს ———— ლარს.
4.2. შრომის ანაზღაურება (ხელფასი) გაიცემა ყოველთვიურად, ყოველი მომდევნო თვის ——— რიცხვამდე.
4.3. შრომის ანაზღაურების (ხელფასის) გაცემა ხდება ——————— (ნაღდი/უნაღდო) ანგარიშსწორებით.
4.4. დამსაქმებელი დაუკავებს დასაქმებულს საშემოსავლო გადასახადს საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## მუხლი 5. სამუშაო დრო, შესვენების დრო, შვებულება

5.1. დასაქმებულის ძირითადი სამუშაო დრო განისაზღვრება —— საათიანი სამუშაო დღით, —— დღიანი სამუშაო კვირით. დასვენების დღეებია ———————.
5.2. დასაქმებულს უფლება აქვს ისარგებლოს 1 საათიანი შესვენებით სამუშაო დღის განმავლობაში.
5.3. დასაქმებულს უფლება აქვს არ იმუშაოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ უქმე დღეებში.
5.4. დასაქმებულს უფლება აქვს ისარგებლოს ანაზღაურებადი შვებულებით წელიწადში —— (სამუშაო/ კალენდარული) დღის ოდენობით.
5.5. დასაქმებულს უფლება აქვს ისარგებლოს ანაზღაურების გარეშე შვებულებით წელიწადში —— (სამუშაო/კალენდარული) დღის ოდენობით.

## მუხლი 6. მხარეთა პასუხისმგებლობა

მხარეები პასუხისმგებელი არიან ერთმანეთის წინაშე ვალდებულებების შეუსრულებლობით წარმოშობილი ზიანისთვის, თუ იგი დაუძლეველი ძალის მოქმედებით არ იყო გამოწვეული.

## მუხლი 7. შრომითი ხელშეკრულების მოქმედების შეჩერება და შეწყვეტა

წინამდებარე შრომითი ხელშეკრულების მოქმედების შეჩერება და შეწყვეტა ხდება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი საფუძვლებითა და წესით.

## მუხლი 8. დავა

მხარეთა შორის წარმოშობილი დავის გადაწყვეტა ხდება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## მუხლი 9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება იდება ---- წლის ვადით, 20-- წლის --------------- დან 20-- წლის -------- მდე.

## მუხლი 10. ცვლილებები და დამატებები

ხელშეკრულების არსებითი პირობების შეცვლა შესაძლებელია ორივე მხარის შეთანხმების საფუძველზე წერილობითი ფორმით.

## მუხლი 11. დასკვნითი დებულებები

11.1. საკითხები, რომლებიც არ არის განსაზღვრული წინამდებარე ხელშეკრულებით წესრიგდება მოქმედი კანონმდებლობითა და ორგანიზაციის შრომის შინაგანაწესით ***(ასეთის არსებობის შემთხვევაში).***
11.2. ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლიარად და ინახება მხარეებთან.

## მხარეთა ხელმოწერები

დამსაქმებელი                                        დასაქმებული

______________________________                ______________________________

## თავი 4.4. თანამშრომელთა მუშაობის შეფასება და სტიმულირება (XVI კვირა)

*(მოკლე შინაარსი მეწარმეობის სახელმძღვანელოს [90] 4.3.1-4.3.5 ქვეთავების მიხედვით: შრომითი ურთიერთობის წარმოშობის საფუძვლები; შრომითი ურთიერთობის სუბიექტები; შრომითი ურთიერთობის დაწყება; შრომითი ურთიერთობის შეჩერება; შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა)*

საათების სავარაუდო განაწილება:
4.4.1. თეორიული - 1 სთ;
4.4.2. პრაქტიკული - 1 სთ;
4.4.3. დამოუკიდებელი - 4 სთ.

### 4.4.1. თეორიული მეცადინეობა (1 სთ)



**აქტივობების ზოგადი აღწერა:** წინა დამოუკიდებელი მეცადინეობის დროს მიცემული დავალება შეამოწმეთ ამ დავალებისათვის დადგენილი განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტის მიხედვით, ხოლო შემდეგ ახსენით ახალი თეორიული მასალა.

**აქტივობების დეტალური აღწერა:** პირველი 10-15 წუთი - დაუთმეთ დავალების შემოწმებას ამ დავალებისათვის დადგენილი განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტის მიხედვით. ამ მიზნით, სტუდენტებს ჯერ გააცანით ინფორმაცია, თუ ვინ გამოაგზავნა დავალება საკუთარი ელ-ფოსტით, ხოლო შემდეგ თითო სტუდენტს დაუსვით დავალებასთან დაკავშირებული 2-3 შეკითხვა, რათა დარწმუნდეთ, რომ დავალება ნამდვილად ამ სტუდენტის შესრულებულია და არ არის გადმოწერილი. თითოეულ სტუდენტს მიუთითეთ, თუ რა შეცდომა დაუშვა დავალების შესრულებისას და მიეცით კონკრეტული რეკომენდაციები მათ გამოსასწორებლად. განიხილეთ ერთ-ერთი ყველაზე კარგად შესრულებული დავალება (ან ამ თეორიულ მეცადინეობაზე, ან ამავე თავის პრაქტიკული მეცადინეობის ბოლოს).

---

[90] ***მეწარმეობის სახელმძღვანელო*** *- გზამკვლევში ამ ტერმინით მოხსენიებულია განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებული სტუდენტის სახელმძღვანელო - „მეწარმეობა“.*

**მომდევნო 5-10 წუთი** დაუთმეთ ლექციის შესავალ ნაწილს: ასახსნელი თეორიული მასალის შესახებ ისტორიებს ან/და მაგალითებს, გონებრივ იერიშს (გონებრივი იერიშისას გამოიყენეთ 4.4.1 დანართით მოცმული კითხვები), რათა სტუდენტები დაფიქრდნენ, თუ რა მნიშვნელობა აქვს თანამშრომელთა მუშაობის შეფასებასა და მათ სტიმულირებას წარმატებულ ბიზნესში.

შესავალი ნაწილის შემდეგ, პროფესიული სტუდენტისთვის (რომელსაც არც თეორიული და არც პრაქტიკული გამოცდილება არ აქვს ბიზნესში) მაქსიმალურად გასაგები ენით, განმარტეთ შემდეგი საკითხები:

1. რატომ და როგორ ხორციელდება თანამშრომელთა საქმიანობის შეფასება? [91]

2. რისთვის არის საჭირო თანამშრომელთა სწავლება და კვალიფიკაციის ამაღლება? [92]

3. თანამშრომელთა სტიმულირების რა მექანიზმები არსებობს? [93]

**ა) რეკომენდაციები**



სასურველია:

1. თეორიული მასალა გადმოიცეს პრეზენტაციის მეშვეობით;
2. პრეზენტაციის საწყის სლაიდზე ჩანდეს ამ ქვეთავის ნომერი და სათაური შესაბამის ილუსტრაციასთან ერთად;
3. თითოეულ საკითხს დაეთმოს 1-5 სლაიდი;
4. თითოეულ სლაიდზე ჩანდეს როგორც ტექსტი, ისე ტექსტის შესაბამისი ილუსტრაცია, რომელიც მაქსიმალურად უწყობს ხელს მასალის ათვისებასა და დამახსოვრებას;
5. ბოლოს წინა სლაიდებზე ჩაიწეროს დამოუკიდებელი მუშაობის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ინსტრუქცია და ელექტრონული ფოსტის მისამართი, სადაც სტუდენტებმა უნდა გამოაგზავნონ დამოუკიდებელი მუშაობის დროს შესრულებული მასალა (მაგალითად, მასწავლებლის ელექტრონული ფოსტა);

---

[91] *მეწარმეობის სახელმძღვანელოს შემდეგი ქვეთავის მიხედვით: „4.3.1. თანამშრომელთა საქმიანობის შეფასება“.*

[92] *მეწარმეობის სახელმძღვანელოს შემდეგი ქვეთავის მიხედვით: „4.3.2. თანამშრომელთა სწავლება და კვალიფიკაციის ამაღლება“.*

[93] *მეწარმეობის სახელმძღვანელოს შემდეგი ქვეთავის მიხედვით: „4.3.3. თანამშრომელთა სტიმულირების მექანიზმები“.*

6. ბოლო სლაიდს დაარქვათ „საკითხავი მასალა“, სადაც ჩაწერეთ ძირითადი საკითხავი მასალის დასახელება (მაგალითად, ტექსტი - „ლექციაზე განხილული სლაიდები“) და დამატებითი საკითხავი ლიტერატურის დასახელება ამ ქვეთავის „ზ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

**ზ) ლიტერატურა**



სასურველია პრეზენტაცია მომზადდეს მეწარმეობის სახელმძღვანელოს შემდეგი თავის მიხედვით: 4.3. თანამშრომელთა მუშაობის შეფასება და სტიმულირება.

**გ) რესურსები**



კომპიუტერი, პროექტორი, ჰენდაუთი (სლაიდების ამობეჭდილი ვერსია). შესაძლებელია თეორიული მასალის შესაბამისი ვიდეო/აუდიო/ინტერნეტ რესურსის გამოყენება.

## 4.4.2. პრაქტიკული მეცადინეობა (1 სთ)



პრაქტიკული მეცადინეობა ხელს უნდა უწყობდეს თეორიული მეცადინეობის დროს ახსნილი ინფორმაციის განმტკიცებას. მასწავლებელი უნდა დარწმუნდეს, რომ აუდიტორიაში მსხდომმა ყველა სტუდენტმა გაიგო თეორიული მეცადინეობის დროს ახსნილი ინფორმაცია.

ა) **პირველი 5-10 წუთი** დაუთმეთ გონებრივ იერიშს (შეგიძლიათ გამოიყენოთ კითხვები 4.4.1. დანართიდან), რათა გაარკვიოთ ხომ არ არის ისეთი საკითხი, რომელიც ვერ გაიგეს სტუდენტებმა თეორიული მასალიდან. სთხოვეთ სტუდენტებს მოიყვანონ მათთვის ცნობილი მაგალითები თეორიულ მასალასთან დაკავშირებით;

ბ) სტუდენტებს მიეცით პრაქტიკული სავარჯიშო - **„თანამშრომელთა მუშაობის შეფასება და მათი სტუმულირება“**. სტუდენტები დაყავით სამ ჯგუფად. თითოეულ ჯგუფში უნდა დანაწილდეს ფუნქციები. კერძოდ, თითოეულ ჯგუფს უნდა ჰყავდეს:

- ☞ მენეჯერი - პირი, რომელიც იძლევა დავალებებს და სვამს კითხვებს ჯგუფის წევრებისგან საჭირო ინფორმაციის რაც შეიძლება მოკლე დროში მისაღებად;
- ☞ მდივანი - ოფისის მენეჯერი, ანუ პირი, რომელიც აკეთებს საჭირო ჩანაწერებს ჯგუფის ეფექტური მუშაობისთვის.

მენეჯერის და მდივანის არჩევა ხდება შემდეგი წესით: თითოეული წევრი ამბობს თავის სახელს ჯერ მენეჯერის, ხოლო შემდეგ მდივანის „ვაკანსიაზე“, ხოლო დანარჩენები ხელის აწევით აძლევენ ხმას სასურველ კანდიდანტს.

მენეჯერი სთხოვს ჯგუფის წევრებს დაასახელონ:

1. თანამშრომელთა შეფასების მინიმუმ თითო წესი;
2. თანამშრომელთა შეფასების მინიმუმ თითო კრიტერიუმი;
3. თანამშრომელთა სტიმულირების მინიმუმ თითო ხერხი.

ჯგუფის მდივანი იწერს დასახელებულ პასუხებს და როდესაც ყველა დავალებაზე ყველა წევრის პასუხს ჩაიწერს, იწყება კენჭისყრა: მდივანი ზეპირად ან წერილობით ასახელებს თითო დავალებაზე გაცემულ პასუხს და ჯგუფის წევრები ხელის აწევით აძლევენ ხმას მათთვის ყველაზე მეტად მისაღებ ვარიანტებს.

მდივანი ცალკ-ცალკე ფურცელზე გადმოიწერს სამივე დავალებას დაგროვილი ხმების რაოდენობის მიხედვით, კლებადობით, ალაგებს პასუხებს თითოეული დავალების ქვემოთ.

პრაქტიკული მეცადინეობის ბოლო 15 წუთი ეთმობა პრეზენტაციებს - თითო ჯგუფს ეძლევა 5 წუთი წარმოადგინოს ჯგუფის მიერ შერჩეული თანამშრომელთა შეფასების წესები, კრიტერიუმი და სტიმულირების ხერხები.

## 4.4.3. დამოუკიდებელი მეცადინეობა (4 სთ)



### დავალება №4.4.3 - თანამშრომელთა შეფასების ანკეტა და სტიმულირების მეთოდები:

*(**განმარტება მასწავლებლისთვის:** აღნიშნული დავალება სტუდენტს უვითარებს თანამშრომელთა შეფასებისა და სტიმულირების უნარებს, ასევე Word-ის დოკუმენტის მარტივი რედაქტირებისა და ელექტრონული კომუნიკაციის უნარებს)*

**დავალების პირობა:** 4.4.2 დანართში აღნიშნული სავარჯიშოები შეასრულეთ ქვემოთ მოცემული ინსტრუქციის შესაბამისად, წერილობითი ფორმით (არანაკლებ 2 გვერდი).

**დავალების შესრულების ინსტრუქცია სტუდენტებისთვის:** დავალება შეინახეთ Word-ის ცალკე დოკუმენტად შემდეგი წესების დაცვით:

1. გახსენით Word-ის ახალი დოკუმენტი და ლათინური შრიფტით დაარქვით „13. Employees Rate and Stimulate_Name Surname of Student“ („Name Surname of Student“-ს ნაცვლად მიუთითეთ თქვენი სახელი და გვარი);
2. აირჩიეთ შრიფტი - Sylfaen და შრიფტის ზომა - 11.
3. Word-ის დოკუმენტის დასაწყისში, შუა ადგილზე ჩაწერეთ თეორიული ლექციის სათაური;
4. გადმოწერეთ და რიგითობის მიხედვით დანომრეთ თითოეული სავარჯიშო დავალების პირობაში დასახელებული დანართიდან;
5. თითოეული სავარჯიშოს ქვემოთ, აბზაცით ჩაწერეთ პასუხი ამ სავარჯიშოზე;
7. შესრულებული დავალება თქვენი საკუთარი ელ-ფოსტით გამოაგზავნეთ მომდევნო ლექციამდე, ელ-ფოსტაზე: *აქ მასწავლებელმა უნდა ჩაწეროს ელექტრონული ფოსტის მისამართი, სადაც უნდა გამოიგზავნოს დავალება.*

განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტი №4.4

(სასურველია შეივსოს მომდევნო თეორიული ლექციის დასაწყისში)

ამ დამოუკიდებელი მეცადინეობის შედეგები მოწმდება ორი კრიტერიუმის მიხედვით:

1. **სტუდენტმა გადმოაგზავნა თუ არა დავალება საკუთარი ელ-ფოსტით** (სასურველია შემოწმდეს მომდევნო თეორიულ ლექციამდე);

**2. სტუდენტი პასუხობს თუ არა დავალებასთან დაკავშირებულ შეკითხვებს** (სასურველია შემოწმდეს მომდევნო თეორიული ლექციის დასაწყისში - თითო სტუდენტს დაუსვით 2-3 მარტივი შეკითხვა, რათა დარწმუნდეთ, რომ დავალება მისი შესრულებულია).

| № | სტუდენტის გვარი, სახელი | დავალების ნომერი და დასახელება | შესრულების კრიტერიუმები | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | დავალება გადმოგზავნა საკუთარი ელ-ფოსტით | | უპასუხა დავალებასთან დაკავშირებულ შეკითხვებს | |
| | | | დიახ | არა | დიახ | არა |
| 1 | | №4.4.3 - თანამშრომელთა შეფასების ანკეტა და სტიმულირების მეთოდები | | | | |
| **დავალება შესრულებულად ითვლება ორივე კრიტერიუმის დადებითად შეფასების შემთხვევაში** | | | | | | |

*(**განმარტება მასწავლებლისთვის:** შესაძლებელია მოცემულ ცხრილს დაუმატოთ იმდენი სტრიქონი, რამდენი სტუდენტიც არის შესაფასებელი და ისე ამობეჭდოთ, ან თითო სტუდენტისთვის ამობეჭდოთ თითო ასეთი ცხრილი).*

## დანართი 4.4.1. კითხვების ბაზა
## (თანამშრომელთა შეფასება და სტიმულირება)

1. რატომ უნდა შეფასდეს თანამშროლთა საქმიანობა?
2. რა სიხშით უნდა ჩატარდეს თანამშრომელთა შეფასება?
3. თანამშრომელთა შეფასების რა მეთოდებს იცნობთ?
4. თანამშრომელთა სწავლების რა ეტაპები და მეთოდები არსებობს?.
5. თანამშრომელთა სტიმულირების რა მეთოდებს იცნობთ?
6. დაახასითეთ თანამშრომელთა სტიმულირების მეთოდები.

## დანართი 4.4.2. სავარჯიშოების ბაზა
## (თანამშრომელთა შეფასება და სტიმულირება)

1. შეადგინეთ თანამშრომელთა შეფასების ანკეტა და კრიტერიუმები;
2. შეადგინეთ თანამშრომელთა სტიმულირების წესი და სახეები.

# სწავლის შედეგი 5: პროდუქციისა და მომსახურების რეალიზაცია (18 სთ)

## თავი 5.1. რეკლამა (XVII კვირა)

*(მოკლე შინაარსი მეწარმეობის სახელმძღვანელოს[94] 5.1.1-5.1.4 ქვეთავების მიხედვით: რეკლამის არსი და ფუნქციები; სარეკლამო ინფორმაციის გავრცელების საშუალებები)*

საათების სავარაუდო განაწილება:
5.1.1. თეორიული - 2 სთ;
5.1.2. პრაქტიკული - 1 სთ;
5.1.3. დამოუკიდებელი - 2 სთ.

### 5.1.1. თეორიული მეცადინეობა (2 სთ)



**აქტივობების ზოგადი აღწერა:** წინა დამოუკიდებელი მეცადინეობის დროს მიცემული დავალება შეამოწმეთ ამ დავალებისათვის დადგენილი განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტის მიხედვით, ხოლო შემდეგ ახსენით ახალი თეორიული მასალა.

**აქტივობების დეტალური აღწერა:** პირველი 10-15 წუთი - დაუთმეთ დავალების შემოწმებას ამ დავალებისათვის დადგენილი განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტის მიხედვით. ამ მიზნით, სტუდენტებს ჯერ გააცანით ინფორმაცია, თუ ვინ გამოაგზავნა დავალება საკუთარი ელ-ფოსტით, ხოლო შემდეგ თითო სტუდენტს დაუსვით დავალებასთან დაკავშირებული 2-3 შეკითხვა, რათა დარწმუნდეთ, რომ დავალება ნამდვილად ამ სტუდენტის შესრულებულია და არ არის გადმოწერილი. თითოეულ სტუდენტს მიუთითეთ, თუ რა შეცდომა დაუშვა დავალების შესრულებისას და მიეცით კონკრეტული რეკომენდაციები მათ გამოსასწორებლად. განიხილეთ ერთ-ერთი ყველაზე კარგად შესრულებული დავალება (ან ამ თეორიულ მეცადინეობაზე, ან ამავე თავის პრაქტიკული მეცადინეობის ბოლოს).

[94] *__მეწარმეობის სახელმძღვანელო__ - გზამკვლევში ამ ტერმინით მოხსენიებულია განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებული სტუდენტის სახელმძღვანელო - „მეწარმეობა“.*

**მომდევნო 5-10 წუთი** დაუთმეთ ლექციის შესავალ ნაწილს: ასახსნელი თეორიული მასალის შესახებ ისტორიებს ან/და მაგალითებს, გონებრივ იერიშს (გონებრივი იერიშისას გამოიყენეთ 5.1.1. დანართით მოცმული კითხვები), რათა სტუდენტები დაფიქრდნენ, თუ რა მნიშვნელობა აქვს რეკლამას ბიზნესის წარმატებისთვის.

შესავალი ნაწილის შემდეგ, პროფესიული სტუდენტისთვის (რომელსაც არც თეორიული და არც პრაქტიკული გამოცდილება არ აქვს ბიზნესში) მაქსიმალურად გასაგები ენით, განმარტეთ შემდეგი საკითხები:

1. რა წარმოადგენს რეკლამის არსს და რა ფუნქციები გააჩნია? [95]

2. სარეკლამო ინფორამციის რა საშუალებები არსებობს? [96]

**ა) რეკომენდაციები**



სასურველია:

1. თეორიული მასალა გადმოიცეს პრეზენტაციის მეშვეობით;

2. პრეზენტაციის საწყის სლაიდზე ჩანდეს ამ ქვეთავის ნომერი და სათაური შესაბამის ილუსტრაციასთან ერთად;

3. თითოეულ საკითხს დაეთმოს 1-5 სლაიდი;

4. თითოეულ სლაიდზე ჩანდეს როგორც ტექსტი, ისე ტექსტის შესაბამისი ილუსტრაცია, რომელიც მაქსიმალურად უწყობს ხელს მასალის ათვისებასა და დამახსოვრებას;

5. ბოლოს წინა სლაიდებზე ჩაიწეროს დამოუკიდებელი მუშაობის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ინსტრუქცია და ელექტრონული ფოსტის მისამართი, სადაც სტუდენტებმა უნდა გამოაგზავნონ დამოუკიდებელი მუშაობის დროს შესრულებული მასალა (მაგალითად, მასწავლებლის ელექტრონული ფოსტა);

6. ბოლო სლაიდს დაარქვათ „საკითხავი მასალა", სადაც ჩაწერეთ ძირითადი საკითხავი მასალის დასახელება (მაგალითად, ტექსტი - „ლექციაზე განხილული სლაიდები") და დამატებითი საკითხავი ლიტერატურის დასახელება ამ ქვეთავის „ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად.

---

[95] *მეწარმეობის სახელმძღვანელოს შემდეგი ქვეთავის მიხედვით: „5.1.1. რეკლამის არსი და ფუნქციები".*

[96] *მეწარმეობის სახელმძღვანელოს შემდეგი ქვეთავის მიხედვით: „5.1.2. სარეკლამო ინფორმაციის გავრცელების საშუალებები".*

ბ) ლიტერატურა



სასურველია პრეზენტაცია მომზადდეს მეწარმეობის სახელმძღვანელოს შემდეგი თავის მიხედვით: 5.1. რეკლამა

გ) რესურსები



კომპიუტერი, პროექტორი, ჰენდაუთი (სლაიდების ამობეჭდილი ვერსია). შესაძლებელია თეორიული მასალის შესაბამისი ვიდეო/აუდიო/ინტერნეტ რესურსის გამოყენება.

### 5.1.2. პრაქტიკული მეცადინეობა (1 სთ)



პრაქტიკული მეცადინეობა ხელს უნდა უწყობდეს თეორიული მეცადინეობის დროს ახსნილი ინფორმაციის განმტკიცებას. მასწავლებელი უნდა დარწმუნდეს, რომ აუდიტორიაში მსხდომმა ყველა სტუდენტმა გაიგო თეორიული მეცადინეობის დროს ახსნილი ინფორმაცია.

ა) **პირველი 5-10 წუთი** დაუთმეთ გონებრივ იერიშს (შეგიძლიათ გამოიყენოთ კითხვები 5.1.1. დანართიდან), რათა გაარკვიოთ ხომ არ არის ისეთი საკითხი, რომელიც ვერ გაიგეს სტუდენტებმა თეორიული მასალიდან. სთხოვეთ სტუდენტებს მოიყვანონ მათთვის ცნობილი მაგალითები თეორიულ მასალასთან დაკავშირებით;

ბ) **დარჩენილი დროის განმავლობაში** გამოიყენეთ შემთხვევის ანალიზის მეთოდი - case study. სტუდენტებმა მოიყვანონ კონკრეტული მაგალითები არსებული რეალობიდან.

5.1.3. დამოუკიდებელი მეცადინეობა (2 სთ)



## ᲓᲐᲕᲐᲚᲔᲑᲐ №5.1.3 - ᲠᲔᲙᲚᲐᲛᲐ ᲑᲘᲖᲜᲔᲡᲨᲘ:

*(**განმარტება მასწავლებლისთვის:** აღნიშნული დავალება სტუდენტს უვითარებს სარეკლამო კამპანიის სწორად წარმრთვის უნარს, ასევე PowerPoint-ის დოკუმენტის მარტივი რედაქტირების, პრეზენტაციის მომზადება-წარმოდგენისა და ელექტრონული კომუნიკაციის უნარებს)*

**დავალების პირობა:** 5.1.2 დანართით მოცემული სავარჯიშოები შეასრულეთ ქვემოთ მოცემული ინსტრუქციის შესაბამისად, წერილობითი ფორმით (არანაკლებ 7 სლაიდი).

**დავალების შესრულების ინსტრუქცია სტუდენტებისთვის:** დავალება შეასრულეთ PowerPoint-ის ცალკე დოკუმენტად შემდეგი წესების დაცვით:

1. გახსენით PowerPoint-ის ახალი დოკუმენტი და ლათინური შრიფტით დაარქვით „14. Advertisement_Name Surname of Student" („Name Surname of Student"-ს ნაცვლად მიუთითეთ თქვენი სახელი და გვარი);
2. აირჩიეთ შრიფტი - Sylfaen და შრიფტის ზომა - 24-32 შუალედში.
3. პირველ სლაიდზე დააწერეთ პრეზენტაციის სათაური „რეკლამა ბიზნესში" და თქვენი სახელი და გვარი;
4. მე-2 სლაიდზე ჩაწერეთ თქვენს მიერ შერჩეული ბიზნესის მოკლე აღწერა;
5. მე-3 სლაიდიდან ჩაწერეთ თქვენს მიერ შერჩეული ბიზნესის შესახებ ინფორმაციის გავრცელების მიზნით რეკლამის რომელ სახეს და საშუალებას გამოიყენებდით და რატომ?
6. მომდევნო სლაიდ(ებ)ზე ჩაწერეთ თქვენი ბიზნესის შესახებ ინფორმაციის გავრცელების მიზნით შერჩეული სარეკლამო საშუალების ღირებულება;
7. მომდევნო სლაიდ(ებ)ზე დაასაბუთეთ შერჩეული სარეკლამო საშუალების ეფექტურობა;
8. ბოლო სლაიდი გამოიყენეთ თქვენი სურვილისამებრ;
9. სასურველია თითოეულ სლაიდზე ტექსტან ერთად ჩანდეს შესაბამისი ფოტო მასალა;
10. შესრულებული დავალება თქვენი საკუთარი ელ-ფოსტით გამოაგზავნეთ მომდევნო ლექციამდე, ელ-ფოსტაზე: *აქ მასწავლებელმა უნდა ჩაწეროს ელექტრონული ფოსტის მისამართი, სადაც უნდა გამოიგზავნოს დავალება.*

## განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტი №5.1

(სასურველია შეივსოს მომდევნო პრაქტიკული ლექციის დასაწყისში)

ამ დამოუკიდებელი მეცადინეობის შედეგები მოწმდება ორი კრიტერიუმის მიხედვით:

**1. სტუდენტმა გადმოაგზავნა დავალება საკუთარი ელ-ფოსტით** (სასურველია შემოწმდეს მომდევნო პრაქტიკულ მეცადინეობამდე);

**2. სტუდენტმა წარადგინა პრეზენტაცია** (სასურველია შემოწმდეს მომდევნო პრაქტიკული მეცადინეობის დასაწყისში).

| № | სტუდენტის გვარი, სახელი | დავალების ნომერი და დასახელება | შესრულების კრიტერიუმები | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | დავალება გადმოაგზავნა საკუთარი ელ-ფოსტით | | წარადგინა პრეზენტაცია | |
| | | | დიახ | არა | დიახ | არა |
| 1 | | №5.1.3 - რეკლამა ბიზნესში | | | | |
| დავალება შესრულებულად ითვლება ორივე კრიტერიუმის დადებითად შეფასების შემთხვევაში | | | | | | |

***(განმარტება მასწავლებლისთვის:** შესაძლებელია მოცემულ ცხრილს დაუმატოთ იმდენი სტრიქონი, რამდენი სტუდენტიც არის შესაფასებელი და ისე ამობეჭდოთ, ან თითო სტუდენტისთვის ამობეჭდოთ თითო ასეთი ცხრილი).*

## დანართი 5.1.1. კითხვების ბაზა

(რეკლამა)

1. რა არის რეკლამა და რა დანიშნულებით გამოიყენება?
2. როგორ დაახასიათებთ რეკლამის სახეებს?
3. რა ნიშნებით ყოფენ რეკლამას?
4. სარეკლამო ინფორმაციის გავრცელების რა საშუალებები არსებობს?

## დანართი 5.1.2. სავარჯიშოების ბაზა

(რეკლამა)

1. თქვენს მიერ შერჩეული ბიზნესის შესახებ ინფორმაციის გავრცელების მიზნით რეკლამის რომელ სახეს და საშუალებას გამოიყენებდით და რატომ?
2. გამოთვალეთ თქვენი ბიზნესის შესახებ ინფორმაციის გავრცელების მიზნით შერჩეული სარეკლამო საშუალების ღირებულება.

## **თავი 5.2. გაყიდვები** (XVIII კვირა)

*(მოკლე შინაარსი მეწარმეობის სახელმძღვანელოს[97] 5.2.1-5.2.4 ქვეთავების მიხედვით: გაყიდვების არსი და სახეები; გაყიდვების თავისებურებები მომსახურების ბიზნესში; კლიენტის სტიმულირების მექანიზმები)*

საათების სავარაუდო განაწილება:
5.2.1. თეორიული - 2 სთ;
5.2.2. პრაქტიკული - 2 სთ;
5.2.3. დამოუკიდებელი - 3 სთ.
5.2.4. შეფასება - 1 სთ

### 5.2.1. თეორიული მეცადინეობა (2 სთ)



**აქტივობების ზოგადი აღწერა:** წინა დამოუკიდებელი მეცადინეობის დროს მიცემული დავალება შეამოწმეთ ამ დავალებისათვის დადგენილი განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტის მიხედვით, ხოლო შემდეგ ახსენით ახალი თეორიული მასალა.

**აქტივობების დეტალური აღწერა:** **პირველი 10-15 წუთი** - დაუთმეთ დავალების შემოწმებას ამ დავალებისათვის დადგენილი განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტის მიხედვით. ამ მიზნით, სტუდენტებს ჯერ გააცანით ინფორმაცია, თუ ვინ გამოაგზავნა დავალება საკუთარი ელ-ფოსტით, ხოლო შემდეგ თითო სტუდენტს დაუსვით დავალებასთან დაკავშირებული 2-3 შეკითხვა, რათა დარწმუნდეთ, რომ დავალება ნამდვილად ამ სტუდენტის შესრულებულია და არ არის გადმოწერილი. თითოეულ სტუდენტს მიუთითეთ, თუ რა შეცდომა დაუშვა დავალების შესრულებისას და მიეცით კონკრეტული რეკომენდაციები მათ

*[97] **მეწარმეობის სახელმძღვანელო** - გზამკვლევში ამ ტერმინით მოხსენიებულია განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებული სტუდენტის სახელმძღვანელო - „მეწარმეობა“.*

გამოსასწორებლად. განიხილეთ ერთ-ერთი ყველაზე კარგად შესრულებული დავალება (ან ამ თეორიულ მეცადინეობაზე, ან ამავე თავის პრაქტიკული მეცადინეობის ბოლოს).

**მომდევნო 5-10 წუთი** დაუთმეთ ლექციის შესავალ ნაწილს: ასახსნელი თეორიული მასალის შესახებ ისტორიებს ან/და მაგალითებს, გონებრივ იერიშს (გონებრივი იერიშისას გამოიყენეთ 5.2.1. დანართით მოცმული კითხვები), რათა სტუდენტები დაფიქრდნენ, თუ რა მნიშვნელობა აქვს გაყიდვებს ბიზნესის წარმატებისთვის.

შესავალი ნაწილის შემდეგ, პროფესიული სტუდენტისთვის (რომელსაც არც თეორიული და არც პრაქტიკული გამოცდილება არ აქვს ბიზნესში) მაქსიმალურად გასაგები ენით, განმარტეთ შემდეგი საკითხები:

1. რა წარმოადგენს გაყიდვების არსს და გაყიდვების რა სახეები არსებობს? [98]

2. გაყიდვების რა თავისებურებები არსებობს მომსახურების ბიზნესში? [99]

3. კლიენტის სტიმულირების რა მექანიზმები არსებობს?[100]

**ა) რეკომენდაციები**



სასურველია:

1. თეორიული მასალა გადმოიცეს პრეზენტაციის მეშვეობით;
2. პრეზენტაციის საწყის სლაიდზე ჩანდეს ამ ქვეთავის ნომერი და სათაური შესაბამის ილუსტრაციასთან ერთად;
3. თითოეულ საკითხს დაეთმოს 1-5 სლაიდი;
4. თითოეულ სლაიდზე ჩანდეს როგორც ტექსტი, ისე ტექსტის შესაბამისი ილუსტრაცია, რომელიც მაქსიმალურად უწყობს ხელს მასალის ათვისებასა და დამახსოვრებას;
5. ბოლოს წინა სლაიდებზე ჩაიწეროს დამოუკიდებელი მუშაობის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ინსტრუქცია და ელექტრონული ფოსტის მისამართი, სადაც სტუდენტებმა უნდა გამოაგზავნონ დამოუკიდებელი მუშაობის დროს შესრულებული მასალა (მაგალითად, მასწავლებლის ელექტრონული ფოსტა);

---

[98] *მეწარმეობის სახელმძღვანელოს შემდეგი ქვეთავის მიხედვით: „5.2.1. გაყიდვების არსი და სახეები“.*

[99] *მეწარმეობის სახელმძღვანელოს შემდეგი ქვეთავის მიხედვით: „5.2.2. გაყიდვების თავისებურებები მომსახურების ბიზნესში“.*

[100] *მეწარმეობის სახელმძღვანელოს შემდეგი ქვეთავის მიხედვით: „5.2.3. კლიენტის სტიმულირების მექანიზმები“.*

6. ბოლო სლაიდს დაარქვათ „საკითხავი მასალა“, სადაც ჩაწერეთ ძირითადი საკითხავი მასალის დასახელება (მაგალითად, ტექსტი - „ლექციაზე განხილული სლაიდები“) და დამატებითი საკითხავი ლიტერატურის დასახელება ამ ქვეთავის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

**ბ) ლიტერატურა**



სასურველია პრეზენტაცია მომზადდეს მეწარმეობის სახელმძღვანელოს შემდეგი თავის მიხედვით: 5.2. გაყიდვები

**გ) რესურსები**



კომპიუტერი, პროექტორი, ჰენდაუთი (სლაიდების ამობეჭდილი ვერსია). შესაძლებელია თეორიული მასალის შესაბამისი ვიდეო/აუდიო/ინტერნეტ რესურსის გამოყენება.

### 5.2.2. პრაქტიკული მეცადინეობა (2 სთ)



პრაქტიკული მეცადინეობა ხელს უნდა უწყობდეს თეორიული მეცადინეობის დროს ახსნილი ინფორმაციის განმტკიცებას. მასწავლებელი უნდა დარწმუნდეს, რომ აუდიტორიაში მსხდომმა ყველა სტუდენტმა გაიგო თეორიული მეცადინეობის დროს ახსნილი ინფორმაცია.

ა) **პირველი 5-10 წუთი** დაუთმეთ გონებრივ იერიშს (შეგიძლიათ გამოიყენოთ კითხვები 5.2.2. დანართიდან), რათა გაარკვიოთ ხომ არ არის ისეთი საკითხი, რომელიც ვერ გაიგეს სტუდენტებმა თეორიული მასალიდან. სთხოვეთ სტუდენტებს მოიყვანონ მათთვის ცნობილი მაგალითები თეორიულ მასალასთან დაკავშირებით;

ბ) პრაქტიკული მეცადინეობის პირველ საათზე, დარჩენილ დროში, ხორციელდება წინა კვირაში მიცემული დამოუკიდებელი სამუშაოს წარდგენა (სტუდენტების მიერ მომზადებული პრეზენტაციები ბიზნესში რეკლამასთან დაკავშირებით, თითო სტუდენტს ეძლევა 3-5 წუთი) და აღნიშნულ საკითხებზე იმართება დისკუსია. მასწავლებელი აძლევს საშუალებას სტუდენტებს შეაფასონ და საჭიროების შემთხვევაში შეასწორონ თავიანთი ნაშრომი.

გ) **დარჩენილი დროის განმავლობაში** გამოიყენეთ შემთხვევის ანალიზის მეთოდი - case study. მოიყვანონ კონკრეტული მაგალითები არსებული რეალობიდან.

5.2.3. დამოუკიდებელი მეცადინეობა (3 სთ)



## დავალება №5.2.3 - გაყიდვების როლი ბიზნესში:

*(**განმარტება მასწავლებლისთვის:** აღნიშნული დავალება სტუდენტს უვითარებს გაყიდვებისთვის საჭირო ხედვას, ალღოსა და უნარებს, ასევე PowerPoint-ის დოკუმენტის მარტივი რედაქტირების, პრეზენტაციის მომზადება-წარმოდგენისა და ელექტრონული კომუნიკაციის უნარებს)*

**დავალების პირობა:** 5.2.2 დანართით მოცემული სავარჯიშოები შეასრულეთ ქვემოთ მოცემული ინსტრუქციის შესაბამისად, წერილობითი ფორმით (არანაკლებ 7 სლაიდი).

**დავალების შესრულების ინსტრუქცია სტუდენტებისთვის:** დავალება შეასრულეთ PowerPoint-ის ცალკე დოკუმენტად შემდეგი წესების დაცვით:

1. გახსენით PowerPoint-ის ახალი დოკუმენტი და ლათინური შრიფტით დაარქვით „15.Sales_Name Surname of Student“ („Name Surname of Student“-ს ნაცვლად მიუთითეთ თქვენი სახელი და გვარი);
2. აირჩიეთ შრიფტი - Sylfaen და შრიფტის ზომა - 24-32 შუალედში.
3. პირველ სლაიდზე დააწერეთ პრეზენტაციის სათაური „ გაყიდვების როლი ბიზნესში“ და თქვენი სახელი და გვარი;
4. მე-2 სლაიდზე ჩაწერეთ თქვენს მიერ შერჩეული ბიზნესის მოკლე აღწერა;
5. მე-3 სლაიდიდან ჩაწერეთ თქვენი პროდუქციის/მომსახურების მომხმარებლის სტიმულირების სახეები და მოტივაციის გზები;
6. მომდევნო სლაიდ(ებ)ზე ჩაწერეთ მოკლე გეგმა თქვენი პროდუქციის/მომსახურების მომხმარებლის სტიმულირების უზრუნველსაყოფად;
7. მომდევნო სლაიდ(ებ)ზე დაასაბუთეთ შერჩეული სტიმულირების მეთოდების ეფექტურობა;
8. ბოლო სლაიდი გამოიყენეთ თქვენი სურვილისამებრ;
9. სასურველია თითოეულ სლაიდზე ტექსტან ერთად ჩანდეს შესაბამისი ფოტო მასალა;
10. შესრულებული დავალება თქვენი საკუთარი ელ-ფოსტით გამოაგზავნეთ მომდევნო ლექციამდე, ელ-ფოსტაზე: *აქ მასწავლებელმა უნდა ჩაწეროს ელექტრონული ფოსტის მისამართი, სადაც უნდა გამოიგზავნოს დავალება.*

## განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტი №5.2

(სასურველია შეივსოს მომდევნო პრაქტიკული ლექციის დასაწყისში)

ამ დამოუკიდებელი მეცადინეობის შედეგები მოწმდება ორი კრიტერიუმის მიხედვით:

**1. სტუდენტმა გადმოაგზავნა დავალება საკუთარი ელ-ფოსტით** (სასურველია შემოწმდეს მომდევნო პრაქტიკულ მეცადინეობამდე);

**2. სტუდენტმა წარადგინა პრეზენტაცია** (სასურველია შემოწმდეს მომდევნო პრაქტიკული მეცადინეობის დასაწყისში).

<table>
<tr><th rowspan="3">№</th><th rowspan="3">სტუდენტის გვარი, სახელი</th><th rowspan="3">დავალების ნომერი და დასახელება</th><th colspan="4">შესრულების კრიტერიუმები</th></tr>
<tr><th colspan="2">დავალება გადმოაგზავნა საკუთარი ელ-ფოსტით</th><th colspan="2">წარადგინა პრეზენტაცია</th></tr>
<tr><th>დიახ</th><th>არა</th><th>დიახ</th><th>არა</th></tr>
<tr><td>1</td><td></td><td>№5.2.3 - გაყიდვების როლი ბიზნესში</td><td></td><td></td><td></td><td></td></tr>
<tr><td colspan="7">დავალება შესრულებულად ითვლება ორივე კრიტერიუმის დადებითად შეფასების შემთხვევაში</td></tr>
</table>

*(**განმარტება მასწავლებლისთვის:** შესაძლებელია მოცემულ ცხრილს დაუმატოთ იმდენი სტრიქონი, რამდენი სტუდენტიც არის შესაფასებელი და ისე ამობეჭდოთ, ან თითო სტუდენტისთვის ამობეჭდოთ თითო ასეთი ცხრილი).*

# 5.2.4. სწავლის შედეგი 4 - განმსაზღვრელი შეფასება (1სთ)

სწავლის შედეგი 4

| | |
|---|---|
| მოდული: | **მეწარმეობა** |
| სწავლის შედეგი/შესრულების კრიტერიუმი | **სწავლის შედეგი 4. კრიტერიუმი 2:**<br>2. კანონმდებლობის შესაბამისად, აღწერს შრომითი ურთიერთობის დამყარების ფორმებს |
| შეფასების მიმართულება: | გამოკითხვა |
| შეფასების ინსტრუმენტი | ტესტი |
| აღწერა | სტუდენტმა უნდა შემოხაზოს სწორი პასუხი. ამ სამუშაოს შესასრულებლად სტუდენტს ეძლევა 10 წუთი. |
| შინაარსი | 1. საქართველოში შრომით ურთიერთბებს არეგულირებს „შრომის კოდექსი"<br>ა) ჭეშმარიტია ბ) მცდარია<br>2. შრომითი ურთერთობა წარმოიშობა მხარეთა თანასწორუფლებიანობის საფუძველზე<br>ა) ჭეშმარიტია ბ) მცდარია<br>3. შრომითი ურთიერთობის სუბიექტები არიან მხოლოდ დასაქმებულები<br>ა) ჭეშმარიტია ბ) მცდარია<br>4. შრომითი ხელშეკრულება იდება წერილობითი ან ზეპირი ფორმით, განსაზღვრული ან განუსაზღვრელი ვადით. შრომითი ხელშეკრულება იდება აუცილებლად წერილობითი ფორმით, თუ შრომითი ურთიერთობა 3 თვეზე მეტ ხანს გრძელდება.<br>ა) ჭეშმარიტია ბ) მცდარია<br>5. შრომითი ურთიერთობა წარმოიშობა დასაქმებულის მიერ სამუშაოს შესრულების ფაქტობრივად დაწყების მომენტიდან, თუ შრომითი ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული.<br>ა) ჭეშმარიტია ბ) მცდარია |
| მტკიცებულება | შევსებული ტესტი |
| შეფასების სქემა | სტუდენტი დადებითად შეფასდება ტესტში მოცემული 5 შეკითხვიდან 4 სწორი პასუხის შემთხვევაში. |

სწავლის შედეგი 4

| | |
|---|---|
| მოდული: | მეწარმეობა |
| სწავლის შედეგი/შესრულების კრიტერიუმი | **სწავლის შედეგი 4. კრიტერიუმი 6:**<br>6. სწორად განმარტავს თანამშრომელთა სტიმულირების გზებს. |
| შეფასების მიმართულება: | გამოკითხვა |
| შეფასების ინსტრუმენტი | ტესტი |
| აღწერა | სტუდენტმა უნდა შეავსოს გამოტოვებული ადგილები. ამ სამუშაოს შესასრულებლად სტუდენტს ეძლევა 10 წუთი პრაქტიკულ მეცადინეობაზე. |
| შინაარსი | 1. თანამშრომელთა სტიმულირებას იყენებენ როგორც ---------------------- ფორმებს.<br>2. წახალისების ერთ-ერთი ეფექტიანი ფორმა არის ---------.<br>3. ცალკეული კომპანიები იყენებს ---------------- კვალიფიკაციის მიხედვით.<br>4. არაფულადი ფორმით გამოხატული სტიმულირების მაგალითია -------------- დაწინაურება.<br>5. არსებობს სტიმულირების როგორც ----------- ისე სხვა სახის მეთოდები.<br><br>ანაზღაურება. თანამდებობრივი. პრემია. ფულადი. წახალისება. |
| მტკიცებულება | შევსებული ტესტი |
| შეფასების სქემა | სტუდენტი დადებითად შეფასდება ტესტში მოცემული 5 შეკითხვიდან 4 სწორი პასუხის შემთხვევაში. |

| | |
|---|---|
| მოდული: | მეწარმეობა |
| სწავლის შედეგი/შესრულების კრიტერიუმი | **სწავლის შედეგი 4. კრიტერიუმი 1, 3-5, 7:**<br>1. სწორად განსაზღვრავს საჭირო ადამიანურ რესურსს. |

| | |
|---|---|
| | 3. კანონმდებლობის შესაბამისად აფორმებს შრომითი ურთერთობების დამყარების აქტს.<br>4. სწორად ადგენს სამუშაოს აღწერილობას.<br>5. სწორად აყალიბებს შესრულებული სამუშაოს შეფასების კრიტერიუმებს.<br>7. კანონმდებლობის და სამუშაოს სპეციფიკის გათვალისწინებით განსაზღვრავს შრომითი ურთიერთობების შეწყვეტის პირობებს. |
| **შეფასების მიმართულება:** | პროდუქტის /შედეგის შეფასება |
| **შეფასების ინსტრუმენტი** | პროექტი |
| **აღწერა** | მოდულის განხორციელების განმავლობაში სტუდენტი დამოუკიდებელ საათებზე ქმნის სხვადასხვა სახის წერილობით დოკუმენტის რაც გროვდება სტუდენტის პორტფოლიოში და გამოიყენება მოცემული სწავლის შედგის შეფასების კრიტერიუმების მიხედვით სტუდენტის კომპეტენციების დასადასტურებლად.<br>შეფასების მიზანია შემოწმდეს სტუდენტის მიერ წარმოდგენილი ნაშრომის საკმარისობა და ავთენტურობა კრიტერიუმების მიხედვით კომპეტენციათა დასადასტურებლად.<br>შეფასება ხორციელდება სასწავლო აუდიტორიაში, შესაფასებელი პირის თანდასწრებით.<br>შეფასებისათვის გამოყოფილი დროა  სთ.<br>საჭიროების შემთხვევაში შემფასებელი იყენებს ზეპირ შეკითხვებს. ზეპირი ეკლითხვების მიზანია დაადგინოს წარმოდგენილი ნასრომის ავთენტურობა, ხოლო არასაკმარისობის შემთხვევაში უზრუნველყოს დამატებითი მტკიცებულებების მოპოვება. ამ შემთხვევაში შეიქმნება დამატებითი მტკიცებულება მასწავლებლის ჩანაწერების სახით.<br>შეფასების პროცესში სტუდენტს უფლება აქვს გამოიყენიოს საკუთარი სამუშაო ჩანაწერები და ჩაბარებული მტკიცებულება ან მისი ასლი, კონსპექტები, სახელმძღვანელო, კალკულატორი. |
| **შინაარსი** | შეფასების კრიტერიუმების მიხედვით მოწმდება სტუდენტის მიერ შექმნილი შემდეგი დოკუმენტები:<br><br>მე-14 კვირა. სტუდენტებმა წარმოადგინეს წერილობითი ნაშრომი, სადაც განსაზღვრულია საკუთარი ბიზნესისათვის თუ რა კვალიფიკაციის სამუშაო ძალა დასჭირდება შესაბამისი დასაბუთებით. განსაზღვრული აქვს პერსონალის დასაქმების ხანგრძლივობა (დროებითი და/ან მუდმივი). შედგენილია საშტატო განრიგი<br><br><u>კრიტერიუმი:</u> **სწორად განსაზღვრავს საჭირო ადამიანურ რესურსს.**<br><br>მე-15 კვირა. სტუდენტებმა წარმოადგინეს წერილობითი ნაშრომი, სადაც განსაზღვრულია საკუთარი ბიზნესისათვის საჭირო კადრები, შედგენილია სამუშაოს აღწერილობები, განსაზღვრულია მათი უფლება-მოვალეობები, კადრების შერჩევის მეთოდები და კრიტერიუმები. შედგენილია ორგანიზაციული სტრუქტურა.<br><br><u>კრიტერიუმი:</u>**სწორად აყალიბებს შესრულებული სამუშაოს შეფასების კრიტერიუმებს. სწორად ადგენს სამუშაოს აღწერილობას.**<br><br>მე-16 კვირა. სტუდენტებმა წარმოადგინეს საკუთარი ბიზნესისთვის **შერჩეული ხელშეკრულების ფორმები, განსაზღვრულია შრომითი** |

| | |
|---|---|
| | **ურთიერთობების შეჩერებისა და შეწყვეტის პირობები**. ასევე სტუდენტებმა წარმოაგინეს **ბრძანების პროექტი**. სტუდენტებმა შესაძლებლობისდაგვარად განსაზღვრეს ის აქტივობები, რისი გატანაც მათი აზრით მიზანშეწონილია აუთსორსინგზე.<br><br>კრიტერიუმი:**კანონმდებლობის შესაბამისად აფორმებს შრომითი ურთერთობების დამყარების აქტს.კანონმდებლობის და სამუშაოს სპეციფიკის გათვალისწინებით განსაზღვრავს შრომითი ურთიერთობების შეწყვეტის პირობებს.**<br><br>მე-18 კვირა: სტუდენტებმა ინდივიდუალურად წარმოადგინეს პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასების კრიტერიუმები, აგრეთვე დაადგინეს თანამშრომელთა სტიმულირების წესი და სახეები.<br><br>კრიტერიუმი: **სწორად აყალიბებს შესრულებული სამუშაოს შეფასების კრიტერიუმებს.** |
| მტკიცებულება | სტუდენტის პორტფოლიო და საჭიროების შემთხვევაში - მასწავლებლის ჩანაწერები. |
| შეფასების სქემა | სტუდენტი დადებითად შეფასდება, თუ ყველა კრიტერიუმის მიხედვით წარმოდგენილი იქნება საკმარისი, ავთენტური მტკიცებულება და არსებობის შემთხვევაში, ზეპირ შეკითხვებზე გაცემული იქნება დამაკმაყოფილებელი პასუხი. მხოლოდ ზეპირი შეკითხვების საფუძველზე სტუდენტის დადებითად შეფასება დაუშვებელია. |

## დანართი 5.2.1. კითხვების ბაზა
(გაყიდვები)

1. ჩამოთვალეთ გაყიდვების სახეები და ფორმები.
2. ჩამოთვალეთ საქონლის გაყიდვის პირობები.
3. ვინ არის ბროკერი და აგენტი? რა განსხვავებაა მათ შორის?
4. ჩამოთვალეთ კლიენტის სტიმულირების სახეები.
5. ჩამოთვალეთ კლიენტის მოტივაციის გზები.

## დანართი 5.2.2. სავარჯიშოების ბაზა
(გაყიდვები)

1. განსაზღვრეთ თქვენი პროდუქციის/მომსახურების მომხმარებლის სტიმულირების სახეები და მოტივაციის გზები;
2. შეადგეინეთ მოკლე გეგმა თქვენი პროდუქციის/მომსახურების მომხმარებლის სტიმულირების უზრუნველსაყოფად.

## თავი 5.3. საქონლის მიწოდება, შეფუთვა და მარკირება, კლიენტთან ურთიერთობის აგება (XIX კვირა)

*(მოკლე შინაარსი მეწარმეობის სახელმძღვანელოს*[101] ***5.3.1-5.4.6*** *ქვეთავების მიხედვით: გაყიდვების არსი და სახეები; გაყიდვების თავისებურებები მომსახურების ბიზნესში; კლიენტის სტიმულირების მექანიზმები)*

საათების სავარაუდო განაწილება:
5.3.1. თეორიული - 2 სთ;
5.3.2. პრაქტიკული - 1 სთ;
5.3.3. დამოუკიდებელი - 2 სთ.

5.3.1. თეორიული მეცადინეობა (2 სთ)



**აქტივობების ზოგადი აღწერა:** მიმოიხილეთ მე-4 სწავლის შედეგის განმსაზღვრელი შეფასებისას დაშვებული შეცდომები, ხოლო შემდეგ ახსენით ახალი თეორიული მასალა. **აქტივობების დეტალური აღწერა:** პირველი 10-15 წუთი - დაუთმეთ პირველი და მეორე სწავლის შედეგების განმსაზღვრელი შეფასების განხილვას ამ შეფასებისათვის დადგენილი ინსტრუმენტის მიხედვით. თითოეულ სტუდენტს მიუთითეთ, თუ რა შეცდომა დაუშვა და მიეცით კონკრეტული რეკომენდაციები მათ გამოსასწორებლად. შესაძლებლია განიხილოთ ერთ-ერთი ყველაზე კარგი ნამუშევარი.

მომდევნო 5-10 წუთი დაუთმეთ ლექციის შესავალ ნაწილს: ასახსნელი თეორიული მასალის შესახებ ისტორიებს ან/და მაგალითებს, გონებრივ იერიშს (გონებრივი იერიშისას გამოიყენეთ 5.3.1. დანართით მოცმული კითხვები), რათა სტუდენტები დაფიქრდნენ, თუ რა მნიშვნელობა აქვს საქონლის მიწოდებას, შეფუთვასა და მარკირებას, ასევე კლიენტთან ურთიერთობის აგებას ბიზნესის წარმატებისათვის.

---

[101] ***მეწარმეობის სახელმძღვანელო*** *- გზამკვლევში ამ ტერმინით მოხსენიებულია განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებული სტუდენტის სახელმძღვანელო - „მეწარმეობა“.*

შესავალი ნაწილის შემდეგ, პროფესიული სტუდენტისთვის (რომელსაც არც თეორიული და არც პრაქტიკული გამოცდილება არ აქვს ბიზნესში) მაქსიმალურად გასაგები ენით, განმარტეთ შემდეგი საკითხები:

1. რა წარმოადგენს საქონლისა და მომსახურების მიწოდების არსს და ფორმები არსებობსვ ამისათვის? [102]

2. ტრანსპორტის რა სახეები არსებობს?[103]

3. როგორ ხდება ტვირთზიდვისას ტრანსპორტირების სახეების შერჩევა?[104]

4. როგორ ხორციელდება საქონლის განაწილება?[105]

5. როგორ ხორციელდება საქონლის ეტიკეტირება?[106]

6. როგორ ხორციელდება საქონლის მარკირება?[107]

7. როგორ ხორციელდება საქონლის შტრიხკოდირება?[108]

8. რა მოთხოვნები არსებობს ცოცხალ გენმოდიფიცირებულ ორგანიზმებთან დაკავშირებით?[109]

---

[102] *მეწარმეობის სახელმძღვანელოს შემდეგი ქვეთავის მიხედვით: „5.3.1. საქონლისა და მომსახურების მიწოდების არსი და ფორმები“.*

[103] *მეწარმეობის სახელმძღვანელოს შემდეგი ქვეთავის მიხედვით: „5.3.2. ტრანსპორტის სახეები“.*

[104] *მეწარმეობის სახელმძღვანელოს შემდეგი ქვეთავის მიხედვით: „5.3.3. ტვირთზიდვისას ტრანსპორტის სახეების შერჩევა“.*

[105] *მეწარმეობის სახელმძღვანელოს შემდეგი ქვეთავის მიხედვით: „5.3.4. საქონლის განაწილება“.*

[106] *მეწარმეობის სახელმძღვანელოს შემდეგი ქვეთავის მიხედვით: „5.4.1. საქონლის ეტიკეტირება“.*

[107] *მეწარმეობის სახელმძღვანელოს შემდეგი ქვეთავის მიხედვით: „5.4.2. საქონლის მარკირება“.*

[108] *მეწარმეობის სახელმძღვანელოს შემდეგი ქვეთავის მიხედვით: „5.4.2. საქონლის შტრიხკოდირება“.*

[109] *მეწარმეობის სახელმძღვანელოს შემდეგი ქვეთავის მიხედვით: „5.4.3. ცოცხალ გენმოდიფიცირებულ ორგანიზმებთან დაკავშირებული მოთხოვნები“.*

ა) რეკომენდაციები



სასურველია:

1. თეორიული მასალა გადმოიცეს პრეზენტაციის მეშვეობით;

2. პრეზენტაციის საწყის სლაიდზე ჩანდეს ამ ქვეთავის ნომერი და სათაური შესაბამის ილუსტრაციასთან ერთად;

3. თითოეულ საკითხს დაეთმოს 1-5 სლაიდი;

4. თითოეულ სლაიდზე ჩანდეს როგორც ტექსტი, ისე ტექსტის შესაბამისი ილუსტრაცია, რომელიც მაქსიმალურად უწყობს ხელს მასალის ათვისებასა და დამახსოვრებას;

5. ბოლოს წინა სლაიდებზე ჩაიწეროს დამოუკიდებელი მუშაობის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ინსტრუქცია და ელექტრონული ფოსტის მისამართი, სადაც სტუდენტებმა უნდა გამოაგზავნონ დამოუკიდებელი მუშაობის დროს შესრულებული მასალა (მაგალითად, მასწავლებლის ელექტრონული ფოსტა);

6. ბოლო სლაიდს დაარქვათ „საკითხავი მასალა", სადაც ჩაწერეთ ძირითადი საკითხავი მასალის დასახელება (მაგალითად, ტექსტი - „ლექციაზე განხილული სლაიდები") და დამატებითი საკითხავი ლიტერატურის დასახელება ამ ქვეთავის „ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად.

ბ) ლიტერატურა



სასურველია პრეზენტაცია მომზადდეს მეწარმეობის სახელმძღვანელოს შემდეგი თავის მიხედვით: „5.3. საქონლისა და მომსახურების მიწოდება" და „5.4 საქონლის შეფუთვა და მარკირება".

გ) რესურსები



კომპიუტერი, პროექტორი, ჰენდაუთი (სლაიდების ამობეჭდილი ვერსია). შესაძლებელია თეორიული მასალის შესაბამისი ვიდეო/აუდიო/ინტერნეტ რესურსის გამოყენება.

## 5.3.2. პრაქტიკული მეცადინეობა (1 სთ)



პრაქტიკული მეცადინეობა ხელს უნდა უწყობდეს თეორიული მეცადინეობის დროს ახსნილი ინფორმაციის განმტკიცებას. მასწავლებელი უნდა დარწმუნდეს, რომ აუდიტორიაში მსხდომმა ყველა სტუდენტმა გაიგო თეორიული მეცადინეობის დროს ახსნილი ინფორმაცია.

ა) **პირველი 5-10 წუთი** დაუთმეთ გონებრივ იერიშს (შეგიძლიათ გამოიყენოთ კითხვები 5.3.1. დანართიდან), რათა გაარკვიოთ ხომ არ არის ისეთი საკითხი, რომელიც ვერ გაიგეს სტუდენტებმა თეორიული მასალიდან. სთხოვეთ სტუდენტებს მოიყვანონ მათთვის ცნობილი მაგალითები თეორიულ მასალასთან დაკავშირებით;

ბ) პრაქტიკული მეცადინეობის პირველ საათზე, დარჩენილ დროში, ხორციელდება წინა კვირაში მიცემული დამოუკიდებელი სამუშაოს წარდგენა (სტუდენტების მიერ მომზადებული პრეზენტაციები ბიზნესში გაყიდვების როლთან დაკავშირებით, თითო სტუდენტს ეძლევა 3-5 წუთი) და აღნიშნულ საკითხებზე იმართება დისკუსია. მასწავლებელი აძლევს საშუალებას სტუდენტებს შეაფასონ და საჭიროების შემთხვევაში შეასწორონ თავიანთი ნაშრომი.

გ) **დარჩენილი დროის განმავლობაში,** მოახდინეთ წინასწარ მოძიებული მასალის (ვირტუალური, მატერიალური, შემოქმედებითი თუ სხვ.) დემონსტირება.

## 5.3.3. დამოუკიდებელი მეცადინეობა (2 სთ)



### დავალება №5.3.3 - საქონლის მომზადება გაყიდვისათვის:

*(**განმარტება მასწავლებლისთვის:** აღნიშნული დავალება სტუდენტს უვითარებს საქონლის გასაყიდად მომზადების უნარებს, ასევე PowerPoint-ის დოკუმენტის მარტივი რედაქტირების, პრეზენტაციის მომზადება-წარმოდგენისა და ელექტრონული კომუნიკაციის უნარებს)*

**დავალების პირობა:** 5.3.2 დანართით მოცემული სავარჯიშოები შეასრულეთ ქვემოთ მოცემული ინსტრუქციის შესაბამისად, წერილობითი ფორმით (არანაკლებ 7 სლაიდი).

**დავალების შესრულების ინსტრუქცია სტუდენტებისთვის:** დავალება შეასრულეთ PowerPoint-ის ცალკე დოკუმენტად შემდეგი წესების დაცვით:

1. გახსენით PowerPoint-ის ახალი დოკუმენტი და ლათინური შრიფტით დაარქვით „16. Preparation of goods_Name Surname of Student" („Name Surname of Student"-ს ნაცვლად მიუთითეთ თქვენი სახელი და გვარი);
2. აირჩიეთ შრიფტი - Sylfaen და შრიფტის ზომა - 24-32 შუალედში.
3. პირველ სლაიდზე დააწერეთ პრეზენტაციის სათაური „საქონლის მომზადება გაყიდვისთვის" და თქვენი სახელი და გვარი;
4. მე-2 სლაიდზე ჩაწერეთ თქვენს მიერ შერჩეული ბიზნესის მოკლე აღწერა;
5. მე-3 სლაიდიდან ჩაწერეთ თქვენს მიერ შერჩეული ბიზნესის ფარგლებში წარმოებული საქონლის/მომსახურების მიწოდების სერვისის რომელ სახეს ირჩევთ და რატომ?
6. მომდევნო სლაიდ(ებ)ზე ჩაწერეთ ტრანსპორტირების სახე და ფორმები თქვენს მიერ შერჩეული ბიზნესის ფარგლებში წარმოებული საქონლის/მომსახურების მომხმარებლისათვის მიწოდებისათვის.
7. მომდევნო სლაიდ(ებ)ზე ჩაწერეთ საქონლის ხარისხობრივი მაჩვენებლების უზრუნველყოფის რომელ სახეს ირჩევთ და რა სავალდებულო ინფორმაცია უნდა იქნეს დატანილი მასზე?
8. მომდევნო სლაიდ(ებ)ზე ჩაწერეთ საქონლის ხარისხობრივი მაჩვენებლების უზრუნველყოფის სახის ნიმუშები.
9. მომდევნო სლაიდ(ებ)ზე დაასაბუთეთ ყველა ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება;
10. ბოლო სლაიდი გამოიყენეთ თქვენი სურვილისამებრ;

11. სასურველია თითოეულ სლაიდზე ტექსტან ერთად ჩანდეს შესაბამისი ფოტო მასალა;

12. შესრულებული დავალება თქვენი საკუთარი ელ-ფოსტით გამოაგზავნეთ მომდევნო ლექციამდე, ელ-ფოსტაზე: *აქ მასწავლებელმა უნდა ჩაწეროს ელექტრონული ფოსტის მისამართი, სადაც უნდა გამოიგზავნოს დავალება*.

## განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტი №5.3

(სასურველია შეივსოს მომდევნო პრაქტიკული ლექციის დასაწყისში)

ამ დამოუკიდებელი მეცადინეობის შედეგები მოწმდება ორი კრიტერიუმის მიხედვით:

**1. სტუდენტმა გადმოაგზავნა დავალება საკუთარი ელ-ფოსტით** (სასურველია შემოწმდეს მომდევნო პრაქტიკულ მეცადინეობამდე);

**2. სტუდენტმა წარადგინა პრეზენტაცია** (სასურველია შემოწმდეს მომდევნო პრაქტიკული მეცადინეობის დასაწყისში).

| № | სტუდენტის გვარი, სახელი | დავალების ნომერი და დასახელება | შესრულების კრიტერიუმები | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | დავალება გადმოაგზავნა საკუთარი ელ-ფოსტით | | წარადგინა პრეზენტაცია | |
| | | | დიახ | არა | დიახ | არა |
| 1 | | №5.3.3 - საქონლის მომზადება გაყიდვისათვის | | | | |
| დავალება შესრულებულად ითვლება ორივე კრიტერიუმის დადებითად შეფასების შემთხვევაში | | | | | | |

***(განმარტება მასწავლებლისთვის:** შესაძლებელია მოცემულ ცხრილს დაუმატოთ იმდენი სტრიქონი, რამდენი სტუდენტიც არის შესაფასებელი და ისე ამობეჭდოთ, ან თითო სტუდენტისთვის ამობეჭდოთ თითო ასეთი ცხრილი).*

### დანართი 5.3.1. კითხვების ბაზა
### (საქონლის მიწოდება, შეფუთვა და მარკირება, კლიენტთან ურთიერთობის აგება)

1. რა უპირატესობა აქვს ფირმაში საქონლისა თუ მომსახურების მიწოდების სერვისის არსებობას?
2. ჩამოთვალეთ ტრანსპორტის ძიითადი სახეები;
3. დაახასიათეთ ტრანსპორტის ძირითადი სახეები, მათი უპირატესობები და ნაკლოვანებები;
4. რა ფაქტორები უნდა იქნეს გათვალისწინებული ტრანსპორტის სახის შერჩევისას?
5. რას ნიშნავს საქონლის განაწილება?
6. რა პროცედურებით იწყება საქონლის ხარისხიანობის გამოვლენა?
7. რას ნიშნავს საქონლის ეტიკეტირება და რა სავალდებულო ინფორმაციას უნდა მოიცავდეს?
8. რისთვის არის განკუთვნილი სამარკო ნიშნები და რა სავალდებულო ინფორმაციას უნდა მოიცავდეს?
9. რას ნიშნავს ასოცირებული სამარკო ნიშანი და რამდენი სახისაა? დაახასიათეთ თითოეული მათგანი.
10. რა თავისებურებებით ხასიათდება სატრანსპორტო მარკირება?
11. როგორ მარკირდება ხორცი, ფრინველი და ქათმის კვერცხი?
12. რას გულისხმობს საქონლის მარკირება შტრიხკოდით და რა უპირატესობა აქვს მას?

### დანართი 5.3.2. სავარჯიშოების ბაზა
### (საქონლის მიწოდება, შეფუთვა და მარკირება, კლიენტთან ურთიერთობის აგება)

1. თქვენს მიერ შერჩეული ბიზნესის ფარგლებში წარმოებული საქონლის/მომსახურების მიწოდების სერვისის რომელ სახეს ირჩევთ?
2. განსაზღვრეთ ტრანსპორტირების სახე და ფორმები თქვენს მიერ შერჩეული ბიზნესის ფარგლებში წარმოებული საქონლის/მომსახურების მომხმარებლისათვის მიწოდებისათვის.
3. საქონლის ხარისხობრივი მაჩვენებლების უზრუნველყოფის რომელ სახეს ირჩევთ და რა სავალდებულო ინფორმაცია უნდა იქნეს დატანილი მასზე?
4. შეადგინეთ საქონლის ხარისხობრივი მაჩვენებლების უზრუნველყოფის სახის ნიმუშები.

# სწავლის შედეგი 6: გამარტივებული ფინანსური აღრიცხვა - ანგარიშგების წარმოება (24 სთ)

## თავი 6.1. ფასწარმოქმნა (XX კვირა)

*(მოკლე შინაარსი მეწარმეობის სახელმძღვანელოს [110] 6.1.1-6.1.7 ქვეთავების მიხედვით: ფასის არსი და ფუნქციები; ფასის სტრუქტურა; ფასწარმოქმნის არსი და ტიპები; ფასების დაწესებაზე მოქმედი ფაქტორები; საბაზრო ფასების ფორმირების მექანიზმები)*

საათების სავარაუდო განაწილება:
6.1.1. თეორიული - 1 სთ;
6.1.2. პრაქტიკული - 1 სთ;
6.1.3. შეფასება - 1 სთ.

### 6.1.1. თეორიული მეცადინეობა (1 სთ)



**აქტივობების ზოგადი აღწერა:** წინა დამოუკიდებელი მეცადინეობის დროს მიცემული დავალება შეამოწმეთ ამ დავალებისათვის დადგენილი განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტის მიხედვით, ხოლო შემდეგ ახსენით ახალი თეორიული მასალა.

**აქტივობების დეტალური აღწერა:** პირველი 10-15 წუთი - დაუთმეთ დავალების შემოწმებას ამ დავალებისათვის დადგენილი განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტის მიხედვით. ამ მიზნით, სტუდენტებს ჯერ გააცანით ინფორმაცია, თუ ვინ გამოაგზავნა დავალება საკუთარი ელ-ფოსტით, ხოლო შემდეგ თითო სტუდენტს დაუსვით დავალებასთან დაკავშირებული 2-3 შეკითხვა, რათა დარწმუნდეთ, რომ დავალება ნამდვილად ამ სტუდენტის შესრულებულია და არ არის გადმოწერილი. თითოეულ სტუდენტს მიუთითეთ, თუ რა შეცდომა დაუშვა დავალების შესრულებისას და მიეცით კონკრეტული რეკომენდაციები მათ გამოსასწორებლად. განიხილეთ ერთ-ერთი ყველაზე კარგად შესრულებული დავალება (ან ამ თეორიულ მეცადინეობაზე, ან ამავე თავის პრაქტიკული მეცადინეობის დასაწყისში).

*[110] **მეწარმეობის სახელმძღვანელო** - გზამკვლევში ამ ტერმინით მოხსენიებულია განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებული სტუდენტის სახელმძღვანელო - „მეწარმეობა“.*

**მომდევნო 5-10 წუთი** დაუთმეთ ლექციის შესავალ ნაწილს: ასახსნელი თეორიული მასალის შესახებ ისტორიებს ან/და მაგალითებს, გონებრივ იერიშს (გონებრივი იერიშისას გამოიყენეთ 6.1.1 დანართით მოცმული კითხვები), რათა სტუდენტები დაფიქრდნენ, თუ რა მნიშვნელობა აქვს ფასწარმოქმნის არსის ცოდნას წარმატებული ბიზნესისთვის.

შესავალი ნაწილის შემდეგ, პროფესიული სტუდენტისთვის (რომელსაც არც თეორიული და არც პრაქტიკული გამოცდილება არ აქვს ბიზნესში) მაქსიმალურად გასაგები ენით, განმარტეთ შემდეგი საკითხები:

1. რაში მდგომარეობს ფასის არსი და როგოროა მისი ფუნქციები? [111]

2. როგორია ფასის სტრუქტურა? [112]

3. რაში მდგომარეობს ფასწარმოქმნის არსი და მისი რა ტიპები არსებობს? [113]

4. რა ფაქტორები მოქმედებს ფასების დაწესებაზე? [114]

5. საბაზრო ფასების ფორმირების რა მექანიზმები არსებობს? [115]

**ა) რეკომენდაციები**



სასურველია:

1. თეორიული მასალა გადმოიცეს პრეზენტაციის მეშვეობით;
2. პრეზენტაციის საწყის სლაიდზე ჩანდეს ამ ქვეთავის ნომერი და სათაური შესაბამის ილუსტრაციასთან ერთად;
3. თითოეულ საკითხს დაეთმოს 1-5 სლაიდი;

---

[111] *მეწარმეობის სახელმძღვანელოს შემდეგი ქვეთავის მიხედვით: „6.1.1. ფასის არსი და ფუნქციები“.*

[112] *მეწარმეობის სახელმძღვანელოს შემდეგი ქვეთავის მიხედვით: „6.1.2. ფასის სტრუქტურა“.*

[113] *მეწარმეობის სახელმძღვანელოს შემდეგი ქვეთავის მიხედვით: „6.1.3. ფასწარმოქმნის არსი და ტიპები“.*

[114] *მეწარმეობის სახელმძღვანელოს შემდეგი ქვეთავის მიხედვით: „6.1.4. ფასების დაწესებაზე მოქმედი ფაქტორები“.*

[115] *მეწარმეობის სახელმძღვანელოს შემდეგი ქვეთავის მიხედვით: „6.1.5. საბაზრო ფასების ფორმირების მექანიზმები“.*

4. თითოეულ სლაიდზე ჩანდეს როგორც ტექსტი, ისე ტექსტის შესაბამისი ილუსტრაცია, რომელიც მაქსიმალურად უწყობს ხელს მასალის ათვისებასა და დამახსოვრებას;

5. ბოლოს წინა სლაიდებზე ჩაიწეროს დამოუკიდებელი მუშაობის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ინსტრუქცია და ელექტრონული ფოსტის მისამართი, სადაც სტუდენტებმა უნდა გამოაგზავნონ დამოუკიდებელი მუშაობის დროს შესრულებული მასალა (მაგალითად, მასწავლებლის ელექტრონული ფოსტა);

6. ბოლო სლაიდს დაარქვათ „საკითხავი მასალა“, სადაც ჩაწერეთ ძირითადი საკითხავი მასალის დასახელება (მაგალითად, ტექსტი - „ლექციაზე განხილული სლაიდები“) და დამატებითი საკითხავი ლიტერატურის დასახელება ამ ქვეთავის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

ბ) ლიტერატურა



სასურველია პრეზენტაცია მომზადდეს მეწარმეობის სახელმძღვანელოს შემდეგი თავის მიხედვით: 6.1. ფასწარმოქმნა.

გ) რესურსები



კომპიუტერი, პროექტორი, ჰენდაუთი (სლაიდების ამობეჭდილი ვერსია). შესაძლებელია თეორიული მასალის შესაბამისი ვიდეო/აუდიო/ინტერნეტ რესურსის გამოყენება.

## 6.1.2. პრაქტიკული მეცადინეობა (1 სთ)



პრაქტიკული მეცადინეობა ხელს უნდა უწყობდეს თეორიული მეცადინეობის დროს ახსნილი ინფორმაციის განმტკიცებას. მასწავლებელი უნდა დარწმუნდეს, რომ აუდიტორიაში მსხდომმა ყველა სტუდენტმა გაიგო თეორიული მეცადინეობის დროს ახსნილი ინფორმაცია.

ა) **პირველი 5-10 წუთი** დაუთმეთ გონებრივ იერიშს (შეგიძლიათ გამოიყენოთ კითხვები 6.1.1. დანართიდან), რათა გაარკვიოთ ხომ არ არის ისეთი საკითხი, რომელიც ვერ გაიგეს სტუდენტებმა თეორიული მასალიდან. სთხოვეთ სტუდენტებს მოიყვანონ მათთვის ცნობილი მაგალითები თეორიულ მასალასთან დაკავშირებით;

ბ) პრაქტიკული მეცადინეობის პირველ საათზე, დარჩენილ დროში, ხორციელდება წინა კვირაში მიცემული დამოუკიდებელი სამუშაოს წარდგენა (სტუდენტების მიერ მომზადებული პრეზენტაციები საქონლის გასაყიდად მომზადებასთან დაკავშირებით, თითო სტუდენტს ეძლევა 3-5 წუთი) და აღნიშნულ საკითხებზე იმართება დისკუსია. მასწავლებელი აძლევს საშუალებას სტუდენტებს შეაფასონ და საჭიროების შემთხვევაში შეასწორონ თავიანთი ნაშრომი.

გ) სტუდენტებს მიეცით პრაქტიკული სავარჯიშო **6.1.2. ჩემი პროდუქტის/მომსახურების ფასი**.

სტუდენტები დაყავით სამ ჯგუფად. თითოეულ ჯგუფში უნდა დანაწილდეს ფუნქციები. კერძოდ, თითოეულ ჯგუფს უნდა ჰყავდეს:

- მენეჯერი - პირი, რომელიც იძლევა დავალებებს და სვამს კითხვებს ჯგუფის წევრებისგან საჭირო ინფორმაციის რაც შეიძლება მოკლე დროში მისაღებად;
- მდივანი - ოფისის მენეჯერი, ანუ პირი, რომელიც აკეთებს საჭირო ჩანაწერებს ჯგუფის ეფექტური მუშაობისთვის.

მენეჯერის და მდივანის არჩევა ხდება შემდეგი წესით: თითოეული წევრი ამბობს თავის სახელს ჯერ მენეჯერის, ხოლო შემდეგ მდივანის „ვაკანსიაზე“, ხოლო დანარჩენები ხელის აწევით აძლევენ ხმას სასურველ კანდიდანტს.

მენეჯერი სთხოვს ჯგუფის წევრებს დაასახელონ თითო ყველაზე კარგი ბიზნეს-იდეა რაც კი ოდესმე მოუფიქრებიათ;

ჯგუფის მდივანი იწერს დასახელებულ იდეებს და როდესაც ყველა წევრის მიერ დაასახელებულ იდეას ჩაიწერს, იწყება კენჭისყრა: მდივანი ზეპირად ან წერილობით ასახელებს თითო ჩაწერილ იდეას და ჯგუფის წევრები ხელის აწევით აძლევენ ხმას სასურველ იდეას. რომელი ბიზნეს-იდეაც მეტ ხმას დააგროვებს (ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში

გადაწყვეტილებას იღებს მენეჯერი), იმ იდეას ცალკე ფურცელზე, ფურცლის ზედა ნაწილში გადმოიწერს მდივანი.

მენეჯერი სთხოვს ჯგუფის წევრებს დაასახელონ იმ პროდუქტის/მომსახურების თითო-თითო სავარაუდო ფასი, რასაც ეს ბიზნესი აწარმოებს (დასაშვებია სტუდენტების მიერ მობილური ტელეფონებისა და ინტერნეტის გამოყენება რათა ნახონ რა არის მსგავსი პროდუქტის/მომსახურების საბაზრო ფასი).

მდივანი არჩეული ბიზნეს-იდეის ქვემოთ ჩამოწერს ყველა დასახელებულ ფასს, რასაც ჯგუფის წევრები დაასახელებენ.

პრაქტიკული მეცადინეობის ბოლო 10-12 წუთი ეთმობა პრეზენტაციებს - თითო ჯგუფს ეძლევა 3-4 წუთი წარმოადგინოს ჯგუფის მიერ შერჩეული სავარაუდო ფასების ჩამონათვალი და დაასაბუთოს ამ ჩამონათვალიდან, თუ რომელი ფასია ყველაზე ოპტიმალური და რატომ. მასწავლებელს ყველა სტუდენტს აძლევს აზრის გამოთქმის საშუალებას.

გ) დარჩენილი დრო დაუთმეთ 6.1.2 დანართით მოცემულ სავარჯიშოებს.

## განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტი №6.1

(სასურველია შეივსოს ამავე მეცადინეობაზე)

ამ პრაქტიკული მეცადინეობის შედეგები მოწმდება ორი კრიტერიუმის მიხედვით:

**1. სტუდენტმა იაქტიურა ფასის შერჩევის პროცესში** (სასურველია შემოწმდეს იმავე მეცადინეობაზე);

**2. სტუდენტმა გამოთქვა თავისი აზრი, თუ რატომ არის მის მიერ დასახელებული ფასი ოპტიმალური** (სასურველია შემოწმდეს მომდევნო თეორიულ ლექციამდე).

| № | სტუდენტის გვარი, სახელი | დავალების ნომერი და დასახელება | შესრულების კრიტერიუმები | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | სტუდენტმა იაქტიურა ფასის შერჩევის პროცესში | | სტუდენტმა გამოთქვა თავისი აზრი, თუ რატომ არის მის მიერ დასახელებული ფასი ოპტიმალური | |
| | | | დიახ | არა | დიახ | არა |
| 1 | | №6.1.2- ჩემი პროდუქტის/მომსახურების ფასი | | | | |
| დავალება შესრულებულად ითვლება ორივე კრიტერიუმის დადებითად შეფასების შემთხვევაში | | | | | | |

***(განმარტება მასწავლებლისთვის:** შესაძლებელია მოცემულ ცხრილს დაუმატოთ იმდენი სტრიქონი, რამდენი სტუდენტიც არის შესაფასებელი და ისე ამობეჭდოთ, ან თითო სტუდენტისთვის ამობეჭდოთ თითო ასეთი ცხრილი).*

# 6.1.3. სწავლის შედეგი 5 - განმსაზღვრელი შეფასება (1სთ)

**სწავლის შედეგი 5**

<table>
<tr><td>მოდული:</td><td>მეწარმეობა</td></tr>
<tr><td>სწავლის შედეგი/შესრულების კრიტერიუმი</td><td>სწავლის შედეგი 5. კრიტერიუმი 1.<br>1. სწორად განმარტავს სტიმულირების სახეებს და მათ გამოყენებას</td></tr>
<tr><td>შეფასების მიმართულება:</td><td>გამოკითხვა</td></tr>
<tr><td>შეფასების ინსტრუმენტი</td><td>ტესტი. კითხვები მრავალი არჩევითი პასუხით; ბადისებრი შეკითხვები; გამოტოვებული სიტყვების ჩასმა.</td></tr>
<tr><td>აღწერა</td><td>30 წუთი. ტესტი ტარდება სასწავლო აუდიტორია</td></tr>
<tr><td>შინაარსი</td><td>1)ჩამოწერეთ სტიმულირების სახეები:<br><table><tr><td>ტერმინი</td><td>განმარტება</td></tr><tr><td>საბითუმო ვაჭრობა</td><td>ბიზნესი, რომელიც მის მომსახურების ან პროდუქტს ყიდის უშუალო მომხმარებელზე</td></tr><tr><td>რეკლამა</td><td>სავაჭრო მარკეტინგის ნაწილი, რომლის ამოცანაა წარმოებული პროდუქციის გასაღების უზრუნველყოფა</td></tr><tr><td>საცალო ვაჭრობა</td><td>გზა წარმოებიდან მომხმარებლამდე</td></tr><tr><td>გასაღების არხები</td><td>დიდი მოცულობით პროდუქციის რეალიზება</td></tr></table><br>2) რეკლამა ლათინური სიტყვაა და ნიშნავს ყვირილს. (ხმამაღლა შეტყობინებას)<br>ა) კი<br>ბ) არა<br><br>3) რეკლამა არ წარმოადგენს:<br>ა)მარკეტინგის ნაწილს<br>ბ) წარმოების ნაწილს<br>გ)გასაღების ნაწილს<br><br>4) რეკლამის ტიპები:<br>ა) სავაჭრო მარკის<br>ბ) საცალო სავაჭრო<br>გ) ინტერნეტ რეკლამა<br>დ)ყველა ზემოთ ჩამოთვლილი<br><br>5) შეუსაბამეთ ტერმინი განმარტებას</td></tr>
</table>

| | |
|---|---|
| | 6) ბილბორდი არის --------------- რეკლამის განთავსების სახე<br>ა) შიდა<br>ბ) გარე<br>გ) ზედა<br>დ) ქვედა<br><br>7) ბილბორდი არის გარე --------- განთავსების სახე |
| მტკიცებულება | მტკიცებულება წარმოდგენილი იქნება ტესტის სახით |
| შეფასების სქემა | მოცემული 10 ტესტიდან სავალდებულოა 6 სწორი პასული, აქედან 1, 3 და 4 ტესტზე სწორი პასუხის გაცემა სავალდებულოა |

სწავლის შედეგი 5

| | |
|---|---|
| მოდული: | **მეწარმეობა** |
| სწავლის შედეგი/შესრულების კრიტერიუმი | **სწავლის შედეგი 5 კრიტერიუმები 2-6:**<br>2. ბიზნესის სპეციფიკის გათვალისწინებით, სწორად ირჩევს ბაზარს, სადაც აპირებს პოზიციონირებას<br>3. ბიზნესის სპეციფიკის გათვალისწინებით, სწორად არჩევს გაყიდვების სახეს<br>4. ბიზნესის სპეციფიკის გათვალისწინებით, სწორად არჩევს მიწოდების ფორმას<br>5. ბიზნესისა და მომხმარებლის სპეციფიკის გათვალისწინებით, სწორად ირჩევს მომხმარებლის სტიმულირების მექანიზმებს<br>6. სწორად განსაზღვრავს საქონლის ფასებს |
| შეფასების მიმართულება: | პროდუქტის /შედეგის შეფასება |
| შეფასების ინსტრუმენტი | პროექტი |
| აღწერა | მოდულის განხორციელების განმავლობაში სტუდენტი დამოუკიდებელ საათებზე ქმნის სხვადასხვა სახის წერილობით დოკუმენტის რაც გროვდება სტუდენტის პორტფოლიოში და გამოიყენება მოცემული სწავლის შედგის შეფასების კრიტერიუმების მიხედვით სტუდენტის კომპეტენციების დასადასტურებლად. სტუდენტს საშუალება ეძლევა შეფასებამდე შეცვალოს/გააუმჯობესოს მის მიერ შემუშავებული დოკუმენტაცია.<br>შეფასების მიზანია შემოწმდეს სტუდენტის მიერ წარმოდგენილი ნაშრომის საკმარისობა და ავთენტურობა კრიტერიუმების მიხედვით კომპეტენციათა დასადასტურებლად.<br>შეფასება ხორციელდება სასწავლო აუდიტორიაში, შესაფასებელი პირის თანდასწრებით.<br>შეფასებისათვის გამოყოფილი დროა  სთ.<br>საჭიროების შემთხვევაში შემფასებელი იყენებს ზეპირ შეკითხვებს. ზეპირი ეკლითხვების მიზანია დაადგინოს წარმოდგენილი ნასრომის ავთენტურობა, ხოლო არასაკმარისობის შემთხვევაში უზრუნველყოს |

| | |
|---|---|
| | დამატებითი მტკიცებულებების მოპოვება. ამ შემთხვევაში შეიქმნება დამატებითი მტკიცებულება მასწავლებლის ჩანაწერების სახით.<br>შეფასების პროცესში სტუდენტს უფლება აქვს გამოიყენიოს საკუთარი სამუშაო ჩანაწერები და ჩაბარებული მტკიცებულება ან მისი ასლი, კონსპექტები, სახელმძღვანელო, კალკულატორი. |
| შინაარსი | შეფასების კრიტერიუმების მიხედვით მოწმდება სტუდენტის მიერ შექმნილი შემდეგი დოკუმენტები:<br>მიზნით ესაა:<br>მე-2 კრიტერიუმისათვის- სწორად შერჩევა ბაზრის მისი ბიზნესის შესაბამისად<br>მე-3 კრიტერიუმისათვის-ბიზნესის სპეციფიკის გათვალისწინებით სწორად შეარჩიოს გაყიდვების სახე<br>მე 4 კრიტერიუმისათვის ირჩევს მიწოდების ფორმას<br>მე 5 კრიტერიუმისათვის მომხმარებლის სტიმულირების გზების სწორად შერჩევა<br>მე 6 კრიტერიუმისათვის სწორად განსაზღვრავს საქონლის/მომსახურების ფასებს<br><br>ყველა კრიტერიუმის მტკიცებულება/ დასაბუთება უნდა იყოს არანაკლებ ნახევარი გვერდისა |
| მტკიცებულება | სტუდენტის პორტფოლიო და საჭიროების შემთხვევაში-მასწავლებლის ჩანაწერები. |
| შეფასების სქემა | სტუდენტი დადებითად შეფასდება, თუ ყველა კრიტერიუმის მიხედვით წარმოდგენილი იქნება საკმარისი, ავთენტური მტკიცებულება და არსებობის შემთხვევაში, ზეპირ შეკითხვებზე გაცემული იქნება დამაკმაყოფილებელი პასუხი. მხოლოდ ზეპირი შეკითხვების საფუძველზე სტუდენტის დადებითად შეფასება დაუშვებელია. |

## დანართი 6.1.1. კითხვების ბაზა
## (ფასწარმოქმნა)

1. რა არის ფასის არსი და მნიშვნელობა?
2. რა განსხვავებაა საქონლის ფასსა და ღირებულებას შორის?
3. რა არის ფასის ფუნქციები?
4. ფასის რა სახეები არსებობს?
5. საბითუმო ფასის რა ელემენტები იცით?
6. საცალო ფასის რა ელემენტები იცით?
7. ფასის ნაირსახეობები არსებობს?
8. რაში მდგომარეობს ფასწარმოქმნის არსი და მნიშვნელობა?
9. ფასწარმოქმნის რა ტიპები იცით?
10. ფასწარმოქმნის რა პოლიტიკა არსებობს (ბაზრის ოთხივე ტიპისთვის)?
11. რა ფაქტორები მოქმედებს ფასწარმოექმნის პოლიტიკის განსაზღვრაზე?
12. რას გულისხმობს ფასწარმოქმნის პროცესი და მისი რა ეტაპები იცით?
13. ფასის დადგენის რა მეთოდები იცით?
14. როგორ დაახასიათებთ ფასწარმოქმნაზე მოქმედი ფაქტორებს?
15. ფასწარმოქმნის რა სტრატეგიები იცით?
16. რას ნიშნავს ფასის დისკრიმინაცია და რა შემთხვევაში გამოიყენება ის?

## დანართი 6.1.2. სავარჯიშოების ბაზა
## (ფასწარმოქმნა)

1. განსაზღვრთ რამდენი უნდა იყოს თქვენს მიერ არჩეული ბიზნეს-საქმიანობის ფარგლებში წარმოებული საქონლისა თუ მომსახურების დაახლოებითი ფასი?
2. განსაზღვრეთ თქვენს მიერ არჩეული ბიზნეს-საქმიანობის ფარგლებში წარმოებული საქონლისა თუ მომსახურებისათვის ფასის დადგენის მეთოდი;
3. შეადგინეთ ფასწარმოქმნის პოლიტიკა ფასწარმოქმნის ეტაპების მიხედვით;
4. განსაზღვრეთ თქვენს მიერ შერჩეული ბიზნეს-საქმიანობის ფარგლებში წარმოებული პროდუქციის/მომსახურების ფასი.

## **თავი 6.2. ბიზნესის შემოსავლები** (XXI კვირა)

*(მოკლე შინაარსი მეწარმეობის სახელმძღვანელოს [116] 6.2.1 ქვეთავების მიხედვით: შემოსავლის არსი და სახეები)*

საათების სავარაუდო განაწილება:
6.2.1. თეორიული - 2 სთ;
6.2.2. პრაქტიკული - 1 სთ;
6.2.3. დამოუკიდებელი - 2 სთ.

### 6.2.1. თეორიული მეცადინეობა (2 სთ)



**აქტივობების ზოგადი აღწერა:** მიმოიხილეთ მე-5 სწავლის შედეგის განმსაზღვრელი შეფასებისას დაშვებული შეცდომები, ხოლო შემდეგ ახსენით ახალი თეორიული მასალა.

**აქტივობების დეტალური აღწერა:** **პირველი 10-15 წუთი** - დაუთმეთ პირველი და მეორე სწავლის შედეგების განმსაზღვრელი შეფასების განხილვას ამ შეფასებისათვის დადგენილი ინსტრუმენტის მიხედვით. თითოეულ სტუდენტს მიუთითეთ, თუ რა შეცდომა დაუშვა და მიეცით კონკრეტული რეკომენდაციები მათ გამოსასწორებლად. შესაძლებლია განიხილოთ ერთ-ერთი ყველაზე კარგი ნამუშევარი.

**მომდევნო 5-10 წუთი** დაუთმეთ ლექციის შესავალ ნაწილს: ასახსნელი თეორიული მასალის შესახებ ისტორიებს ან/და მაგალითებს, გონებრივ იერიშს (გონებრივი იერიშისას გამოიყენეთ 6.2.1 დანართით მოცემული კითხვები), რათა სტუდენტები დაფიქრდნენ, თუ რა მნიშვნელობა აქვს შემოსავლების არსისა და სახეების ცოდნას წარმატებული ბიზნესისთვის.

შესავალი ნაწილის შემდეგ, პროფესიული სტუდენტისთვის (რომელსაც არც თეორიული და არც პრაქტიკული გამოცდილება არ აქვს ბიზნესში) მაქსიმალურად გასაგები ენით, განმარტეთ შემდეგი საკითხები:

---

[116] ***მეწარმეობის სახელმძღვანელო*** *- გზამკვლევში ამ ტერმინით მოხსენიებულია განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებული სტუდენტის სახელმძღვანელო - „მეწარმეობა“.*

1. რაში მდგომარეობს შემოსავლების არსი და მისი რა სახეები არსებობს? [117]

2. რას გულისხმობს საოპერაციო და არასაოპერაციო შემოსავლები? [118]

3. როგორ ხორციელდება საქონლის გაყიდვა განვადებით? [119]

4. რას გულისხმობს მომსახურეობიდან მიღებული შემოსავალი? [120]

5. რას გულისხმობს ტერმინები: საპროცენტო შემოსავალი, დივიდენდი, როიალტი, საიჯარო ქირა? [121]

**ა) რეკომენდაციები**



სასურველია:

1. თეორიული მასალა გადმოიცეს პრეზენტაციის მეშვეობით;
2. პრეზენტაციის საწყის სლაიდზე ჩანდეს ამ ქვეთავის ნომერი და სათაური შესაბამის ილუსტრაციასთან ერთად;
3. თითოეულ საკითხს დაეთმოს 1-5 სლაიდი;
4. თითოეულ სლაიდზე ჩანდეს როგორც ტექსტი, ისე ტექსტის შესაბამისი ილუსტრაცია, რომელიც მაქსიმალურად უწყობს ხელს მასალის ათვისებასა და დამახსოვრებას;
5. ბოლოს წინა სლაიდებზე ჩაიწეროს დამოუკიდებელი მუშაობის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ინსტრუქცია და ელექტრონული ფოსტის მისამართი, სადაც სტუდენტებმა უნდა გამოაგზავნონ დამოუკიდებელი მუშაობის დროს შესრულებული მასალა (მაგალითად, მასწავლებლის ელექტრონული ფოსტა);

---

[117] *მეწარმეობის სახელმძღვანელოს შემდეგი ქვეთავის მიხედვით: „ 6.2.1. შემოსავლის არსი და სახეები“.*

[118] *მეწარმეობის სახელმძღვანელოს შემდეგი ქვეთავის მიხედვით: „ 6.2.1. შემოსავლის არსი და სახეები“.*

[119] *მეწარმეობის სახელმძღვანელოს შემდეგი ქვეთავის მიხედვით: „ 6.2.1. შემოსავლის არსი და სახეები“.*

[120] *მეწარმეობის სახელმძღვანელოს შემდეგი ქვეთავის მიხედვით: „ 6.2.1. შემოსავლის არსი და სახეები“.*

[121] *მეწარმეობის სახელმძღვანელოს შემდეგი ქვეთავის მიხედვით: „ 6.2.1. შემოსავლის არსი და სახეები“.*

6. ბოლო სლაიდს დაარქვათ „საკითხავი მასალა“, სადაც ჩაწერეთ ძირითადი საკითხავი მასალის დასახელება (მაგალითად, ტექსტი - „ლექციაზე განხილული სლაიდები“) და დამატებითი საკითხავი ლიტერატურის დასახელება ამ ქვეთავის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

**ბ) ლიტერატურა**



სასურველია პრეზენტაცია მომზადდეს მეწარმეობის სახელმძღვანელოს შემდეგი ქვეთავის მიხედვით: 6.2.1. შემოსავლის არსი და სახეები.

**გ) რესურსები**



კომპიუტერი, პროექტორი, ჰენდაუთი (სლაიდების ამობეჭდილი ვერსია). შესაძლებელია თეორიული მასალის შესაბამისი ვიდეო/აუდიო/ინტერნეტ რესურსის გამოყენება.

## 6.2.2. პრაქტიკული მეცადინეობა (1 სთ)



პრაქტიკული მეცადინეობა ხელს უნდა უწყობდეს თეორიული მეცადინეობის დროს ახსნილი ინფორმაციის განმტკიცებას. მასწავლებელი უნდა დარწმუნდეს, რომ აუდიტორიაში მსხდომმა ყველა სტუდენტმა გაიგო თეორიული მეცადინეობის დროს ახსნილი ინფორმაცია.

ა) **პირველი 5-10 წუთი** დაუთმეთ გონებრივ იერიშს (შეგიძლიათ გამოიყენოთ კითხვები 6.2.1. დანართიდან), რათა გაარკვიოთ ხომ არ არის ისეთი საკითხი, რომელიც ვერ გაიგეს სტუდენტებმა თეორიული მასალიდან. სთხოვეთ სტუდენტებს მოიყვანონ მათთვის ცნობილი მაგალითები თეორიულ მასალასთან დაკავშირებით;

ბ) სტუდენტებს მიეცით პრაქტიკული სავარჯიშო **„შემოსავლის წყაროების განსაზღვრა“**.

სტუდენტები დაყავით სამ ჯგუფად. თითოეულ ჯგუფში უნდა დანაწილდეს ფუნქციები. კერძოდ, თითოეულ ჯგუფს უნდა ჰყავდეს:

- მენეჯერი - პირი, რომელიც იძლევა დავალებებს და სვამს კითხვებს ჯგუფის წევრებისგან საჭირო ინფორმაციის რაც შეიძლება მოკლე დროში მისაღებად;
- მდივანი - ოფისის მენეჯერი, ანუ პირი, რომელიც აკეთებს საჭირო ჩანაწერებს ჯგუფის ეფექტური მუშაობისთვის.

მენეჯერის და მდივანის არჩევა ხდება შემდეგი წესით: თითოეული წევრი ამბობს თავის სახელს ჯერ მენეჯერის, ხოლო შემდეგ მდივანის „ვაკანსიაზე“, ხოლო დანარჩენები ხელის აწევით აძლევენ ხმას სასურველ კანდიდანტს.

მენეჯერი სთხოვს ჯგუფის წევრებს დაასახელონ თითო ყველაზე კარგი ბიზნეს-იდეა რაც კი ოდესმე მოუფიქრებიათ;

ჯგუფის მდივანი იწერს დასახელებულ იდეებს და როდესაც ყველა წევრის მიერ დაასახელებულ იდეას ჩაიწერს, იწყება კენჭისყრა: მდივანი ზეპირად ან წერილობით ასახელებს თითო ჩაწერილ იდეას და ჯგუფის წევრები ხელის აწევით აძლევენ ხმას სასურველ იდეას. რომელი ბიზნეს-იდეაც მეტ ხმას დააგროვებს (ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადაწყვეტილებას იღებს მენეჯერი), იმ იდეას ცალკე ფურცელზე, ფურცლის ზედა ნაწილში გადმოიწერს მდივანი.

მენეჯერი სთხოვს ჯგუფის წევრებს დაასახელონ ამ ბიზნეს-იდეის განხორციელების შემთხვევაში რა იქნება შემოსავლის სავარაუდო წყაროები.

მდივანი არჩეული ბიზნეს-იდეის ქვემოთ ჩამოწერს შემოსავლის ყველა წყაროს რასაც ჯგუფის წევრები დაასახელებენ.

პრაქტიკული მეცადინეობის ბოლო 10-12 წუთი ეთმობა პრეზენტაციებს - თითო ჯგუფს ეძლევა 3-4 წუთი წარმოადგინოს ჯგუფის მიერ დასახელებული შემოსავლის წყაროებიდან,

თუ რომელია ამ ბიზნეს-იდეისთვის ყველაზე შესაბამისი და რატომ. მასწავლებელი ყველა სტუდენტს აძლევს აზრის გამოთქმის საშუალებას.

6.2.3. დამოუკიდებელი მეცადინეობა (2 სთ)



**ᲓᲐᲕᲐᲚᲔᲑᲐ №6.2.3 - ᲨᲔᲛᲝᲡᲐᲕᲚᲘᲡ ᲬᲧᲐᲠᲝᲔᲑᲘ:**

*(**განმარტება მასწავლებლისთვის:** აღნიშნული დავალება სტუდენტს უვითარებს შემოსავლის წყაროების განსაზღვრის უნარებს, ასევე Word-ის დოკუმენტის მარტივი რედაქტირებისა და ელექტრონული კომუნიკაციის უნარებს)*

**დავალების პირობა:** 6.2.2 დანართში აღნიშნული სავარჯიშოები შეასრულეთ ქვემოთ მოცემული ინსტრუქციის შესაბამისად, წერილობითი ფორმით (არანაკლებ 2 გვერდი).

**დავალების შესრულების ინსტრუქცია სტუდენტებისთვის:** დავალება შეინახეთ Word-ის ცალკე დოკუმენტად შემდეგი წესების დაცვით:

1. გახსენით Word-ის ახალი დოკუმენტი და ლათინური შრიფტით დაარქვით „17.Income Sources_Name Surname of Student“ („Name Surname of Student“-ს ნაცვლად მიუთითეთ თქვენი სახელი და გვარი);
2. აირჩიეთ შრიფტი - Sylfaen და შრიფტის ზომა - 11.
3. Word-ის დოკუმენტის დასაწყისში, შუა ადგილზე ჩაწერეთ თეორიული ლექციის სათაური;
4. გადმოწერეთ და რიგითობის მიხედვით დანომრეთ თითოეული სავარჯიშო დავალების პირობაში დასახელებული დანართიდან;
5. თითოეული სავარჯიშოს ქვემოთ, აბზაცით ჩაწერეთ პასუხი ამ სავარჯიშოზე;
7. შესრულებული დავალება თქვენი საკუთარი ელ-ფოსტით გამოაგზავნეთ მომდევნო ლექციამდე, ელ-ფოსტაზე: *აქ მასწავლებელმა უნდა ჩაწეროს ელექტრონული ფოსტის მისამართი, სადაც უნდა გამოიგზავნოს დავალება.*

განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტი №6.2

(სასურველია შეივსოს მომდევნო თეორიული მეცადინეობის დასაწყისში)

ამ დამოუკიდებელი მეცადინეობის შედეგები მოწმდება ორი კრიტერიუმის მიხედვით:

**1. სტუდენტმა გადმოაგზავნა თუ არა დავალება საკუთარი ელ-ფოსტით** (სასურველია შემოწმდეს მომდევნო თეორიულ მეცადინეობამდე);

**2. სტუდენტი პასუხობს თუ არა დავალებასთან დაკავშირებულ შეკითხვებს** (სასურველია შემოწმდეს მომდევნო თეორიული მეცადინეობის დასაწყისში - თითო სტუდენტს დაუსვით 2-3 მარტივი შეკითხვა, რათა დარწმუნდეთ, რომ დავალება მისი შესრულებულია).

<table>
<tr><th rowspan="3">№</th><th rowspan="3">სტუდენტის გვარი, სახელი</th><th rowspan="3">დავალების ნომერი და დასახელება</th><th colspan="4">შესრულების კრიტერიუმები</th></tr>
<tr><th colspan="2">დავალება გადმოაგზავნა საკუთარი ელ-ფოსტით</th><th colspan="2">უპასუხა დავალებასთან დაკავშირებულ შეკითხვებს</th></tr>
<tr><th>დიახ</th><th>არა</th><th>დიახ</th><th>არა</th></tr>
<tr><td>1</td><td></td><td>№6.2.3 - შემოსავლის წყაროები</td><td></td><td></td><td></td><td></td></tr>
<tr><td colspan="7">დავალება შესრულებულად ითვლება ორივე კრიტერიუმის დადებითად შეფასების შემთხვევაში</td></tr>
</table>

*(**განმარტება მასწავლებლისთვის:** შესაძლებელია მოცემულ ცხრილს დაუმატოთ იმდენი სტრიქონი, რამდენი სტუდენტიც არის შესაფასებელი და ისე ამობეჭდოთ, ან თითო სტუდენტისთვის ამობეჭდოთ თითო ასეთი ცხრილი).*

დანართი 6.2.1. კითხვების ბაზა
(შემოსავლის არსი და სახეები)

1. განმარტეთ შემოსავლის არსი.
2. რისგან შედგება შემოსავალი?
3. რას ნიშნავს ამონაგები?
4. რამდენი სახის შემოსავალი არსებობს? განმარტეთ თითოეული მათგანი.
5. რას ნიშნავს საპროცენტო შემოსავალი?
6. რას ნიშნავს დივიდენდის მიღება?
7. რას ნიშნავს როიალტი?
8. რას ნიშნავს შემოსულობა?

დანართი 6.2.2. სავარჯიშოების ბაზა
(შემოსავლის არსი და სახეები)

1. განსაზღვრეთ თქვენს მიერ შერჩეული ბიზნესის შემოსავლის წყაროები;
2. განსაზღვრეთ თქვენს მიერ შერჩეული ბიზნესის შემოსავლების სახეები;
3. განსაზღვრეთ თქვენს მიერ შერჩეული ბიზნესის შემოსავლების სავარაუდო ოდენობა.

## თავი 6.3. ნაღდი და უნაღდო ანგარიშსწორება, საკონტროლო სალარო აპარატი (XXII კვირა)

*(მოკლე შინაარსი მეწარმეობის სახელმძღვანელოს [122] 6.2.2-6.2.5 ქვეთავების მიხედვით: საკონტროლო - სალარო აპარატი და მისი გამოყენების შემთხვევები; საკონტროლო - სალარო აპარტის რეგისტრაცია)*

საათების სავარაუდო განაწილება:
6.3.1. თეორიული - 1 სთ;
6.3.2. პრაქტიკული - 2 სთ;
6.3.3. დამოუკიდებელი - 2 სთ.

### 6.3.1. თეორიული მეცადინეობა (1 სთ)



**აქტივობების ზოგადი აღწერა:** წინა დამოუკიდებელი მეცადინეობის დროს მიცემული დავალება შეამოწმეთ ამ დავალებისათვის დადგენილი განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტის მიხედვით, ხოლო შემდეგ ახსენით ახალი თეორიული მასალა.

**აქტივობების დეტალური აღწერა:** პირველი 10-15 წუთი - დაუთმეთ დავალების შემოწმებას ამ დავალებისათვის დადგენილი განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტის მიხედვით. ამ მიზნით, სტუდენტებს ჯერ გააცანით ინფორმაცია, თუ ვინ გამოაგზავნა დავალება საკუთარი ელ-ფოსტით, ხოლო შემდეგ თითო სტუდენტს დაუსვით დავალებასთან დაკავშირებული 2-3 შეკითხვა, რათა დარწმუნდეთ, რომ დავალება ნამდვილად ამ სტუდენტის შესრულებულია და არ არის გადმოწერილი. თითოეულ სტუდენტს მიუთითეთ, თუ რა შეცდომა დაუშვა დავალების შესრულებისას და მიეცით კონკრეტული რეკომენდაციები მათ გამოსასწორებლად. განიხილეთ ერთ-ერთი ყველაზე კარგად შესრულებული დავალება (ან ამ თეორიულ მეცადინეობაზე, ან ამავე თავის პრაქტიკული მეცადინეობის დასაწყისში).

---

[122] ***მეწარმეობის სახელმძღვანელო*** *- გზამკვლევში ამ ტერმინით მოხსენიებულია განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებული სტუდენტის სახელმძღვანელო - „მეწარმეობა“.*

**მომდევნო 5-10 წუთი** დაუთმეთ ლექციის შესავალ ნაწილს: ასახსნელი თეორიული მასალის შესახებ ისტორიებს ან/და მაგალითებს, გონებრივ იერიშს (გონებრივი იერიშისას გამოიყენეთ 6.3.1 დანართით მოცმული კითხვები), რათა სტუდენტები დაფიქრდნენ, თუ რა მნიშვნელობა აქვს ნაღდ და უნაღდო ანგარიშსწორებას წარმატებული ბიზნესისთვის.

შესავალი ნაწილის შემდეგ, პროფესიული სტუდენტისთვის (რომელსაც არც თეორიული და არც პრაქტიკული გამოცდილება არ აქვს ბიზნესში) მაქსიმალურად გასაგები ენით, განმარტეთ შემდეგი საკითხები:

1. რისთვის არის განკუთვნილი საკონტროლო - სალარო აპარატი? [123]

2. რა შემთხვევაში გამოიყენება საკონტროლო - სალარო აპარატი? [124]

3. რა შემთხვევაში არ გამოიყენება საკონტროლო - სალარო აპარატი? [125]

4. როგორ ხორციელდება საკონტროლო - სალარო აპარტის რეგისტრაცია? [126]

**ა) რეკომენდაციები**



სასურველია:

1. თეორიული მასალა გადმოიცეს პრეზენტაციის მეშვეობით;
2. პრეზენტაციის საწყის სლაიდზე ჩანდეს ამ ქვეთავის ნომერი და სათაური შესაბამის ილუსტრაციასთან ერთად;
3. თითოეულ საკითხს დაეთმოს 1-5 სლაიდი;
4. თითოეულ სლაიდზე ჩანდეს როგორც ტექსტი, ისე ტექსტის შესაბამისი ილუსტრაცია, რომელიც მაქსიმალურად უწყობს ხელს მასალის ათვისებასა და დამახსოვრებას;

---

[123] *მეწარმეობის სახელმძღვანელოს შემდეგი ქვეთავის მიხედვით: „6.2.2. საკონტროლო - სალარო აპარატი და მისი გამოყენების შემთხვევები“.*

[124] *მეწარმეობის სახელმძღვანელოს შემდეგი ქვეთავის მიხედვით: „6.2.2. საკონტროლო - სალარო აპარატი და მისი გამოყენების შემთხვევები“.*

[125] *მეწარმეობის სახელმძღვანელოს შემდეგი ქვეთავის მიხედვით: „6.2.2. საკონტროლო - სალარო აპარატი და მისი გამოყენების შემთხვევები“.*

[126] *მეწარმეობის სახელმძღვანელოს შემდეგი ქვეთავის მიხედვით: „6.2.3. საკონტროლო - სალარო აპარტის რეგისტრაცია“.*

5. ბოლოს წინა სლაიდებზე ჩაიწეროს დამოუკიდებელი მუშაობის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ინსტრუქცია და ელექტრონული ფოსტის მისამართი, სადაც სტუდენტებმა უნდა გამოაგზავნონ დამოუკიდებელი მუშაობის დროს შესრულებული მასალა (მაგალითად, მასწავლებლის ელექტრონული ფოსტა);

6. ბოლო სლაიდს დაარქვათ „საკითხავი მასალა“, სადაც ჩაწერეთ ძირითადი საკითხავი მასალის დასახელება (მაგალითად, ტექსტი - „ლექციაზე განხილული სლაიდები“) და დამატებითი საკითხავი ლიტერატურის დასახელება ამ ქვეთავის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

ბ) ლიტერატურა



სასურველია პრეზენტაცია მომზადდეს მეწარმეობის სახელმძღვანელოს შემდეგი ქვეთავების მიხედვით: 6.2.2. საკონტროლო - სალარო აპარატი და მისი გამოყენების შემთხვევები; 6.2.3. საკონტროლო - სალარო აპარტის რეგისტრაცია.

გ) რესურსები



კომპიუტერი, პროექტორი, ჰენდაუთი (სლაიდების ამობეჭდილი ვერსია). შესაძლებელია თეორიული მასალის შესაბამისი ვიდეო/აუდიო/ინტერნეტ რესურსის გამოყენება.

### 6.3.2. პრაქტიკული მეცადინეობა (2 სთ)



პრაქტიკული მეცადინეობა ხელს უნდა უწყობდეს თეორიული მეცადინეობის დროს ახსნილი ინფორმაციის განმტკიცებას. მასწავლებელი უნდა დარწმუნდეს, რომ აუდიტორიაში მსხდომმა ყველა სტუდენტმა გაიგო თეორიული მეცადინეობის დროს ახსნილი ინფორმაცია.

ა) **პირველი 5-10 წუთი** დაუთმეთ გონებრივ იერიშს (შეგიძლიათ გამოიყენოთ კითხვები 6.3.1. დანართიდან), რათა გაარკვიოთ ხომ არ არის ისეთი საკითხი, რომელიც ვერ გაიგეს სტუდენტებმა თეორიული მასალიდან. სთხოვეთ სტუდენტებს მოიყვანონ მათთვის ცნობილი მაგალითები თეორიულ მასალასთან დაკავშირებით;

ბ) სტუდენტები დაყავით 3 ჯგუფად. დაურიგეთ სხვადასხვა ფულადი ოპერაციების კონკრეტული მაგალითები. სტუდენტებმა უნდა განსაზღვრონ პოს (POS) ტერმინალის, საკონტროლო-სალარო აპარატის და ჩეკთან გათანაბრებული დოკუმენტების (ჩგდ) გამოწერის საჭიროება თითოეული მაგალითისათვის;

გ) მეცადინეობის ბოლო 10 წუთი დაუთმეთ შესრულებული სავარჯიშოების განხილვას.

6.3.3. დამოუკიდებელი მეცადინეობა (2 სთ)



## დავალება №6.3.3 - ნაღდი და უნაღდო ანგარიშსწორება:

*(**განმარტება მასწავლებლისთვის:** აღნიშნული დავალება სტუდენტს უვითარებს საკონტროლო სალარო აპარატით სარგებლობის, ასევე ნაღდი და უნაღდო ანგარიშსწორების სხვა საშუალებების გამოყენების უნარებს, ასევე Word-ის დოკუმენტის მარტივი რედაქტირებისა და ელექტრონული კომუნიკაციის უნარებს)*

**დავალების პირობა:** 6.3.2 დანართში აღნიშნული სავარჯიშოები შეასრულეთ ქვემოთ მოცემული ინსტრუქციის შესაბამისად, წერილობითი ფორმით (არანაკლებ 2 გვერდი).

**დავალების შესრულების ინსტრუქცია სტუდენტებისთვის:** დავალება შეინახეთ Word-ის ცალკე დოკუმენტად შემდეგი წესების დაცვით:

1. გახსენით Word-ის ახალი დოკუმენტი და ლათინური შრიფტით დაარქვით „18.Cash and non-cash payments_Name Surname of Student“ („Name Surname of Student“-ს ნაცვლად მიუთითეთ თქვენი სახელი და გვარი);
2. აირჩიეთ შრიფტი - Sylfaen და შრიფტის ზომა - 11.
3. Word-ის დოკუმენტის დასაწყისში, შუა ადგილზე ჩაწერეთ თეორიული ლექციის სათაური;
4. გადმოწერეთ და რიგითობის მიხედვით დანომრეთ თითოეული სავარჯიშო დავალების პირობაში დასახელებული დანართიდან;
5. თითოეული სავარჯიშოს ქვემოთ, აბზაცით ჩაწერეთ პასუხი ამ სავარჯიშოზე;
7. შესრულებული დავალება თქვენი საკუთარი ელ-ფოსტით გამოაგზავნეთ მომდევნო ლექციამდე, ელ-ფოსტაზე: *აქ მასწავლებელმა უნდა ჩაწეროს ელექტრონული ფოსტის მისამართი, სადაც უნდა გამოიგზავნოს დავალება.*

განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტი №6.3

(სასურველია შეივსოს მომდევნო თეორიული მეცადინეობის დასაწყისში)

ამ დამოუკიდებელი მეცადინეობის შედეგები მოწმდება ორი კრიტერიუმის მიხედვით:

1. **სტუდენტმა გადმოაგზავნა თუ არა დავალება საკუთარი ელ-ფოსტით** (სასურველია შემოწმდეს მომდევნო თეორიულ მეცადინეობამდე);

**2. სტუდენტი პასუხობს თუ არა დავალებასთან დაკავშირებულ შეკითხვებს** (სასურველია შემოწმდეს მომდევნო თეორიული მეცადინეობის დასაწყისში - თითო სტუდენტს დაუსვით 2-3 მარტივი შეკითხვა, რათა დარწმუნდეთ, რომ დავალება მისი შესრულებულია).

<table>
<tr><th rowspan="3">№</th><th rowspan="3">სტუდენტის გვარი, სახელი</th><th rowspan="3">დავალების ნომერი და დასახელება</th><th colspan="4">შესრულების კრიტერიუმები</th></tr>
<tr><th colspan="2">დავალება გადმოაგზავნა საკუთარი ელ-ფოსტით</th><th colspan="2">უპასუხა დავალებასთან დაკავშირებულ შეკითხვებს</th></tr>
<tr><th>დიახ</th><th>არა</th><th>დიახ</th><th>არა</th></tr>
<tr><td>1</td><td></td><td>№6.3.3 - ნაღდი და უნაღდო ანგარიშსწორება</td><td></td><td></td><td></td><td></td></tr>
<tr><td colspan="7">დავალება შესრულებულად ითვლება ორივე კრიტერიუმის დადებითად შეფასების შემთხვევაში</td></tr>
</table>

***(განმარტება მასწავლებლისთვის:*** *შესაძლებელია მოცემულ ცხრილს დაუმატოთ იმდენი სტრიქონი, რამდენი სტუდენტიც არის შესაფასებელი და ისე ამობეჭდოთ, ან თითო სტუდენტისთვის ამობეჭდოთ თითო ასეთი ცხრილი).*

## დანართი 6.3.1. კითხვების ბაზა
## (ნაღდი და უნაღდო ანგარიშსწორება)

1. რისთვის არის განკუთვნილი საკონტროლო-სალარო აპარატი?
2. საკონტროლო-სალარო აპარატის გამოყენების რა შემთხვევები არსებობს?
3. რა შემთხვევაშია დასაშვები საკონტროლო-სალარო აპარატის გამოუყენებლობა?
4. როგორ ხორციელდება საკონტროლო - სალარო აპარტის რეგისტრაცია?

## დანართი 6.3.2. სავარჯიშოების ბაზა
## (ნაღდი და უნაღდო ანგარიშსწორება)

1. განსაზღვრეთ საკონტროლო-სალარო აპარატის საჭიროება თქვენს მიერ შერჩეული ბიზნეს-საქმიანობისათვის.
2. თქვენს მიერ შერჩეული ბიზნეს-საქმიანობის მიხედვით განსაზღვრეთ, თუ ვის უნდა მიმართოთ საკონტროლო - სალარაო აპარატის შეძენისა და რეგისტრაციის მიზნით.
3. მომდევნო თეორიულ მეცადინეობამდე, თქვენს მიერ რომელიმე მაღაზიაში პროდუქტის შეძენისას დააკვირდით ჩეკის გაცემის პროცედურას. წერილობით აღწერეთ თუ რა დოკუმენტით დაადასტურებს მაღაზია თქვენთვის საქონლის მოყიდვის ოპერაციას. სასურველია მომდევნო მეცადინეობისთვის წამოიღაოთ და თან იქონიეთ ანგარიშსწორების დამადასტურებელი დოკუმენტი (ე.წ. ჩეკი).

## თავი 6.4. ბიზნესის ხარჯები (XXIII კვირა)

*(მოკლე შინაარსი მეწარმეობის სახელმძღვანელოს*[127] *6.3.1-6.3.4 ქვეთავების მიხედვით: ხარჯის არსი და სახეები; კომერციული (მიწოდების/მარკეტინგის), საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები)*

საათების სავარაუდო განაწილება:
6.4.1. თეორიული - 1 სთ;
6.4.2. პრაქტიკული - 1 სთ;
6.4.3. დამოუკიდებელი - 2 სთ.

### 6.4.1. თეორიული მეცადინეობა (1 სთ)



**აქტივობების ზოგადი აღწერა:** წინა დამოუკიდებელი მეცადინეობის დროს მიცემული დავალება შეამოწმეთ ამ დავალებისათვის დადგენილი განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტის მიხედვით, ხოლო შემდეგ ახსენით ახალი თეორიული მასალა.

**აქტივობების დეტალური აღწერა:** პირველი 10-15 წუთი - დაუთმეთ დავალების შემოწმებას ამ დავალებისათვის დადგენილი განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტის მიხედვით. ამ მიზნით, სტუდენტებს ჯერ გააცანით ინფორმაცია, თუ ვინ გამოაგზავნა დავალება საკუთარი ელ-ფოსტით, ხოლო შემდეგ თითო სტუდენტს დაუსვით დავალებასთან დაკავშირებული 2-3 შეკითხვა, რათა დარწმუნდეთ, რომ დავალება ნამდვილად ამ სტუდენტის შესრულებულია და არ არის გადმოწერილი. თითოეულ სტუდენტს მიუთითეთ, თუ რა შეცდომა დაუშვა დავალების შესრულებისას და მიეცით კონკრეტული რეკომენდაციები მათ გამოსასწორებლად. განიხილეთ ერთ-ერთი ყველაზე კარგად შესრულებული დავალება (ან ამ თეორიულ მეცადინეობაზე, ან ამავე თავის პრაქტიკული მეცადინეობის დასაწყისში).

მომდევნო 5-10 წუთი დაუთმეთ ლექციის შესავალ ნაწილს: ასახსნელი თეორიული მასალის შესახებ ისტორიებს ან/და მაგალითებს, გონებრივ იერიშს (გონებრივი იერიშისას

[127] ***მეწარმეობის სახელმძღვანელო*** *- გზამკვლევში ამ ტერმინით მოხსენიებულია განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებული სტუდენტის სახელმძღვანელო - „მეწარმეობა“.*

გამოიყენეთ 6.4.1 დანართით მოცმული კითხვები), რათა სტუდენტები დაფიქრდნენ, თუ რა მნიშვნელობა აქვს ხარჯების ცოდნას და მათ სწორად შეფასებას წარმატებული ბიზნესისთვის.

შესავალი ნაწილის შემდეგ, პროფესიული სტუდენტისთვის (რომელსაც არც თეორიული და არც პრაქტიკული გამოცდილება არ აქვს ბიზნესში) მაქსიმალურად გასაგები ენით, განმარტეთ შემდეგი საკითხები:

1. რა არის ბიზნესის ხარჯი და რა სახის ხარჯები არსებობს? [128]

2. რას გულისხმობს კომერციული (მიწოდების/მარკეტინგის), საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები? [129]

**ა) რეკომენდაციები**



სასურველია:

1. თეორიული მასალა გადმოიცეს პრეზენტაციის მეშვეობით;
2. პრეზენტაციის საწყის სლაიდზე ჩანდეს ამ ქვეთავის ნომერი და სათაური შესაბამის ილუსტრაციასთან ერთად;
3. თითოეულ საკითხს დაეთმოს 1-5 სლაიდი;
4. თითოეულ სლაიდზე ჩანდეს როგორც ტექსტი, ისე ტექსტის შესაბამისი ილუსტრაცია, რომელიც მაქსიმალურად უწყობს ხელს მასალის ათვისებასა და დამახსოვრებას;
5. ბოლოს წინა სლაიდებზე ჩაიწეროს დამოუკიდებელი მუშაობის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ინსტრუქცია და ელექტრონული ფოსტის მისამართი, სადაც სტუდენტებმა უნდა გამოაგზავნონ დამოუკიდებელი მუშაობის დროს შესრულებული მასალა (მაგალითად, მასწავლებლის ელექტრონული ფოსტა);
6. ბოლო სლაიდს დაარქვათ „საკითხავი მასალა“, სადაც ჩაწერეთ ძირითადი საკითხავი მასალის დასახელება (მაგალითად, ტექსტი - „ლექციაზე განხილული სლაიდები“) და დამატებითი საკითხავი ლიტერატურის დასახელება ამ ქვეთავის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

**ბ) ლიტერატურა**



[128] *მეწარმეობის სახელმძღვანელოს შემდეგი ქვეთავის მიხედვით: „6.3.1. ხარჯის არსი და სახეები“.*

[129] *მეწარმეობის სახელმძღვანელოს შემდეგი ქვეთავის მიხედვით: „6.3.2. კომერციული (მიწოდების/მარკეტინგის), საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები“.*

სასურველია პრეზენტაცია მომზადდეს მეწარმეობის სახელმძღვანელოს შემდეგი თავის მიხედვით: 6.3. ბიზნესის ხარჯები

**გ) რესურსები**



კომპიუტერი, პროექტორი, ჰენდაუთი (სლაიდების ამობეჭდილი ვერსია). შესაძლებელია თეორიული მასალის შესაბამისი ვიდეო/აუდიო/ინტერნეტ რესურსის გამოყენება.

## 6.4.2. პრაქტიკული მეცადინეობა (1 სთ)



პრაქტიკული მეცადინეობა ხელს უნდა უწყობდეს თეორიული მეცადინეობის დროს ახსნილი ინფორმაციის განმტკიცებას. მასწავლებელი უნდა დარწმუნდეს, რომ აუდიტორიაში მსხდომმა ყველა სტუდენტმა გაიგო თეორიული მეცადინეობის დროს ახსნილი ინფორმაცია.

ა) **პირველი 5-10 წუთი** დაუთმეთ გონებრივ იერიშს (შეგიძლიათ გამოიყენოთ კითხვები 6.4.1. დანართიდან), რათა გაარკვიოთ ხომ არ არის ისეთი საკითხი, რომელიც ვერ გაიგეს სტუდენტებმა თეორიული მასალიდან. სთხოვეთ სტუდენტებს მოიყვანონ მათთვის ცნობილი მაგალითები თეორიულ მასალასთან დაკავშირებით;

ბ) სტუდენტები დაყავით 3 ჯგუფად. თითოეულ ჯგუფს დაურიგეთ თქვენს მიერ წინასწარ შედგენილი ამოცანები ხარჯების განსაზღვრასა და დიფერენცირებასთან დაკავშირებით. თითოეული ჯგუფის წინაშე დააყენეთ ინდივიდუალური პრობლემა ხარჯების დიფერენცირებისა და გაცემის რიგითობის მიზნით. ჯგუფმა უნდა მოახდინოს პრობლემის გადაჭრა.

გ) **მეცადინეობის ბოლო 10 წუთი** დაუთმეთ შესრულებული დავალებების განხილვას.

6.4.3. დამოუკიდებელი მეცადინეობა (2 სთ)



**ᲓᲐᲕᲐᲚᲔᲑᲐ №6.4.3 - ᲑᲘᲖᲜᲔᲡᲘᲡ ᲮᲐᲠᲯᲔᲑᲘ:**

*(**განმარტება მასწავლებლისთვის:** აღნიშნული დავალება სტუდენტს უვითარებს ბიზნესის სავარაუდო ხარჯების წინასწარ განსაზღვრის უნარს, ასევე Word-ის დოკუმენტის მარტივი რედაქტირებისა და ელექტრონული კომუნიკაციის უნარებს)*

**დავალების პირობა:** 6.4.2 დანართში აღნიშნული სავარჯიშოები შეასრულეთ ქვემოთ მოცემული ინსტრუქციის შესაბამისად, წერილობითი ფორმით (არანაკლებ 1 გვერდი).

**დავალების შესრულების ინსტრუქცია სტუდენტებისთვის:** დავალება შეინახეთ Word-ის ცალკე დოკუმენტად შემდეგი წესების დაცვით:

1. გახსენით Word-ის ახალი დოკუმენტი და ლათინური შრიფტით დაარქვით „19.Business Expenses_Name Surname of Student“ („Name Surname of Student“-ს ნაცვლად მიუთითეთ თქვენი სახელი და გვარი);
2. აირჩიეთ შრიფტი - Sylfaen და შრიფტის ზომა - 11;
3. Word-ის დოკუმენტის დასაწყისში, შუა ადგილზე ჩაწერეთ თეორიული ლექციის სათაური;
4. გადმოწერეთ და რიგითობის მიხედვით დანომრეთ თითოეული სავარჯიშო დავალების პირობაში დასახელებული დანართიდან;
5. თითოეული სავარჯიშოს ქვემოთ, აბზაცით ჩაწერეთ პასუხი ამ სავარჯიშოზე;
7. შესრულებული დავალება თქვენი საკუთარი ელ-ფოსტით გამოაგზავნეთ მომდევნო ლექციამდე, ელ-ფოსტაზე: *აქ მასწავლებელმა უნდა ჩაწეროს ელექტრონული ფოსტის მისამართი, სადაც უნდა გამოიგზავნოს დავალება.*

განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტი №6.4

(სასურველია შეივსოს მომდევნო თეორიული მეცადინეობის დასაწყისში)

ამ დამოუკიდებელი მეცადინეობის შედეგები მოწმდება ორი კრიტერიუმის მიხედვით:

**1. სტუდენტმა გადმოაგზავნა თუ არა დავალება საკუთარი ელ-ფოსტით** (სასურველია შემოწმდეს მომდევნო თეორიულ მეცადინეობამდე);

**2. სტუდენტი პასუხობს თუ არა დავალებასთან დაკავშირებულ შეკითხვებს** (სასურველია შემოწმდეს მომდევნო თეორიული მეცადინეობის დასაწყისში - თითო სტუდენტს დაუსვით 2-3 მარტივი შეკითხვა, რათა დარწმუნდეთ, რომ დავალება მისი შესრულებულია).

<table>
<tr><th rowspan="3">№</th><th rowspan="3">სტუდენტის გვარი, სახელი</th><th rowspan="3">დავალების ნომერი და დასახელება</th><th colspan="4">შესრულების კრიტერიუმები</th></tr>
<tr><th colspan="2">დავალება გადმოაგზავნა საკუთარი ელ-ფოსტით</th><th colspan="2">უპასუხა დავალებასთან დაკავშირებულ შეკითხვებს</th></tr>
<tr><th>დიახ</th><th>არა</th><th>დიახ</th><th>არა</th></tr>
<tr><td>1</td><td></td><td>№6.4.3 - ბიზნესის ხარჯები</td><td></td><td></td><td></td><td></td></tr>
<tr><td colspan="7">დავალება შესრულებულად ითვლება ორივე კრიტერიუმის დადებითად შეფასების შემთხვევაში</td></tr>
</table>

***(განმარტება მასწავლებლისთვის:** შესაძლებელია მოცემულ ცხრილს დაუმატოთ იმდენი სტრიქონი, რამდენი სტუდენტიც არის შესაფასებელი და ისე ამობეჭდოთ, ან თითო სტუდენტისთვის ამობეჭდოთ თითო ასეთი ცხრილი).*

## დანართი 6.4.1. კითხვების ბაზა
## (ბიზნესის ხარჯები)

1. რა შეიძლება იყოს ბიზნესის ხარჯი?
2. ჩამოთვალეთ და განმარტეთ ხარჯის სახეები.
3. რა ნიშნებით ჯგუფდება ხარჯები?
4. რას ნიშნავს საოპერაიო ხარჯი?
5. რას ნიშნავს არასაოპერაციო ხარჯი?
6. რაში მდგომარეობს კომერციული (მიწოდების/მარკეტინგის) ხარჯის არსი და თვისებურეები?
7. განმარტეთ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯების არსი და თვისებურეები.

## დანართი 6.4.2. სავარჯიშოების ბაზა
## (ბიზნესის ხარჯები)

1. განსაზღვრეთ თქვენს მიერ შერჩეული ბიზნესის ხარჯების სახეები;
2. განსაზღვრეთ თქვენს მიერ შერჩეული ბიზნესის სავარაუდო ხარჯების ოდენობა ხარჯების სახეების მიხედვით.

## თავი 6.5. ბიზნესის შემოსავლებისა და ხარჯების აღრიცხვა
(XXIV კვირა)

*(მოკლე შინაარსი მეწარმეობის სახელმძღვანელოს [130] 6.4.1-6.4.6 ქვეთავების მიხედვით: პირველადი დოკუმენტები ბიზნესში; შემოსავლებისა და ხარჯების აღრიცხვის პრინციპები; მოგება; დივიდენდი)*

საათების სავარაუდო განაწილება:
6.5.1. თეორიული - 1 სთ;
6.5.2. პრაქტიკული - 1 სთ;
6.5.3. დამოუკიდებელი - 4 სთ.

6.5.1. თეორიული მეცადინეობა (1 სთ)



**აქტივობების ზოგადი აღწერა:** წინა დამოუკიდებელი მეცადინეობის დროს მიცემული დავალება შეამოწმეთ ამ დავალებისათვის დადგენილი განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტის მიხედვით, ხოლო შემდეგ ახსენით ახალი თეორიული მასალა.

**აქტივობების დეტალური აღწერა:** პირველი 10-15 წუთი - დაუთმეთ დავალების შემოწმებას ამ დავალებისათვის დადგენილი განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტის მიხედვით. ამ მიზნით, სტუდენტებს ჯერ გააცანით ინფორმაცია, თუ ვინ გამოაგზავნა დავალება საკუთარი ელ-ფოსტით, ხოლო შემდეგ თითო სტუდენტს დაუსვით დავალებასთან დაკავშირებული 2-3 შეკითხვა, რათა დარწმუნდეთ, რომ დავალება ნამდვილად ამ სტუდენტის შესრულებულია და არ არის გადმოწერილი. თითოეულ სტუდენტს მიუთითეთ, თუ რა შეცდომა დაუშვა დავალების შესრულებისას და მიეცით კონკრეტული რეკომენდაციები მათ გამოსასწორებლად. განიხილეთ ერთ-ერთი ყველაზე კარგად შესრულებული დავალება (ან ამ თეორიულ მეცადინეობაზე, ან ამავე თავის პრაქტიკული მეცადინეობის დასაწყისში).

[130] ***მეწარმეობის სახელმძღვანელო*** *- გზამკვლევში ამ ტერმინით მოხსენიებულია განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებული სტუდენტის სახელმძღვანელო - „მეწარმეობა“.*

**მომდევნო 5-10 წუთი** დაუთმეთ ლექციის შესავალ ნაწილს: ასახსნელი თეორიული მასალის შესახებ ისტორიებს ან/და მაგალითებს, გონებრივ იერიშს (გონებრივი იერიშისას გამოიყენეთ 6.5.1 დანართით მოცმული კითხვები), რათა სტუდენტები დაფიქრდნენ, თუ რა მნიშვნელობა აქვს ბიზნესის შემოსავლებისა და ხარჯების სწორად აღრიცხვას წარმატებული ბიზნესისთვის. განმარტაეთ ბიზნესის შემოსავლები და ხარჯები, ბიუჯეტში შესატანი გადასახადები, მოგებაი და მისი სახეები. დივიდენდის არსი. განიხილეთ შემოსავლებისა და ხარჯების აღრიცხვის პრინციპები. პირველადი დოკუმენტაციის გაცნობის მიზნით მოახდინეთ სასწავლო მასალების დემონსტრირება. მიმართეთ გააზრებული კითხვის მეთოდებს. მაგ:

ა) დასაბეგრი მოგების, წმინდა მოგებისა და გაუნაწილებელი მოგების განსხვავების მიზნით;

ბ) დივიდენდის ოპტიმალური ოდენობის განსაზღვრის მიზნით და სხვ.

შესავალი ნაწილის შემდეგ, პროფესიული სტუდენტისთვის (რომელსაც არც თეორიული და არც პრაქტიკული გამოცდილება არ აქვს ბიზნესში) მაქსიმალურად გასაგები ენით, განმარტეთ შემდეგი საკითხები:

1. რა იგულისხმება პირველად დოკუმენტებში? [131]

2. შემოსავლებისა და ხარჯების აღრიცხვის რა პრინციპები არსებობს? [132]

3. რა არის მოგება? [133]

4. რა არის დივიდენდი? [134]

**ა) რეკომენდაციები**



სასურველია:

1. თეორიული მასალა გადმოიცეს პრეზენტაციის მეშვეობით;

---

[131] *მეწარმეობის სახელმძღვანელოს შემდეგი ქვეთავის მიხედვით: „6.4.1. პირველადი დოკუმენტები ბიზნესში“.*

[132] *მეწარმეობის სახელმძღვანელოს შემდეგი ქვეთავის მიხედვით: „6.4.2. შემოსავლებისა და ხარჯების აღრიცხვის პრინციპები“.*

[133] *მეწარმეობის სახელმძღვანელოს შემდეგი ქვეთავის მიხედვით: „6.4.3. მოგება“.*

[134] *მეწარმეობის სახელმძღვანელოს შემდეგი ქვეთავის მიხედვით: „6.4.4. დივიდენდი“.*

2. პრეზენტაციის საწყის სლაიდზე ჩანდეს ამ ქვეთავის ნომერი და სათაური შესაბამის ილუსტრაციასთან ერთად;

3. თითოეულ საკითხს დაეთმოს 1-5 სლაიდი;

4. თითოეულ სლაიდზე ჩანდეს როგორც ტექსტი, ისე ტექსტის შესაბამისი ილუსტრაცია, რომელიც მაქსიმალურად უწყობს ხელს მასალის ათვისებასა და დამახსოვრებას;

5. ბოლოს წინა სლაიდებზე ჩაიწეროს დამოუკიდებელი მუშაობის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ინსტრუქცია და ელექტრონული ფოსტის მისამართი, სადაც სტუდენტებმა უნდა გამოაგზავნონ დამოუკიდებელი მუშაობის დროს შესრულებული მასალა (მაგალითად, მასწავლებლის ელექტრონული ფოსტა);

6. ბოლო სლაიდს დაარქვათ „საკითხავი მასალა", სადაც ჩაწერეთ ძირითადი საკითხავი მასალის დასახელება (მაგალითად, ტექსტი - „ლექციაზე განხილული სლაიდები") და დამატებითი საკითხავი ლიტერატურის დასახელება ამ ქვეთავის „ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად.

**ბ) ლიტერატურა**



სასურველია პრეზენტაცია მომზადდეს მეწარმეობის სახელმძღვანელოს შემდეგი თავის მიხედვით: 6.4. ბიზნესის შემოსავლებისა და ხარჯების აღრიცხვა.

**გ) რესურსები**



კომპიუტერი, პროექტორი, ჰენდაუთი (სლაიდების ამობეჭდილი ვერსია). შესაძლებელია თეორიული მასალის შესაბამისი ვიდეო/აუდიო/ინტერნეტ რესურსის გამოყენება.

## 6.5.2. პრაქტიკული მეცადინეობა (1 სთ)



პრაქტიკული მეცადინეობა ხელს უნდა უწყობდეს თეორიული მეცადინეობის დროს ახსნილი ინფორმაციის განმტკიცებას. მასწავლებელი უნდა დარწმუნდეს, რომ აუდიტორიაში მსხდომმა ყველა სტუდენტმა გაიგო თეორიული მეცადინეობის დროს ახსნილი ინფორმაცია.

ა) **პირველი 5-10 წუთი** დაუთმეთ გონებრივ იერიშს (შეგიძლიათ გამოიყენოთ კითხვები 6.5.1. დანართიდან), რათა გაარკვიოთ ხომ არ არის ისეთი საკითხი, რომელიც ვერ გაიგეს სტუდენტებმა თეორიული მასალიდან. სთხოვეთ სტუდენტებს მოიყვანონ მათთვის ცნობილი მაგალითები თეორიულ მასალასთან დაკავშირებით;

ბ) სტუდენტებს სთხოვეთ განიხილონ შემოსავლებისა და ხარჯების დაყოფის შემთხვევები (ქეისები) ურთიერთსწავლების მეთოდით. მიეცით ამოცანები დამატებითი ღირებულების გადასახადის (დღგ), აქციზის, ქონების, მოგების, საშემოსავლო და სხვა საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ბიუჯეტში შესატანი გადასახადების გაანგარიშებისთვის.

გ) **მეცადინეობის ბოლო 10 წუთი** დაუთმეთ შესრულებული დავალებების განხილვას.

6.5.3. დამოუკიდებელი მეცადინეობა (4 სთ)



**დავალება №6.5.3 - შემოსავლებისა და ხარჯების აღრიცხვა:**

*(**განმარტება მასწავლებლისთვის:** აღნიშნული დავალება სტუდენტს უვითარებს შემოსავლებისა და ხარჯების აღრიცხვის უნარს, ასევე Word-ის დოკუმენტის მარტივი რედაქტირებისა და ელექტრონული კომუნიკაციის უნარებს)*

**დავალების პირობა:** 6.5.2 დანართში აღნიშნული სავარჯიშოები შეასრულეთ ქვემოთ მოცემული ინსტრუქციის შესაბამისად, წერილობითი ფორმით (არანაკლებ 1 გვერდი).

**დავალების შესრულების ინსტრუქცია სტუდენტებისთვის:** დავალება შეინახეთ Word-ის ცალკე დოკუმენტად შემდეგი წესების დაცვით:

1. გახსენით Word-ის ახალი დოკუმენტი და ლათინური შრიფტით დაარქვით „20.Income and expenses_Name Surname of Student" („Name Surname of Student"-ს ნაცვლად მიუთითეთ თქვენი სახელი და გვარი);
2. აირჩიეთ შრიფტი - Sylfaen და შრიფტის ზომა - 11;
3. Word-ის დოკუმენტის დასაწყისში, შუა ადგილზე ჩაწერეთ თეორიული ლექციის სათაური;
4. გადმოწერეთ და რიგითობის მიხედვით დანომრეთ თითოეული სავარჯიშო დავალების პირობაში დასახელებული დანართიდან;
5. თითოეული სავარჯიშოს ქვემოთ, აბზაცით ჩაწერეთ პასუხი ამ სავარჯიშოზე;
7. შესრულებული დავალება თქვენი საკუთარი ელ-ფოსტით გამოაგზავნეთ მომდევნო ლექციამდე, ელ-ფოსტაზე: *აქ მასწავლებელმა უნდა ჩაწეროს ელექტრონული ფოსტის მისამართი, სადაც უნდა გამოიგზავნოს დავალება.*

განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტი №6.5

(სასურველია შეივსოს მომდევნო თეორიული მეცადინეობის დასაწყისში)

ამ დამოუკიდებელი მეცადინეობის შედეგები მოწმდება ორი კრიტერიუმის მიხედვით:

1. **სტუდენტმა გადმოაგზავნა თუ არა დავალება საკუთარი ელ-ფოსტით** (სასურველია შემოწმდეს მომდევნო თეორიულ მეცადინეობამდე);

**2. სტუდენტი პასუხობს თუ არა დავალებასთან დაკავშირებულ შეკითხვებს** (სასურველია შემოწმდეს მომდევნო თეორიული მეცადინეობის დასაწყისში - თითო სტუდენტს დაუსვით 2-3 მარტივი შეკითხვა, რათა დარწმუნდეთ, რომ დავალება მისი შესრულებულია).

<table>
<tr><th rowspan="3">№</th><th rowspan="3">სტუდენტის გვარი, სახელი</th><th rowspan="3">დავალების ნომერი და დასახელება</th><th colspan="4">შესრულების კრიტერიუმები</th></tr>
<tr><th colspan="2">დავალება გადმოაგზავნა საკუთარი ელ-ფოსტით</th><th colspan="2">უპასუხა დავალებასთან დაკავშირებულ შეკითხვებს</th></tr>
<tr><th>დიახ</th><th>არა</th><th>დიახ</th><th>არა</th></tr>
<tr><td>1</td><td></td><td>№6.5.3 - შემოსავლებისა და ხარჯების აღრიცხვა</td><td></td><td></td><td></td><td></td></tr>
<tr><td colspan="7">დავალება შესრულებულად ითვლება ორივე კრიტერიუმის დადებითად შეფასების შემთხვევაში</td></tr>
</table>

***(განმარტება მასწავლებლისთვის:** შესაძლებელია მოცემულ ცხრილს დაუმატოთ იმდენი სტრიქონი, რამდენი სტუდენტიც არის შესაფასებელი და ისე ამობეჭდოთ, ან თითო სტუდენტისთვის ამობეჭდოთ თითო ასეთი ცხრილი).*

## დანართი 6.5.1. კითხვების ბაზა
## (შემოსავლებისა და ხარჯების აღრიცხვა)

1. ბიზნესში გამოყენებული რა პირველადი დოკუმენტები იცით?
2. რა მნიშვნელობა აქვს პირველადი დოკუმენტების სწორად გამოყენებას?
3. როგორ დაახასიათეთ შემოსავლებისა და ხარჯების პრინციებს?
4. რა არის მოგება და რამდენი სახის არსებობს?
5. რა არის დივიდენდი?

## დანართი 6.5.2. სავარჯიშოების ბაზა
## (შემოსავლებისა და ხარჯების აღრიცხვა)

1. გამოთვალეთ თქვენ მიერ შერჩეული ბიზნეს-საქმიანობის საოპერაციო და არასაოპერაციო შემოსავლები და ხარჯები;
2. გამოთვალეთ ბიუჯეტში გადასახდელი გადასახადების ოდენობა თქვენი ბიზნესის ფარგლებში;
3. გაანალიზეთ მიღებული ფინანსური შედეგი.

# თავი 7. მოდულის შეჯამება (XXV კვირა, 3 სთ)

საათების სავარაუდო განაწილება:
7.1. თეორიული - 1 სთ;
7.2. შეფასება - 2 სთ.

7.1. თეორიული მეცადინეობა (1 სთ)



**აქტივობების აღწერა:** **პირველი 20-25 წუთი** დაუთმეთ ლექციის შესავალ ნაწილს: ისტორიებს ან/და მაგალითებს მთლიანი განვლილი მასალიდან, გონებრივ იერიშს (გონებრივი იერიშისას გამოიყენეთ 1.1.1-6.5.1 დანართებით მოცმული კითხვები), რათა გაარკვიოთ ხომ არ არის ისეთი საკითხი, რომელიც ვერ გაიგეს სტუდენტებმა განვლილი მასალიდან.

**დანარჩენი დროის მანძილზე** სთხოვეთ სტუდენტებს მათ მიერ სწავლის პროცესში სხვადასხვა დროს დასახელებული ბიზნეს-იდეებიდამნ, რომელი იდეა ესახებათ ყველაზე რეალურად. ასევე, დრო დაუთმეთ სტუდენტთა შეკითხვებსა და დისკუსიას, მიეცით მათ კონკრეტული რჩევები და რეკომენდაციები.

**ა) რეკომენდაციები**



სასურველია კითხვები დასვათ არა ისე, რომ შესაძლებელი იყოს „დიახ“ ან „არა“ პასუხი, არამედ ისე, რომ წაახალისოს სტუდენტების აზროვნება/წარმოსახვა, რათა სწავლის პროცესში გაგონილი/ნასწავლი ინფორმაციისა თუ გამომუშავებული უნარის გამოყენებით გააკეთონ ლოგიკური და შედეგზე ორიენტირებული დასკვნები.

**ბ) ლიტერატურა**



სასურველია თეორიული მეცადინეობა მომზადდეს მეწარმეობის სახელმძღვანელოსა და გზამკვლევში გამოყენებული ლინკების საფუძველზე.

**გ) რესურსები**



კომპიუტერი, პროექტორი, ჰენდაუთი (სლაიდების ამობეჭდილი ვერსია). შესაძლებელია თეორიული მასალის შესაბამისი ვიდეო/აუდიო/ინტერნეტ რესურსის გამოყენება.

# 7.2. სწავლის შედეგი 6 - განმსაზღვრელი შეფასება (1 სთ)

**სწავლის შედეგი 6**

| | |
|---|---|
| მოდული: | მეწარმეობა |
| სწავლის შედეგი/შესრულების კრიტერიუმი | **სწავლის შედეგი 6. კრიტერიუმები 1-7:**<br>1. სწორად განსაზღვრავს საქონლის/მომსახურების ფასებს;<br>2. ბიზნესის სპეციფიკის გათვალისწინებით, სწორად ჩამოთვლის მოსალოდნელ შემოსავლებს;<br>3. ბიზნესის სპეციფიკის გათვალისწინებით, სწორად განმარტავს საკონტროლო სალარო აპარატის გამოყენების საჭიროებას;<br>4. ბიზნესის სპეციფიკის გათვალისწინებით, სწორად ჩამოთვლის მოსალოდნელ ხარჯებს;<br>5. სწორად აღრიცხავს შემოსავლებსა და ხარჯებს;<br>6. ბიზნესის სპეციფიკის გათვალისწინებით, სწორად უკეთებს იდენტიფიცირებას ბიუჯეტში შესატან გადასახადებს;<br>7. სწორად ანგარიშობს მოსალოდნელ მოგებას. |
| შეფასების მიმართულება: | პროდუქტის შედეგის შეფასება |
| შეფასების ინსტრუმენტი | პროექტი |
| აღწერა | მოდულის განხორციელების განმავლობაში სტუდენტი დამოუკიდებელ საათებზე ქმნის სხვადასხვა სახის წერილობით დოკუმენტის რაც გროვდება სტუდენტის პორტფოლიოში და გამოიყენება მოცემული სწავლის შედეგის მიხედვით სტუდენტის კომპეტენციების დასადასტურებლად. სტუდენტს საშუალება ეძლევა შეფასებამდე შეცვალოს/გააუმჯობესოს მის მიერ შემუშავებული დოკუმენტაცია.<br>შეფასების მიზანია შემოწმდეს სტუდენტის მიერ წარმოდგენილი ნაშრომის საკმარისობა და ავთენტურობა კრიტერიუმების მიხედვით კომპეტენციათა დასადასტურებლად.<br>შეფასება ხორციელდება სასწავლო აუდიტორიაში, შესაფასებელი პირის თანდასწრებით.<br>შეფასებისათვის გამოყოფილი დროა 1 სთ.<br>მტკიცებულებებია არასაკმარისობის შემთხვევაში სტუდენტი უზრუნველყოს დამატებითი მტკიცებულებების მოპოვებას. ამ შემთხვევაში შეიქმნება დამატებითი მტკიცებულება მასწავლებლის ჩანაწერების სახით.<br>შეფასების პროცესში სტუდენტს უფლება აქვს გამოიყენოს საკუთარი სამუშაო ჩანაწერები და ჩაბარებული მტკიცებულება ან მისი ასლი, კონსპექტები, სახელმძღვანელო, კალკულატორი. |

| | |
|---|---|
| შინაარსი | შეფასების კრიტერიუმების მიხედვით მოწმდება სტუდენტის მიერ შექმნილი შემდეგი დოკუმენტები:<br><br>**შესრულების კრიტერიუმი 1.** წარმოდგენილია წერილობითი ფორმით ბიზნეს შემოსავლების მაგალითები (2-3 მაგალითი), განსაზღვრულია მათი შემოსავლის წყაროები და პრიორიტეტულობა. მტკიცებულების მინიმალური ოდენობა - 1 გვერდი.<br><br>**შესრულების კრიტერიუმი 2**. წარმოდგენილია წერილობითი ფორმით ცხრილის მიხედვით საკონტროლო-სალარო აპარატის, ჩეკთან გათანაბრებული დოკუმენტის (ჩგდ),პოს (POS) ტერმინალის გამოყენების საჭიროებები. მტკიცებულების მინიმალური ოდენობა 1 გვერდი.<br><br>**შესრულების კრიტერიუმი 3-7.** წარმოდგენილია წერითი ნაშრომი ქეისები (შემთხვევათა მაგალითები) მტკიცებულების მინიმალური ოდენობა 3 გვერდი. |
| მტკიცებულება | სტუდენტის პორტფოლიო(წერილობითი ანგარიში) და საჭიროების შემთხვევაში- მასწავლებლის ჩანაწერები. |
| შეფასების სქემა | სტუდენტი დადებითად შეფასდება, თუ ყველა კრიტერიუმის მიხედვით წარმოდგენილი იქნება საკმარისი და ავთენტური მტკიცებულება |